

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“

ოთარ კეკელაშვილი

საკატენტო სამართლის
ეკონომიკური საფუძვლები

თბილისი - 2001

ნაშრომში განხილულია საპაგენგო სამართლისა და პაგენგთმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოს საპაგენგო სამართლის ძირითადი ნორმები და ეკონომიკური საფუძვლები, აგრეთვე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის წყაროები.

წიგნში მოცემულია საპაგენგო, სასაქონლო ნიშნების, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიისა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონების სრული ტექსტები და მათი მოკლე დახასიათება; იგი საქმიანობაში გამოადგებათ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური პოლიტიკისა და ტექნიკური პროგრესის ფორმირებისა და წარმართვის სამსახურების მუშაკებს, სამართლისმცოდნეებს, პაგენგთმცოდნეებს, მეწარმეებს, ინჟინრებს, მეცნიერებს; დაეხმარება მრეწველობასა და წარმოებაში დასაქმებულ იურისტებსა და ბიზნესმენებს, აგრეთვე მომავალ იურისტებს და სამართლისმცოდნეებს შეისწავლონ საპაგენგო სამართლის მოთხოვნები, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში.

მთავარი რელაქტორები: **დავით გაბუნია**, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ გენერალური დირექტორი;
თამაზ შილაკაძე, საქართველოს გამომგონებელითა საბოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს გენეკური შექმნელებისა და პატენტამცოდნეობის ინსტიტუტის რექტორი, დამსახურებული გამომგონებელი.

სპეციალური და გენეკური რელაქტორი: **თეიმურაზ ფარცვანია**
კორექტორი: **ნათია კეკელაშვილი**

რეცენზენტები: **არჩილ ბეთანელი**, საქართველოს საინჟინრო და რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიების აკადემიკოსი, გენეკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ზაურ ჯინჯოლავა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ჰამლეტ გიორგაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ამ წიგნის შესახებ	6
I თავი. საპატენტო სამართლისა და პატენტმცოდნეობის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში	12
II თავი. საპატენტო სამართლის სისტემის წარმოქმნა და განვითარება	25
III თავი. გამოგონებათა დაპატენტების მიზანშეწონილობის განსაზღვრა და პატენტუნარიანობის ექსპერტიზა	72
IV თავი. პატენტის მფლობელთა უფლებები და მათი დაცვა	206
V თავი. საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის ორგანიზაცია საქართველოში	266
VI თავი. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის წყაროები	328
VII თავი. დანართი	357
§1. საქართველოს საპატენტო კანონი	357
§2. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ	390
§3. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ	418
§4. საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის შესახებ	430
§5. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ	438
გამოყენებული ლიტერატურა	443

დღეისათვის ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ოფიციალურ პერიოდულ პრესაში ნაკლებად გვხვდება მასალები საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის ეკონომიკური მნიშვნელობისა და მისი განვითარების პერსპექტივებზე.

ეს წიგნი მიზნად ისახავს შეაქოს ალნიშნული ხარეები და, სახელმწიფოს მხრიე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საპატენტო საქმიანობისადმი შემუშადეს ისეთი მიდგომა, რომელიე საშუალეებას მოგვექმს, საქმიანობის ეს შეტად მნიშვნელოვანი სუერო საქართეელოს ეროენული ეკონომიკის განვითარების სამსახურში ჩადგეს.

საქართეელოში საპატენტო სისტემაზე ვადასელა არსებითად 1992 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან ჩენში გამოპგონებელს ეძლევა არა სააეგორო მოწმობა, არაშელ პატენტი, რომელიე თაეისი იურიდიული მნიშვნელობით ძირეულად განსხეაელება სააეგორო მოწმობისაგან. ამრივად, გამოგონების აეგორს ან შესაბამისი საპატენტო ლიცენზიის შექონე პატენტის მულობელს უელება მიეეა მხოლოდ თეითონ გამოიყენოს შექმნილი ან შექმნილი გამოგონება, ხოლო სხეას, ვარკეეული დროის განმავლობაში, ნებარსუის ვარეშე ეკრძალეება ამ გამოგონების გამოყენება.

სწორედ ამ საკითხებს, და არა მარგო მათ, დიდი მნიშვნელობა აქეს, რამდენადე, ჩენი მეწარმეობისა და მრეწეელობის განვითარება ბეერად არის დამოკიდებული საპატენტო საშუაოთა სწორად და საპატენტო სამართლით დადგენილი წესითი ჩატარებამე.

წარმოება და მრეწეელობა რომ ვადარჩენს ქეეყანას, ეს ჭეშმარიტებაა, მავრამ, თუ რა ამოცანები და პრობლეეები იჩენს ამ საქმეში თაეს, ყოველთეის შეიძლება ვერ ვაეითეალისწინოთ და ეს სათანადლო შემოქმედებით მიდგომას და კონიუნქტურის გედმიწეენით ვააზრებას მოითხოეს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დღის წესრიგში დგება საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო საკითხების მოგვარებით ისეთი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა, რომელიე კომერციულ

წარმატებას უზრუნველყოფს. ამასთან, ეს მუშაობა ერთჯერადი არ უნდა იყოს და მუდმივ ბრუნვას საჭიროებს.

წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია კომერციული სარგებლობის მოგანას არა მარგო სადღეისოდ, არამედ პესპექტივაშიც უნდა ითვალისწინებდეს, რაც, როგორც უკვე ითქვა, საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო სამუშაოთა ჩატარების გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან იგი პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის შემადგენელი ნაწილია.

კომერციული წარმატების მისაღწევად მარგო ის არ არის საკმარისი, რომ შეექმნათ. მაგალითად, სანთებლის გაშომშეები წარმოება, რომელიც ისეთი ანალოგიურ პროდუქციას გამოუშვებს, როგორც ჩვენს მაღაზიებში იყიდება. ჩვენ გვინდა არა უბრალოდ ჩვეულებრივი პროდუქცია, არამედ კონკურენტუნარიანი, ე.ი. პატენტუნარიანი და საპატენტო სიწმინდით უზრუნველყოფილი არამარგო შიგა ბაზრისათვის, არამედ გარეშე კონკრეტული ქვეყნებისთვისაც. თუ ეს საკითხი ჩვენ პრაქტიკულად მოვაგვარეთ, არაერთი კონკურენცია – ამდაგვარი საქონლის სხვა ქვეყნიდან შემოგანა ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის. ე.ი. საპატენტო სამუშაოთა დროული ჩატარება და ამასთან, პროდუქციის კომპლექსური დაცვისათვის უულებრივი საკითხების მოგვარებით გარანტირებული გვექნება კომერციული წარმატების მიღწევა. ამისათვის აუცილებელი პირობა იქნება სასაქონლო ნიშნის რეგისტრირება, სამრეწველო ნიშნის უულებრივი განმტკიცება და სანთებელაში გამოყენებული გექნიკური კვანძების სრულყოფა – მათზე პატენტების მიღება და პერიოდულად განახლება ახალ-ახალი პატენტების მიღებით. ამ გზით მივაღწევთ ამდაგვარი წარმოების პროდუქციის გამოშვების მონოპოლიზმებას.

აღნიშნული მაგალითის მოყვანით შესაძლოა იმ სფეროს შეეხებით, რომელიც ნაკლებად რენტაბელიურია ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ აქ მთავარი სფერო და დიდი კაპიტალდაბანდებები როდია, მთავარი და ძირითადი სხვაა – გამოვეშვათ იმაზე უკეთესი პროდუქცია, რაც დღეს გვაქვს, და გავყიდოთ უფრო იაფად. რასაკვირველია, უფრო უპრიანი იქნებოდა მელვინეობის დარგების შესახებ მოგვეყვანა მაგალითი,

მაგრამ აქაც ადგილობრივი კარგი ნელლეულის პირობებში იგივე ამოცანები გვექნებოდა გადასაწყვეტი, კერძოდ, დასამკვიდრებელი და შესაქმნელი ვექსნებოდა სასაქონლო ნიშანი, ბოთლისა და ეტიკეტის გარეგნული იერსახე და ღვინის დამზადების ტექნოლოგია, ე.ი. პატენტუნარიანი ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება სხვა მიღწევებთან ერთად გამოირჩეოდეს, მაგალითად, კარგი ფილტრაციით, სითხეში აირის შეყვანის თანამედროვე მეთოდებით და სხვა.

დღევანდელმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოში საპატენტო კულტურის ამაღლების საჭიროება, რამაც ჩვენი სახელმწიფო წყობის შეცვლის გარდამავალ პერიოდში გარკვეული საკანონმდებლო ბაზის შექმნა მოითხოვა.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ოთარ კეკელაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნს – „საპატენტო სამართლის ეკონომიკურ საფუძვლებს“ საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრაქტიკამ წარმოშვა საფუძვლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს ეკონომიკური აღორძინების გარანტიად უმთავრესად მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი უნდა მივიჩნიოთ და არა მინერალური ნელლეულის ბაზა ან თუნდაც ენერჯეტიკა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით XX საუკუნეში, ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა საპატენტო სამართლისა და პატენტმცოდნეობის და სამრეწველო საკუთრების სახეების პატენტებით დაცვის მნიშვნელობა და როლი.

წიგნში პატენტმცოდნეობა განხილულია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, რომელიც წარმოადგენს მთელი რიგი დამოუკიდებელი მეცნიერული დარგებისა და სასწავლო საგანთა დამაკავშირებელ და შემადგენელ ნაწილს. იგი უშუალო კავშირშია იურიდიულ, ტექნიკურ და ეკონომიკურ დარგებთან, აგრეთვე საპატენტო ინფორმაციასთან, რომელსაც თავისი სპეციფიკური საფუძვლები აქვს; საპატენტო სამართლისა და პატენტმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელობა წარმოიჩინილია, როგორც ისეთი ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის საგანი, რომელიც სამრეწველო საკუთრების პრაქტიკული განხორციელებისა და მისი დაცვის კატეგორიათა კანონმდებლობით

დადგენის მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს. იგი ემსახურება ერთი ან რამდენიმე გამოგონების ბაზაზე ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ობიექტების მოსამზადებელი ეტაპის შექმნას; არ შეიძლება არ დაეყაროს წიგნში წამოყენებულ ამოცანას, რომ საპატენტო სამართლისა და პატენტმცოდნეობის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი, აგრეთვე მართვის ორგანოების მხრივ სრულიად ახალ მიდგომას და ახალ ხელეას მოითხოვს, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და შემდგომ წინსვლას დიდად განსაზღვრავს ინტელექტუალური პოტენციალი და წარმოების ამოქმედება.

დასახელებული წიგნი იმითაც არის ყურადსაღები, რომ განვითარებული მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მქონე ქვეყნების მაგალითზე დასაბუთებულია საპატენტო სამართლისა და პატენტმცოდნეობის უშუალო კავშირი წარმოებასა და მრეწველობასთან, რადგანაც ეკონომიკის ინტელექტუალიზაციაზე გადასულა აუცილებელია და საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამოშვებული საკუთარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და პრესტიჟის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მისი პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის უზრუნველყოფა; ეს საქუშაო უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო პროდუქციის წარმოების დაგეგმვის ეტაპზე, არაპედ მისი შექმნისა და საბოლოო სახის მიცემის მთელი ციკლის მანძილზე; გამოგონებათა დაპატენტება საქართველოსა და უცხოეთში არ არის თვითმიზანი, იგი უკავშირდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნას, გამოშვებას და წარმატებით რეალიზაციას, უფრო ზუსტად, კომერციული წარმატების უზრუნველყოფას; მართებულია წიგნში გადმოცემული მოსაზრება, რომ ყველა გამოგონების დაპატენტება საზღვარგარეთ, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილი არ არის. ამ მხრივ უნდა შეირჩეს ისეთი პატენტუნარიანი ობიექტები (მათში გამოყენებული გამოგონებები), რომელთა უფლებრივი დაცვა საზღვარგარეთი კომერციულ მიზანს ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად განხილული საკითხების სირთულისა, ისინი წიგნში ბელშიწევნითი გასაგებად და მკაფიო ენითაა გადმოცემული. დაცულია იურისპრუდენციაში, ტექნიკასა და ეკონომიკაში მიღებულ გერმანთა ლექსიკური სიწმინდე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამათუ იმ დებულების განზოგადების დახვეწილი სტილი, რაც უფრო მეტ პრაქტიკულ დამაჯერებლობას სძენს მათ.

წიგნი საინგერესო იქნება უპირველესად იმ მკითხველისათვის, ვისაც სურს შეისწავლოს საპაგენგო სამართლისა და პაგენგთმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოს საპაგენგო სამართლის ძირითადი ნორმები და ეკონომიკური საფუძვლები; იგი გამოადგებათ საქმიანობაში დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური პოლიტიკისა და ტექნიკური პროგრესის უზრუნველებისა და წარმართვის სამსახურების მუშაკებს. სამართლისმცოდნეებს, პაგენგთმცოდნეებს, მეწარმეებს, ინჟინრებს, მეცნიერებს; წიგნი დაესმარება მრეწველობასა და წარმოებაში დასაქმებულ იურისტებსა და ბიზნესმენებს შეისწავლონ საპაგენგო სამართლის ის მოთხოვნები, რომლებიც მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში.

წიგნი შეიღი თავისაგან შედგება: I საპაგენგო სამართლისა და პაგენგთმცოდნეობის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში; II - საპაგენგო სამართლის სისგემის წარმოქმნა და განვითარება; III გამოვონებათა დაპაგენგების მიზანშეწონილობის განსაზღვრა და პაგენგუნარიანობის ექსპერტიზა; IV - პაგენგის მულობელთა უფლებები და მათი დაცვა; V - საპაგენგოსალიცენზიო საქმიანობის ორგანიზაცია საქართველოში; VI საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის წყაროები; VII - დანართი:

§1. საქართველოს საპაგენგო კანონი;

§2. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ;

§3. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ;

§4. საქართველოს კანონი ინტელექტუალური მიკროსქემის

გოპოლოგიის შესახებ;

§5. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ.

წიგნს დართული აქვს გამოყენებული ლიგერაგურის ჩამონათვალი. შეიძლება ითქვას, რომ ეს მასალა ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტთა მხრივ კარგა ხანია აპრობირებულია.

დავით გაბუნია

მთავარი რედაქტორი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ გენერალური დირექტორი

I თავი

საპატენტო სამართლისა და პატენტთმსოღნეობის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში

ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ეკონომიკის ინტელექტუალიზაციაზე გადასვლის ახლებურად გააზრებისა და საკუთარი საპრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის აუცილებლობის ამოცანა. ამ მიზნით ნებისმიერმა საწარმომ უნდა გაითვალისწინოს სასაქონლო ბაზრების მიერ საპატენტო-უფლებრივი მაჩვენებლებისადმი წაყენებული პროდუქციის ხარისხისა და გექნიკური და გექნოლოგიური დონის ის მოთხოვნები. რომლებსაც აყენებს კონკრეტული სასაქონლო ბაზარი.

ნებისმიერი საექსპორტო ოპერაციისა და მათ შორის სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობის წარმატების საწინდარი ვაჭრობის ობიექტის კონკურენტუნარიანობა – საქონლის მახასიათებელი, რომელიც განასხეავენ მას კონკურენტი საქონლისაგან როგორც კონკრეტული საზოგადოებრივი მოთხოვნილების შედარების ხარისხის დონით, ისე მათი დაკმაყოფილებისათვის გაწეული დანახარჯების მიხედვით. ვაჭრობის ობიექტის კონკურენტუნარიანობას დიდად განსაზღვრავს ამ ობიექტში გამოყენებული გექნიკური და გექნოლოგიური კვანძების მეცნიერულ-გექნიკური და საპატენტო დაცვის დონე – პატენტუნარიანობა.

თანამედროვე მეცნიერულ-გექნიკური განვითარების დონეზე შესრულებული სამრეწველო პროდუქციის გამოშეებისას ან საზღვარგარეთ გაგანისას, როგორც წესი, უნდა მოხდეს ამ პროდუქციაში გამოყენებული უახლესი გექნიკური და გექნოლოგიური გადაწყვეტების უფლებრივი განმტკიცება იქ, სადაც სავარაუდოა მისი გაყიდვა ან სხვა მიზნით გაგანა. ამით ყველა სხვას ვარკვეული ვადით ეკრძალება უფლებრივად დაცულ იმ სიახლეთა გამოყენება, რომლებიც ამ პროდუქციაში არის ჩართული. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში

ან რომელიმე სხვა ქვეყანაში გამოგონების მფლობელი იღებს მონოპოლიურ უფლებას და განამტკიცებს თავის მდგომარეობას ბაზარზე. ამით იქმნება კეთილნაყოფიერი პირობები პროდუქციის რეალიზაციისათვის.

პატენტმცოდნეობის საქმის ეკონომიკური როლი განპირობებულია იმით, რომ პროდუქციაში გამოყენებულ სიახლეზე ან სიახლეებზე გაცემული პატენტები დამატებითი მოგების მიღების მნიშვნელოვანი საშუალებაა და გამოგონებათა საფუძველზე დამზადებული პროდუქციის ობიექტის მოქმედ საბაზრო ფაზაზე იაფად გაყიდვას უზრუნველყოფს და ამით იძენს კონკურენციის მნიშვნელობას; მოქმედი პატენტები გზას უღობავენ კონკურენტ საწარმოს, კოოპერაციას, ფირმას თავისუფლად გამოიყენოს პროდუქციაში ჩართული დაპატენტებული გამოგონება ან მთლიანად პატენტუნარიანი ობიექტი; დაპატენტებულ ინდივიდუალურ საწარმოს უკვიდრებს წარმოების მცირე თვითღირებულებას, საქონლის სიახლისა და ხარისხის უპირატესობას. ამ უპირატესობათა ხელოვნური გახანგრძლივებით დაპატენტება დიდი მოგების მიღების საშუალებას იძლევა. პატენტი ამ ფუნქციას მანამდე შეასრულებს, სანამ ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების მსყელელობაში კონკურენტები ვერ მოძებნიან და ფართოდ ვერ გამოიყენებენ თავიანთი ობიექტებში ანალოგიურ და ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტით უფრო სრულყოფილ პატენტით განმტკიცებულ სხვა გადაწყვეტებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების გარანტიად უმთავრესად მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი უნდა მივიჩნიოთ და არა მინერალური ნელლეულის ბაზა ან თუნდაც ენერგეტიკა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმაღლეს ტექნოლოგიასა და ინტელექტუალურ პროდუქციაზე ამყარებს იმედებს და, ეკონომიკური თვალსაზრისით, დიდ წარმატებებსაც აღწევს არა მარტო რესურსებით უკიდურესად ღარიბი იაპონია, არამედ ჭარბი რესურსების მქონე ამერიკის შეერთებული შტატებიც.

მსოფლიოს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში დაპყდრებული პრაქტიკით სამრეწველო საკუთრების ამა თუ იმ სახებზე დაძველი დოკუმენტის – პატენტის აღება, როგორც წესი, წინ უსწრებს იმ პროდუქციის შექმნასა და სასაქონლო ექსპორტს, რომელშიც ჩართულია პატენტი დაუღლი სიახლე. გარდა სასაქონლო პროდუქციის დაცვისა, დაპატენტება არის წინაპირობა, ბაზა უფლებრივად განმტკიცებული გამოგონების გაყიდვისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – მისი გამოყენებისათვის სალიცენზიო შეთანხმების დადებისას. ამა თუ იმ ქვეყნისათვის გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტება საჭირო ხდება აგრეთვე საერთაშორისო და სხვა სახის გამოყენებისა და ბაზრობებზე დემონსტრირებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ობიექტებში ჩართული სიახლეების უფლებრივი დაცვისათვის.

არ შეიძლება გაეიზიაროთ და ნაკლებად მისაღებია ის აზრი, რომ თითქოს ჩვენი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით საჭიროა სხვა ქვეყნიდან შემოგანილ ანალოგიურ პროდუქციაზე მაღალი ბაჟის დაწესება. ამ ღონისძიებით შეიძლება სხვა საკითხი გადაწყდეს, მაგრამ იგი ვერც ქართულ მეწარმეს ჩააყენებს უცხოელ მეწარმესთან თანაბარ პირობებში და ვერც ჩვენს სამაშულო პროდუქციას აუმაღლებს პრესტიჟს. პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს შესაბამის პროდუქციასთან დაკავშირებული უახლესი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტების შექმნა ან შეძენა და გამოყენება, აგრეთვე პატენტის მფლობელებისათვის, გამოგონებლებისა და მეწარმეებისათვის საპატენტო სამუშაოთა ჩაგარებისათვის სათანადო პირობებისა და მაგერიალურ-ტექნიკური და, რაც მთაყარია, ეკონომიკური ბაზის შექმნა, რომლის საშუალებით ტექნიკისა და ტექნოლოგიის ობიექტების შემუშავებისა და საარსებო ციკლის ყველა ეტაპზე შესაძლებელი იქნება სისტემატური და დროული საპატენტო-საკონსულტაციო გამოკვლევების ჩატარება, რათა შექმნილ ან შეძენილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში და ტექნიკისა და ტექნოლოგიის

ობიექტებში გამოყენებული სიახლეები და მთლიანად ეს ობიექტები სათანადო საპატენტო დაცვითა და საპატენტო სიწმინდით იყოს უზრუნველყოფილი იმ ქვეყნის ან ქვეყნების მიმართ. სადაც საეარაულოა მათი გაგანა.

აღბათ არ არსებობს სხვა აზრი იმის თაობაზე, რომ ჩვენმა საწარმოებმა მსოლოდ კონკურენტუნარიანი პროდუქცია უნდა აწარმოონ, რომ პატენტმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენების გარეშე, წარმოუდგენელია თანამედროვე წარმოების წარმატებით განვითარება. თუმცა ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის ეს მნიშვნელოვანი სფერო ურიალ საქიროა მეცნიერების განვითარებისათვისაც, კერძოდ, ცნობილია, რომ გამოკვლევათა და დამუშავებათა მეცნიერულ-ტექნიკური ღონე განისაზღვრება მათი სიახლითა და პერსპექტიულობით, საპატენტო დაცვითა და საზოგადოებრივი აღიარებით. მართალია, პატენტმცოდნეობის საფუძვლების ცოდნას მსოლოდ ე.წ. გამოყენებითს მეცნიერებაში ენიჭება განსაკუთრებული როლი, მაგრამ საპატენტო სისტემიდან გამომდინარე უპირატესობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისთვისაც. მაგალითად, ნობელის პრემიების ფონდი აღფრედ ნობელის ძიერ დინამიგზე შექმნილი პატენტებით მიღებული თანხის ბაზაზე დაარსდა, ხოლო საუკუნის მეცნიერად აღიარებული ალბერტ აინშტაინი სავისი სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად თელიდა იმ წლებს, როცა საარსებო სახსარს შევიცარიის საპატენტო უწყებაში ექსპერტად (პატენტმცოდნელ) მუშაობის ღროს ღებულობდა.

დღეს საქართველოში ის დარგი ჩაითვლება პრიორიტეტულად, რომელსაც მეტი კომერციული სარგებლობა მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის; პრიორიტეტულ მიმართულებას გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები ყოველთვის არ განსაზღვრავს, რასაც იაპონიის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალისა და ეკონომიკის განვითარება პრაქტიკულად ადასტურებს.

საპატენტო სამუშაოთა წარმატებით ვადაწყვეტა, როგორც ამას

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო სისტემის შექმნისა და განვითარების სინამდვილე ცხადყოფს, საწარმოების, ფირმების, კოოპერატივების, მეწარმეების ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს. ისინი ივითონ უნდა წარმართავენ ამ მიმართულებით სათანადო მუშაობას. ახლა ჩვენი წარმოება ისეთი მდგომარეობაშია, როცა საპატენტო საქმიანობის განვითარების საჭიროება ეჭვის ქვეშ არის დაყენებული. ასეთი უმართებულო ამრი გამოწვეულია არა მარტო სამოგალოებრივ ფასეულობათა შეუფასებლობით, რომელთაც უნდა იცაყდეს საპატენტო სამართალი, არამედ უბრალოდ, ამ საქმის არცოდნითაც. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა და არ არის შორს ის დრო, როცა საქართველოში შეიქმნება სათანადო პირობები და ამოქმედდება ჩვენი ხალხის დიდი პოტენციური შესაძლებლობები.

თუ განვითავალისწინებთ იმ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, რაც ჩვენში ერუდიტთა სიმრავლით და ქვეყნის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებითა და გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული, ცხადი გახდება, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება ჩვენი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნისას პატენტთმცოდნეობისა და ტექნიკური შემოქმედების იმ საფუძვლების გამოყენება, რომელთა საშუალებითაც გარანტირებულია ამ პროდუქციის რეალიზაციით ქვეყნის კეთილდღეობისათვის კომერციული წარმატების უზრუნველყოფა.

საბაზრო ეკონომიკამ – სახელმწიფო წესწყობილების შეცვლამ გამოიწვია ისეთი საპატენტო სისტემაზე გადასვლა, რომელიც უფრო პროგრესულია და სრულად პასუხობს სამოგალოებისა და სახელმწიფოს განვითარების ინტერესებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საპატენტო უწყებამ დროულად მოახდინა საპატენტო სისტემაზე გადასვლა – ჯერ 1992 წელს შეიმუშავა დებულება „გამოგონების შესახებ“, ხოლო 1999 წელს – საქართველოს საპატენტო კანონი. საპატენტო სისტემაზე გადასვლის განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ ჯერჯერობით არ ჩანს მისი დადებითი ზემოქმედება არც ქვეყნის ეკონომიკისა და არც წარმოების განვითარებაზე. როგორც ჩანს, ეს

არ იყო საკმარისი და ცხოვრების ახალმა წესმა ხელისშემშლელი სხვა პრობლემები წარმოაჩინა, კერძოდ, თითქმის ყველა ჩვენი სწავლული და ინგელექტუალი უსახსრო და შეზღუდული ეკონომიკური რესურსების ამარა დარჩა. მათ არა აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ საპაგენგო სისგემიდან გამოძლინარე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი – გამოგონების ფართოდ დანერგვისა და გავრცელების საფუძველზე შექმნან წარმოება და გამოუშვან პროდუქცია. არადა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმთავრესად სწორედ საკუთარი წარმოების მოწყობა იძლევა მოგების მიღების საშუალებას, რომლითაც უნდა ფართოვდებოდეს წარმოება, ხდებოდეს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდა და მუდმივი სრულყოფა. თუ ეს პროცესი ამდგვარი ე.წ. ჯაჭვური წესით არ წარიმართა, ძნელია რაიმე პერსპექტივაზე ლაპარაკი; მხოლოდ ეს გზა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და წარმატების წინაპირობა არა მარტო კერძო წარმოებაში, არამედ მთლიანად ქვეყნის მრეწველობასა და ეკონომიკაში. მართალია, საპაგენგო სისგემის უპირატესობიდან გამოძლინარე, საქართველოს გამოგონებულს უფლება აქვს გაყიდოს ან გაასხვისოს თავისი გონების ნაყოფი – გამოგონება, მაგრამ მისთვის ეს ნაკლებად მომგებიანია და გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე საკუთარი წარმოების მოწყობა და ამ გზით მიღებული სარგებლობა.

მოსახლეობის ის ფენა კი, რომელსაც არალიმიტირებული მატერიალური შესაძლებლობები აქვს, უმთავრესად გამოდევნებულია სადღეისო სარგებლობის მიღებას – დაკავებულია ვაჭრობის სფეროში და არც ეს უნდა იყოს ვასაკეირი, რადგან მათი ყურადღების მიქცევა ვისიმე გამოგონების ხორცმესასხმელად და ამის საფუძველზე წარმოების მოწყობა, პროდუქციის შექმნა, გამოშვება და რეალიზაცია, მათთვის, ერთობ სათუო და სახეალო საქმეა და, ბუნებრივია, ისინი ამით არ დაინტერესდებიან.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საპაგენგო სისგემისა და პაგენგოტმცოდნეობის შექმნისა და განვითარების ისგორია მოწმობს,

რომ კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას და წარმოების შექმნას უხელაუხე მიჰყვებოდა საპატენტო სისტემისათვის აუცილებელი ისეთი მექანიზმის, უპირველესად იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება და ცხოვრებაში გაგარება, რომლებიც კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციისათვის ისეთი სასარგებლო პირობებს ქმნიდნენ, როცა მოქალაქეს შეეძლო თავისი წარმოების შექმნა და მას კანონმდებლობით გარანტირებული ჰქონდა არსებობა. სწორედ მეწარმეთა და მრეწველთა კლასი იყო საზოგადოების ის ფენა – ბალავერი, რომელზეც შენდებოდა ქვეყანა და მისი ეკონომიკური სიძლიერე. ინგლისისა და საფრანგეთის პირველი საპატენტო კანონები აღიქმებოდა, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა.

საპატენტო საქმისა და საპატენტო ურთიერთობათა როლის გასაძლიერებლად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ ბოგიერთი მაგალითი აშშ-ის საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის პრაქტიკიდან.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ფირმებსა და კომპანიებში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ საკუთარი საპატენტო სამსახურების მიმართ, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანია გამოგონებაზე განაცხადის კვალიფიციური შედგენა, რათა არ მოხდეს ამ მასალების გადაკეთებასთან დაკავშირებული ხარჯის გაწევა. ეს კი, ბუნებრივია, მხოლოდ უადვილებს აშშ-ის საპატენტო უწყებას ექსპერტიზის ჩატარებას.

აშშ-ში ყველა გამოგონება, რომლებიც მოსამსახურეთა მიერ არის შექმნილი მუშაობის დროს, იმ კომპანიებს მიეკუთვნება, სადაც ისინი მუშაობენ. ფირმები, როგორც წესი, ახორციელებენ იმ სიახლეთა დაპატენტებას აშშ-ში და საზღვარგარეთ, რომლებიც მათ მიერ შექმნილ ობიექტებს ახლავს, რითაც გიგანტურ შემოსავალს იღებენ მათი რეალიზაციით. გამოგონებათა დაპატენტებისა და რეალიზაციის ოპერაციის განხორციელებისათვის ფირმებს აქვთ საპატენტო მუშაკთა, საპატენტო აღდოკატთა, საპატენტო საკითხებზე მომუშავე შუამავლებისა და მთელი რიგი საშუამავლო ფირმებიც კი.

აშშ-ში გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ ძირითადად მონოპოლიების, გრესტების, კომპანიების ინტერესების დაცვისათვის გარდება.

ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა უმეტესი ქვეყნებისათვის, აშშ-თვისაც დაპატენტება ერთადერთი გზაა, რომელიც განამტკიცებს გამოგონებათა მფლობელების მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე და საშუალებას აძლევს მათ დაიკავონ უფრო ხელსაყრელი კომერციული პოზიციები. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, აშშ-იც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონეზე შესრულებული სამრეწველო პროდუქციის ამა თუ იმ ქვეყანაში გაგანისას, როგორც წესი, ამ პროდუქციაში გამოყენებულ სიახლეთა დაპატენტებას ახდენს საზღვარგარეთ. ამით ყველა სხვას გარკვეული ვადით ეკრძალება იმ სიახლეთა გამოყენება, რომლებიც დაცულია უფლებრივად. ეს კი, თავის მხრივ, აშშ-ის პროდუქციის გასაღების კარგ პირობებს ქმნის.

საზღვარგარეთ დაპატენტებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფირმები აფორმებენ საგანაცხადო მასალებს და ისინი სახელმწიფო დეპარტამენტში შეაქვთ საზღვარგარეთ საპატენტო წარმომადგენლების მეშვეობით. საზღვარგარეთი გასაგზავნი დოკუმენტები ხელმოწერით უნდა დაამოწმოს სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანმა ან მისმა მოადგილემ.

გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატენტო ლიცენზიის გაყიდვასთან. როგორც ცნობილია, გაყიდვა და ლიცენზიების გაცემა ამჟამად ფართოდაა გავრცელებული საერთაშორისო ვაჭრობაში. აშშ-ს გაცილებით მეტი გამოგონება გააქვს საზღვარგარეთ, ვიდრე შემოაქვს.

საზღვარგარეთ დაპატენტება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ საპატენტო ლიცენზიის გაყიდვის საკითხი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია, რადგან დაპატენტება დაკავშირებულია გარკვეული სახსრების გაღებასთან. მისი მიზანი კომერციულია, იგი დაკავშირებულია გარკვეულ მოგებასთან და არა წაგებასთან. გარდა ამისა, დაპატენტება უკავშირდება და წინ უსწრებს ხოლმე ამა თუ იმ ქვე-

ყანაში პროდუქციის სხვადასხვა მიზნით გაგანასაყ.

ამშ-ის საპაგენგო უწყებას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. ყურადღებას იმსახურებს საპაგენგო ბიბლიოთეკის მუშაობის ერთი საინტერესო მხარე. ბიბლიოთეკას აქვს ე.წ. „იმედის გაცრეების“ დარბაზი, სადაც ნებისმიერ პირს, რომელიც პაგენგის მიღებაზე აღგენს განაცხადს, შეუძლია გაეცნოს ადრე გაცემულ პაგენგებს და, ასე ვთქვათ, წინასწარი წესით შეამოწმოს თავისი იდეის სიახლე. ბუნებრივია, რომ განმცხადებელი განაცხადს არ შეიტანს იმ წინადადებაზე, რომელიც სიახლის მიხედვით აშკარად არაპაგენგუნარიანია. ამიგომ ასეთი შემოწმება მნიშვნელოვანწილად ათაეისულებს ექსპერტებს ზედმეტი მუშაობისაგან განაცხადებზე, რომლებიც გამოგონებებს არ შეიცავენ. გარდა ამისა, ამით თვით სპეციალისტია დაცული განაცხადის შეგანასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გაწევისაგან.

ამშ-ის საპაგენგო უწყება გამოსცემს საპაგენგო ბიულეტენს, რომელშიც იბეჭდება მონაცემები გამოგონებებზე შეგანილი განაცხადების გაცემული პაგენგების, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შესახებ, ბოლო დროს მომხდარი ცვლილებები საპაგენგო კანონმდებლობაში, აგრეთვე საპაგენგო უწყების საქმიანობასთან დაკავშირებული წესების ცვლილებები, შეგყობინებები საპაგენგო უულებათა გაცემის თაობაზე, წინადადებები ლიცენზიების გაყიდვაზე, სასაქონლო გადაწყვეტილებათა ანგარიშები და ინფორმაცია გამოგონების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში იაპონიაში ტექნიკური პროგრესის განვითარების გზაზე ხდებოდა ახალი ზღუდეების დაპყრობა და შემოქმედებითი ადამიანების მოძალება. ეურნალებისა და გაბეთების პუბლიკაციებს, გელეგადაცემებს, ყოველდღიურ მსჯელობას თან სდევდა ძიების სულისკვეთება და საქმისაღმი მზადყოფნა. ეს ნიშნავდა იმას, რომ ტექნიკური შემოქმედება ყველას საზრუნავი იყო – სკოლის მასწავლებლიდან და ხელმძღვანელი მუშაკიდან დაწყებული კომპანიების პრეზიდენტებამდე. ექსპერიმენტულ სკოლებში ბავშვებს

საკალდებულო წესით უეითარებდნენ თანდაყოლილ ცნობისმოყვარეობას. გეჟნიკური შემოქმედება იქ ვახდა მრეწველობის განვითარების ძირითადი ლოჯიკა, ისევე, როგორც ადრე იყო „ხარისხი“ ნებისმიერი კანონი, სახელმწიფოს ზრუნვის გარეშე, ვერ იმუშავებს, ისევე, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი – კონსტიტუცია. მას ბევრი შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტისა და ნორმატივის შექმნა და ცხოვრებაში გაგარება სჭირდება. ჩვენ კი ჯერჯერობით საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო და მეწარმეთა იურიდიული და ეკონომიკური დაცვის ეფექტური მექანიზმიც კი არა გვაქვს ამოქმედებული, რომ არაფერი ითქვას გამომგონებლებზე.

პატენტისმოცდნობის სფეროში გამომგონებლებზე უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს კრედიტების გაცემის წესი. ამდგვარი წესი არც 1992 წლიდან იყო შემუშავებული და არც 1999 წლის მაისიდან ძალაში შესულ საქართველოს საპატენტო კანონშია გათვალისწინებული და შესაბამისად, არც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიუდია. აუცილებელია გამომგონებლებისათვის განისაზღვროს იმგვარი შედეგათიანი სახელმწიფო კრედიტების ოდენობა, რომ შესაძლებელი იყოს, რათა გამომგონებელი თვითონ გახდეს მეწარმე.

წარმოებაში გამომგონებლის დასაქმებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება. სათანადო პირობების შემთხვევაში ასეთ საწარმოს მეგი შანსი ექნება იმისა, რომ არც ვაკოგრება დაემუქროს და არც სხვა საწარმოს მიერ გამოშვებული ანალოგიური პროდუქციის მხრივ კონკურენცია, რადგან გამომგონებელი-მეწარმე მუდმივად იმუშავებს პროდუქციაში გამოყენებული საკუთარი სიახლეების სრულყოფაზე და ღროულად მოახდენს კვანძების, დეგალების, აგრეთვე გარეგნული იერსახის განახლებას, უფლებრივ დაცვას და პერიოდულად გააუმჯობესებს ამ პროდუქციას ახალ-ახალი პატენტების მიღებით.

იმის გამო, რომ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ძირითადი კრიტერიუმების – საქონლისა და პროდუქციის პატენტუნარიანობისა და

საპატენტო სიწმინდის უზრუნველყოფა ძალზე შრომატევადი და საპასუხისმგებლოა, ამიტომ იგი სახელმწიფოს მხრივ გარკვეულ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს და, გარდა ამისა, თუ რაიმე საქმეში ინვესტიციების ჩაღება აუცილებელი და მომგებიანია, ეს უპირველეს ყოვლისა საგამომგონებლო და საპატენტო საქმიანობის სფეროსაც ეხება.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი ქვეყნის საპატენტო ფონდს, რომელიც სისტემატიზებული და დაცულია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო გექნიკურ ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. საკითხი პირველ რიგში ეხება მიმდინარე გამოცემებით ფონდის შევსებას. ამ ფონდის საფუძველზე საპატენტო მომსახურებას ისეთი გექნიკური, უპირველესად კომპიუტერული ბაზა უნდა შექმნას, რომლის საშუალებით გექნიკისა და გექნოლოგიის ობიექტების ჩამოყალიბებისათვის, უფლებრივი განმტკიცებისა და რეალიზაციისათვის პატენტთმცოდნემ, გამოგონებელმა ან მეწარმემ ოპერატიულად და სრულად მიიღოს სათანადო ინფორმაცია და მაღალხარისხოვნად ჩააგაროს საპატენტო სამუშაოები.

გარდა იმისა, რომ აუცილებელი არის გექნიკურ შემოქმედებას და თვით გამოგონებლებს კეთილსასურველი პირობები შეექმნას, ამთავითვე საჭიროა ვიზრუნოთ პატენტთმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიკის დარგში ისეთი კადრების მომზადებაზე, რომლებსაც შეეძლებათ მსოფლიოში უკვე არსებული სამრეწველო საკუთრების რომელიმე სახის საუკეთესო გექნიკური და გექნოლოგიური გადაწყვეტების შერჩევა, სხვადასხვა სახის საპატენტო და კონიუნქტურული გამოკვლევების ჩაგარება, გექნიკური შემოქმედების მეთოდის პრაქტიკული გამოყენება, საპატენტო ლიცენზიების ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, სამრეწველო პროდუქციის პატენტებით დაცვის უზრუნველყოფა და სასარგებლო საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელის შეწყობა. პატენტთმცოდნეები აქტიურად უნდა გამოვიყენოთ დამუშავებულთა და მკვლევართა

შემოქმედებით ჯგუფებსა და კოლექტივებში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ქვეგანყოფილებებში და მარკეტინგული ოპერაციების განხორციელების საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე პაგენტმცოდნეობის საგნის სწავლებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. საპაგენტო კულტურის ამაღლება თანამედროვე პირობებში არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. გამოძვინებლობისა და საპაგენტო-სალიცენზიო საქმიანობის დარგში მოქმედი წესებისა და თეორიების ცოდნა საშუალებას მოგვცემს უფრო სწორად და ღრმად ჩაეწვდეთ საპაგენტო-უფლებრივ ურთიერთობებს, გაეითვალისწინოთ და შეეაფასოთ გამოგონებათა დაპაგენტების თავისებურებები და მისი გამოყენების პრაქტიკის ეკონომიკური მნიშვნელობა.

პაგენტმცოდნეობა არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც მოიულ რიგ დამოუკიდებელ მეცნიერებათა დარგებისა და სასწავლო საგანთა პირაპირზე არსებობს. იგი შედგება ცოდნის ისეთი დარგებისაგან, რომელთა შორის იურიდიულ, ტექნიკურ, ეკონომიკურ დარგებს და საპაგენტო ინფორმაციას თავისი სპეციფიკური საფურელები აქვს. ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ამ სფეროს საგანია ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტათა პაგენტუნარიანობისა და ობიექტების საპაგენტო სიწმინდის, აგრეთვე საპაგენტო-სალიცენზიო და საპაგენტო სამართლის საკითხები. პაგენტმცოდნეობის თეორია და პრაქტიკა ხასიათდება ორი ძალზე მნიშვნელოვანი ვარემოებით – იგი იძლევა მეცნიერულ საფუძველს და პრაქტიკულ წესებს სამრეწველო საკუთრებისა და მათი დაცვის კატეგორიათა კანონმდებლობითი ვზით დადგენისათვის; ემსახურება ერთი ან რამდენიმე გამოგონების ბაზაზე ობიექტურად ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ობიექტების მოსამზადებელი ეტაპის შექმნას. პაგენტმცოდნეობა დღევანდელი სათვის ძალზე მნიშვნელოვანი და საპაგით საქმიანობის სფეროა და მისი ავგორიგეტი დღისი დღე სულ უფრო იზრდება, ამიგომ მასში აქტიურად უნდა ჩაებან ინგელექტუალები. განსაკუთრებით

ახალგაზრდები.

საკმაო დრო გავიდა იმისათვის, რათა საპაგენგო-სალიცენზიო საქმე ჩაღვეს საქართველოს ეკონომიკის სამსახურში. საქართველოს ეკონომიკისა და, მაშასადამე, წარმოების წარმატებით განვითარება შეუძლებელია საპაგენგო საქმის განვითარების გარეშე – მისი ეკონომიკური მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისეთივე რელსებზე უნდა გადავიდეს, როგორც ეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშია.

ამრიგად, პაგენტიცოდნობისა და ტექნიკური შემოქმედების ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო-აღმასრულებელი და მართვის ორგანოების მხრივ სრულიად ახალ მიდგომას და ახალ ხედვას მოითხოვს. იგი ყველას საზრუნავი უნდა გახდეს, რადგან ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და შეძგომი წინსვლისათვის ამ ბერკეტის გამოყენებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და „ეკონომიკურ ცივილიზაციას“ დიდად განსამღერავს ინტელექტუალური შემოქმედებითი ადამიანებისა და წარმოების ამოქმედება. ჩვენი სწაყლულებისა და მეწარმეების ინტელექტუალური პოტენციალი მესამე ათასწლეულის საწყის პერიოდშივე უნდა ამოქმედდეს. ჩაღვეს მეცნიერებისა და წარმოების სამსახურში, ხელი შეუწყოს ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნას. ამ საქმიანობისადმი უყურადღებობამ შეიძლება მეწარმეობისათვის, მრეწველობისა და სახელმწიფოსათვის უარყოფითი იურიდიული და ეკონომიკური შედეგი გამოიწვიოს. ამიგომ საპაგენგო კულტურის ამაღლება, საგამომგონებლო და საპაგენგო-სალიცენზიო საქმე სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების რანგის ღონებზე უნდა იქნეს აყვანილი.

II თავი

საპატენტო სამართლის სისტემის წარმოქმნა და განვითარება

საპატენტო სამართალი, როგორც ბურჟუაზიული სამართლის დარგი, ბურჟუაზიული კლასის გამოჩენისთანავე წარმოიქმნა და საბოლოოდ, წარმოების კაპიტალისტური საშუალებების დაწესებასთან ერთად ჩამოყალიბდა. შინაარსით კლასობრივი საპატენტო სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც გამოგონებათა შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს.

აქტუალ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გამოიყენება ბოლო ათწლეულებში მიღებული ან განახლებული (გადასინჯული) კანონები. ამ მხრივ გამოჩნა კლასის წარმოადგენს სსრ კავშირის დამლის შექმნა წარმოქმნილი ქვეყნები და რუსეთის ფედერაცია. სადაც არსებითად ახალი კანონებია მიღებული. აშშ-ში მოქმედებს 1952 წლის კანონი (ახალი რედაქციით), კანადაში – 1935 წლის, დიდ ბრიტანეთში – 1977 წლის, გერმანიაში – 1981 წლის (ახალი რედაქციით), საფრანგეთში – 1968 წლის (ახალი რედაქციით), იტალიაში – 1939 წლის. ავსტრიაში – 1950 წლის (ახალი რედაქციით), შვეიცარიაში – 1954 წლის (ახალი რედაქციით), იაპონიაში – 1959 წლის (ახალი რედაქციით). ე.წ. განვითარებად ქვეყნებში საპატენტო კანონები შედარებით გვიან იქნა მიღებული: ბრაზილიაში – 1971 წელს, მექსიკაში – 1975 წელს, პერუში – 1971 წელს, კოლუმბიაში – 1971 წელს. საპატენტო სამართალი განიცდის მუდმივ ცვლილებებს, რომლებსაც განაპირობებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით გამოწვეული როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, ისე სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკა.

გამოგონებები, როგორც ტექნიკური კატეგორია, არსებობდა კაპიტალიზმამდე ეპოქაშიც.

შეგნებული საქმიანობის დაწყებასთან ერთად ადამიანს იმოავითივე გაუჩნდა სურვილი შენარჩუნებინა ის საშუალებები, რითაც

სარგებლობდა ბუნებაზე ზემოქმედების დროს. მავალითად, ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების ვარიერაზე თაობიდან თაობას ვალა-
ცემოდა ცეცხლის მოპოვების საიდუმლო; ეგვიპტეში საიდუმლოდ
ინახავდნენ სხვადასხვა რელიგიურ სასწაულს. აქ საუკუნეების მანძილზე
იდუმალებით იყო მოცული მზისა და მთვარის დაბნელების
წინასწარმეტყველება. ცნობილია, თუ რა სიფრთხილით ფარავდა
ვენეციის მთავრობა (XIV–XV სს.) კუნძულ შერანოზე ვენეციური მიწის
წარმოებას, რომელსაც მრავალი ასეული ოსტაგი შეეწირა. ასევე
გაუქმლავნებელი დარჩა ბულაგური და დამასკოს ფოლადის წარმოების
საიდუმლო, ძველი ოსტაგების მიერ მრავალი სხვადასხვა სახის
საღებავებისა და შინაქრის დამზადება, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ
სიასლესა და სიკაშკაშეს. წარმოების საიდუმლოდ შენახვა მათს
მფლობელს მართლაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და მათი
დაცვის ერთადერთი საშუალებას წარმოადგენდა.

სიტყვა „პატენტი“ წარმოადგება ლათინური სიტყვებისაგან –
Literae Patens. რაც ნიშნავს „წერილის გახსნას“. „დახურული წერი-
ლებისაგან“ განსხვავებით წაკითხვა შეუძლებოდა ლუქის ახსნის გარეშე;
ისინი განკუთვნილი იყო ყველასათვის, „ვისაც ამ წყალობას
უბოძებდნენ“. „წერილობითი პატენტი“ გამოგონებაზე გაიცემოდა
მონარქის მიერ და იგი მრავალრიცხოვანი პრივილეგიების ერთ-ერთი
სახე გახლდათ. მას იღებდნენ სხვადასხვა დამსახურებისათვის, მავა-
ლითად, ინგლისში – ლონდონის ხიდის შეკეთებისა და ქორწინების
ცერემონიაზე გარკვეული თანამდებობის დაკავებისა და საპაგიო
ტიტულის მინიჭების აღსანიშნავად. ყველა ეს „პატენტი“ გაიცემოდა
ერთნაირი წესების დაცვით და „პატენტების რეესტრში“ ქრონოლო-
კური რიგით გარდებოდა. ამჟამად გამოგონებაზე გაცემულ პატენ-
ტებს არავითარი საერთო არა აქვს გრადიციულ პრივილეგიებთან.
თვით გერმანიი კი ნიშნავს მხოლოდ გამოგონებისათვის მიღებულ
პატენტს. პირველი პრივილეგიები გამოგონებებზე მინიჭებულ იქნა
ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში.

ერთ-ერთი პირველი ასეთი პრივილეგია 1236 წლის მარტში

ინგლისის მეფე ჰენრი III-მ მიანიჭა ბონაფასიუს დე სანგა კოლუმბს. მას ნება ეძლეოდა 15 წლის განმავლობაში დაემზადებინა სხვადასხვა ფერის განსაცემელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო ეს ხელობა გაეგრძელებინა.

ცნობილია აგრეთვე 1449 წლის 3 აპრილს ინგლისში ჯონ უიგნამისათვის მინიჭებული გაცემული პრივილეგია ფერადი მინის დამზადებაზე. მეფემ უფლება მისცა მას 20 წლის მანძილზე დაემზადებინა ფერადი მინები, ყველა სხვას კი ეკრძალებოდა ამის გაკეთება; ჯონ უიგნამის ნებართვის გარეშე. ეს ერთადერთი პრივილეგია იყო, რომელიც ინგლისში 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა.

ამ პერიოდში მრავალი პრივილეგია იქნა მინიჭებული ვენეციაში. სახელდობრ, იქ პირველად დადგინდა კანონები, რომლებიც არეგულირებდნენ პრივილეგიების მიღებასა და გამოგონებათა გამოყენებას. ჯერ კიდევ 1297 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლითაც ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც თავისი საიდუმლო რეცეპტის საფუძველზე შექმნიდა ახალ წამალს, შეეძლო იგი დაემზადებინა თავის საამქროში. საამქროს ყველა წევრს კი ფიცი უნდა დაელო, რომ წარმოების საიდუმლოს გაგებას არ შეეცდებოდა.

1332 წელს ვენეციაში შექმნილი იყო სპეციალური ფონდი, საიდანაც გაიცემოდა ფული იმათ სახელზე, ვისაც წინადადებები შეჰქონდა საფუქვავი წარმოების სრულყოფისა და გემების მშენებლობის საკითხებზე. ამ ფონდიდან, მაგალითად, ბართლომეო ვერდემ მიიღო გასამრჯელო წისქვილის მშენებლობისათვის.

1421 წლის 19 ივნისს იგალიაში 3 წლით მიენიჭა პრივილეგია გამოჩენილი ინჟინერსა და არქიტექტორს ფილიპო ბრუნელესკის, რომელიც დიდებული გაძრის – პალაცო პიგის და ფლორენციის ცნობილ ნაგებობათა ავგორი იყო. მინიჭებული პრივილეგია იცაუდა მდინარე არნოსა და სხვა მდინარეებზე მძიმე გვირთების გრანსპორტირების ხერხს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იყო გადაეგანათ გვირთები ვაცილებით ჩქარა და იაფად, ვიდრე ადრე.

პირველი პრივილეგია, რომელსაც საერთო პქონდა თანამედროვე პატენტთან, 1444 წლის 21 იანვარს მიენიჭა ანგონიუს მარინის. მან წინადადება წამოაყენა აქმენებინათ 24 წისქვილი ვენეციის სხვადასხვა უბანში. იგი არ ამტკიცებდა, რომ მის მიერ შემოთავაზებული მოწყობილობა სიახლეს წარმოადგენდა, მაგრამ მოითხოვდა 20 წლის მანძილზე არაავისთვის არ მიეცათ ნება ისეთი წისქვილის აქმენებისა, რომელიც წყალზე არ იმუშაებდა. სენატმა პეტიცია დაამტკიცა მას შემდეგ, რაც ჩაგარდა აღნიშნული მოწყობილობის გამოცდა. შემდეგში არაერთი მსგავსი პრივილეგია იქნა მინიჭებული. ამასთან, მათ ანიჭებდნენ 20-დან 60 წლის ვადით ძირითადად წყლის დონის ასაწევი მანქანების, ჭაობის ამოსაშრობი მოწყობილობის შექმნისა და სარწყავი არხების მშენებლობისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავალი პრივილეგია ენიჭებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცდებოდა წინადადების სიახლე და სარგებლიანობა; შემოწმება ხდებოდა მოწყობილობის ექსპლუატაციის საფუძველზე 6-დან 12 თვის განმავლობაში.

იმ დროის პრივილეგიებს შორის აღსანიშნავია 1594 წლის 15 სექტემბერს გაცემული პატენტი გალილეო გალილეის სახელზე საირიგაციო სისტემაში წყლის დონის ასაწევ და გამანაწილებელ მოწყობილობაზე (გალილეო გალილეი იმ დროს იყო მათემატიკის პროფესორი პადუაში).

ვენეციაში პრივილეგიების მინიჭების პრაქტიკა საფუძვლად დაედო რესპუბლიკის სენატის მიერ 1474 წლის 15 მარტს მიღებულ დეკლარაციას. ამ დეკლარაციის თანახმად, ახალი მანქანის (რომელიც წინათ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ იყო გამოყენებული) გამოგონებელი იღებდა პრივილეგიას, რითაც ყველა სხვას ეკრძალებოდა მსგავსი მანქანების დამზადება 10 წლის მანძილზე. დეკლარაციის დამრღვევი ჯარიმდებოდა 100 ლუკაგით, მისი შექმნილი მანქანები კი ნაღვრდებოდა.

ამ დეკლარაციას დიდი მნიშვნელობა პქონდა აღრეული პერიოდის საპატენტო სისტემის განვითარებისათვის. პირველად სახელმწიფო მასშტაბით დადგინდა პატენტის გაცემის პირობები, რომელთა შორის

ერთი-ერთს წარმოადგენდა სიახლის მოთხოვნა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მინიჭებული პრივილეგიების ხასიათი. უმეგესად ეს იყო პაგენტები გამოგონებაზე, რაც ღიდ სტიმულს წარმოადგენდა გამოგონებლებისათვის და პროგრესულ როლს ასრულებდა გექნიკის განვითარებაში. ვენეციის საპაგენტო სისტემამ ღიდი გავლენა მოახდინა ევროპის ბევრი ქვეყნის საპაგენტო სისტემების ფორმირებაზე. ასეთი გავლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ XV საუკუნის ენეციას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა ვაჭრობაში. მისი სტაბილური სავაჭრო კავშირები ევროპის ქვეყნებთან ხელს უწყობდა ამ ქვეყნებში საპაგენტო წესების გაგანას.

საქართველოში საგამომგონებლო საქმის განვითარების ისტორია ჯეროვნად არ არის გამოკვლეული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სახელგანთქმულ ბაზა ფანასკერტელს (ციციშვილს) 1467 წელს მეფე კონსტანტინემ წყალობის „სიმკიცე სიგელი“ უბოძა, როგორც „ჩვენსა ამოდმყოფელსა მეცადე შოპჭირნესა“. ბაზა ფანასკერტელის სამკურნალო საშუალებებისა და წესების ორიგინალობა არავის ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ეს უფრო წყალობის სიგელი უნდა ყოფილიყო და არა საგამომგონებლო სიგელი.

რუსეთში პირველი პრივილეგიები მინიჭებულ იქნა XVIII საუკუნეში პეტრე I მეფობის დროს. ეს წინადადებები ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული საგამომგონებლო წინადადებებთან და იგი, როგორც რაიმე ახალი გექნიკური გადაწყვეტა, ენიჭებოდა „რუსეთში წიგნებისა და რუკების შემოგანის განსაკუთრებულ უფლებაზე“, „წამლების გაყიდვის უფლებაზე“ და ა.შ. ამასთან, პრივილეგიებს ანიჭებდნენ სიახლის ან სარგებლიანობის გათვალისწინების გარეშე. ერთ-ერთი პირველი პრივილეგია, რომელიც დაკავშირებული იყო საგამომგონებლო წინადადებასთან, დათარიღებულია 1749 წლის 13 დეკემბრით. იგი იცავს სუხანოვისა და ბელიაევის უფლებას მათი ძიერ გამოგონებული საღებავის დამზადების ხერხების უპირატეს გამოყენებაზე.

1749 წლის 14 დეკემბერს ფერადი მინებისა და სხვა საგალანგერიო საგნების დამზადებისათვის პრივილეგია მიენიჭა ღიდ რუს მეცნიერს

მისეილ ლომონოსოვს. მხოლოდ მას ეძლეოდა უფლება 30 წლის განმავლობაში ეწარმოებინა ეს საქონელი.

აშშ-ში გამოგონებაზე პატენტების არარეგულარული გაცემა დაიწყო XVII საუკუნეში. პირველად ამერიკის კონგინენტზე პატენტი მიიღო სამუელ უინსლოუმა 1641 წელს გამოგონებულ მარილის აბოშრობის ხერხზე.

როგორც აღინიშნა, გამოგონებები არსებობდა კაპიტალისტურ ეპოქამდეც, რაპლენადაც მათი შექმნა წარმოადგენდა კანონზომიერ პროცესს, რასაც განაპირობებდა ადამიანის მისწრაფება ბუნებისაგან მიეღო რაც შეიძლება მეტი მაგერიალური სარგებლობა. მავრამ წინაკაპიტალისტურ პერიოდში გამოგონებლობა იშვიათი მოვლენა იყო და გექნიკას არ ეკავა თვალსაჩინო ადგილი საწარმოო ძალების სფეროში; სავაჭრო კავშირების სუსტი განვითარება ხელს არ უწყობდა გექნიკურ სიახლეთა შექმნასა და განვითარებას. ამიგომ იმ დროისათვის გამოგონებათა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერობათა უფლებრივი რეგულირება აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, საპატენტო სისტემის ზოგიერთი ელემენტი წარმოიქმნა კაპიტალიზმამდე, რაც განპირობებული იყო ფეოდალური წყობის წიაღში ახალი, ბურჟუაზიული კლასის დაბადებით. უკვე მაშინ ეს ახლად წარმოქმნილი კლასი ცალკეულ შემთხვევებში ახერხებდა მოეპოვებინა გამოგონებათა ან რაციონალურ წინადადებათა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ასეთი უფლებები უმთავრესად ვაჭრებსა და მრეწველებს ეძლეოდათ პრივილეგიების ფორმით მონარქის ე.წ. თავისუფალი ნება-სურვილის საფუძველზე. გამოგონებისათვის ფეოდალური პრივილეგიები, რომლებსაც განეხილათ, როგორც გამოგონებასა და რაციონალურ წინადადებას, წარმოადგენდა მათი უფლებრივი დაცვის ერთ-ერთ პირველ ფორმას, თანამედროვე პატენტის პირველ სახეს.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში ახალი გექნიკა საკონკურენტო ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება ხდება. გექნიკურ სიახლეთა გამოყენება საშუალებას აძლევს საწარმოს

შეამციროს გამოშვებული პროლექციის თვითღირებულება, გააუმჯობესოს მისი ხარისხი და ამრიგად, თავის კონკურენტებთან შედარებით, რომლებიც გექნიკურ მიღწევებს არ უღობენ, დასაგებითი მოგება მიიღოს. თუმცა პირველი გამომყენებლის უპირატესობა მანამდე გრძელდება, სანამ გამოგონება კონკურენტი ფირმების კუთვნილება არ გახდება. ამიგომ შეწარმე ისწრაფვის დაიკვიდროს გამოგონების გამოყენების მონოპოლიური უფლება, თუნდაც გარკვეული ვადით. ასეთი უფლება გარანტირებულია პატენტით, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ყველა სხვა პირს გამოგონების გარკვეული ვადის განმავლობაში გამოყენება აუკრძალოს.

ახალი გექნიკური გადაწყვეტების შექმნა და გამოყენება, საერთო წესის თანახმად, მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი ანაზღაურების საერთო რისკთან. პატენტი იურიდიულად უმკვიდრებს რა მის მფლობელს უპირატესობას, რომელსაც იძლევა ახალი გექნიკური საშუალება, აგრძელებს მის მოქმედებას, შესაძლებელი ხდება დაიფაროს არა მარტო ახალი გექნიკის შექმნისა და ათვისებისათვის გაწეული ხარჯები, არამედ მიღებულ იქნეს მოგებაც. ამიგომ საესებით ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გამოგონებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირებას. თუ გავაანალიზებთ ახლო წარსულის მდგომარეობას, შეიძლება დაეასკვნათ, რომ ყველა ქვეყანაში საპატენტო კანონებს აწესრიგებდნენ ბურჟუაზიის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრების შემდეგ. იღებდა რა საპატენტო კანონებს, ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი საფუძვლის სახით, ბურჟუაზია განსაზღვრავდა გამომგონებელთა უფლებებს. ასე მაგალითად, საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ავგორთა და გამომგონებელთა უფლებები გამოაცხადა, როგორც „მოქალაქისა და ადამიანის ხელშეუვალი უფლება“

ამშ-ის კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის საპატენტო

კანონს. სრული უფლებით აღჭურვა რა კონგრესი „ავტორებისათვის და გამომგონებლებისათვის მიეცა განსაზღვრული ვადით განსაკუთრებული უფლება მათ ნაწარმოებებსა და აღმოჩენებზე“. აშშ-ის პირველი საპატენტო კანონი მიღებულ იქნა 1790 წელს.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად საპატენტო კანონების მიღება დაიწყო სხვა ქვეყნებშიც: კერძოდ, საფრანგეთში – 1791 წელს, იტალიაში – 1864 წელს, რუსეთში – 1870 წელს, გერმანიაში – 1877 წელს, შვედეთში – 1884 წელს და ა.შ.

იმ ქვეყნებში, სადაც აღრე განვითარდა კაპიტალიზმი, პირველი საპატენტო კანონები მიიღეს XVII – XVIII საუკუნეებში, ხოლო იქ, სადაც კაპიტალიზმის განვითარება დაყოვნდა, ეს მოხდა XIX საუკუნეში.

ინგლისში 1623 წელს მიიღეს „სტატუსი მონოპოლიების შესახებ“, რომელსაც სშირად პირველ საპატენტო კანონს უწოდებენ. უდავოდ ეს აქტი წარმოადგენდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიღწევას. თუმცა „სტატუსი მონოპოლიების შესახებ“ არ აღგენდა პატენტების გაცემის ე.წ. ობლიგატორ პრინციპს. ე.ი. გამომგონებლებს არ აძლევდა უფლებას მოეთხოვათ მონოპოლია, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება კანონით გათვალისწინებულ ყველა პირობას პასუხობდა. პატენტის გაცემა კვლავინდებურად დამოკიდებული იყო მონარქის ნებაზე, ე.ი. პატენტი ფეოდალური პრივილეგიისაგან არსებითად არ განსხვავდებოდა.

კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად იცვლებოდა ბურჟუაზიული საპატენტო სისტემაც. კერძოდ, საპატენტო სამართლის დამკვიდრების პერიოდში, როცა გამომგონებლობა იშეიათი მოვლენა იყო და მცირე რაოდენობის პატენტები გაიცემოდა, ყველა ქვეყანა მიჰყვებოდა გამოგონებათა დაპატენტების ე.წ. განაცხადების სისტემას, ე.ი. პატენტის გაცემისათვის გამოგონებაზე განაცხადის მასალების შინაარსი არსებითად არ მოწმდებოდა. მეცნიერებისა და გეჟინის განვითარებასთან ერთად გაიზარდა გამოგონებათა რიცხვი. მაშასადამე, გაიზარდა საპატენტო განაცხადების რიცხვიც. რამდენადაც გამოგონებაზე განაცხადების

შინაარსი არ მოწმდებოდა, პაგენცის შიღება შეიძლება იქნება გექნიკურ სიახლეებზე, რომლებსაც რაიმე მეცნიერულ-ტექნიკური იმით, ღირებულება არ გააჩნდათ. ამ მდგომარეობამ უკმაყოფილებული გამოიწვია მეწარმეთა შორის, რომლებიც შეწუხებული იყვნენ უშუალოდ, რომ საპაგენტო მონოპოლიების რიცხვის გამრღა მოგჯერ თავეთ სახე, კონკურენციის შეზღუდვას იწვევდა. ერთ-ერთი ღონისძიებების სახე, რომელიც მიმართული იყო გაცემული პაგენტების შესამცირებლად, გახლდათ „სიახლეზე შემოწმების შემოღება“, ე.ი. გამოგონებებზე განაცხადების შემოწმებით სისტემაზე გადასვლა. კაპიტალისტური ქვეყნები ერთიმეორეზე მიყოლებითი თანდათანობით იწყებენ ამ სისტემის შემოღებას. კერძოდ, 1836 წელს იგი შემოიღო აშშ-ში, 1877 წელს – გერმანიაში, 1905 წელს – ინგლისში და სხვა. უკვე XX საუკუნის დასაწყისში შემოწმებითი სისტემა მოქმედებდა განვითარებული მრეწველობის მქონე უმეტეს ქვეყნებში.

სერიოზული ცვლილებები განიცადა პაგენტუნარიანობის ცნებებში. თუ პირველად გამოგონებებზე პაგენტები გაცემოდა სამრეწველო სარგებლობის მქონე ნებისმიერ ახალ გექნიკურ საშუალებაზე, უკვე XIX საუკუნის შუა წლებისათვის იგრძნობოდა გამოგონებათა კრიტიკული რეზუმების უკმარისობა და ბევრ ქვეყანაში, უპირველესად აშშ-ში, შემოიღეს პაგენტუნარიანობისადმი კიდევ ერთი მოთხოვნა, ე.წ. საგამომგონებლო შემოქმედების დონე, რომელიც ამჟამად თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანასა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში განუყოფელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. რასაკვირველია, ღრთოთა განმავლობაში მისი შინაარსიც იცვლებოდა.

მეცნიერულ-გექნიკურმა პროგრესმა თვისებრივად შეცვალა გამოგონებათა შექმნის პროცესი, საგამომგონებლო საქმიანობის ხასიათი. თუ XX საუკუნემდე გამოგონებათა უმეტეს ნაწილს ე.წ. „ინდივიდუალური გამოგონებლები“ მარგოსხელა შინამრეწველები ქმნიდნენ, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არც სპეციალური მოწყობილობები ჰქონდათ და არც სპეციალური განათლება გააჩნდათ, უკვე თანამედროვე გამოგონებათა დამუშავებისათვის საჭირო ხდება ძვირად

ღირებული გექნიკური საშუალებები; ჩვეულებრივ, ერთი გამოგონებლის ძალისხმევა საკმარისი არაა და ახალი გექნიკური გადაწყვეტები უმთავრესად მთელი კოლექტივის შემოქმედებითი შრომის შედეგად იქმნება. თითქმის ყველა ქვეყანაში გამოგონებათა უპეტესობა იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საწარმოების მიერ. რომლებშიც გამოგონებათა ავტორები მსახურობენ. ამან განაპირობა ის, რომ თანამედროვე საპატენტო კანონებში შემოღებულია სასამსახურო გამოგონების ცნებისა და სტატუსის განმსაზღვრელი, აგრეთვე დამჭირავებელთან გამოგონების ავტორთა ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ნორმები სპეციალურ კანონებში ცალკეა გამოყოფილი.

ცელილები განიცადა საპატენტო კანონმდებლობამ უცხო ქვეყნის გამოგონების განმცხადებელთა უფლებების მიმართაც. პირველი საპატენტო კანონები ან, საერთოდ, არ იცავენ უცხოელ გამოგონებელთა სიძლიერეს. ანდა მათთვის შეზღუდვებს აწესებდნენ. ასე მაგალითად, 1836 წელს აშშ-ში პატენტის მიღებისათვის ამერიკელი იხდიდა 30 დოლარს, უცხოელები, ვარდა ინგლისელებისა – 300 დოლარს, ხოლო ინგლისელისათვის საგადასახადო ბაჟი შეადგენდა 500 დოლარს. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა სუსტი განვითარების გამო ასეთი მდგომარეობა მეწარმეებს თაუდაპირველად აწყობდათ კიდეც. XIX საუკუნის შუა წლებისათვის მდგომარეობა შეიცვალა. პროდუქციის გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლა, სასტიკი კონკურენცია, მონოპოლიების წარმოქმნა კაპიტალის მფლობელებსა და მსხვილ მეწარმეებს აიძულეს სათანადოდ იზრუნონ საგარეო ბაზრებზე თავისი პროდუქციის გასაღებისათვის. ამ პირობებში სავაჭრო შეზღუდვების არც ერთი სახე არ იძლეოდა ბაზარზე ისეთ სანდო კონკროლს, როგორც გამოგონების დონეზე წარმოებული პატენტით დაცული პროდუქცია. იცავენ რა მსხვილი მეწარმეების ინტერესებს, განვითარებული ქვეყნები ურთიერთუფლებების გარანტიით იწყებდნენ უცხოელებისათვის პატენტების მიღების უფლების მინიჭებას. მოწინავე განვითარებული ქვეყნები ამ გზას მიმართავენ საზღვარგარეთ

თავიანთი კაპიტალის მფლობელებისა და მსხვილი მეწარმეებისათვის დიდი შოგების უზრუნველყოფის მიზნით, ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნები კი ეროვნული მრეწველობის განსაყვითარებლად უცხოური მოწინავე ტექნიკის შემოგანისათვის ზრუნავენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მეცნიერულ-ტექნიკური გარდაქმნების პერიოდში საპატენტო სისტემა განახლების მნიშვნელოვან პროცესს განიცდის. განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში შემოღებულ იქნა ახალი საპატენტო კანონები ან მოქმედ საპატენტო კანონებში მოხდა არსებითი ცვლილებები. ე.წ. განვითარებადი ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობასაც განიცადა ისეთი ცვლილებები, რომლებიც უფრო ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინტერესებს მიესადაგებოდა.

საპატენტო სამართლის განახლების პროცესი ამჟამადაც ვრძელდება. 1991 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ყოფილი სსრ კავშირის კანონი გამოგონების შესახებ, ხოლო 1992 წლის 14 ოქტომბრიდან – რუსეთის ფედერაციის საპატენტო კანონი. გამოგონების შესახებ თავისი საპატენტო კანონები და დებულებები შეიმუშავეს ყოფილ სსრ კავშირში შემაჯალმა და ამჟამად დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ. ამ შემთხვევაში საპატენტო კანონების შემოღება ძირითადად დაკავშირებული იყო ეკონომიკურ რეფორმებთან, რომლებიც გაგარდა ყოფილ სსრ კავშირში შემაჯალ რესპუბლიკებში. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შემოღებამ და სახელმწიფო წყობის ცვლილებებმა, აგრეთვე მსოფლიოს საპატენტო პრაქტიკამ და დღევანდელი რეალურმა მდგომარეობამ ცხადყო, რომ საწარმოს ან კოოპერაციის ეკონომიკური ინტერესების დაცვას გამოგონების დაცვის მხოლოდ საპატენტო ფორმა უზრუნველყოფს. ჩვენთან ადრე შემოღებული გამოგონების საავტორო მოწმობა ამ ფუნქციას ვერ ასრულებდა, რადგან სხვისი გამოგონების გამოყენებელი პირები სულაც არ იყვნენ ვალდებული აენაზღაურებინათ კომპენსაციის ის ხარჯები, რომლებიც გაწეული იყო მათი დამუშავების პერიოდში (გამოგონების გამოყე-

ნებისა და მისი დანერგვის ხელშეწყობისათვის გაწეულ ხარჯებს ვერაფრით შეედრებოდა თუნდაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური გასამრჯელო და პრემია).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსოლოდ პაგენგს შეუძლია უფლებრივად განამტკიცოს გამოგონება და შესაბამისად ეფექტურად დაიცვას ის სასაქონლო პროდუქცია, რომელშიც იგი არის გამოყენებული. საავგორო მოწმობა კი მსოლოდ არასრულყოფილ რეკლამას უწევდა გამოგონებას და არ იცავდა მასზე უფლებას. აღრე მოქმედი ამ დებულების მისეღვით გამოგონებისათვის საავგორო მოწმობის გაცემის შემთხვევაში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლება ყოფილ სსრ კავშირსა და მის ხალხს ეკუთვნოდა, ე.ი. სახელმწიფოსა და სამოგადოებას, რომელიც გამოგონებას ისე გამოიყენებდა, როგორც ამას შესაძლებლად მიიხნეღა; ამრიგად, გამოღიოდა, რომ უფლება ეკუთვნოდა ყველას, მაგრამ კონკრეტულად – არაღის.

საქართველოში 1992 წლიდან გამოგონებაზე პაგენგის გაცემის წესის შემოღებამ დასაბამი მისცა სამრეწველო საკუთრების უფლებრივი დაცვის მნიშვნელობის გზრდას. მისი მნიშვნელობა კელავეც გაიზრდება და აუცილებლად დაიკავებს წამყვან ადგილს სამრეწველო პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის საქმეში, რომელიც დღევანდელობამ წამოკრა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩენი საპაგენგო კანონი გამოგონების შესახებ დროთა განმავლობაში უფრო სრულყოფილი გახდება, ვინაიდან საქართველოში წარმოებისა და მრეწველობის განვითარება აუცილებლად წარმოქმნის უნიფიცირების საჭიროებას უპირველესად იმ ქვეყნების საპაგენგო კანონების შესაბამისად, რომლებთანაც ეკონომიკური და საევაკრო ურთიერთობები გვაქვს დამყარებული; კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროება განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოს სახელმწიფო მართვის პოლიტიკური და ეკონომიკური სისგემა უნდა პასუხობდეს მსოფლიო სგანდარგებს. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ათეული წლების მანძილზე ჩენი ყოფისა და განვითარების გენდენციებს; კერძოდ,

გამოგონების პაგენგუნარიანობის მიმართ მოთხოვნები ისეთივე უნდა იყოს, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია, რომლებთანაც დამყარებული გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა; საქმე უპირველეს ყოვლისა ეხება სიასლის მოთხოვნის კრიგერიუმს.

XX საუკუნის 60-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში მომღვაელა გამოგონებათა ნაკადი. ამავე დროს მძაფრი საკონკურენციო ბრძოლა განაღდა საქონლის გასაღების ბაზრებისათვის. ამ პირობებში საპაგენგო უწყებათა გამოგონებაზე განაცხადების განხილვის საერთოდ მიღებული სისტემები (განცხადების და შემოწმებითი) უსუსური აღმოჩნდა. საპაგენგო უწყებები ვეღარ ახერხებდნენ დროულად გაეცათ იურიდიულად საიმედო პაგენგები და, მაშასადამე, დაეკმაყოფილებინათ კაპიტალის მფლობელებისა და მსხვილი მეწარმეების მოთხოვნები. აუცილებელი იყო ძირეულად შეეცვლილიყო და მოღერნიბება განეუადა გამოგონებაზე განაცხადების განხილვისა და პაგენგების გაცემის პროცედურას.

ზოგიერთმა ქვეყანამ გამოსავალი იპოვა გადაეადებული ექსპერტიზის სისტემაზე გადასვლით, რამაც საპაგენგო უწყებებს საშუალება მისცა განთავისუფლებულიყვნენ უპერსპექტივო საპაგენგო განაცხადების განხილვისაგან და ამით საგრძნობლად შეემიერებინათ სამუშაოს მოცულობა.

ამასთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო წრეებს გამოგონების სიასლის შემოწმებასთან დაკავშირებით აქცენტი გადააქვთ საერთაშორისო კოოპერაციაზე, რაც საპაგენგო უწყებათა განგვირთვის პრობლემათა გადაწყვეტისა და სრულყოფილი, საიმედო პაგენგების დროულად გაცემის ერთადერთ რადიკალურ საშუალებად მიაჩნდათ.

საპაგენგო კანონმდებლობის შეცვლაზე სერიოზული გავლენა მოახდინა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკურმა ინტეგრაციამაც, რომელსაც შედეგად სხვადასხვა ქვეყნის საპაგენგო სამართლის ურთიერთდაახლოება მოჰყვა, ცალკეულ რეგიონებში კი – ერთიანი ან უნიფიცირებული კანონმდებლობის

შეიძლება (ინგელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაცია და სკანდინავიის ქვეყნები).

გამოგონებაზე გაცემული პატენტი წარმოადგენს ეფექტურ იურიდიულ ინსტრუმენტს, რომელსაც მეწარმე იყენებს მეწარმეთა შორის საკონკურენტო ბრძოლაში საეაჭრო ბაზრებზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვების, მოგების მიღების მიზნით.

საპატენტო მონოპოლია, როგორც, საერთოდ, ყოველგვარი მონოპოლია, დაძაბუნებულ შემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. ახალი გექნიკური საშუალებების მონოპოლიზაცია გარკვეული ღრობის მანძილზე აფერხებს მის გაერცელებას, წარმოებაში სწრაფ და ფართოდ დანერგვას. ამასთან ერთად პატენტებით უზრუნველყოფილი ბაზრის მონოპოლიზაციის პერსპექტივა, დასაგებიოი მოგების მიღება, გამომგონებლობის განვითარების გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს და, მაშასადამე, ხელს უწყობს მეცნიერულ-გექნიკური პროგრესის განვითარებას.

XVIII საუკუნის ბოლოს, საპატენტო სამართლის საწყის პერიოდში, გაბატონებული იყო ე.წ. ბუნებითი უფლებისა და სამრეწველო საკუთრების თეორიები, რომლებიც საფუძვლად დაედო აშშ-ისა და საფრანგეთის პირველ საპატენტო კანონებს.

ბუნებითი უფლების თეორიის თანახმად, გამოგონებლის უფლება წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის განუყოფელ ბუნებრივ უფლებას, მისი სულიერი შემოქმედების შედეგს. ეს უფლება არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების აღიარებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ სახელმწიფო გარანტიას იძლევა, რომ ხელყოფისაგან მესამე პირის მხრივ დაიცავს. ამ თეორიის მომხრეთა აზრით, პატენტის გაცემა გამოგონებაზე იმის დასტურს წარმოადგენს, რომ გამოგონებელს შემოქმედების აქტით უზრუნველყოფილი აქვს ბუნებითი უფლება.

სამრეწველო საკუთრების თეორია გამოგონებლის უფლებას, როგორც მისი შემოქმედების პროდუქტს, აიგივებს საკუთრების უფლებასთან, მაგერიალურ ნივითთან. ამ თეორიის დამცველები შემდეგნაირად მსჯელობენ: ადამიანი თავისი შრომით ქმნის მაგერიალურ სიკეთეს და შრომის შედეგი, როგორც ნივთიერი, ისე სულიერიც, წარმოადგენს

მისი შემქმნელი პირის საკუთრებას. გამოგონება ამქვეყნად იქმნება მხოლოდ მისი შემქმნელის შრომით და ამიგომაც მას, როგორც მესაკუთრეს, უფლება აქვს გამოგონებას პოუქცეს ისე, როგორც მას სურს: გამოაქვეყნოს ან შეინახოს საიდუმლოდ, გამოიყენოს ან უარი თქვას გამოყენებაზე, თუნდაც გაანადგუროს. არაეის არა აქვს უფლება გამოიყენოს გამოგონება მისი ავტორის ნებართვის გარეშე ან მოიმოქმედოს რაიმე, რაც ხელს შეუშლის გამოგონებულს გამოგონების გამოყენებისათვის. ასეთივე მოვალეობები აკისრია და უფლებები აქვს ყველა შესაბამე პირს საკუთრების უფლების ობიექტის მიმართ.

სამრეწველო საკუთრების თეორიამ თეალსაჩინო როლი შეასრულა ვასულ საუკუნეში საპატენტო სამართლის ფორმირებასა და განვითარებაში. მას ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პატენტის უფლების დარღვევისათვის სანქციისა და პატენტის მფლობელის უფლებამოსილების განმსაზღვრელ, საპატენტო-უფლებრივი ნორმების თეორიულ საფუძველს და სხვა. ამჟამად გამოგონებაზე ვაცემულ პატენტს მიიხნევენ, როგორც მაგერიალური ობიექტის თანაბარ, არაპატერიალური ობიექტების ნაირსახეობას. ამ თეორიამ გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშზე, სასაქონლო ნიშანზე და ა.შ. უფლებას მისცა დასახელება – „სამრეწველო საკუთრება“, დაამკვიდრა იგი კანონმდებლობაში, პრაქტიკასა და იურიდიულ ლიგერაგურაში.

ე.წ. გერმანული საპატენტო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანიაში კოლერის თეორიის სახელწოდებით ცნობილმა იმაგერიალურმა (არაპატერიალურმა) თეორიამ, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. ამ თეორიას საფუძვლად უღევს ბუნებითი უფლებისა და სამრეწველო საკუთრების თეორიების ძირითადი დებულებები, ავითარებს და ავსებს მათ. მისი შინაარსი ასეთია: ადამიანი ქმნის რა ამა თუ იმ გამოგონებას, მასში შეაქვს თავისი საკუთარი არსების ნაწილი; რის გამოც გარეშე პირთა მიერ ყოველგვარი ხელყოფა გამოგონებისა, განისილება როგორც პიროვნების პირადი უფლებების ხელყოფა.

საპატენტო სამართლით მინიჭებული უფლებამოსილება წარმოა-

დგენს გამოგონებლის მიერ მხოლოდ იმისი ფლობის ფაქტობრივ ასახვას, რაც მან შექმნა. გამოგონებაზე საკუთრება არის ისეთივე ბუნებრივი საკუთრება, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. საგამომგონებლო, საავტორო უფლებები, ისევე როგორც საკუთრების ნებისმიერი უფლება, წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს, რომელსაც გარკვეული განსაკუთრებულობა ახასიათებს.

ამ უფლების ობიექტებს მიეკუთვნება მოხმარების საგნები, რომლებიც შეიძლება გადაიმობილ იქნეს. ამასთან ერთად იმაგერიალური თეორია, რაზედაც მისი სახელწოდებაც მიუთითებს, ხაზს უსვამს გამოგონებლის შრომის შედეგის იდეალურ ხასიათს და, აქედან გამომდინარე, მესაკუთრისა და გამოგონებლის უფლებათა განსხვავების შესახებ სათანადო დასკვნის გამოგანის საშუალებას იძლევა. მესაკუთრის უფლებისაგან განსხვავებით, გამოგონებლის უფლება არის ქონებრივი და პირადი უფლებების კომბინაცია. გამოგონებლის ქონებრივი უფლების ძირითადი არის არის იღვის განსაკუთრებული გამოყენების უფლება, ე.ი. გამოგონებლის პირადი უფლება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს უფლებას ავტორობაზე.

კოლერის იმაგერიალური თეორია ერთგვარი წინგადაღმული ნაბიჯი იყო ბუნებითი უფლებისა და სამრეწველო საკუთრების თეორიებთან შედარებით. იგი უფრო სწორად ასახავს გამოგონებლის ქონებრივი და პირადი ელემენტებისაგან შემდგარ უფლებათა ხასიათს, ხაზს უსვამს მისი უფლებამოსილების განსხვავებას მესაკუთრის უფლებამოსილებისაგან და ცალკე ნაწილად გამოყოფს გამოგონებათა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირების სამოქალაქო უფლებრივ ნორმებს.

გამომგონებლის უფლების სპეციფიკურ ხასიათს ხაზს უსვამს ცნობილი ბელგიელი იურისტის პიკარდის მიერ შექმნილი ინტელექტუალურ უფლებათა თეორიაც. ამ თეორიის თანახმად, ლიგერაგურის, ხელოვნების საგამომგონებლო შემოქმედების შედეგებზე უფლებები წარმოიქმნება მათი შექმნის თვით ფაქტით და არა იურიდიული ურთიერთობებით. იგი უფლებათა განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელიც

არ ექვემდებარება რომის კლასიფიკაციის სახელწოდებით ცნობილ საყალბედულ და პირად, სამოქალაქო ნიუთიერ საქართვებრიუ ურთიერთობას. პიკარდის აზრით, საკუთრება გამოგონებაზე, სამრეწველო ნიშნულზე და სასაქონლო ნიშანზე, სასარგებლო მოდელებზე, საფირმო დასახელებაზე და ა.შ. შეადგენს განსაკუთრებულ ინტელექტუალურ საკუთრებას და მასზე უფლება არსებითად განსხვავდება ნიუთზე საკუთრების უფლებისაგან. მაგალითად, იგი შეზღუდულია დროში, მაშინ როცა ნიუთის საკუთრებაზე უფლება არის მუდმივი. წარმოიქმნება და წყდება მის შექმნასთან და განადგურებასთან ერთად. საკუთრების უფლება სხვადასხვა ობიექტზე შეიძლება ეკუთვნოდეს დროის ამა თუ იმ მომენტში მხოლოდ ერთ პირს (ან პირთა გარკვეულ წრეს – საერთო საკუთრების შემთხვევაში), ინტელექტუალური პროდუქტის გამოყენებაზე უფლება კი ეკუთვნის პირთა განუსაზღვრელ რაოდენობას, რამდენადაც დასაშვებია მისი უსასრულოდ რეპროდუცირება.

ინტელექტუალური საკუთრების ცნება ამჟამად ფართოდ გავრცელდა, რამაც თავისი ასახვა პოეა, კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციის დასახელებაში – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც გამოგონებლობის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების სფეროში ავგორობის საკითხებითაა დაკავებული.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ე.წ. პატენტის ხელშეკრულებითს იუორიას, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს საპატენტო უფლებრივი ინსტიტუტების არსებობაზე.

პატენტის ხელშეკრულებითი თეორია წარმოიქმნა ბუნებითი უფლების თეორიისა და სამრეწველო საკუთრების თეორიის საფუძველზე და ხელი შეუწყო მათს შემდგომ განვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება ბეძთთ განსილულ კოლერის იმაგერიალურ თეორიას, რომელიც საფუძვლად უდევს პატენტის ხელშეკრულებითს იუორიას. ხელშეკრულებითი თეორიის არსი ასეთია: იდეა წარმოადგენს გამოგონებლის საკუთრებას, თუმცა გამოგონებლისათვის საკმარისი არ არის უბრალოდ ფლობდეს იდეას, მას სჭირდება მისი გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ იდეა არ არის ნიუთი. თუ მას „გაეხსნით“, იგი შეიძლება

სხვადასხვა პირმა დამოუკიდებლად გამოიყენოს. იმისათვის, რომ გამო-
მგონებელმა თავისი იდეის გამოყენება შეძლოს, მან ერთპიროვნულად
უნდა მიიღოს უფლება ყველა სხვა პირს აუკრძალოს ამ იდეით სარგე-
ბლობა. ამისათვის იგი საზოგადოებასთან დებს ხელშეკრულებას, რომ-
ლის მიხედვითაც ვალდებულებას კისრულობს გახსნას თავისი საიდუმ-
ლო და საჩინოდ იღებს იდეის მონოპოლიური გამოყენების უფლებას.
ამრიგად, ხელშეკრულებითი თეორიის თანახმად, პატენტი წარმო-
ადგენს თავისებურ გარიგებას სახელმწიფოს სახით საზოგადოებასა
და გამომგონებელს შორის, რომლის მიხედვით, გამომგონებელს ეძლევა
გამოგონების გარკვეული ვადით გამოყენების განსაკუთრებული უფლე-
ბა, რისთვისაც იგი ხსნის მის არსს. ეს ხელშეკრულება ორივე მხარისა-
თვის სასარგებლოა. გამოგონების მონოპოლია გამომგონებელს აძლევს
დიდ სარგებელს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამოგონება მნიშვნელო-
ვანია და მომხმარებელთა მხრიდან აქვს მოთხოვნა, რაც საშუალებას
ძლევს ანაზღაურდეს გამოგონების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯე-
ბი და მიღებულ იქნეს მოგება. გამოგონების საიდუმლოდ გამოყენებას
თან სდევს მნიშვნელოვანი სირთულეები, რის გამოც მისი განხორციე-
ლება ზოგჯერ გექნიკურად შეუძლებელია. ცხოვრებაში დანერგილ
ახალ ცოდნას გარკვეული სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის,
ამლიძრებს მეცნიერებასა და გექნიკას და მათი შემდგომი განვითარების
წინაპირობას წარმოადგენს. პატენტის მოქმედების ვადის გასვლის
შემდეგ გამოგონება ხდება საზოგადოებრივი საკუთრება და შეიძლება
თავისუფლად იქნეს გამოყენებული. საპატენტო მონოპოლია რომ არა,
გამომგონებელი იძულებული გახდებოდა გამოგონება საიდუმლოდ
შეენახა. ამით საზოგადოებისათვის ახალი ცოდნის მიღება დაყოვნდე-
ბოდა, შეიქმნებოდა იმისი საშიშროება, რომ გამომგონებელი არასოდეს
გახსნიდა თავის გამოგონებას და საზოგადოება ახალი ცოდნის მიღების
შესაძლებლობას დაკარგავდა.

ხელშეკრულებითი თეორია ასახულია ბევრი ქვეყნის საპატენტ-
ო კანონებში. იგი საფუძვლად დაედო საპატენტო აღწერილობაში
გამოგონების არსის გახსნისადმი წაყენებული მოთხოვნების მოცუ-

ლობის განმსაზღვრელ ნორმებს. მართლაც, თუ პაგენტი იმისათვის ვაიცემა, რომ გამოგონებული თავის იდეას უზიარებს საზოგადოებას, ამ იდეის აღწერილობა საკმაოდ მკაფიო და სრული უნდა იყოს, რათა მოცემული ცოდნის სფეროში ნებისმიერ სპეციალისტს შეეძლოს ვაიგოს და შეაფასოს, აგრეთვე აეგორის ან დამატებითი შემოქმედობის დახმარების ვარეშე, პრაქტიკაში განახორციელოს იგი. ხელშეკრულებითი თეორიით აისხნება ზოგიერთი ქვეყნის ისეთი წესი, რომლის თანახმადაც, პაგენტის მიღების უფლება აქვს არა გამოგონებულს, არამედ ნებისმიერ პირს, რომელმაც პაგენტის მიღებაზე პირველმა შეიგანა განაცხადი საპაგენტო უწყებაში.

საპაგენტო-უფლებრივი ნორმების შინაარსი თითოეულ ცალკე ქვეყანაში განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული განვითარების თავისებურებებითა და ეროვნული გრადიციებით. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, კაპიტალიზმის საპაგენტო სისტემის საძირკველი ჩაყრილი იყო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირველი საპაგენტო კანონებით, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საპაგენტო კანონმდებლობის ფორმირებაში. სწორედ მათ განაპირობეს იმ დროისათვის საში საპაგენტო-უფლებრივი სისტემის ჩამოყალიბება – ინგლისურისა, ფრანგულისა და ამერიკულისა. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ინგლისური და ფრანგული უფლებრივი სისტემები. ამერიკული სისტემა კი თითქმის XX საუკუნის შუა წლებამდე სხვა საპაგენტო-უფლებრივი სისტემებისაგან რამდენადმე განცალკევებულად ვითარდებოდა და მისი გავლენა ამერიკის კონტინენტის მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის საპაგენტო სამართალზე გავრცელდა.

XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა კიდევ ერთი სისტემა – გერმანული. 1877 წელს მიღებული პირველი გერმანული საპაგენტო კანონი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ეტაპს ბურჟუაზიული საპაგენტო სამართლის განვითარების გზაზე. გერმანული საპაგენტო კანონი შემუშავებული იყო სხვა ქვეყნების საპაგენტო კანონმდებლობისა და პრაქტიკის, გამოცდილებისა და მიღწევების გათვალისწინებით და

შეესაგეგმისებოდა ჩასახვის პროცესში მყოფი მსხუდლი კაპიტალისტური გაერთიანებების ინტერესებს. სხეებზე უკეთ უზრუნველყოფდა მეწარმეებს გამოგონებათა მისაკუთრებაში და, აქედან გამომდინარე, მაქსიმალურ მოგების უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია, რომ გერმანულმა სააპგენგო სამართალმა საფუძველი ჩაუყარა სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სააპგენგო სამართლის მოდელს.

ამრიგად, ღვისაივის მოქმედებს შეძლევი ოთხი სააპგენგო-უფლებრივი სისტემა – ინგლისური, ფრანგული, ამერიკული და გერმანული. მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი გახეითარებული ან გახეითარებადი ქვეყანა, რომელსაც ამ უფლებბრთ სისტემათაგან თუნდაც ერთის გაყენება მათს არ განეკადოს.

ინგლისური სააპგენგო-უფლებრივი სისტემა, გარდა ღიდი ბრიგანეთისა, მოქმედებს აესტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთში, ირლანდიაში, ისლანდიაში, ისრაელში, კენიაში, კვიბოსში, ნიგერიაში, პაკისტანში, საბერძნეთში, შრი-ლანკაში და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც ადრე პოლიტიკურად ღიდ ბრიგანეთზე იყენეს დამოკიდებულნი.

საფრანგეთის სააპგენგო-უფლებრივი სისტემა საფუძველად ღიდლო საგამომტონებლო ურთიერთობათა რეგულირებას ალყირის სახალხო-ღემოკრატულ რესპუბლიკაში, ინგლექტეკალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის ქვეყნების კაემირში, ბელგიაში, ცყინეაში, ღუქსემბურგში, მაროკოში და სხუ.; მნიშვნელოვანია მისი გავლენა ბრაზილის, იგალიის, კოლუმბიის, ჩილის სააპგენგო სამართალზე.

აშშ-ის სააპგენგო-უფლებრივი სისტემა, გარდა აშშ-ისა, მოქმედებს არგენტინაში, კანაღაში, მექსიკაში, ფილიპინებზე და ზოგიერთი სხვა ქვეყანაში.

გერმანულმა სააპგენგო-უფლებრივმა სისტემამ ფართო გავრცელება პოვა აესტრიაში, დანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდში, ჩორუეციაში, ფინეთში, შვეიცარიაში, შვეღეთში.

სახელმწიფოებს, რომლებიც ამა იუ იმ სააპგენგო-უფლებრივი სისტემას იყენებენ, სააპგენგო სამართლის ძირითადი პრინციპების მხრივ, ბეერი რამ აქეით საერთო: მათთვის ასევე დამახასიათებელია

სასამართლოებისა და უწყებების მიერ მოქმედი კანონმდებლობის განმარტებებისა და პრაქტიკული გამოყენების ერთობლიობა. ამასთან ერთად ამა თუ იმ სისტემის გამომყენებელი ქვეყნების საპატენტო სამართალი ერთგვაროვანი არაა. მათი განსხვავება განისაზღვრება ცალკეული ქვეყნების ისტორიული განვითარების საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობების სპეციფიკით. სისტემის სათავეში მდგომი ქვეყნის სამართლებრივი გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო-უფლებრივ ურთიერთობათა რეგულირებაზე ერთგვაროვანი არ არის. სახელმწიფოთა ერთმა ნაწილმა არსებითად გადმოიღო სისტემის საუფედლოდ დადებული საპატენტო კანონების ტექსტები, მეორემ – მხოლოდ ძირითადი დებულებები ისესხა. განაგრცო და შეცვალა ისინი ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო სამართალი ჩამოყალიბდა რამდენიმე სამართლებრივი სისტემის ზემოქმედებით. მაგალითად, იტალიის საპატენტო სამართალი ვითარდებოდა საურანგეთისა და გერმანიის საპატენტო სისტემის გავლენით, ხოლო იაპონიის საპატენტო სამართალზე დიდი ზემოქმედება მოახდინეს გერმანიისა და აშშ-ის საპატენტო-უფლებრივმა სისტემებმა. კანადის საპატენტო სამართალს აქვს ამერიკული სისტემის ძირითადი თვისება, მაგრამ მის განვითარებაზე თავისი კვალი დააჩნია ინგლისურმა სამართალმაც. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბრაზილიაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, პერუსა და სხვა ქვეყნებში.

არსებითი თავისებურებები აქვს გამოგონებათა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს განვითარებად ქვეყნებში.

ამიისა და აფრიკის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო უწყებაში პატენტის მისაღებად შეგანილი განაცხადები გამოგონების აღიარებაზე არ მოწმდება, კერძოდ, თუ გამოგონებაზე განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, მასზე გაიცემა პატენტი. ასეთი წესი ხელს უწყობს ნებისმიერ განმცხადებელს ფაქტობრივად დაუბკოლებლად და უმოკლეს ვადაში მიაღწიოს განცხადებული გამოგონების დაცვას, საპატენტო მონოპოლიის მოპოვებას. მთელ რიგ

განვითარებად ქვეყნებში პატენგით დაცული გამოგონების სავალდებულო განხორციელების წესი არ მოქმედებს, მას ენაცვლება დაპატენტებულ ნაკეთობათა შემოგანა, ე.ი., თუ პატენგი შემოგანილია ქვეყანაში და დადასტურებულია დადგენილი წესით, აუცილებელი არაა მისი განხორციელება ისე, როგორც ეს კანონმდებლობით არის დადგენილი. ასეთი მდგომარეობა აშკარად აუერხებს ეროვნული ეკონომიკისა და უპირველეს ყოვლისა მრეწველობის განვითარებას, ფართო შესაძლებლობებს უქმნის უცხოური პატენგის მფლობელებს საპატენგო მონოპოლიის ბოროტად გამოყენებისათვის.

განვითარებადი ქვეყნების გამოგონებათა დაპატენტების მდგომარეობის სტაგისტიკა ცხადყოფს, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეებზე მოქმედი პატენტების მხოლოდ უმცირესი ნაწილი მოდის. ამ ქვეყნებში თითქმის დამთავრებულია ახალი საპატენგო კანონების მიღებისა და უკვე მოქმედის შეცვლისა და შემდგომი სრულყოფის პროცესი, რომლის მიზანია საპატენგო კანონები დაექვემდებაროს ეროვნული ეკონომიკის წარმატებით განვითარების ინტერესებს.

სხვადასხვა ქვეყნის საპატენგო კანონები არაერთგვაროვანია. როგორც წესი, ისინი შეიცავენ საპატენგო საპართლის ძირითად დებულებებს, მაგრამ საპატენგო-უფლებრივი ურთიერთობების მოცულობა და მოქმედებათა სპექტრი სხვადასხვაგვარია. მოგიერთი კანონი საკმაოდ დაწვრილებით არეგულირებს გამოგონებათა შექმნასთან, მათზე უფლებების გაფორმებასთან და პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ურთიერთობას. მაგალითად, ასეთია ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და კოლუმბიის საპატენგო კანონები.

მაგრამ მათგან განსხვავებით არსებობენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა არგენტინა, ბელგია, ერაყი და სკანდინავიის ოთხივე ქვეყანა, რომელთა საპატენგო კანონები საერთო დებულებებს შეიცავენ და უფრო მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებენ.

მიუხედავად საპატენგო-უფლებრივი ურთიერთობათა სხვადასხვაობისა, უმეტესი ქვეყნების მოქმედი საპატენგო კანონებით, როგორც აუცილებელი წესი, რეკლამენგირდება შემდეგი საკითხები:

გამოვონებათა პაგენგუნარიანობის პირობები. კანონი აღგენს უფლებით დაცულ გამოვონებათა წრეს. განსაზღვრავს განცხადებული ობიექტის სიახლის, სამრეწველო გამოყენებალობის სარგებლობის ცნებას. მთელი რიგი ქვეყნების საპაგენგო კანონები, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და საფრანგეთისა, შეიცავენ აგრეთვე საგამომცონებლო შემოქმედების ან ამოცანის გექნიკური ვადაწყვეტის დონის, ან სიახლის არასიაშკარაეის ცნების განსაზღვრას და ა.შ.;

გამოვონებაზე უფლების გაფორმებისას წაყენებულ მოთხოვნათა მოცულობა (უფლება განაცხადის შეგანაზე, მისი არსის ვადმოცემა და ა.შ.);

საპაგენგო უწყებაში გამოვონებათა განხილვისა და გამოვონებაზე უფლებათა გაფორმების სგალიაზე წარმოქმნილი დავის ვადაწყვეტის წესი;

პაგენგის მულობელის უფლებათა მოცულობა და მოვალეობანი;

პაგენგთან გამომდინარე უფლებათა დარღვევის ცნება და სანქციები მათი დარღვევისათვის.

ზოგიერთი ქვეყნის საპაგენგო კანონებში რეგულირდება სხვა ურთიერთობებიც. კერძოდ, აესგრიის, აშშ-ის, კანადის საპაგენგო კანონებში რეგლაშენგირებულია საპაგენგო უწყებათა საქმიანობა, განსაზღვრულია საპაგენგო რწმუნებულთა სგაგუსი, მათი უფლებები და მოვალეობანი. იაპონიასა და ბრაზილიაში საპაგენგო კანონები არეგულირებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედუნარიანობა, სასაშახურო გამოვონებები, უცხოელთა უფლებები, საპაგენგო დავის განსჯალობა, პაგენგების დარღვევაზე დავის ვადაწყვეტის პროცედურა, პაგენგის ბათილად მიჩნევა და ა.შ.

საპაგენგო კანონები საკმაოდ სხვადასხვაგვარია იურიდიული გექნიკის, კომპოზიციის ვადმოცემის საშუალების და ენის მსრივაც. მთელი რიგი ქვეყნების საპაგენგო კანონებში მუხლები განლაგებულია გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობით: პაგენგუნარიანობის პირობები, განაცხადის შინაარსი, განაცხადის ექსპერტიზა, პაგენგის ვაცემა, პაგენგის მულობელის უფლებები და მოვალეობანი პაგენგის

დარღვევა, საპატენტო ლიცენზიები, საგადასახადო ბაჟები. ამ თანამიმდევრობით არის აგებული აშშ-ის, იაპონიის, სკანდინავიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საპატენტო კანონები. საპატენტოდ არათანამიმდევრულად არის ჩამოყალიბებული და ათვისებისათვის რთულია დიდი ბრიტანეთის, ისლანდიისა და პერუს საპატენტო კანონები. საკმაოდ ორაბროვანი და კაზუისტური იყო ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო კანონმდებლობაც, რომელიც ახლო წარსულში მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, მის დებულებაში აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ მითითებული იყო, რომ ავტორს შეიძლება მიეცეს ესა თუ ის შედეგათი ან უფლება ან კიდევ გამოგონების ავტორთან შეიძლება დადებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულება და ა.შ. გამოდიოდა, რომ შეიძლებოდა ავტორს ეს ყველაფერი არ მისცემოდა და არც რაიმე პრივილეგია მიეღო და ამით არც დებულება დაირღვეოდა და არც რაიმე წესი, ე.ი. ავტორის უფლებები არ შეილახებოდა.

როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის დებულებათა სხვადასხვაობა აიხსნება თითოეული ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური განვითარებისა და იურიდიული გრადიციების საყრდენობით.

ქვეყნების შედარებით მცირე ნაწილს არ გააჩნია სპეციალური საპატენტო კანონები და საგამომგონებლო ურთიერთობათა პარეგულირებელი ნორმები მათ ჩამოყალიბებული და წარმოდგენილი აქვთ, როგორც სხვა ნორმატიული აქტების ნაწილი. ამავე დროს არსებობენ ცალკეული განვითარებადი ქვეყნები, სადაც საერთოდ, არ მოქმედებს საპატენტო კანონმდებლობა. ასეთ ქვეყნებში ავტორის პრიორიტეტისა და გამოგონების გამოყენებაზე უფლების დამკვიდრება ოფიციალურ გამოცემებში ამ სიახლეთა პუბლიკაციით ხდება. გამოგონებათა შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო კანონებთან ერთად რეგულირდება სხვა საკანონმდებლო აქტებითაც, კერძოდ, გამოიყენება სამოქალაქო სამართლის საერთო ნორმები, მაგალითად, სასარჩელო ხანდაზმულობისა და

სამეცკეიდრო უფლების შესახებ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნორმები და სხვა. საპატენტო დაეის განხილვის წესი სასამართლოში რეგულირდება სამოქალაქო პროცესუალური საქართლის საერთო ნორმებითა და სპეციალური დებულებებით, რომლებსაც შეიცავენ საპატენტო კანონები ან სხვა ნორმატიული აქტები.

გამოგონებათა უფლებრივი დაცვა უმთავრესად ხორციელდება ეროვნული საპატენტო კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე. თუმცა ამჟამად საერთაშორისო სამეურნეო კავშირების გაფართოებასთან, გამოგონებათა შექმნასთან და გამოყენებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გაცვლასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები ურთიერთობათა უფლებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტება ხორციელდება საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომლებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ფორმდებოდა და მიმართული იყო გამოგონებელთა უფლებების დასაცავად საზღვარგარეთ. სამრეწველო საკუთრების, კერძოდ, გამოგონებაზე უფლებების დაცვის სფეროში ძირითად საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენს 1883 წელს დადებული სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1884 წლის 7 ივლისს და შემდგომში არაერთხელ შესწორდა. ამჟამად პარიზის კონვენციაში მონაწილეობს 90-ზე მეტი ქვეყანა. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს მისი სხვადასხვა რელაქცია, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ტექსტის რატიფიცირება მოახდინა შესაბამისმა ქვეყანამ. რაძენივე წელია საქართველო ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმების წევრია.

საერთაშორისო კონვენციით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით მისი მონაწილეებისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შეღავათები კონვენციური პრიორიტეტის მიხედვით, ე.ი. სწორად გაფორმებული პირველი ეროვნული განაცხადის პირველობის დადგენაზე.

საპატენტო საკითხებზე სწორედ ასეთი სახის შეთანხმების მნიშვნელოვანი აქტია სამრეწველო საკუთრების დაცვაზე პარიზის

კონვენცია. ეს არის გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების სამართლის საკითხებზე მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც ადგენს ე.წ. კონვენციური პრიორიტეტის განსაზღვრის წესს. ამ მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნიდან გამოგონებაზე განმცხადებელს, რომელმაც თავის საპატენტო უწყებაში შეიგანა პირველი სწორად გაფორმებული (ქვეყნის ეროვნული საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისი) განაცხადი გამოგონებაზე პარიზის კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში, ენიჭება განაცხადის შეგანის პრიორიტეტის უფლება იმავე გამოგონებაზე კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში ერთი წლის განმავლობაში.

როგორც ნაწილობრივ ზემოთაც აღინიშნა, კონვენციური პრიორიტეტის გამოყენება შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომლებშიც მონაწილეობს ესა თუ ის ქვეყანა.

პარიზის კონვენცია წარმოადგენს ღია სერთაშორისო შეთანხმებას. მასში ასალი წევრის გაერთიანება ნიშნავს მის ყველა პირობაზე თანხმობას. წევრად გაერთიანებისას დამატებითი შენიშვნები არ მიიღება. ამ შეთანხმებაში გაერთიანებული ყველა ქვეყანა მოვალეა მიიღოს ღონისძიებები კონვენციის თითოეული დებულების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაიცვას უცხოელთა უფლებები სხვა სახელმწიფოებში. იგი არ უარყოფს პატენტის მოქმედების გერიგორიულ პრინციპს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეთანხმების მონაწილე ქვეყანაში გამოგონების დაცვა, აუცილებელია, რომ იქ მიღებულ იქნეს პატენტი. კონვენცია არ ქმნის ერთიან უფლებრივ ნორმებს, იგი ემყარება ეროვნული კანონმდებლობის მოქმედებას.

კონვენციის უფლებრივი რეგულირების ობიექტს წარმოადგენს ე.წ. „სამრეწველო საკუთრება“, რომელიც შეიცავს გამოგონებაზე

პატენტებს, საყოველთაოდ სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო ნახაგებსა და მოდელებს, საფაბრიკო და სასაქონლო, აგრეთვე მომსახურების ნიშნებს, საფირმო დასახელებებს, საქონლის შექმნის ან დასახლების აღნიშვნებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას. კონვენციის საწყისი დებულებაა ფორმალური ნაცვალგების პრინციპი. რომლის თანახმადაც კავშირის ქვეყნები უცხოელ განმცხადებლებს ანიჭებენ ისეთსავე უფლებებს, როგორც მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ეროვნულ განმცხადებლებს.

გამოგონებების შიშართ კონვენციის მნიშვნელოვანი დებულებებია: პრიორიტეტის უფლება, საერთაშორისო გამოუენებზე ექსპორტირებულ გამოგონებათა დაცვა, წინათსარგებლობის უფლება, დადგენილება გამოგონების გამოყენების აუცილებლობაზე, აგრეთვე მთელი რიგი სხვა დებულებები, რომლებიც ცალკეულ საკითხებზე ცალკე პარაგრაფებადაა გადმოცემული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო სამართლის უნიფიცირების საკითხი. დღემდე ცალკეულ ქვეყნებს შორის განსხვავებული ამრის გამო საპატენტო დამოკიდებულებათა ერთიანობა მიღწეული არ არის. თუმცა ამ მიმართებით დღეისათვის გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. დაიღო ევროპის ქვეყნების მთელი რიგი კონვენციები, რომელთა მიზანია საპატენტო სამართლის ცალკეულ დებულებათა უნიფიცირება.

1947 წელს საფრანგეთმა, ბელგიამ, ნიდერლანდმა და ლუქსემბურგმა ჰააგაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საერთაშორისო საპატენტო ინსტიტუტის შექმნის შესახებ. მისი ძირითადი დანიშნულებაა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების დაკვეთით შემოსულ გამოგონებათა სიასლებზე ექსპორტიზის ჩაგარება.

1953 წელს ევროპის კავშირში შემავალმა ქვეყნებმა აესტრიამ, ბელგიამ, გერ-მა, დანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, თურქეთმა, ისლანდიამ, იგალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდმა, ნორვეგიამ, საფრანგეთმა, ფინეთმა, შვეიცარიამ, შვედეთმა ხელი მოაწერეს ევროპის კონვენციას, რომელიც ეხებოდა საპატენტო განაცხადების წარდგენისას წაყენებულ

ფორმალურ მოთხოვნებს. კონვენციის მიზანია „გაამარტივოს და უნიფიცირებული გახადოს სხვადასხვა ეროვნული კანონმდებლობის მიერ საპატენტო განაცხადების მიმართ ვათეალისწინებული ფორმალობანი“.

1954 წელს ევროპის კავშირის წევრებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონვენციას საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ, რომლის საფუძველზე შემუშავებული იყო გამოგონებაზე პატენტების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა – საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია (გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია). 1971 წლის მარტში ქ. სტრასბურგში დადებულ იქნა ახალი შეთანხმება გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ, რომლის წევრების ოდენობა გაცილებით სჭარბობს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ოდენობას.

ამჟამად გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია გამოიყენება არა მარტო კონვენციის ხელმოწერ, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

1963 წელს ევროპის საბჭოს წევრთა უმეტესმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს სტრასბურგის შეთანხმებას საპატენტო სამართლის ზოგიერთი დებულების უნიფიცირების შესახებ. შეთანხმებაში განსაზღვრულია პატენტუნარიანი ობიექტების წრე და გამოგონებათა პატენტუნარიანობის კრიტერიუმები. კონვენცია ძალაში არ შესულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისმა დებულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს დასავლეთ ევროპის უმეტესი სახელმწიფოების საპატენტო სამართლის ფორმირებაზე.

ევროპის საბჭოს და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში მომზადდა და განხილულ იქნა ევროპული პატენტის რამდენიმე პროექტი. 1973 წლის 5 ოქტომბერს მიუნხენში დასავლეთ ევროპის 14-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა პატენტების გაცემის ევროპული სისტემის შესახებ კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის საპატენტო უწყებაში შეტანილი განაცხადის ბაზაზე ერთიანი ევროპული პატენტის გაცემას.

ევროპის ამ საპატენტო კონვენციის წევრები იყვნენ: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია,

ცარია, შეედეათ. განაცხადი გამოგონებაზე შეიძლება შეგანილ იქნეს როგორც მიუნხენში, ისე მის ფილიალში, რომელიც ქ. პააგაში მოქმედებს. ევროპული პატენტი მის მფლობელს ანიჭებს ისეთსავე უფლებებს, როგორც მიცემული აქვს მოლაპარაკების მონაწილე ითითოეულ ქვეყანაში გაცემულ ეროვნულ პატენტს.

საპატენტო სამართლის უნიფიცირების გზაზე შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა 1975 წლის 15 დეკემბერს ლუქსემბურგის კონვენციაზე, სადაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს კონვენციას „გაერთიანების პატენტის“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის ერთიანი საპატენტო სამართლის შექმნას. გაერთიანების პატენტი საერთოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. მისი მოქმედება რეგულირდება ლუქსემბურგისა და მიუნხენის კონვენციებით, რომლებიც ეხება ყველა ევროპულ პატენტს. ამასთან ერთად გათვალისწინებულია ეროვნული პატენტების მიღების შესაძლებლობაც, რაც ნიშნავს ქვეყნების შინაგანი კანონმდებლობის „თანაარსებობას“ – ეროვნული კანონმდებლობის თანაარსებობას შეთანხმების მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობასთან.

1977 წლის 7 ოქტომბერს მიუნხენის კონვენცია ძალაში შევიდა. 1978 წლის 1 ივნისიდან ევროპის საპატენტო უწყებამ დაიწყო განაცხადების მიღება ევროპულ პატენტებზე. ამ კონვენციამ უდავოდ გააღწია მოახდინა ევროპისა და მსოფლიოს ბევრი სხვა სახელმწიფოს საპატენტო სამართლის უნიფიცირებაზე.

ამჟამად ევროპის საპატენტო უწყების წევრები არიან: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ღიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი, დანია, ირლანდია და ნორვეგია.

საკვიროა აღინიშნოს ევროპის საპატენტო უწყების წარმატებები მუშაობაში და მისი პოპულარობა ევროპულ განმცხადებლებს შორის. კერძოდ, თავდაპირველად მისი ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების დროს ეარაუღობდნენ, რომ ერთი წლის განმავლობაში გამოგონებაზე განაცხადების ოდენობა 30.000-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუქცა

უკვე 1988 წელს 50.000-ზე მეტი განაცხადი იყო შეტანილი. ხოლო 1990 წელს მათმა რიცხვმა 62.778 შეადგინა.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ევროპის საპატენტო უწყება სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. მისმა შემოსავლმა 1989 წელს, რომელიც ძირითადად საგადასახადო ბაჟებისაგან შედგებოდან 945,2 მილიონი დასაფლეთეურმანული მარკა შეადგინა. დანახარჯებმა – 896,3 მილიონი მარკა.

ევროპის საპატენტო უწყება აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას ეწევა, მონაწილეობას იღებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პროექტებში, ორმხრივ შეთანხმებებში სხვადასხვა ქვეყანასთან, აგრეთვე აშშ-სა და იაპონიასთან სამხრივ შეთანხმებაში. ამკამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს უნივერსალური ევროპული პატენტის შესაქმნელად საერთო ბაზრის ყველა ქვეყნისათვის. მოსალოდნელია, რომ ასეთი პატენტი სულ უფრო პრესტიჟული და ავტორიტეტული გახდება.

საპატენტო სამართლის უნიფიცირებისა და ერთიანი პატენტის გაყემის ევროპული იდეა, რომელიც მთელი რიგი ქვეყნების გერიგორიაზე მოქმედებს, განხორციელდა აფრიკაშიც. 1962 წლის 13 სექტემბერს აფრიკის 12-მა სახელმწიფომ (ბენინის სახალხო რესპუბლიკა, გაბონი, ზემო ვოლტა, კამერუნი, კონგო, მადერიგანია, მალაგასის რესპუბლიკა, ნიგერია, სენეგალი, სპილოს ძელის ნაპირი, ჩადი, ცენტრალური აფრიკის იმპერია ბანგი) ხელი მოაწერა ლიბერეილში აფრიკა-მალაგასის შეთანხმებას. ამ შეთანხმების საფუძველზე ქ. იაუნდაში (კამერუნი) შეიქმნა ერთიანი საპატენტო უწყება, რომელიც შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში გასცემს პატენტებს. ეს პატენტები ვაიცემა და მოქმედებს შეთანხმებით დადგენილ ერთიანი ნორმების საფუძველზე. მოგვიანებით კონვენციას შეუერთდნენ აფრიკის სხვა სახელმწიფოებიც. ვარდა ამისა, გამოგონებათა დაცვისა და სამრეწველო საკუთრების სხვა სახეების სფეროში რამდენიმე შეთანხმება მოქმედებს სხვა კონგინენტებზეც. მათი მთავარი მიზანია კეთილსასურველი პირობები შექმნან გამოგონებათა საზღვარგარეთ – შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში დაპატენტ-

ტებისათვის თითოეული შეთანხმების ამ ძირითადი დებულების თანახმად, პრიორიტეტის უფლება ისეთივეა, როგორც ეს პარიზის კონვენციითაა დადგენილი. ასეთ შეთანხმებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პანაპერიკული კონვენცია, რომელიც დაიდო 1910 წელს ბუენოს-აირესში. მასში თავდაპირველად მონაწილეობდა 14 ქვეყანა (აშშ, ბოლივია, ბრაზილია, გვატემალა, ჰონდურასი, ლომინიკელთა რესპუბლიკა, ეკვადორი, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, ჰაიტი). გარკვეული მნიშვნელობა აქვს 1955 წლის 15 მაისს კანბერის კონვენციას, რომელიც აერთიანებს 8 სახელმწიფოს: ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, დიდ ბრიტანეთს, ინდოეთს, ირლანდიას, კანადას, პაკისტანსა და შრი-ლანკას.

უდიდესი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც სხვადასხვა კონგინენცია და ძრავალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეჟიმს აერთიანებს, ვახლავთ მოლაპარაკება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (Patent cooperation Treaty). ამ მოლაპარაკებას ხელი მოაწერეს 1970 წლის 19 ივლისს ვაშინგტონში და მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა გამოგონებათა ექსპერტიზის ჩამტარებელი ქვეყნების საპატენტო უწყების სამუშაოთა შემცირების აუცილებლობა. მოლაპარაკებით გათვალისწინებული იყო საპატენტო უწყებების მიერ საპატენტო განაცხადების შეგანისა და განხილვის სამუშაოთა კოოპერირება.

მოლაპარაკება ძალაში შევიდა 1978 წლის 24 იანვარს. ესაა სპეციალური საერთაშორისო შეთანხმება პარიზის კონვენციის ფარგლებში სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და მასში 1991 წლის 1 ივნისისათვის მონაწილეობდა 49 სახელმწიფო. ამ მოლაპარაკების მონაწილე იყო ყოფილი სსრ კავშირი. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების წვერია საქართველო და მის ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს წარადგინოს ამ ორგანოში საერთაშორისო საპატენტო განაცხადი. ამ ხელშეკრულების წვერი ქვეყნების რიცხვმა, საქართველოს ჩათვლით, უკვე 90-ს მიაღწია.

ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეთანხმება დადებულ იქნა 1977 წელს და იგი ძალაში შევიდა

1982 წელს. ამჟამად მისი წევრია აფრიკის კონგინენგის 13 ქვეყანა. გამოვონებაზე განაცხადი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის ცენტრალურ ბიუროში უნდა იქნეს შეგანილი, ითვლება, როგორც ეროვნული განაცხადი შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყნისათვის.

სამრეწველო საკუთრების დაცვის აფრიკის რეგიონული ორგანიზაციის შექმნის შესახებ ხელშეკრულება დაიდო 1976 წელს და ძალაში შევიდა 1984 წელს. ამჟამად მასში გაერთიანებულია აფრიკის კონგინენგის 9 სახელმწიფო.

1994 წლის 9 სექტემბერს ქ. მოსკოვში დაპოუკიდებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებმა განიხილეს ევრაზიის საპატენტო კონვენციის პროექტი.

საქართველოს შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით ამ ან ანალოგიურ სხვა კონვენციაში, საჭიროა აღინიშნოს, ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც, მართალია, კონვენციის პროექტიდან გამოძინარეობს, მაგრამ გაწევრიანებას რეკომენდაციას კი არ უწევს, არამედ ამგვარი კონვენციების აკარგიანობას მხოლოდ ზოგადად ეხება. კერძოდ, კონვენცია არ წარმოადგენს საერთაშორისო საპატენტო კანონს. კონვენციაში გაწევრიანება არ სსნის საჭიროებას გამოვონების სხვა ქვეყნებში დაპატენტებაზე, უფრო მეტიც, კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს პრიორიტეტის უფლების პინიჭებაში, თანახმად პარიზის კონვენციისა.

ევრაზიის საპატენტო კონვენციაში მონაწილეობა ხელს უწყობს სამრეწველო ექსპორტის საპატენტო დაცვის უზრუნველყოფას, იმ ნაკეთობათა ბაზარზე განმტკიცებას, რომლებზეც შეგანილია განაცხადები და ძილებულია პატენტები. ასეთი დაცვა საშუალებას არ აძლევს სხვა ქვეყნების საწარმოებსა და ფირმებს არა მარტო აწარმოონ ანალოგიური ნაკეთობები ქვეყანაში, სადაც უზრუნველყოფილია მათი დაცვა, არამედ შეიტანონ იქ ანალოგიური ნაკეთობები. როგორც ითქვა, გარდა იმისა, რომ საზღვარგარეთ დაპატენტებას ეწყობა ხელი მათი მიზანმიმართულად წარმართვის გზით, გამოირიცხება ამ სამუშაოებზე უსაფუძვლოდ სარჯე-

ბის გაღება. საბოლოო ჯამში კი, ეს თავის მხრივ, გამოიწვევს კონვენციის წევრი ქვეყნის გამოგონებებზე საპატენტო ლიცენზიებით ვაჭრობის გაფართოებას, რამდენადაც გამოგონების საპატენტო დაცვა წარმოადგენს საპატენტო ლიცენზიის გაყიდვის ერთ-ერთ ძირითად აუცილებელ პირობას.

ნებისმიერ კონვენციაში გაწვერიანების დაღებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მეგ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციებში, საწარმოებსა თუ ფირმებში გამოგონებათა თავისდროული გაფორმება, აგრეთვე ისიც, რომ განაცხადი გამოგონებაზე შეგანილ უნდა იქნეს დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ, ცალკეული გექსიკური ანდა გექსნოლოგიური გადაწყვეტების დამთავრებისთანავე. არ უნდა დაველოდოთ თემის ან დამუშავების მთლიანად დამთავრებას. რაც უფრო ადრე იქნება შეგანილი ქვეყნის საპატენტო უწყებაში განაცხადი, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა მიღებულ იქნეს საზღვარგარეთ პატენტი, რამდენადაც კონვენციის ძალით დაპატენტების პრიორიტეტი განისაზღვრება ქვეყნის საპატენტო უწყებაში განაცხადის შეგანის თარიღით. ამრიგად, გამოგონების დროული გამოვლენა და საპატენტო უწყებაში მასზე განაცხადის შეგანა დაყოვნების გარეშე, ხელს შეუწყობს იმ უპირატესობათა რეალიზაციას, რომელსაც იძლევა, მაგალითად, ევრაზიის საპატენტო კონვენციით გათვალისწინებული სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის პრიორიტეტის უფლება.

თუმცა ყველა ის უპირატესობა, რომელსაც იძლევა ევრაზიის საპატენტო კონვენციაში გაერთიანება, შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ პირობებში. თუ ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია გამოგონებათა დაპატენტებისათვის ყველა აუცილებელი დოკუმენტის მომზადებით, ყველა გათვალისწინებულ სამუშაოს ჩაატარებს პრიორიტეტის ვადების საზღვრებში.

ევრაზიის საპატენტო უწყებაში გამოგონებაზე განაცხადის შეგანისა და პატენტის მიღების, კონვენციის მონაწილე ქვეყანაში ან ქვეყნებში მისი ძალაში დაგოების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს იმ დაპატენტების მიზანშეწონილობის განსაზღვრა, რომელიც

გაპარილებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა გამოვონებათა კომერციული რეალიზაციის წინაპირობა არსებობს და მას საფუძვლად უდევს გარკვეული ეკონომიკური ინტერესები (გამოვონებაზე ლიცენზიის ვაილეა, მოწყობილობათა ან სხვა ნაკეთობათა სავარაუდო საექსპორტო მიწოდება, საწარმოთა მშენებლობაში გექნიკური ხელშეწყობის განხორციელება და ა.შ.).

ლაპატენტებისათვის სხვა პირობას წარმოადგენს სავარაუდო გამოვონების სიახლეზე ექსპერტიზის ჩატარება. არსებული შედეგების გამოყენება, რომელთაც უზრუნველყოფს ევრაზიის საპატენტო კონვენციის წევრობა, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამდგვარი ექსპერტიზა არა მარტო მჭიდრო ვადებში იქნება ჩატარებული, არამედ თანამედროვე მთისოვნების ღონებზე; გამოვონებათა განაცხადების ექსპერტიზის ხარისხი ამ შემთხვევაში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რამდენადაც, თუ უსაფუძვლოდ იქნება უარყოფილი განაცხადი, მაშინ ვერ დაეპყვიდრებთ პატენტიდან გამოძინარე უფლებებს, ხოლო, თუ არასწორად – დაღებითად შეუასდება გამოვონების სიახლე, მაშინ კი გაუმართლებელ ხარჯებთან გვექნება საქმე. ამიგომ შეიძლება ძალზე დიდი როლი შეასრულოს ადვილზე ჩატარებულმა კარგად ორგანიზებულმა წინასწარმა ექსპერტიზამ. ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნების ცალკეულმა ორგანიზაციებმა, საწარმოებმა და ფირმებმა, რათა გამოვონებათა წინასწარ ექსპერტიზას სერიოზულად მოეკიდონ, რამდენადაც ეს მათი კომერციული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ცალკეული საწარმოების, ფირმების, კოორპორაციების და თითოეული პირის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საზღვარგარეთ დაპატენტებისას გამოვონებათა მერჩევის დროს ძირითადი ყურადღება გააძახვილონ მათს მნიშვნელობაზე, ჯეროვნად დაასაბუთონ ასეთი დაპატენტების მიზანშეწონილობა, მოამზადონ და გააფორმონ ყველა აუცილებელი დოკუმენტი დადგენილი წესების დაცვით და სათანადო ვადებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უპირატესობანი, რომელთაც

იძლევა ევრაზიის საპაგენგო კონვენცია და სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციიდან გამომდინარე პრიორიტეტის უფლება, გამოყენებული არ იქნება და მან შესაძლოა უარყოფითი იურიდიული და ეკონომიკური შედეგი გამოიღოს.

ევრაზიის საპაგენგო კონვენციის თანახმად, მისი შედეგები გამოგონებათა დაპატენტების დროს ურეკლდება ნაცივალუბის საუფქველბე, კონვენციის მონაწილე ქვეყნებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოური განაცხადის პრიორიტეტი კონკრეტული წვერი ქვეყნისათვის განსაზღვრული იქნება კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში განაცხადის შეგანის თარიღის მიხელვით.

უფრო მეტიც, იმ გამოგონების გამოყენება, მაგალითად, კონვენციის წვერ ყაზახეთში, რომელმეც ევრაზიის კონვენციური განაცხადით გაიცემა ყაზახეთის პატენტი, შესაძლებელი იქნება მხოლოდ უცხოური პატენტის მქონე პირის მიერ მასზე საპატენტო ლიცენზიის ყიდვის შემდეგ. ეს ვითარება ერთხელ კიდე მიგყანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივ იქნეს შეგანილი განაცხადი გამოგონებაზე, რომელიც დამუშავების ცალკეულ სგადიებზე იქმნება კონვენციის მონაწილე ქვეყნებში, კერძოდ, ამ შემთხვევაში ყაზახეთის ორგანიზაციებსა და საწარმოებში. მაგალითად, როცა კონვენციის მონაწილე რომელიმე ქვეყანაში მზადდება ყაზახეთში წარმოებულის მსგავსი დამუშავება და ორივე მათგანი ერთდროულადაა დამთავრებული, მაგრამ უცხოელმა ორგანიზაციამ ან ფირმამ თავის ქვეყანაში განაცხადი უფრო ადრე შეიგანა, ვიდრე ყაზახეთის ორგანიზაციამ ან საწარმომ ყაზახეთში, მაშინ ის უცხოური ორგანიზაცია ან ფირმა შეძლებს კონვენციური პრიორიტეტის უფლება გამოიყენოს ყაზახეთში და მიიღოს თავის გამოგონებაზე ყაზახეთის პატენტი.

ევრაზიის საპატენტო კონვენციის წვერობა ხელმისაწვდომს ხდის საპატენტო ინფორმაციის იმ მასალებით სარგებლობას, რომლებსაც ჭა ორგანიზაცია გამოსცემს რუსულ ენაზე.

სასარგებლო იქნება თუ არა საქართველოს გაწვერიანება ამ კონვენციაში, ზენი აზრით, ამ კონვენციაში და, საერთოდ ნებისმიერ

კონვენციაში გაერთიანებას – წევრობას. უნდა მიეცეს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური შეფასება და მნიშვნელობა, გარდა ამისა, თუ შემდგომ განვითარდა ევრაზიის საპაგენგო კონვენციაში საქართველოს შესაძლო გაწევრიანების იდეა, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის ზოგიერთი დებულება გადაკეთდება, რადგან მასში ისეთი პირობები გვხვდება, რომლებიც დამოუკიდებელი ქვეყნისათვის მიუღებელია, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში მათი დისკრიმინაციული ელფერი დაპკრავს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ევრაზიის საპაგენგო კონვენციის უპირატესობებს უფრო წარმატებით გამოიყენებენ და რეალიზებას მოახდენენ უმთავრესად ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ უახლოეს დროში მრეწველობის ამუშავებას და შესაბამისად ექნებათ გექნიკის მაღალი დონე. სადაც სათანადო ყურადღებას მიაქცევენ საპაგენგო-საინფორმაციო საქმიანობის კარგად ორგანიზებას, სადაც გაზრდილი მოთხოვნები იქნება წაყენებული გამოგონებების, განსაკუთრებით მათი სიახლის მიმართ. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები კი შეიძლება არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ასე მაგალითად, კონვენცია სათანადო ეფექტს არ იძლევა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ბლოკირებასთან ბრძოლისათვის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

უფრო დაწვრილებით უნდა შევეხოთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კონვენციას, რომელიც 1970 წელს შევიდა ძალაში. ამ ორგანიზაციის შექმნას დასაბამი მისცა პარიზის კონვენციამ. ეს არის სამთავრობათშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მსოფლიოში. 1996 წლის მონაცემებით მასში გაერთიანებულია 157 ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია: ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მსოფლიოში; უზრუნველყოს აღმინის-გრაციული კოოპერირება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ საერთაშორისო კავშირებს შორის.

ეს ორგანიზაცია ეხმარება ქვეყნებს ინტელექტუალური საკუ-

თრების დაცვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, კარების მომზადებაში, კანონმდებლობის სრულყოფაში, საპატენტო ინფორმაციის მოპოვებაში. მის მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოსაც, როგორც ორგანიზაციის წევრს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია – ეს არის გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს გლობალურ პოლიტიკას სამრეწველო საკუთრების საავტორო და მოძი-ჯნავე სფეროებში; ამჟამად იგი აღმინისგრილებას უწევს ოცდახუთზე მეტ საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებებს „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ – პარიზის კონვენცია და „ლიგერაგურული და მხატვრული ნაწარმოებების შესახებ“ – ბერნის კონვენცია.

ინტელექტუალური საკუთრება, ფართო გაგებით, ნიშნავს სამართლებრივ უფლებებს, რომლებიც წარმოიქმნება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად. მის ობიექტებს შეადგენენ არა მატერიალური ნივთები ან საგნები, არამედ ისიც, რაც უშუალოდ ჩვენი აზროვნების ინტელექტის ნაყოფს წარმოადგენს – განსახიერებულს იდეის, მეცნიერული აღმოჩენის, გეგნოლოგიური მიღწევის, ლიგერაგურული, მუსიკალური ნაწარმოების თუ სხვა სახით. გერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ შემოიღეს 1967 წელს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების კონვენციით. და იგი იყოფა ორ ნაწილად – სამრეწველო საკუთრებად და საავტორო უფლებებად.

სამრეწველო საკუთრების უფლება ვრცელდება გამოგონებებზე, სამრეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო და მომსახურების ნიშნებზე. საფირმო სახელებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებზე. ამავე სფეროს მიეკუთვნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. საავტორო უფლებების სფეროს კი ლიგერაგურის, მუსიკისა და ხელოვნების ნაწარმოებები შეადგენენ.

თუ პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი ადამ სმითი მიიჩნევდა, რომ ერების სიმდიდრის საფუძველს კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და საბუნებო ძალა შეადგენს, თანამედროვე მსოფლიოში გადაძვქვეტ ფაქტორს უკვე ინტელექტი, ინტელექტუალური პროდუქცია წარმოად-

გენს. ინტელექტუალურ პოტენციალს უშთავრესი როლი ეკისრება ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში. იგი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია პოლიტიკური გადაწყვეტილების მოპოვების თვალსაზრისითაც.

XIX საუკუნეში პრაქტიკულად ყველა მოწინავე ქვეყნის საკანონმდებლო სისტემაში თავის ადგილს პოულობს ინტელექტუალური საკუთრების დაკავშირებული კანონები. როგორც უკვე ითქვა, სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში 1883 წელს ხელი მოეწერა პარიზის კონვენციას – ფუძემდებელ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ხოლო 1886 წელს – ბერნის კონვენციას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის თაობაზე.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერულმა და ტექნიკურმა მიღწევებმა განაპირობეს ინდუსტრიული ეპოქისათვის უცნობი, ისეთი ახალი ობიექტების დაცვის აუცილებლობა, როგორცაა კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები, ბიოტექნოლოგიური მიღწევები და სხვ. ამჟამად ამ სფეროში ახალ მიღწევას ინტერნეტი წარმოადგენს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ხორციელდებოდა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემისა და კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც სოციალისტურ იდეოლოგიას და პრინციპებს ემყარებოდა.

1992 წელს საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა დებულებები გამოგონების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ. ამ დებულებების მიღებით საქართველოში შეიქმნა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა საპატენტო სისტემის ფუნქციონირებისა და სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისათვის.

1997 წელს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დარეგულირდა საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიც.

პირველი ჯგუფის ქვეყნებში გამოგონებას წარედგინება სიახლის უფრო მკაცრი მოთხოვნები. განცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობას აბათილებს მისი არსის გახსნა იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სად მოხდა იგი – მოცემულ ქვეყანაში თუ მის საზღვრებს გარეთ. ამასთან, გამოგონების გახსნის საშუალებას არა აქვს მნიშვნელობა – ნებისმიერი პუბლიკაცია, გამოყენება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელდა, ხელს უშლის პატენტის გაცემას. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები გამოგონებას უყენებენ აბსოლუტურ მსოფლიო სიახლის მოთხოვნებს. ესენია ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნები.

ქვეყნების მეორე ჯგუფს გამოგონების წინაშე წაყენებული აქვს ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები. ეს ნიშნავს, რომ სიახლეს წინ უსწრებს პუბლიკაციები. გამოყენება და გამოგონების არსის გახსნის სხვა საშუალებები, რომლებიც მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდა. უცხოური პუბლიკაციები აბათილებენ განცხადებული გამოგონების სიახლეს მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი შემოსვლის მომენტიდან. თუ პუბლიკაცია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე არ შემოვა, იგი სიახლემდე ექსპერტიზის დროს მხელაელობაში არ მიიღება. ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები არსებობს საბერძნეთში, ავრეთეე ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში (ნიკარაგუა, პანამა) და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში.

უნდა ითქვას, რომ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები პრაქტიკულად მალალია და მსოფლიო სიახლის მოთხოვნებისაგან თითქმის არ განსხვავდება, რადგან უცხოური მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის წყაროები ამ ქვეყნებში თპერაგიულად და სრული მოცულობით ხვდება. ამიგომ, თუნდაც გამოგონებისაღამი ადგილობრივი სიახლის მოთხოვნის პირობებში ისინი მხედველობაში მიიღება. მაგალითად, ავსტრალიაში ცერმანიიდან. აშშ-დან, საფრანგეთიდან მეცნიერულ-ტექნიკური პუბლიკაციები რაპლენიმე დღეში და სრული მოცულობით აღწევს.

ქვეყნების მესამე ჯგუფს შუალედური მდგომარეობა უკავია პირველსა და მეორე ჯგუფებს შორის. მათ მიეკუთვნებიან ქვეყნები, რომლებშიც გამოგონების გახსნის საშუალებებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. ბეჭდური პუბლიკაციები სიახლეს აბათილებენ, იმისდა მიუხედავად, ადგილობრივი წარმოშობის არიან ისინი თუ უცხოურისა. გამოგონებათა გამოყენება კი ხელს უშლის პატენტის გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოხდა ქვეყნის შიგნით: გამოგონების და გამოყენების ფაქტები საზღვარგარეთ სიახლის შეუახებისას მხედველობაში არ მიიღება. ამრიგად, ქვეყნების მოცემულ ჯგუფში ბეჭდური პუბლიკაციების მიმართ გამოყენებულია მსოფლიო, ხოლო გამოგონებათა გამოყენების მიმართ – ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები. ასეთ ქვეყნებს მსოფლიო სიახლისადმი შეზღუდული მოთხოვნის მქონე ქვეყნებს უწოდებენ. გამოგონებისადმი ამგვარი მსოფლიო სიახლის მოთხოვნები წაყენებულია აშშ-ში, ვენესუელაში, იაპონიაში, ინდოეთში, კანადაში, პარაგვაიში, პერუში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ურუგვაიში. ფილიპინებში.

გამოგონების სიახლე ღვინდება დროის ვარკვეული მომენტისათვის (ჩვეულებრივ, რომელიმე თარიღისათვის), რომელიც გამოგონების არსის გახსნის ყველა ფაქტს ორ ნაწილად ჰყოფს: ყველაფერი, რაც მოხდა ადრე, სიახლეს წინ უსწრებს და ხელს უშლის პატენტის გაცემას, ხოლო ყველაფერი, რაც მოხდა მოგვიანებით, განცხადებული გამოგონების იურიდიულ ბელზე გავლენას არ ახდენს. ამრიგად, ეს თარიღი განსაზღვრავს გამოგონების პირველადობას ან პრიორიტეტს. ცნობილია პრიორიტეტის დაღვენის რამდენიმე საშუალება – გამოგონების პრიორიტეტის დაღვენის უფრო გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს პატენტის გაცემაზე განაცხადის შეგანა. განაცხადის შეგანის დღე საპატენტო უწყებაში წარმოადგენს პრიორიტეტის თარიღს. თუ სხვადასხვა პირის მიერ ერთსა და იმავე გამოგონებაზე რამდენიმე განაცხადია შეგანილი, პატენტის მიღებაზე უფლება აქვს პირველ განმცხადებელს. ერთ დღეს სხვადასხვა ავტორის მიერ ანალოგიურ გამოგონებაზე ორი ან მეტი განაცხადის შეგანის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება

შეტანის საათები და პრიორიტეტი ღვინდება იმ განაცხადის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე იქნა. შეტანილი ანალოგიური განაცხადების გაერთიანება ნებადართული არაა. ორიგინალურად წყვეტს ამ საკითხს იაპონიის კანონმდებლობა. თუ ერთი დღეს ერთსა და იმავე გამოგონებაზე შეტანილია ორი ან მეტი განაცხადი, მაშინ პატენტის მიღების უფლება ენიჭება მხოლოდ ერთ განმცხადებელს. რომელიც ყველა განმცხადებელთან შეთანხმებით განისაზღვრება. თუ განმცხადებლებს შორის შეთანხმება მიღწეული არაა, მაშინ მათი პატენტის გაცემაზე უარს ეუბნებიან.

საქართველოს საპატენტო კანონით, „თუ „საქპატენტში“ ერთსა და იმავე გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიშნულზე განცხადება ერთსა და იმავე დღეს არის წარდგენილი, პატენტი გაიცემა განმცხადებელთა შეთანხმებაში მითითებულ პირზე (პირებზე). თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, პატენტის გაცემის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო“

ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული განმცხადებლებისათვის გამოგონების პრიორიტეტი შეიძლება დაღვინდეს განაცხადის შეტანის თარიღის მიხედვით, ადგილობრივ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომლებიც შემდეგ განაცხადს საპატენტო უწყებაში აგზავნიან.

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის თანახმად, საპატენტო განაცხადის შეტანა შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში განმცხადებელს პრიორიტეტზე უფლებას ანიჭებს კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში, რასაც კონვენციური პრიორიტეტს უწოდებენ. ეს უფლება მოქმედებს 12 თვის განმავლობაში და ხორციელდება განაცხადის შეტანის გზით. თუ მითითებული ვადის მანძილზე განმცხადებელი ან მისი უფლებამონაცვლე განაცხადს პარიზის კონვენციის მონაწილე რომელიმე სხვა ქვეყანაში შეიტანს, პრიორიტეტი დაღვინილი იქნება არა უაქტობრივი თარიღით, არამედ პირველი განაცხადის შეტანის თარიღით. გამოგონების არსის გახსნის არავითარი მოქმედება პირველი განაცხადის შეტანის შემდეგ ხელს არ უშლის პატენტის გაცემას. ანალოგიურ გამოგონებაზე საპატენტო უწყებაში სხვა პირის მიერ

პრიორიტეტის თარიღის შემდეგ შეგანილი განაცხადით გაცემული პატენტი უქმდება.

კონვენციური პრიორიტეტის დადგენისათვის საუქმველს წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სწორად გაფორმებული განაცხადი. საეაღლებულო არაა, რომ იგი განმცხადებლის ქვეყნის კანონებით იყოს პატენტუნარიანი. მაგალითად, იგალიაში არ პატენტდება სამკურნალო პრეპარატები, თუმცა განაცხადი ამ ობიექტებზე მათი ფორმალური მოთხოვნების შესაბამისობის შემთხვევაში შეიძლება პრიორიტეტის დადგენისათვის საუქმველს წარმოადგენდეს აშშ-ში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც სამკურნალო ნივთიერებები პატენტუნარიანია. მაშასადამე, კონვენციური პრიორიტეტის მინიჭება დამოკიდებულია არა პირვანდელი განაცხადის შექმნომ ბელზე – იქნება იგი განმცხადებლის მიერ უარყოფილი თუ გაპოთხოვილი. პირვანდელი განაცხადი შეიძლება შეგანილ იქნეს მხოლოდ გამოგონების პრიორიტეტის დასადგენად.

კონვენციური პრიორიტეტის უულება ენიჭება არა მარტო პირვანდელი განაცხადის შემგანს, არამედ მის უულებამონაცვლესაც.

ამავე დროს კონვენცია მოითხოვს განაცხადების ობიექტურ იდენტურობას, რათა გამოგონების ძირითადი ნიშან-თვისებები ორივე განაცხადში ერთმანეთს ემთხვეოდეს. ცვლილებები დაიშვება მხოლოდ ეკვივალენტურობის ფარგლებში. თუ განაცხადები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, დასაშვებია ნაწილობრივი პრიორიტეტის დადგენა ან ერთ განაცხადში რამდენიმე პრიორიტეტის გაერთიანება. მაგალითად, თუ მეორე განაცხადის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე პირველისა, ე.ი. თუ განმცხადებელმა სრულყო თავისი გამოგონება და იგი მეორე განაცხადში ჩართო. მსგავს შემთხვევაში პრიორიტეტი შეიძლება დადგენილ იქნეს გამოგონების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც პირველ განაცხადს შეესაბამება და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. ნაწილობრივ პრიორიტეტთან. მაგრამ შესაძლებელია სხვა ვარიანტიც – თუ ეს გაუქმობესება ასევე განცხადებული იყო, ე.ი. წარმოადგენდა რამდენიმე ქვეყანაში განსაკუთრებული განაცხადის საგანს, მასზე შეიძლება დადგენილ იქნეს

თავისი კონვენციური პრიორიტეტი. ამრიგად, მეორე განაცხადი ემყარება ორ პრიორიტეტს სხვადასხვა თარიღით. ამასთან, აუცილებელია, რომ ორივე განაცხადი შეგანილი იყოს საპრიორიტეტო წლის განმავლობაში.

კონვენციური პრიორიტეტის უფლება მნიშვნელოვნად აადვილებს საზღვარგარეთ გამოგონებათა დაპატენტებას, რამდენადაც პირვანდელი განაცხადის თარიღის განმტკიცება პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში პირველი განაცხადის თარიღის სახით გამომცონებელს ვარკვეულ დროს აძლევს სათანადოდ მოემზადოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოგონების დაპატენტებისათვის. მაშასადამე, კონვენციური პრიორიტეტი უსხოველ განმცხადებელს დიდ უპირატესობას ანიჭებს, რაც პასუხობს იმ ორგანიზაციების ინტერესებს, რომლებიც გამოგონებათა დასაპატენტებლად საზღვარგარეთ აქტიურ მუშაობას ეწევიან.

პარიზის კონვენციაში მონაწილე მთელ რიგ ქვეყნებში პრიორიტეტის დაღვენის საუშუალო შეიძლება იყოს გამოგონების დემონსტრირება. შეთანხმებაში მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის გერიტორიაზე მოწყობილ „ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოყენაზე“ ამას უწოდებენ ე.წ. საგამოყენო პრიორიტეტს. გამოყენაზე გამოგონების დემონსტრირების დღე კანონით დაღვენილ ვადაში პატენტზე განაცხადის შეგანის შემთხვევაში განიხილება გამოგონების პრიორიტეტის თარიღის სახით და ასეთად მიიჩნევა თვის გამოგონების საჯაროდ დემონსტრირება. მისი არსის გამსხვავი არაავითარი სხვა შემთხვევები გამოყენის ვახსნის შემდეგ სიახლეს არ აბათილებენ.

პარიზის კონვენციის დაღვენილება საგამოყენო პრიორიტეტის თაობაზე საეაღდებულო ხასიათს არ აგარებს, რადგან მას კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანა არ ითვალისწინებს. მაგალითად, თუ კონვენციის მონაწილეა 90 ქვეყანა, აქედან დაახლოებით 75 ითვალისწინებს საგამოყენო პრიორიტეტის „უფლებას“. კონვენცია განაცხადის შეგანისათვის არც ვადას აღვენს და არც მისი გამოთვლის წესს. აღნიშნული საკითხები მთლიანად ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით წყდება. ვადა, რომლის განმავლობაშიც განაცხადი სხვადასხვა ქვეყანაში უნდა იქნეს შეგანილი, 3-დან 12 თვემდე მერყეობს. მაგალითად, ავსტრიაში

ვადა 3 თვეა, ინდოეთში, ნიდერლანდში, საფრანგეთსა და საქართველოში – 6, იგალიაში – 12 თვე.

საქართველოს საპაგენგო კანონის თანახმად: „განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოყენო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე წარადგინოს „საქპაგენტში“ პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოყენებაზე გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ექსპონირების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. საგამოყენო და საკონვენციო პრიორიტეტი ერთმანეთს არ ავრძელებს.

თუ განმცხადებელმა მისგან დამოუკიდებელი მიზებების გამო აღნიშნულ ვადებში ვერ შეძლო განაცხადის შეგანა, „საქპაგენტში“ საკონვენციო ან საგამოყენო პრიორიტეტის მოთხოვნით კანონით დადგენილი ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ორი თვით“.

კონვენციაში ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეული გამოყენების ცნება განსაზღვრული არაა. ის ღვინდება იმ ქვეყნის სასამართლო ან აღმინისგრაიული პრაქტიკით, სადაც მოიხსოვება დაცვა. ოფიციალურად, ჩვეულებრივ, მიჩნეულია სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მიერ ორგანიზებული გამოყენები; ოფიციალურად ითვლება ის გამოყენებაც, რომლებიც მიჩნეულია ასეთად სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოების მიერ. საერთაშორისო გამოყენების სახით განიხილება ის გამოყენებები, რომლებშიც მონაწილეობენ უცხოური ფირმები.

საგამოყენო პრიორიტეტის დასაღვენად აუცილებელია იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც გამოყენებაზე დემონსტრირების თარიღს და ფაქტს, აგრეთვე დემონსტრირებულ ობიექტთან მათს იდენტურობას ადასტურებენ. ასეთი დოკუმენტები გაიცემა გამოყენის აღმინისგრაიის მიერ.

საგამოყენო პრიორიტეტის უფლების ერთიანი რეგლამენტაციის უქონლობა და ის, რომ ამ საკითხზე შიგა კანონმდებლობა არ არსებობს, გამოყენებაზე დემონსტრირებულ გამოგონებათა დაცვას არამდგრადს ხდის.

გამოუყენაზე გამოვონების დემონსტრირებისას და საპატენტო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი: რომელი თარიღი უნდა განვიხილოთ პრიორიტეტის სახით – პირვანდელი განაცხადის წარდგენის თარიღი თუ გამოუყენაზე გამოვონების ჩვენებისა. პარიზის კონვენციის თანახმად, გამოვონების დემონსტრირება გამოუყენაზე კონვენციურ პრიორიტეტს არ ახანგრძლივებს. მაგრამ, თუ გამოუყენა წინ უსწრებს პირვანდელ განაცხადს, მაშინ დრო პრიორიტეტის დადგენისათვის შეიძლება საპატენტო უწყების შესვლებისამებრ ან პირვანდელი განაცხადის თარიღის, ან გამოუყენაზე გამოვონების ჩვენების თარიღის მიხედვით დადგინდეს. თუმცა მან 12 თვეს არ უნდა გადააჭარბოს.

ბოგიერთ ქვეყანაში პრიორიტეტის დადგენის ბემოთ განსხილულ საშუალებებთან ერთად პრიორიტეტის დადგენის სხვა განსაკუთრებული შემთხვევებიცაა ცნობილი.

აშშ-ში, კანადაში, ფილიპინებში გამოვონების პრიორიტეტი შეიძლება დადგენილ იქნეს არა მარტო საპატენტო უწყებაში საპატენტო განაცხადის შეგანის თარიღით, არამედ გამოვონების შექმნის თარიღითაც. ეს მდგომარეობა გამომდინარეობს აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ნორმებით, რომელთა შესაბამისად პატენტზე უფლება აქვს „პირველ და ნამდვილ გამოგონებელს“. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ საპატენტო უწყებაში სხვადასხვა ავტორის მიერ ერთსა და იმავე გამოვონებაზე რამდენიმე განაცხადის შეგანის შემთხვევაში პატენტს მიიღებს არა ის განმცხადებელი, რომელმაც ადრე შეიგანა განაცხადი, არამედ ის, რომელიც გამოვონების შექმნის უფრო ადრეულ თარიღს დაამტკიცებს.

პროცედურამ, რომლის დროსაც პირველი გამოგონებელი ვლინდება, მიიღო ე.წ. „ინტერპრეტაციის ან პრიორიტეტზე დავის“ პროცედურის დასახელება. იგი იწყება საპატენტო უწყების ან ერთ-ერთი განმცხადებლის ინიციატივით.

კანონი აღგენს, რომ პრიორიტეტის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტები: 1. გამოგონებლის გასაცემი და

უცვლელი იდვის (გამოგონების კონსეფციის) საბოლოო ფორმირების თარიღი; 2. გამოგონების პრაქტიკული განხორციელების თარიღი; 3. იმ პირის სიბეჯითი, რომელსაც ეკუთვნის გამოგონების იდეა, მაგრამ ბოლოს იგი სხვამ განახორციელა.

თუ განმსხალბელმა ან პატენტის მულობელმა პირველმა ჩაიფიქრა და პრაქტიკულად განახორციელა გამოგონება, იგი პირველ გამოგონებულად მიიჩნევა. თუკი ერთ-ერთმა განმსხალბელმა პირველმა ჩაიფიქრა გამოგონება, მაგრამ ბოლოს იგი სხვამ განახორციელა, მაშინ ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველ გამოგონებულად, თუ დაამტკიცებს, რომ ღრითა განმავლობაში მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის გამოავლინა „გონივრული სიბეჯითი“, რომელიც წინ უსწრებდა იმ განმსხალბელის გამოგონების ჩანაფიქრს, რომელმაც პირველმა განახორციელა გამოგონება.

ასაბუთებს რა თავის უფლებას პატენტის მიღებაზე, განმსხალბელს თავისი პირველობის დადასტურების მიზნით, შეუძლია მოიყენოს ფაქტები, რომლებიც მოხდა მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე. აშშ-ში არსებული კანონის თანახმად, აშშ-ის საზღვრებს გარეთ გამოგონების შექმნა და გამოყენება მხედველობაში არ მიიღება.

ამრიგად, უცხოელს თავისი პრიორიტეტის დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს გამოგონების შესახებ განაცხადის შეგანის თარიღს აშშ-ში: გამოგონების ობიექტის შემოგანას, გამოგონების არსის მცოდნე პირის ჩამოსვლას, გამოგონების გამსსნელი წერილების შემოსვლას.

უცხოელს შეუძლია დააფიქსიროს კონვენციური პრიორიტეტის თარიღი. თუმცა ინტერფერენციის პროცედურაში ამ თარიღს, ისევე როგორც ბექდურ პუბლიკაციებს, კონვენციური პრიორიტეტის მოქმედების ვადის შემზღუდულობის გათვალისწინებით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მაშასადამე, ინტერფერენციის პროცედურა ამერიკელ გამოგონებელს უცხოელთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს.

ინტერფერენციის პროცედურა კანადაში აშშ-ში არსებულთან შედარებით გაცილებით უფრო მარტივია და უფრო კეთილგანწყო-

ბილიც უცხოელების მიმართ. კანადაში არ ღვება საკითხი გამოგონების პრაქტიკულ განხორციელებაზე. უფლება პრიორიტეტზე იმას აქვს, ვინც პირველმა მოახდინა ზეპირი ან წერილობითი ფორმულირება თავისი გამოგონების არსისა, ამასთან. იმდენად სრულად და ნათლად, რომ შესაძლებელია მისი პრაქტიკული განხორციელება. გამოგონების შექმნაში პირველობის დასამტკიცებლად მხედველობაში მიიღება ყველა ფაქტი, მიუხედავად იმისა – კანადაში იქნება ეს თუ საზღვარგარეთ.

მთელ რივ ქვეყნებში არსებობს ე.წ. წინასწარი აღწერილობები და გამაფრთხილებელი პატენტები. ამ ქვეყნებში პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს საპატენტო უწყებაში გამოგონების წინასწარი აღწერილობის შეგანის გზით, რომელიც წინასწარი საპატენტო განაცხადის ფუნქციას ასრულებს. პრიორიტეტის რეგისტრაციის ეს ხერხი ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, როცა ავტორს გამოგონებაზე მუშაობა დამთავრებული არა აქვს და არ შეუძლია საპატენტო განაცხადის შეგანა, რომელიც სრულად პასუხობს ნორმატიულ მოთხოვნებს. ამასთან ერთად იგი ურთხილობს, რომ მისი იდეა შეიძლება ნასესხები იყოს ან ემინია დაკარგოს პირველობა სხვა ავტორის მიერ განაცხადის უფრო ადრე შეგანის გამო.

წინასწარმა აღწერილობამ უნდა გახსნას გამოგონების მხოლოდ საერთო არსი. მას არ მოეითხოვება გამოგონების ლეგალურად და სრულად გადმოცემა, იღის განხორციელების კონკრეტული საშუალებების გახსნა; მას წინასწარი აღწერილობის გამოგონების ფორმულა და ნახაზები შეიძლება არ ახლდეს.

წინასწარი აღწერილობით მინიჭებული პრიორიტეტის უფლების მოქმედების ვადა უმეტეს ქვეყნებში შეადგენს 1 წელს. ბევრ ქვეყანაში დაშვებულია ამ ვადის გაგრძელება.

პრიორიტეტის დადგენა წინასწარი აღწერილობის დახმარებით გათვალისწინებულია ინგლისისა და ინგლისური საპატენტო სისტემის უმეტეს ქვეყნებსა და კანადაში.

ინგლისური სამართლის მქონე ქვეყნებში წინასწარი აღწერილობა შეიგანება პატენტზე განაცხადთან ერთად. მაგალითად, ინდოეთში

სრული აღწერილობა შეგანილი უნდა იქნეს განაცხადის შეგანის შემდეგ 12 თვის, ხოლო ირლანდიაში, პაკისტანში, შრი-ლანკაში – 9 თვის მანძილზე. ინლოეთსა და შრი-ლანკაში დაშვებულია ვადის გაგრძელება 3 თვით, პაკისტანში – 10 თვით. მითითებული ვადების გამოგოვების შემთხვევაში ითვლება, რომ განმცხადებელმა უარი თქვა განაცხადზე.

კანადაში წინასწარი განაცხადის მოქმედების ვადა 1 წელია. თუ მითითებული პერიოდის მანძილზე ანალოგიურ გამოგონებაზე შეგანილი იქნება განაცხადი სხვა პირის მიერ, საპატენტო უწყება ვალდებულია ამის შესახებ შეაგყობინოს წინასწარი განაცხადის შემგანს, რომელიც თავისი პრიორიტეტის დამკვიდრებისათვის ვალდებულია შეგყობინებოდან 3 თვის მანძილზე შეიგანოს განაცხადი პატენტზე. თუ განაცხადები კოლიზიაში იმყოფება, ცხადდება ინგერუერენციის პროცედურა. წინასწარი განაცხადის გაცემის შემდეგ ერთწლიანი ვადის გასვლისას საპატენტო უწყება თავისუფლდება მისი მულობელისათვის ანალოგიურ გამოგონებაზე განაცხადის შეგანის შესახებ შეგყობინების მოვალეობისაგან, მაგრამ წინასწარი განაცხადის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრიორიტეტის დადასტურების საშუალებად.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში წინასწარი აღწერილობის საფუძველზე განმცხადებელს მიეცემა პატენტი, რომელიც „გამაფრთხილებელი“ პატენტის სახელწოდებითაა ცნობილი.

პრიორიტეტის დადგენის მეგად თავისებური საშუალება არსებობს ინგლისური სამართლის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში. ესაა პრიორიტეტის გადაგანის საშუალება: მაგალითად, ახალ გელანდიაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, ზამბიაში, ინლოეთში და ა.შ. განმცხადებლის თხოვნით პრიორიტეტი შეიძლება გადაგანილ იქნეს განაცხადის შეგანის დღიდან უფრო მოგვიანო დროისათვის. ეს დრო შეიძლება განმცხადებელმა მიუთითოს განაცხადის შეგანის მომენტიდან 6 თვის ვადაში.

პრიორიტეტის უფრო მოგვიანო დროისათვის გადაგანა განმცხადებელს გარკვეული რისკის წინაშე აყენებს, რამდენადაც იზრდება იმის საშუალება, რომ ეს სიახლე ცნობილი გახდება იმ პერიოდისათვის, როცა გამოგონების სიახლე უნდა განისაზღვროს. თუმცა საპატენტო

ორგანოებში განაცხადის განხილვის პროცესურის თავისებურებიდან გამომდინარე, ზოგჯერ აუცილებელი ხდება, რომ განაცხადი ძალაში იქნეს დატოვებული. რაითა ამით მოგებულ იქნეს დრო მასში სათანადო ცვლილებების ან ექსპერტიზის გადაწყვეტილებებზე საჩივრების შეტანისათვის. პრიორიტეტის გადაგანის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე დამატებითი დროის მიღება შემდგომი კონვენციური განაცხადის შეტანისათვის.

სპეციფიკურია პრიორიტეტის დადგენის წესი იგალიაში. აქ პრიორიტეტის დადგენისათვის საფუძველი შეიძლება იყოს ეროვნული სამეცნიერო საბოცხადოებებისა და აკადემიის ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის სტატიები, შეგყობინებები. პრიორიტეტი ასევე პუბლიკაციის ან შეგყობინების საფუძველზე განცხადებული უნდა იქნეს 12 თვის განმავლობაში.

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს პრიორიტეტის დადგენა შედავითიანი სიხლის მიხედვით, რაც იმას გულისხმობს, რომ გამოგონებელს ან მის უფლებამონაცელეს ეძლევა შედავითიანი ვადა, რომლის უარგლებშიც განაცხადის შეგანამდე გამოგონების არსის გასინა ხელს არ უშლის პატენტის გაცემას. ეს წესი დიდად სასარგებლოა. ეს ნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ გამოგონება გამოყენებულ იქნეს ექსპერიმენტული საწარმოო, ზოგჯერ კომერციული მიზნითაც. ბეჭდური პუბლიკაციის ან სხვა საშუალებებით გამოგონების გასსნის შესაძლებლობას საურანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სიხლის მიხედვით შედავითი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოგონება გაისსნება მესამე პირის მიერ, ავტორის ხება-სურვილისათვის გვერდის ავლით. გერმანიაში, იგალიაში, პორტუგალიაში შედავითიანი ვადა მოქმედებს მხოლოდ საავტორო პუბლიკაციებისა და გამოყენების მიმართ. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, კანადასა და სხვა ქვეყნებში კანონი შედავითიან ვადას ადგენს ავტორისათვის როგორც გამოგონების გასსნის შემთხვევაში, ისე მესამე პირის მიერ საგამომგონებლო იღვის არაკეთილსინდისიერი გახმაურების შემთხვევაშიც.

უძევეს ქვეყნებში – გერმანია, იაპონია, საურანგუთი, სკანდინავიის ქვეყნები – შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობა შეაღვენს 6 თვეს, თუშქა არსებობს სხვა ვალებიყ. მაგალითად, აშშ-ში, ესპანეთში, იგალიაში, პორტუგალიაში შეღავათიანი პერიოდი უტოლდება 1 წელს, კანადაში – 2 წელს.

შეღავათიანი ვადა ღვინდება განაცხადის ფაქტობრივად შეგანის თარიღის შიშართ და კონვენციური პრიორიტეტის განცხადება ბევაყ-ლენას არ ახლენს შის გამოთვლაბე. ვადის შიშდინარეობა იწყება პირველი პუბლიკაციის თარიღიდან ან პირველი მეტყობინებიდან, ან გამოგონების გამოყენების დაწყებიდან.

სხვადასხვა ქვეყანაში ერთხაირად არ წყდება საკითხი გამოგონების გახსნის ფორმის შიშართ, რომელიყ ხელს არ უშლის პატენტის გაცემას. მაგალითად, ბოვიერთი ქვეყნის საპატენტო კანონით სიახლეს არ აბათილებს გარკვეული ვადის ფარგლებში საგამომგონებლო იღვის ნებისშიერი გამოყენება და ნებისშიერი გახმაურება. ინგლისური საპატენტო-უფლებრივი სისტემის მქონე ბეერ ქვეყანაში გამოგონების გახსნის სხვადასხვა საშუალებისათვის ღვინდება სხვადასხვა ვადა. მაგალითად, ახალ ბელანდიაში, ინგლისში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სიახლეს არ აბათილებს გამოუენაბე ავტორის შიერ გამოგონების სასიათის შესწაელის შიშნით, სამეცნიერო საბოგალოებაში ან შათის პუბლიკაციებში 6 თვის შანშილბე ოფიციალური პირებისათვის გამოგონების გახსნა, აგრეთვე განაცხადის შეგანამღე 12 თვის შანშილბე „აუცილებელი ექსპერიმენტული გამოყენება“. თუ გამოგონება არამაროილ-ბომიერად იყო გამოქვეყნებული მესამე პირის შიერ, გამოშგონებელბარომ პატენტბე უფლება არ დაკარგოს, ამ ფაქტის შეტყობინებისთანაყე დაუყოენებლივ უნდა შეიგანოს განაცხადი.

იაპონიაში საგამომგონებლო შეღავათი მოქმედებს გამოგონების გამამკლავნებელი ნებისშიერი ფაქტის შიშართ, თუ ის განხორციელებული იყო მესამე პირის შიერ. გამოშგონებელს და შის უფლებამონაცელეს უფლება ეძლევა შეღავათიანი პერიოდის განშაელობაში შააგაროს ექსპერიმენტები, პრესაში გამოაქვეყნოს გამოგონება. აგრეთვე მოახდინოს

წერილობითი შეგეობინება საპატენტო უწყების ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო საზოგადოებებში. იმისათვის, რომ განმცხადებელმა მინიჭებული უფლება გამოიყენოს, საპატენტო განაცხადის შეტანისას ვალდებულია საპატენტო უწყების ხელმძღვანელის სახელზე შეიტანოს თხოვნა, სოლო 30 დღის განმავლობაში განაცხადის შეტანის შემდეგ წარადგინოს განცხადებული გამოგონების აღრე გამჟღავნებულიდან ილენგურობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაბოლოს, ბერ ქვეყანაში არავითარ შეღავათებს არ ითვალისწინებენ განაცხადის შეტანამდე გამოგონების გახსნის შემთხვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს ქვეყნებია: არგენტინა, ბოლივია, ერაყი, თურქეთი, ირანი, ლიბანი, ლუქსემბურგი, მქსიკა, მაროკო, ნიდერლანდი, პარაგვაი, პერუ, სირია, გუნისი, ურუგვაი, ჩილი, შეეიციარია, შრი-ლანკა, აურიაკა-მალაგასის კავშირში შემაეალი სახელმწიფოები.

ამ ქვეყნებში, აგრეთვე იქ, სადაც კანონი უულებამოსილი პირის მიერ საგამომგონებლო შეღავათს გამოგონების მხოლოდ გახსნის შემთხვევაში ითვალისწინებს, გამომგონებლისა და მისი უულებამონაცელის ინტერესები მოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაცული იქნეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევისათვის დადგენილი ნორმებით, როცა მესამე პირი სხადის არაუულებამონაცელუობით მოქმედებას.

უმეტეს ქვეყნებში გექნიკის ღონის დადგენის შემთხვევაში ითვალისწინებენ სრულ ინფორმაციას, რაც პრიორიტეტის თარიღამდე, მისი გამოჩენის დროს – ინფორმაციის ხანდამმულობისაგან, დამოუკიდებლად არსებობდა. მაგალითად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ 2001 წელს ერთი ქვეყნის ფირმის მიერ დაპატენტებული გამოგონება ხერხზე რომელმე სხვა ქვეყანაში გაუქმდეს იმის გამო, რომ ამა თუ იმ მეცნიერმა თუ საეეიალისგმა პატენტის საგანი მოხსენებაში სადმე მესამე ქვეყანაში ჯერ კიდევ 1898 წელს აღწერა; ეს შეგეობინება თავის დროზე პრაქტიკულად არ იყო გამოყენებული, თუმცა იცა საკმარისია იმისათვის, რომ გამოგონება სიახლედ არ იქნეს მიჩნეული.

ამასთან ერთად მოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით დადგე-

ნილია, რომ სიახლის განსაზღვრის შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოგონებაზე ინფორმაციის გამოქვეყნების დრო. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში და ინგლისური სამართლის მქონე ბოფიერთ სხვა ქვეყანაში საპატენტო უწყებაში განაცხადის განხილვისას შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს ვაცემული პატენტები და გამოქვეყნებული საპატენტო განაცხადები პრიორიტეტის თარიღით, რომელიც წინ უსწრებს გამოსაკვლევი გამოგონების შეგანის თარიღს არა უმეტეს 50 წლისა. სხვა პუბლიკაციებისა და გამოყენებული გამოგონებების გათვალისწინება ხდება სიახლის დადგენის შემთხვევაში მათი გამოქვეყნების ვადის ან გამოყენების დაწყებისაგან დამოუკიდებლად. ერაყსა და ესპანეთში სიახლის გამაბათილებელი ცნობების ხანდამშულობა ასევე უგოლდება 50 წელს და მოქმედებს გამოგონების გამოყენების მიმართ. ინდოეთში სიახლეს არ აბათილებენ ამ ქვეყნის ის საპატენტო განაცხადების აღწერილობები, რომლებიც 1912 წლის 1 იანვრამდე იყო გამოქვეყნებული.

ინფორმაციის ხანდამშულობის ვადების შემზღუდა გექნიკის დონის დადგენისას გერმანიასა და ინგლისში აღიარებული იყო 1978 წლამდე. მაგალითად, ინგლისის 1949 წლის საპატენტო კანონი ითვალისწინებდა განცხადებული გამოგონებისადმი ბოლო 50 წლის მანძილზე გამოქვეყნებული პატენტებისა და საპატენტო განაცხადების დაპირისპირებას, ხოლო გურ-ის 1967 წლის საპატენტო კანონი – პრიორიტეტის თარიღამდე უკანასკნელი 100 წლის მანძილზე გამოჩენილ ნებისმიერ ინფორმაციას.

მეცნიერულ-გექნიკური პროგრესის განვითარება, თანამედროვე მეცნიერული კონგრატეტების არსებობა საშუალებას იძლევა ოპერატულად იქნეს მიღებული ცნობები ყველა უახლეს გექნიკურ იდეაზე და დროულად განხორციელდეს იგი პრაქტიკაში. ამიგომ ინფორმაციის ხანდამშულობის ინსტიტუტმა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და, თუ მოწინავე განვითარებული ქვეყნების მოქმედ საპატენტო კანონებს გაეაანალიზებთ, დაერწმუნდებით, რომ ისინი არ შეიცავენ ნორმებს ამ ინსტიტუტზე.

ყველა ქვეყანაში გამოგონების პატენტუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სამრეწველო გამოყენებადობა-სარგებლიანობა. თეით ცნება „სამრეწველო საკუთრება“, რომლის ძირითად სახეს გამოგონებაზე ვაცემული პატენტი წარმოადგენს, შეიცავს ამ მოთხოვნას. პატენტის ვაცემისა და მოქმედების საკითხთა მარეგულირებელი ცალკეული ნორმატიული აქტები შეიცავენ გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს. მაგალითად, ასეთი ხასიათისაა იტალიაში 1979 წლამდე მოქმედი „საკანონმდებლო დებულებანი სამრეწველო გამოგონების პატენტებზე“.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კანონები შეიცავენ მოთხოვნებს სამრეწველო გამოყენებადობის შესახებ. მაგალითად, შეიქარის კანონში პატენტის შესახებ აღნიშნულია, რომ „პატენტები ვაციემა მრეწველობაში გამოყენებულ ახალ გამოგონებებზე“.

რუსეთის საპატენტო კანონით გამოგონების პატენტუნარიანობის პირობებში ერთ-ერთი ძირითად მოთხოვნად მითითებულია სამრეწველო გამოყენებადობა. საქართველოს საპატენტო კანონში მითითებულია, რომ „პატენტით შეიძლება დაცული იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარიანია და აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო ღონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს“. როგორც უკვე ითქვა, ანალოგიური დებულებანი შეიძლება მოიძებნოს ბევრ სხვა კანონშიც. იმ ქვეყნებში (აშშ, კანადა და სხვ.), სადაც კანონი პირდაპირ არ მიუთითებს იმაზე, რომ სამრეწველო გამოყენებადობა გამოგონების პატენტუნარიანობის აუცილებელი პირობაა, საპატენტო სამართლის ნორმები ისეთი სახითაა აგებული, რომ მოცემული მოთხოვნის არსებობას ითვალისწინებს.

უმეტესი ქვეყნების კანონებით განმარტებული არაა „სამრეწველო გამოყენებადობის“ ცნების შინაარსი. ამ საკითხს განსაზღვრავს აღმინისგრაიციული ან სასამართლო პრაქტიკა და იგი მათს კომპეტენციაში შედის. პრაქტიკით დადგენილ წესებს, მიუხედავად დეტალებში განსხვავებისა, აქვთ ერთნაირი პრინციპული დებულებანი.

„მრეწველობის“ ცნებას საპატენტო სამართალში ვაცილებით უარითო შინაარსი აქვს, ვიდრე ანალოგიურ ეკონომიკურ ცნებას.

პაგენგუნარიანად მიიხსენიება არა მარტო სამრეწველო წარმოების სფეროს მიკუთვნებული განვითარებები, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფეროს გამოგონებებიც, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, გრანსპორტის, ვაჭრობის, მედიცინის, მეცნიერების, კულტურის, სპორტის სფერო. მაგალითად, პაგენგები გაიყვნა სხვადასხვა სახის სამედიცინო მოწყობილობებზე, ხელსაწყოებზე: ზოგიერთი ქვეყანაში პაგენგები გაიყვნა ფარმაცევტულ პრეპარატებზე და მათი მიღების ხერხებზე.

სოფლის მეურნეობის სფეროში უდავოდ პაგენგუნარიანად მიიხსენიება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ბევრ ქვეყანაში დაშვებულია სახეების, საკვების, პერბიტალების, ცხოველთა ვეგეტარიანული დამუშავების ხერხების დაპაგენგება და სხვა. კულტურის სფეროდან გამოგონების მაგალითის სახით შეიძლება მოიყვანოსთი ელექტრო-მუსიკალური ინსტრუმენტები, საღებავების შეღვენილობები, გრიძები, საბაჟშეო სათამაშოები, თამაშებისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები. მაგალითად, აშშ-ში გაცემული იყო პაგენტი სათამაშო მავიდაზე. არსებითად სამრეწველო გამოყენებალობის მთხოვნა საპაგენგო სამართალში ნიშნავს, რომ ამოცანის გადაწყვეტა უნდა აგარებდეს ტექნიკურ ხასიათს, ე.ი. იყენებდეს მაგერიალური სფეროს თბიუქებებს და უზრუნველყოფდეს მუდმივი შედეგის მიღებას.

თუ სამრეწველო გამოყენებალობის ნიშან-თვისებებს არ უპასუხებენ, საპაგენგო სამართალით დაცეას არ ექვემდებარებიან აღმოჩენები. წმინდა მეცნიერული თეორიები, პრინციპები, კონსეფციები. საპაგენგო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, საჭს უსვამენ, რომ სამრეწველო გამოყენებალობის ნიშან-თვისება ემსახურება „აღმოჩენისა“ და „გამოგონების“ ცნების გამიჯვნას. აღმოჩენების პრაქტიკული განხორციელების ხერხები და საშუალებები პაგენგუნარიანია.

არ არსებობს პაგენგუნარიანი მათემატიკური გარდაქმნების სისტემები, პირობითი აღნიშვნები, კოლები, ანგარიშების ხერხები, მათემატიკური სიმბოლოები. XX საუკუნის შუა წლებამდე ყველა ქვეყნის საპაგენგო უწყებები მტკიცედ იღვწენ ამ პოზიციამზე და უარყოფდნენ გამოგონებაზე განაცხადებს, რომელთა შინაარსს წარმოადგენდა აღნიშნული

ობიექტები. გამოთვლითი გექნიკის განვითარებამ, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სფეროში ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ფართოდ გამოყენებამ მიგვიყვანა მრეწველობის ახალი დარგის წარმოქმნასთან, რომელიც სპეციალიზებული იყო მხოლოდ ელექტრონული გამოთვლითი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფის შექმნაზე. გაჩნდა მოთხოვნა შემოქმედებითი საქმიანობის ამ ობიექტების – ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ალგორითმებისა და პროგრამების უზღებრივი დაცვის შემოღებისათვის.

განვითარებული მრეწველობის უბეჭეს ქვეყნებში აღმინისგრაციული და სასამართლო პრაქტიკა პატენტუნარიანად მიიჩნევს ზოგიერთი სახის ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ახალ ალგორითმებსა და პროგრამებს.

სამრეწველო გამოყენებადობის ნიშან-თვისებებს არ აკმაყოფილებს ის გადაწყვეტები, რომლებიც ადამიანის ზოგიერთი სახის საქმიანობის რეგულირებას, კერძოდ, შრომის ორგანიზაციას, წარმოებას, სწავლების სისტემას და ხერხებს. აღზრდას, საბუღალტრო აღრიცხვას, შრომის ნაყოფიერების აღრიცხვის ხერხს, ცნობარების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების და ა.შ. შედგენას ემსახურებიან.

პატენტუნარიანად არ მიიჩნევა ზოგადი აბსტრაქტული იდეები, ამოცანის უბრალოდ დასმა, უბრალო ცნება. პატენტები ვაიცემა მხოლოდ იდეის განმახორციელებელ კონკრეტულ ხერხებზე, საშუალებებზე.

ბევრი ქვეყნის საპატენტო სამართლის ნორმების შესაბამისად, სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს არ პასუხობს ადამიანთა და ცხოველთა მეურნალობის ხერხები. მაგალითად, გერმანიაში იყო შემთხვევა, როცა ფედერალურმა სასამართლომ არაპატენტუნარიანად ჩათვალა თმის ცვენის მეურნალობის ხერხი, ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯანსრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენისაკენ მიმართული თერაპიული, ქირურგიული და ა.შ. ყველა ხერხის გამოყენებით ადამიანის ორგანიზმზე ბემოქმედება არ ექვემდებარება საპატენტო დაცვას. ასეთივე შემთხვევა იყო კანადაში – კანადის ხაზინის სასამართლომ დაადასტურა საპატენტო უწყების უარი პატენტის გაცემაზე უჯრედების

შეერთების ქირურგიულ ხერხთან დაკავშირებით.

ინდოეთში აღნიშნული წესი დადგენილია საპატენტო კანონით. ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანთა მკურნალობის ხერხების დაპატენტება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ ხერხის არსებით ელემენტს წარმოადგენს მაგერიალური საშუალებები, მოწყობილობები, აპარატები, ინსტრუმენტები.

პატენტუნარიანად არ მიიჩნევა ღიაგნოსტიკის ხერხები. ამასთან ერთად ხერხები და საშუალებანი, რომელთა დახმარებითაც ღვისდება ესა თუ ის მონაცემები (სისხლის, კუჭის წვენის შედგენილობა და ა.შ.), რომლებიც შემდგომში ღიაგნოსტიკაში გამოიყენება, პატენტუნარიანია.

ცალკეულ ქვეყნებში (ესპანეთი, იაპონია და სხვ.) პატენტუნარიანად მიიჩნევა ცხოველთა მკურნალობის ხერხები. აშშ-ში პატენტდება როგორც ცხოველთა მკურნალობის ხერხები, ისე ადამიანის მკურნალობის ხერხებიც.

სულ რამდენიმე ქვეყანაში (აშშ, გერმანია, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი) ვაიცემა პატენტები ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრების გემოქმედებასთან დაკავშირებული ხერხების შექმნაებისა და კომერციული მიზნით მათგან მისაღები პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს საპატენტო კანონით სამართლებრივი დაცვა არ ხორციელდება და პატენტი არ ვაიცემა „გამოგონებაზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხებით მიღებულ პროდუქტებზე“. პატენტი არ ვაიცემა აგრეთვე „გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულ და ღიაგნოსტიკურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მოწყობილობებზე, ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ ხერხებში“.

როგორც უკვე აღინიშნა, სამრეწველო გამოყენებადობა ითვისებისათვის გამოგონების ობიექტის არაერთგზის დამზადების შესაძლებლო-

ბას. საკმარისი არ არის, რომ ამოცანის გადაწყვეტა აგარებლეს გექსიკურ ხასიათის. პატენგუნარიანად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი გამოგონებები, რომელთა ობიექტები შეიძლება არაერთგზის იყოს გამეორებული. პატენტები არ გაიცემა გექსიკურ გადაწყვეტებზე, რომლებიც გარკვეულ პირობებთან ან მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, როცა მოსალოდნელია, რომ ისინი ობიექტურად გამეორდნენ კიდეც, მაგრამ ასეთი გაძეორება შეიძლება პრაქტიკულად აუცილებელი არ იყოს. მაგალითად, ამა თუ იმ ადგილზე აშენებული ხიდი ან კიდე თბილისში მთაწმინდის პლატოზე აგებული ე.წ. უუნიკულიორი-რესტორანი შეიძლება განსაკუთრებულ ორიგინალურ და სასარგებლო ნაგებობას წარმოადგინდეს, მაგრამ იგი არაა საპატენტო სამართლის ობიექტი, რამდენადაც ხიდის ან რესტორნის აგებისათვის სხვა ადგილზე და სხვა ბუნებრივ პირობებში უნდა მოხდეს ახალი გაანგარიშება და შეიქმნას ახალი კონსტრუქცია. ე.ა. იგი არ შეიძლება გადაგანილ იქნეს სხვა ადგილზე პრინციპული და ძირეული ცვლილებების გარეშე. აქ არა გვაქვს ობიექტის განმეორებალობის ნიშან-თვისება. რომელიც უმეტეს ქვეყნებში გამოგონებისათვის წაყენებულ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს. ამასთან ერთად ნაგებობის ცალკეული ელემენტები შეიძლება იყოს და წარმოადგენს კიდეც პატენგუნარიანობის მქონეს, რამდენადაც ისინი შეიძლება ხიდის ან ნაგებობის სხვადასხვა კონსტრუქციაში იქნეს გამოყენებული.

გამოგონების ობიექტის განმეორებალობის მოთხოვნას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გავება აქვს. მაგალითად, იაპონიაში, იტალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში განმეორებალობა ვიწრო გავებით იფარვლება. ამ მოთხოვნას პასუხობს ისეთი გამოგონებები, რომლებიც შეიძლება სამრეწველო ვებით განხორციელდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, წინადადების გამოგონებად აღიარებისათვის, გარდა დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა არსებობდეს ისეთი ნიშან-თვისება, რომელიც საპატენტო კანონებსა და დებულებებში მითითებული არაა, მაგრამ მისგან გამომდინარეობს. საქმე ეხება გამოგონების განხორციელების არაერთგზის შესაძლებლობის, კვლავწარმო-

ების, ობიექტის განმეორებადობას. მხედველობაშია ის ობიექტი, რომელშიც რეალიზებულია გამოვლენა. ზემოთ მოყვანილი მაგალითი მიუთითებს წინადადების მრავალგზის კვლავწარმოების შეუძლებლობაზე, რომელიც ითვალისწინებს რომელიმე უნიკალური, ბუნებრივი და სხვა პირობის გამოყენებას და ამდენად, იმის შეუძლებლობას, რომ ასეთი წინადადება მიეკუთვნოს გამოვლენათა კატეგორიას და მასზე შესაბამისად ვაიცეს დამკველი დოკუმენტი – პატენტი.

ამრიგად, შეიძლება გამოვიყენოთ დასკვნა, რომ ობიექტის, რომელშიც გამოყენებულია გამოვლენა, არაუერთგზის კვლავწარმოების შესაძლებლობაზეა აკებული გამოვლენათა დაცვა ყველა ქვეყანაში.

უმეტეს ქვეყნებში განმეორებადობის უნარის უქონლობის გამო პატენტუნარიანად არ მიიჩნევა ცოცხალი ორგანიზმები და მათი კვლავწარმოების ხერხები.

სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებულ ქვეყნებში მცენარეთა თესლების თესვისა და თესვის ხერხების შესახებ დაიწყო უფლებრივი დაცვის შემოღება. ამასთან, მონოპოლიის ფორმები და მათი დადგენის მეთოდები ერთობ სხვადასხვაგვარია. ამჟამად სელექციურ მიღწევათა უფლებრივი დაცვა არსებობს ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში და მათი რეგულირება ხდება საპატენტო სამართლის არა ზოგადი, არამედ სპეციალური კანონმდებლობით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიკროორგანიზმები და სხვადასხვა ნივთიერების მიღება-დამუშავების მიკრობიოლოგიური ხერხები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, კვების, მეგალურჯის, ქიმიურ, სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, მაგალითად, ანტიბიოტიკების, ვიტამინების, ღვინის, უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის, ნავთობპროდუქტების და ა.შ. მიღებისათვის.

ბოლო ხანს მრეწველობაში მიკრობიოლოგიური ობიექტების ფართო გამოყენებამ გამოიწვია საპატენტო მონოპოლიის დადგენის აუცილებლობა ამ მიღწევათა გამოყენებაზე, რაც განხორციელდა კიდევ უმეტესი ქვეყნების საპატენტო ანდა სპეციალური კანონმდებლობით.

საერთოდ, როდესაც საქმე ეხება სამრეწველო გამოყენებადობას, ზოგიერთი ქვეყანაში – ძირითადად ფრანგული და გერმანული საპატენტო სისტემების მქონე ქვეყნებში – სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმები, გექნიკური გადაწყვეტისა და განმეორებადობის მოთხოვნასთან ერთად გამოგონების სარგებლიანობის მოთხოვნასაც შეიცავს.

ინგლისური¹ და ამერიკული საპატენტო სისტემების მქონე ქვეყნებში, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყანაშიც გამოგონების სარგებლიანობის მოთხოვნას პატენტუნარიანობის კრიტერიუმის დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რაც მათი საპატენტო კანონმდებლობითაა დადგენილი.

მართალია, კანონი, ჩვეულებრივ, არ ხსნის იმას, თუ რას ნიშნავს გამოგონების სარგებლიანობა, მაგრამ ამ კრიტერიუმის შინაარსი დგინდება სასამართლო ან ადმინისტრაციული პრაქტიკით.

სარგებლიანობის მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ გამოგონება, რომელიც განსორციელებულია პრაქტიკაში, უნდა იძლეოდეს დადებით ეფექტს, სახელობრ, იმას, რასაც ითვალისწინებდა მისი შექმნა.

საყალბელო არაა, რომ გამოგონების განხორციელების შედეგად მიღებული ეფექტი იყოს ახალი. გამოგონება შეიძლება ხსნიდეს ახალ გზას ცნობილი შედეგის მისაღწევად და ამ შემთხვევაშიც იგი სარგებლიანად მიიჩნევა.

გერმანული საპატენტო სამართლის მქონე ქვეყნებში სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებთან ერთად, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკით გამოიყენება სხვა კრიტერიუმიც – გამოგონების ე.წ. გექნიკური პროგრესულობა.

გექნიკური პროგრესულობის თანახმად, ახალი იდეა უნდა ამდინდრებდეს გექნიკას და მან გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერულ-გექნიკური ამოცანების განვითარებაში. თუმცა აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოგონება ამ შემთხვევაში იმაზე უფრო მნიშვნელოვან მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ეს კრიტერიუმები არ არსებობს. ამოცანის გექნიკური გადაწყვეტა

¹ ინგლისში 1978 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული საპატენტო კანონი არ ითვალისწინებს გამოგონების სარგებლიანობის კრიტერიუმებს.

შეიძლება პაგენგუნარიანად იქნეს მიჩნეული თუნდაც მაშინ, როცა მას ადრე ცნობილთან შედარებით გარკვეული ნაკლოვანებები აქვს.

ახალ იდეას, გექნიკური თეალსაზრისით, პროგრესულად მიიჩნევენ, თუ მისი უპირატესობა ნაკლოვანებებს სჭარბობს.

პროგრესულად არ ითვლება ის იდეები, რომლებიც, მიუხედავად სხვა ხასიათის უპირატესობებისა, გექნიკური თეალსაზრისით, ან რეგრესულს წარმოადგენს ან მას არაეითარი წვლილი არ შეაქვს მეცნიერულ-გექნიკური ამროვნების განვითარებაში.

შეიძლება ითქვას, რომ გექნიკური პროგრესულობის კრიტერიუმი, რომელსაც გერმანული სამართალი ითვალისწინებს, არსებითად არ განსხვავდება სარგებლიანობის კრიტერიუმისაგან, რომელიც, როგორც აღინიშნა, ფრანგული საპაგენგო სამართლის სისგემის მქონე ქვეყნებში სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ამერიკულში – პაგენგუნარიანობის დამოუკიდებელ კრიტერიუმს. გექნიკური პროგრესულობა გულისხმობს, რომ სიახლე უნდა ეხებოდეს გექნიკურ საშუალებებს, რომლებსაც იყენებს იდეა, აშასთან, ისინი უნდა იძლეოდნენ პრაქტიკულ სარგებლობას და ამდირებდნენ გექნიკას. ნებისმიერი ახალი, პრაქტიკულად განსორციელებადი გექნიკური იდეა კი ამდირებს გექნიკას, ხელს უწყობს მეცნიერულ-გექნიკური პროგრესის განვითარებას,

საგამომგონებლო შემოქმედების (არასიაშკარავის) მოთხოვნა თითქმის ყველა განვითარებული მრეწველობისა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაშიც არსებობს. უმეტეს ქვეყნებში ეს მოთხოვნა განმტკიცებულია კანონმდებლობით.

ახლა შევეცადოთ გავცეთ პასუხი იმას, თუ რას წარმოადგენს საგამომგონებლო შემოქმედების კრიტერიუმის შინაარსი.

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლება ძნელიც იყოს, რადგან საქმე ეხება ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას, ხოლო შემოქმედებითი პროცესების ბუნების ახსნა სხვადასხვა ფაქტორთან, მათ შორის ფსიქოლოგიურთანაც არის დაკავშირებული და მისი განმარტების იურიდიული ნორმა ჯერჯერობით დადგენილი არაა და.

საერთოდ, ეს პროცესი სათანადოდ არცაა შესწავლილი. შეიძლება მსოლოდ ის ითქვას, რომ შემოქმედებითი იდეა, ე.ი. პატენტუნარიან გადაწყვეტაში ჩადებული შემოქმედებითი იდეა უნდა შეიცაყდეს გარკვეულ სარისხობრივ მანყენებლებს ან ღონეს. თუ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ იდეა აგარებს საგამომგონებლოს სახელწოდებას და მისი შედეგი შეიძლება დაპატენტდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტა პატენტუნარიანად არ მიიჩნევა. იმის გარკვევა, თუ როგორია შემოქმედებითი იდეის სარისხობრივი მანყენებული ან ღონე, რომელიც მოიცავს პრაქტიკაში არსებულ ყველა შემთხვევას, ზოგჯერ შეუძლებელია.

ამა თუ იმ გადაწყვეტის პატენტუნარიანობის დადგენისათვის მნიშვნელოყან როლს ასრულებს ექსპერტის, სასამართლოს სუბიექტური შეყასება. ამოყანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების უქონლობა ან არსებობა. კონკრეტული მღგომარეობიდან გამომდინარე, თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებული სახით ვლინდება და ბეყრად არის დამოკიდებული პირად შესედულებებსა და გამოყონების ექსპერტის ჩამტარებული პირების ტექნიკურ და სამართლებრივ ერედიციაზე.

ამოყანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების არსებობის განსაზღვრისათვის საპატენტო უწყებები და სასამართლოები სარგებლობენ გამოყონების არასიაშკარავის ცნებით. ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონებში (აშშ, ინგლისი, კანადა, საყრანგეთი და სხვ.) საგამომგონებლო შემოქმედების კრიტერიუმები განისილება უშუალოდ არასიაშკარავის (ან სიაშკარავის) ცნების საშუალებით. მაგალითად, საყრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „გამოყონება საგამომგონებლო საქმიანობის მქონედ ითულება, თუ იგი სპეციალისგისათვის არ წარმოადგენს ტექნიკის მღგომარეობიდან აშკარად გამომდინარეს“. თუცა აქვე მითითებულია, რომ, თუ ტექნიკის მღგომარეობა შეიცავს ყრანგულ პატენტზე განაცხადს, აყრეთვე ეეროპულ და საერთაშორისო განაცხადებს, სადაყ საყრანგეთი მითითებულია დაპატენტების ადგილად ისეთივე სახით. როგორითაც სხვა ქვეყნები. რომელთა განაცხადში შეტანის თარიღი წინ უსწრებდა ტექნიკის ღონის მღგომარეობის განსა-

ბლერისათვის განკუთვნილ მასალებს, მაგრამ ისინი გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ამ თარიღით ან უფრო გვიან, მაშინ ეს დოკუმენტები საგამომგონებლო საქმიანობის შეფასებისათვის მხედველობაში არ მიიღება.

საქართველოს საპატენტო კანონში ნათქვამია: „გამოგონებას აქვს საგამომგონებლო ღონე, თუ განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი ამ პრიორიტეტის თარიღისათვის, იგი სპეციალისტისათვის აშკარად არ გამოძინარეობს ტექნიკის არსებული ღონიდან“.

აშშ-ის საპატენტო კანონი უფრო ფართოდ განსაზღვრავს არასიაშ-კარავის დახმარებით საგამომგონებლო შემოქმედების საშუალებას. თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში იმ ცნებათა შინაარსი, რომელთა დახმარებითაც განისაზღვრება საგამომგონებლო შემოქმედება, ერთნაირი არ არის, კერძოდ, მხედველობაში მიიღება სიაშკარავე, გადაწყვეტის არსი. მთლიანად გამოგონების შექმნის მომენტი, საშუალო სპეციალისტი, ცოდნის ღონე და ა.შ.

თუმცა არსებობს ზოგიერთი ზოგადი დებულებაც. საპატენტო სამართალში „სიაშკარავის“ ცნების შინაარსი განსხვავდება საერთოდ მიღებულისაგან. ჩვეულებრივ, „სიაშკარავედ“ მიიჩნევა მოულოდნელი, თბიერებები, გადაწყვეტები, რომლებიც მათი გაცებისათვის ანალიზს, განსჯას არ საჭიროებენ. საპატენტო სამართალში სიაშკარავის ცნება კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს გააზრების აუცილებლობას, ცდების ჩატარებას, ანალიზს და ა.შ. აშკარად ითვლება ისეთი გადაწყვეტა, რომელთანაც აუცილებლად შეიძლება მივიღეთ ლოგიკური მსჯელობის, ანალიზის, ცდების გზით. ამასთან ერთად სიაშკარავე არ გულისხმობს სპეციალისტის მიერ ამოცანის გადაწყვეტის ხერხის წინასწარ აბსოლუტურ განჭვრეტას და მიღებული შედეგის წარმატებისადმი რწმენას.

საგამომგონებლო შემოქმედების განსაზღვრისას განხილული უნდა იქნეს მთლიანად გადაწყვეტის არსი. ე.ი. საკმარისი არ არის. რომ იგი ცალკე აღებული თითოეული ელემენტის წინა გადაწყვეტებიდან

იყოს ცნობილი. მაგალითად, თუ ვადაწყვეტა ელემენტების კომბინაციაა, მაშინ იგი განიხილება, როგორც რაიმე ერთიანობა და მისი რომელიმე ნაწილის უარყოფა თითოეული შემადგენელი ელემენტის ცნობილობის საფუძველზე არ დაიშვება. „მთლიანობაში ვადაწყვეტის არსის“ გამო-სახეას ფართო გაგება აქვს. იგი მოიცავს არა მარტო პრობლემის ვადაწყვეტის საშუალებებს, არამედ თვით პრობლემის დასმასა და მის შედეგს. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება შეგვხვდეს მაგალითები, როცა სასამართლო არასიაშკარავედ მიიჩნევს ცნობილი ელემენტების კომბინაციას, თუნდაც იგი არაერთარ ახალ ეუექს არ იძლეოდეს და მისი ყველა ელემენტი მათთვის აღრე დამახასიათებელ ცნობილ ფუნქციებს ასრულებდეს. ამ შემთხვევაში კანონი არასიაშკარავედ მიიჩნევს თვით პრობლემის დაყენებას, რომ არააშკარა პრობლემა მისი ცნობილი საშუალებების განსორციელებასთან კაეშირში პატენტუნარიან გამოგონებას წარმოადგენს.

ვადაწყვეტის სიაშკარავე განიხილება იმ მომენტისათვის, როცა იგი შექმნილი იყო. განაცხადის საპატენტო უწყებაში განხილების პროცესში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სირთულეები, ჩვეულებრივ, არ წამოიჭრება. მართალია, როგორც აღინიშნება ხოლმე სასამართლო ვადაწყვეტილებებში, ექსპერტი უნდა მოერიდოს სიაშკარავის შეყასებას იმ ვახსნის საფუძველზე, რომელიც თვით განმცხადებლის მიერ იყო განსორციელებული, ე.ი. სიაშკარავის განსაზღვრისას არ შეიძლება მხედველობაში მივიდოთ თვით განსახილველი ვადაწყვეტა. თუკი დაეა პატენტის ნამდვილობასთან დაკავშირებით გამოგონების შექმნის მნიშვნელოვანი დროის ვასელის შემდეგ წარმოიქმნება, მაშინ აქ ხშირია შეცდომები, რამდენადაც ის, რაც გამოგონების შექმნის მომენტში არააშკარა იყო, დავის განხილების დროს შეიძლება უკვე ჩვეულებრივი, აშკარა იყოს, და პატენტუნარიანობის განმსაზღვრელ პირს ვაუჭირდება იმის დადგენა იყო თუ არა გამოგონება რამდენიმე წლის წინათ აშკარა.

დასაპატენტებელი გამოგონების სიაშკარავე განისაზღვრება ე.წ. „საშუალო სპეციალისტის“ მიმართ. „საშუალო სპეციალისტის“ ცნება

გულისხმობს იმ პირს, რომელიც გამოგონების შექმნის მომენტისათვის ულობს ზოგადი ხელმისაწვდომი ცოდნისა და მეშაობის გამოცდილებას იმ დარგში, რომელსაც გამოგონება მიეკუთვნება. ამასთან, ცოდნის ამ სახეების დონე უნდა იყოს ჩვეულებრივი, საშუალო. იმ პირის აზრს, ვინც არ ულობს აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას იმ დარგში, რომელსაც გამოგონება მიეკუთვნება, არასიაშკარავის განსაზღვრისას მნიშვნელობა არა აქვს. მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ასევე გამოირჩევა იმ კატეგორიის პირებისაგან, რომლებიც ამ დარგში ჩვეულებრივ ცოდნას ულობენ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენს სინამდვილეში მოთხოვნები საშუალო სპეციალისტის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა და თანამედროვე სპეციალისტი, როგორც წესი, მაღალკვალიფიციური ინჟინერტექნიკოსი, არა მარტო ამომწურავად ულობს თავის დარგში ცნობილი ცოდნის მარაგს, არამედ სხვა დარგების ან დარგთაშორისი ცოდნის საკითხებშიც ერკვევა.

იმის გარკვევა, გექნიკური და გექნოლოგიური გადაწყვეტები აშკარაა თუ არააშკარა, დამოკიდებულია მიიღვ რიგ კონკრეტულ და სუბიექტურ ფაქტორებზე და სიაშკარავისა და არასიაშკარავის მუსტი საზღვრების დადგენა ყოველთვის შესაძლებელი არ არის. გარდა ამისა, არასიაშკარავე განისაზღვრება სხვა. უფრო განუსაზღვრელი ცნების – „საშუალო სპეციალისტის“ მიმართ, და რამდენადაც ეს ცნება პირობითია, შეიძლება წარმოვიდგინოთ მოცემული საკითხის გადაწყვეტისადმი გულდასმით მიდგომის საჭიროების დიდი მნიშვნელობა, რადგანაც საქართველოს საპატენტო კანონში გამოგონების მიმართ ერთ-ერთი კრიტერიუმი – „საგამომგონებლო დონე“ გულისხმობს, რომ „გამომგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად (აშკარად) არ გამოძინარეობს გექნიკის არსებული დონიდან“.

აი, რატომ და არა მარტო ამიტომ საჭიროა არასიაშკარავის განსაზღვრის იმ წესების ცოდნა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მრავალწლიანი აღმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე არის შემუშავებული. ამ წესებმა მიიღო „არასიაშკარავის

განსაზღვრის პრაქტიკული წესების“ სახელწოდება. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს ძირითადად თითქმის ერთი და იგივე წესები. უფრო დაწვრილებით ისინი დამუშავებულია იმ ქვეყნებში, რომელთა საპატენტო სამართალს ხანგრძლივი, მდიდარი გამოცდილება აქვს და განვითარებულია საპატენტო მეცნიერება. ეს ქვეყნებია უპირველესად აშშ და გერმანია.

აშშ-ში არასიამოვნარაყის კრიტიკიკუმების თანამიმდევრული გამოყენება ჯერ კიდევ 1850 წლიდან დაიწყო. დროთა განმავლობაში აშშ-ის საპატენტო უწყებამ და სასამართლოებმა შეიმუშავეს მთელი რიგი პრაქტიკული წესები, რომლებითაც სარგებლობენ ექსპერტები და მოსამართლეები გამოგონებათა პატენტუნარიანობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას. ამ წესებმა აშშ-ში მიიღო „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ წესების სახელწოდება. პოზიტიური წესები გამოიყენება არასიამოვნარაყის დადასტურებისათვის, ნეგატიური – უარყოფისათვის. თითოეულ წესს საკმაოდ ვიწრო მსინარსი აქვს და ასახავს საგამომგონებლო საქმიანობის ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას. ბუნებრივია, რომ გექსნიკური შემოქმედების ყველა სახის ჩამთოილა, რომლებიც ცხოვრებაში გვხვდება, შეუძლებელია. ამასთან ერთად არაერთი განმაზოგადებელი ფორმულირება, რომელიც სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება სასარგებლო იყოს, არ არსებობს. ამერიკელმა პოზიტიურმა და ნეგატიურმა წესებმა გავრცელება პოჟა მექსიკაში, პერუში და სხვა ქვეყნებში.

გერმანული საპატენტო სამართლისათვის საგამომგონებლო შემოქმედების კრიტიკიკუმები ცნობილია XIX საუკუნის ბოლოდან. განვლილ პერიოდში იურისგებმა პატენტუნარიანობის განსაზღვრისათვის გამიმზული პრაქტიკული წესების საკუთარი სისტემა შეიმუშავეს. ამ წესებს უფრო ფართოდ განმაზოგადებელი სასიათი აქვთ, უფრო სწორად ასახავენ საგამომგონებლო შემოქმედების თავისებურებებს და შეიძლება გამოყენებულ იქნენ მის სხვადასხვა სახესთან ერთად. მსგავს წესებს ფართოდ იყენებენ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო უწყებები და სასამართლოები.

შემოქმედებულ ნაშრომში გადმოცემული დებულებები გერმანულ

სისტემას უახლოვდება.

სრულიად ახალი ან ცნობილი ტექნიკური პრობლემის აბსოლუტურად ახალი ხერხით გადაწყვეტა თითქმის ყველა ქვეყანაში გამოგონებულად მიიჩნევა. ასეთი გამოგონებებს პიონერულს უწოდებენ, რამდენადაც მათ ტექნიკის ისტორიაში პრეცედენტი არა აქვთ და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარებაში საეგაპო მნიშვნელობა ენიჭებათ. ასე მაგალითად, პირველი ანტიბიოტიკის – პენიცილინის შექმნა წარმოადგენდა პიონერულ გამოგონებას, რომელმაც დაავადების გარკვეული სახის მკურნალობის ახალი მეთოდი დაამკვიდრა. იაყის დროზე პიონერულ გამოგონებებს წარმოადგენდნენ ორთქლის მანქანა, ვარეარის ნათურა, პლასტმასები, რადიო, გელეხედეა, რადარი, ლაზერი, ატომური რეაქტორი და ა.შ. ეს გამოგონებები ყველა ქვეყანაში უდავოდ მიჩნეული იყო არააშკარად და პატენტუნარიანად.

პიონერული გამოგონება საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. უმეტესი ტექნიკური გადაწყვეტები უკვე არსებული პროტოტიპების ბაზაზე იქმნება და მათს დამატებას ან განვითარებას წარმოადგენს. მათი არასიაშკარავის დადგენისათვის სარგებლობენ ახალი ტექნიკური ეფექტის ცნებით. თუ ცნობილი ელემენტები ახალ პირობებში ახალ ეფექტს იძლევიან და ადრე უცნობ რაიმე ახალ თვისებებს ფლობენ, გამოგონება შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად. მისი პატენტუნარიანობის მისაჩნევად, როგორც წესი, საჭიროა, რომ გამოგონების ეფექტი ან თვისება სპეციალისტისათვის „მოულოდნელი“ იყოს, ე.ი. ადრე არსებული ცოდნით მსგავსი ეფექტის მიღწევა შეუძლებელი იყოს.

მეორე მხრივ, თუ ცნობილი ელემენტები ახალ პირობებში ახალ თვისებებს არ ფლობენ, ე.ი. ცნობილი ელემენტების გამოყენებაზე დაუუძნებელი ამოცანის გადაწყვეტა ახალ შედეგს არ იძლევა, გამოგონება აშკარად და არაპატენტუნარიანად მიიჩნევა.

ამრიგად, მიღებული შედეგი წარმოადგენს ტექნიკური გადაწყვეტის არასიაშკარავის მნიშვნელოვან მაჩვენებელს: თუ ახალი ეფექტი, საერთოდ, არ არსებობს, შეიძლება დამატურებლად ითქვას, რომ გამოგონება არაპატენტუნარიანია. ამავე დროს მოცემული მაჩვენებელი

ყოველთვის არ იძლევა უფლებას დანამდილებით დაეადგინოთ არასიამკარავის არსებობა ან უქონლობა. თუ ცნობილ საშუალებათა ახალი შეთავსება ახალ ეუქეს იძლევა, მაშინ გამოიგონება შეიძლება იყოს პატენტუნარიანი ან არაპატენტუნარიანი, ე.ი. გამოგონების განსაზღვრა ეუქესის ხასიათზეა დამოკიდებული.

ტექნიკური გადაწყვეტების უმეტესობა წარმოადგენს ცნობილი ელემენტების – ტექნიკური სერხების, საშუალებების, ნივთიერებების, ლეგალების, კვანძების, მოწყობილობების ნაერთის – ერთიან მთლიანობას გარკვეული მიზნის მიღწევისათვის და რაიმე შედეგის მისაღებად.

თუ ორი ან მეტი ცნობილი ელემენტის შეერთებისას თითოეული მაიოვანი ასრულებს ადრე მისთვის არაღამახასიათებელ ფუნქციებს, აულებს რაიმე ახალ თვისებებს ან კიდევ ცნობილი ელემენტების შეერთება ახალ შედეგს იძლევა (მიღებული შედეგებიდან საუკეთესო შემადგენელ ელემენტებს), ასეთი ნაერთის ეწოდება კომბინაცია და იგი შეიძლება მიიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად.

კომბინაციური გამოგონების შემთხვევაში აუცილებელი არაა მიღებული ეუქესის სიახლე. თვით იგი შეიძლება იყოს ტექნიკაში ცნობილი, მთავარია მისი ხარისხობრივი ხასიათი.

თუ ნაერთის თითოეული ელემენტი აგრძელებს ადრე ცნობილი თავისი ფუნქციის შესრულებას და მისი მოგადი ეუქეტი წარმოადგენს შექმნილი ეუქეტების ჯამს, ასეთი ნაერთი მიიჩნევა აშკარად და მას აცრევაგი ეწოდება.

კომბინაციის ერთი ელემენტის სრულყოფა, რომელიც შეიძლება თავისთავად იყოს პატენტუნარიანი, ან ცნობილი ელემენტების კომბინაციაში ახალი პატენტუნარიანი ელემენტის ჩართვა არ ხდის აპრიორულ მთლიან კომბინაციას არააშკარას. ძველი ელემენტების შეერთება ახალ ელემენტებთან პატენტუნარიანად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ახალი ელემენტის არსებობა ძირეულად ცვლის ფუნქციებს და ცნობილი ელემენტებისა და ნაერთის ურთიერთმოქმედება მთლიანობაში სპეციალისგის მიერ გაუთვალისწინებელ ახალ შედეგს იძლევა. მაშასადამე, თუ ცნობილი ელემენტების შეერთება

ახალ ეფექტს იძლევა, მაშინ ხორციელდება კომბინაცია და, პირიქით, ის შეერთება რობელის სარისსობრივ ახალ შედეგს არ იძლევა, ყოველთვის აგრეგატად მიიჩნევა.

მსოფლიოს საპატენტო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო ხანს აგრეგატის ცნება არსებით ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, აშშ-ში XIX საუკუნის ბოლოს იყო შემთხვევა, როცა გაუქმდა პატენტი, რომელიც გაცემული იყო ფანქარზე, საშლელით ბოლოში. სასამართლომ დაპატენტებული გამოგონება ჩათვალა აღრე ცნობილი ელემენტების (ფანქრისა და საშლელის) უბრალო აგრეგატად, რამდენადაც არ ხდებოდა მათი ურთიერთმოქმედება და შერწყმისას ისინი ჯამობრივ და არა სარისსობრივ ახალ ეფექტს იძლეოდნენ. თუმცა უკვე 70-იანი წლებიდან მოგვიერთ ქვეყანაში აგრეგატის დადგენილი ცნება ცვლილებას განიცდის. თუ ცნობილი ელემენტების შეთავსება, მიუხედავად მათი ჯამობრივი ეფექტისა, მომსარებელს გარკვეულ ხელსაყრელ პირობებს უქმნის, ასეთი გადაწყვეტა მთელ რიგ ქვეყნებში პატენტუნარიანად მიიჩნევა. მაგალითად, 1972 წელს აშშ-ში გაცემული იყო პატენტი ბავშვის კოვზზე თერმომეტრით, ხოლო 1974 წელს საფრანგეთში – საეარცელზე სკალით¹.

ცნობილი ობიექტის ახალი გამოყენება შეიძლება იყოს პატენტუნარიანი. ამ შემთხვევაში მას უწოდებენ გამოგონებას „ახლებურ გამოყენებაზე“ იგი შეიძლება იყოს შედეგი ჩვეულებრივი საინჟინრო საქმიანობისა და ამ შემთხვევაში მას იხსენიებენ, როგორც „გადაგანას“.

ობიექტის გამოყენება ახალი დანიშნულებით გამოგონებად მიიჩნევა, თუ ობიექტი აუღენს რაიმე ახალ ან მოულოდნელ თვისებას და ასრულებს მისთვის არადაპასხასიათებელ ფუნქციას, ე.ი., თუ ახლებური გამოყენება ახალი შედეგის მიღებას იწვევს.

ამავე დროს, როგორც წესი, გამოგონებად არ მიიჩნევა ცნობილი ობიექტის გამოყენება მონათესავე დარგში. მაგალითად, არაპატენტუნარიანია პნევმატური გრანსპორტირების ცნობილი ხერხის გამოყენება თამბაქოს გრანსპორტირებისათვის.

¹ სს. აშშ-ის პატენტი № 3695110 და საფრანგეთის პატენტი № 2194112.

ამასთან ერთად „გექნიკისაგან დაშორებულ სფეროში“ ცნობილი ობიექტის გამოყენება არ წარმოადგენს პაგენგუნარიანობის აბსოლუტურ მტკიცებას, ზუსტად ისევე როგორც მისი გამოყენება გექნიკასთან ახლოს მდგომ სფეროში არ წარმოადგენს აბსოლუტურ წინააღმდეგობას პაგენგის გაცემაზე და შეიძლება მიჩნეული იქნეს არასიაშკარაველ, თუ მისი შედეგი სპეციალისტების მოლოდინს აჭარბებს. მაგალითად, გერმანიაში მოხდა შემთხვევა, როცა გერმანიის იმპერიულმა სასამართლომ 1936 წელს არასიაშკარაველ მიიჩნია თამბაქოს დამუშავების ცნობილი ხერხის გამოყენება თამბაქოს ნელლეულის დამუშავებისათვის, რადგან შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

არასიაშკარავეის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვისების ცნობილობას, რომელზეც დაფუძნებულია „ახალი გამოყენება“. თუ ეს თვისება კარგად იყო ცნობილი სპეციალისტებისათვის და მისი გამოყენება ცნობილი ობიექტის არაერთარ ახალ მხარეს არ ხსნის, ვადაწყვეტა არაპაგენგუნარიანია. ზოგაერთი ქვეყანაში (ესპანეთი, მექსიკა და სხვ.) გამოგონების ახალი დანიშნულებით გამოყენება, საერთოდ, არ ექვემდებარება დაცვას.

ცნობილ ნაკეთობაში, ნივთიერებაში, ხერხში რაიმე ელემენტის სხვა ელემენტით შეცვლა შეიძლება პაგენგუნარიანი იყოს, თუ იგი ახალ გექნიკურ უფექტს იძლევა, მაგრამ შეიძლება არაპაგენგუნარიანად იქნეს მიჩნეული, თუ ეს ახალი უფექტი არ იქნა მიღებული.

გექნიკური ამოცანის გადაწყვეტის არასიაშკარავეის განსაზღვრისათვის, რომელიც ცნობილ ობიექტში რაიმე ელემენტის შეცვლას გულისხმობს, გამოიყენება ეკვივალენტურობის თეორია. აღნიშნული თეორია სარგებლობს ე.წ. გექნიკურის ცნებით, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში – საპაგენგო-უფლებრივი ეკვივალენტის ცნებითაც.

ეკვივალენტურობა, უართო ვაგებით, ნიშნავს ობიექტების გოლუასობას გარკვეულ დამოკიდებულებასა და გარკვეულ პირობებში. გექნიკური ეკვივალენტების ცნება გულისხმობს ისეთ სამუალებებს, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთშენაცვლებითსა და მოცემულ კონკრეტულ პირობებში ერთნაირ გექნიკურ შედეგს იძლევიან. ორი გექნიკური

საშუალება ეკვივალენტურია ვარკვეულ დამოკიდებულებაში. მაგრამ ისინი შეიძლება კონსტრუქციულად ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდნენ და ფუნქციურად სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდით და ა.შ. მაგალითად, შედუღება და მოქლონვა წარმოადგენს ფურცლოვანი ფოლადის შეერთების ეკვივალენტურ საშუალებებს. ამასთან, თუ აუცილებელია შეერთების პერმეგულობის უზრუნველყოფა, მათი შესაძლებლობები ურთიერთშენაცვლების სახით არ უნდა იქნეს განხილული, რამდენადაც მოქლონვა ამ მხრივ ისეთსავე შედეგს არ იძლევა, რასაც შედუღება. მეორე მხრივ, შედუღება გამოიყენება მხოლოდ ვარკვეული ლითონების შესაერთებლად, ხოლო მოქლონვა ვარვისიანებისმიერისათვის.

ტექნიკური ეკვივალენტური საშუალებები შეიძლება ცნობილი იყოს სპეციალისტებისათვის და შეიძლება განმსხვავდებლოს მონაპოვარიც იყოს. ობიექტში ელემენტის შეცვლა ცნობილი ტექნიკური ეკვივალენტით მიიჩნევა აშკარად, თუნდაც ასეთი შეცვლა სასარგებლო იყოს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდეს. მაგალითად, ვერ-ში 1957 წელს საპატენტო უწყებამ უარყო განაცხადი გამოგონებაზე, რომელიც ელექტრონათურების ნახევარგამტარი გრიოლებით შეცვლას ეხებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა.

თუ შემცველი ელემენტი ან მისი ძველ ელემენტთან ეკვივალენტურობა ცნობილი არაა, ტექნიკური ვადაწყვეტა პატენტუნარიანად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ავტორის შემოქმედებითი წვლილის პირობა იქნება უზრუნველყოფილი.

თუ ეკვივალენტით შეცვლა ახალ ეფექტს არ იძლევა, ვადაწყვეტა არაპატენტუნარიანად მიიჩნევა, თუნდაც შემცველი ელემენტი ან მისი ძველ ელემენტთან ეკვივალენტურობა აღრე ცნობილი არ იყოს.

გერმანული საპატენტო სამართლის მქონე ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია, შეიქარია და სხვ.) არსებობს ეკვივალენტების ორი სახე – ტექნიკური და საპატენტო-უფლებრივი. ტექნიკურ ეკვივალენტებს უწოდებენ ისეთ საშუალებებს, რომელთა ეკვივალენტურობა ფართოდ იყო

ცნობილი სპეციალისტებისათვის განსახილველი წინადადებების შეგანამდე და, ბუნებრივია, მსგავსი წინადადება პატენტუნარიან გამოცონებად არ მიიჩნევა. საპატენტო-უფლებრივი ეკვივალენტის ცნება გულისხმობს გექსიკურ საშუალებებს, რომელთა ეკვივალენტურობა აღრე ცნობილი არ იყო. თუმცა ერთი საშუალების შეცვლა სხვით ანალოგიურ შედეგს იძლევა და ამიგომ იგი აშკარად მიიჩნევა და პატენტუნარიან გამოცონებას არ ქმნის. მაგალითად, ფილტრის ცენტრი-ფუგაზე შეცვლა პულპის გაუწყლოებისათვის გერმანიაში მიჩნეული იყო საპატენტო-უფლებრივი ეკვივალენტად, ე.ი. არაპატენტუნარიან გექსიკურ გადაწყვეტად. დასახელებული ეკვივალენტების კლასიფიკაცია პირობითი სასიათის აგარებს, რადგანაც გერმანული საპატენტო სამარ-თილით „გექსიკური“ და „საპატენტო სამართილებრივი“ ეკვივალენტებიც, აშკარად გექსიკურია იმ ვაგებით, რომ ისინი წარმოადგენენ გექსიკურ საშუალებებს, რომლებიც გარკვეულ პირობებში ერთნაირ გექსიკურ ფუნქციას ასრულებენ და ამიგომ ერთნაირ ნეგატიურ უფლებრივი ფუქტს იძლევიან – არ ქმნიან პატენტუნარიან გამოცონებას.

ამოცანის გექსიკური გადაწყვეტა, რომელიც მთელი რიგი ცნობი-ლი გადაწყვეტებიდან ერთი გადაწყვეტის შერჩევას გულისხმობს, პატენტუნარიან გამოცონებად მიიჩნევა, თუ შერჩევის შედეგს წარმო-ადგენს ახალი გექსიკური უფექტი. ასეთმა გადაწყვეტებმა სელექციური, ე.ი. შერჩეული გამოცონების სახელწოდება მიილო.

შერჩევის შედეგად არავითარი ახალი ნივთიერება, ხერსი ან ნაკეითობა არ იქმნება. უფრო მეტიც, მაგალითად, შერჩეული ნივთიერება თავისთავად ყოველთვის ცნობილია მთელი რიგი ნივთიერებებიდან ერთ-ერთის წარმოდგენის სახით, რომელსაც გარკვეული თვისებები და დანიშნულება აქვს. სელექციური გამოცონების არასიაშკარავე ელსინდება მოცემულის მსგავს ნივთიერებათა ცნობილი თვისებისაგან განსხეაებული ახალი მოულოდნელი თვისებებით, რომლებიც საშუალე-ბას იძლევა ან თვისებრივად ახალი უფექტი მივილოთ, ან კიდეც ცნობილი უფექტის შრავალჯერადობის გაზრდას მივალწითო.

სელექციური გამოცონება შეიძლება ეუწოლოთ ცნობილი ნაერთის

კომპონენტების გარკვეული თანამიმდევრობით შერჩევას, თუ მოცემული შერჩევა საშუალებას იძლევა მივიღოთ ახალი თვისებების მქონე ნივთიერება. მაგალითად, ღიღი ხნის მანძილზე ცნობილი იყო შენაღსობი, რომელშიც შედიოდა ალუმინი, სპილენძი და მავნიუმი. შენაღსობი ანტიმავნიტური იყო. კომპონენტების გარკვეული თანაფარდობის შედეგად მიღებულ იქნა ახალი შენაღსობი, ე.წ. პეისლერის შენაღსობი, რომელიც ფლობს დამავნიტების უნარს, ე.ი. იძენს ახალ თვისებას.

სელექციური გამოცონებები წარმოადგენს ქიმიის ღარგში გამოცონებათა ფართოდ გავრცელებულ კატეგორიას (საღებავები, კატალიზატორები, შენაღსობები და სხვ.) და ყველაზე ხშირად ისინი ნივთიერების თვისებები არიან. პრინციპში, შესაძლებელია გადაწყვეტის პატენტუნარიანობა, რომელიც ერთნაირი გიჟის ცნობილი მრავალრიცხოვანი ნაკეთობებიდან და ხერხებიდან ერთი ნაკეთობის ან ხერხის შერჩევას გულისხმობს.

ობიექტში ელემენტების თანაფარდობის ცვალებადობა, მაგალითად, ფორმების, ზომების, პროპორციების, ნივთიერებათა ინტრედიენტების თანაფარდობა გამოცონებად კი არ ითვლება, არამედ განიხილება ჩვეულებრივ, როგორც უბრალო დაპროექტების შედეგი. მაგრამ, თუ ნაკეთობის ფორმის, ზომების, პროპორციების შეცვლა მოქმედების ხერხის შეცვლას იწვევს, ცვლის მის ფუნქციას და ახალ მოულოდნელ შედეგს იძლევა, ამგვარი ცვლილება შეიძლება პატენტის საგანი იყოს. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო უწყებამ პატენტუნარიანად მიიჩნია განსაკუთრებული ფორმის კარგოფილის ღრაჟუნა ნაჟრებზე განაცხადი, რამდენადაც ეს უკანასკნელი პროდუქტს ახალ სპეციფიკურ თვისებებს ანიჟებდა, კერძოდ, ცვლიდა ქონის, სითხის გარკვეულ შემცველობას.

ცნობილი თვისებებიდან ერთი ან რამდენიმე ელემენტის გამორიცხვა არაპატენტუნარიანია, თუ ამასთან, ამოვარღნილია ის ფუნქციები, რომლებსაც გამორიცხული ელემენტები ასრულებდნენ.

მაგრამ, თუ ელემენტის გამორიცხვისას თვისებები ინარჩუნებს ყველა აღრეულ ფუნქციას, წინადადება პატენტუნარიანად მიიჩნევა. კერძოდ, 1965 წელს ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა.

რომ ხერხი, რომელიც ცნობილი ოპერაციის გამოორიცხვას ნიშნავს, შეიძლება მიხსნულ იქნეს პაგენგუნარიან გამოგონებად, თუ გამოორიცხვა უბრუნელებოფს ახალ ეფექტს, მაგალითად, იმ ფაქტის წარმოჩენას, რომ გამოორიცხულ ელემენტს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ობიექტის რომელიმე პარამეტრის მნიშვნელობის შეცვლა ან, როგორც ამბობენ ხოლმე, ხარისხის შეცვლა, ჩვეულებრივ, გამოგონების სახით არ განიხილება. როგორც წესი, ნივთიერება პაგენგუნარიანია, იუ იგი ცნობილისაგან მხოლოდ გაწმენდის ხარისხით განსხვავდება.

თუ რომელიმე პარამეტრის ცვლილება იწვევს, მისი ფუნქციის, დანიშნულების და ა.შ. თვისებრივ შეცვლას, ე.ი. ახალ სასარგებლო ეფექტს იძლევა, ასეთი ცვლილება შეიძლება მიხსნულ იქნეს პაგენგუნარიანად. მაგალითად, აშშ-ში გაცემული იყო პაგენტი გამოხსნაკრეჭზე, რომელიც ცნობილისაგან განსხვავდებოდა დანების დახრის კუთხით, რაც დანების თვითგალესებას უბრუნელებოფდა; ასე რომ, უბრალო გადაადგილება ან ობიექტის ელემენტების კინემატიკური რევეროსირება, აკრეფივე მისი ზომების შემცირება, პორგაგიულობაში, გრანსპორგაბელურობაში გადასვლა, პაგენგუნარიან გამოგონებას არ წარმოადგენს. მაგრამ, თუ გადაადგილების გზით ობიექტის ნაწილების ახალი ურთიერთქმედება მიიღწევა ან კონსტრუქციული ცვლილებები ამსუბუქებს მის წონას, ამცირებს დამზალების შრომატეკალობას და ღირებულებას წინანდელი ფუნქციებისა და თვისებების შენარჩუნებით, ე.ი. ახალი სასარგებლო ეფექტი მიიღება, ასეთი გადაწყვეტა შეიძლება პაგენგუნარიანად იქნეს მიხსნული.

სხვა ძალზე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება, რომელიც გადაწყვეტის არასიაშკარავის დადგენისათვის გამოიყენება, მისი სარგებლიანობაა. სარგებლიანობის მაღალი დონე ყველა ქვეყანაში განიხილება, როგორც საგამომგონებლო შემოქმედების არსებობის მტკიცება ამოცანის გადაწყვეტაში.

ობიექტის სარგებლიანობა ელინდება სხვადასხვა ფორმით – მაგალითად, ნაკეთობის ბაზარზე სწრაფი და ფართო გავრცელებით, იმავე ფუნქციის შემსრულებელი აღრე არსებული ნაკეთობის ბაზრიდან

გამოძევებით, ობიექტის საწარმოებლად მიღებით, წარმოდგენილი ვალაწყვეტის დახმარებით ხანგრძლივი და, საერთოდ, აღიარებულ მოთხოვნისილებათა დაკმაყოფილებით, მეცნიერებისა და ტექნიკის რომელიმე დარგში ჩამორჩენის დაძლევა და ა.შ. ყველა ეს ფორმა გამოიყენება, როგორც ვალაწყვეტის არასიაშკარავის მანიევრები.

ფრიად გავრცელებული არასიაშკარავის დამამტკიცებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს ნაკეთობის კომერციული წარმატება, რომელშიც ხორცშესხმულია ამოცანის ვალაწყვეტა.

კომერციული წარმატება განიხილება ვალაწყვეტის არასიაშკარავის ერთ-ერთი მტკიცების სახით, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში იგი არის ობიექტის შინაგან ტექნიკურ ღირსებათა შედეგი. თუმცა ახალი ობიექტის გავრცელება ბაზარზე, მისი პოპულარობა მომხმარებელთა შორის ყოველთვის არ არის დაპოკიდებული მასში ჩადებული იდეის ორიგინალურობასა და უპირატესობაზე; მაგრამ ხშირად იგი დამოკიდებულია მთელ რიგ გარე ფაქტორებზე, მაგალითად, ობიექტის საწარმოებლად მრეწველობის მზადყოფნაზე, ბაზრის უნარზე, რომ მიიღოს ახალი საქონელი, საქონლის რეკლამაზე, მის გაფორმებაზე, პაგენტის მფლობელის საქმიან აქტიურობასა და რეპუტაციაზე, მოდის ვალაწყვეტაზე და ა.შ. ამიტომ დადგენილია, რომ ღიდი კომერციული წარმატება არ შეიძლება თავისთავად არასიაშკარავის მტკიცება იყოს იმ შემთხვევაში, როცა საგამომგონებლო შემოქმედება აშკარად არ არსებობს. ოპამდელი გერმანიის იმპერიის სასამართლოს ერთ-ერთ ვალაწყვეტალებაში აღნიშნულია, რომ, „თუ გამოგონების საგნის კომერციული წარმატება წარმოადგენს მოდის შედეგს, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს საგამომგონებლო შემოქმედების ღონის არსებობას“.

თუმცა კომერციული წარუმატებლობა და სარგებლიანობის უმნიშვნელო ღონე, თანახმად ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკისა, არ შეიძლება არსებობდეს, როგორც საფუძველი არასიაშკარავის უარყოფისათვის და გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრაზე ზეგავლენას არ უნდა ახდენს.

გამოგონების არასიაშკარავის სხვა მტკიცებას წარმოადგენს

სპეციალისტებს შორის გექნიკური სიახლის ფართო გავრცელება. ახალი ნაკეთობის, ხერხის სწრაფი და ფართო გავრცელება ხშირად მოცემულ გადაწყვეტაში წარმოადგენს საერთოდ ცნობილი ხანგრძლივი მოთხოვნების შედეგს. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში ამოცანის გექნიკური გადაწყვეტა, რომლის დახმარებითაც ფართოდ ცნობილი და დიდი ხნის მანძილზე არსებული მოთხოვნები კმაყოფილდება, არააშკარად მიიჩნევა.

პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როცა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა: „თუ ხერხი ან მოწყობილობა აკმაყოფილებს ხანგრძლივ, საერთოდ, აღიარებულ მოთხოვნებს, ჩვენ უპირველესად საქმე უფრო გამოვინებავთ ვეაქვს, ვიდრე საშუალო სპეციალისტის უბრალო ოსტატობის შედეგთან, რადგან საშუალო სპეციალისტის ოსტატობის ჩვეულებრივი ამოქმედება ხდება საერთოდ ცნობილი მოთხოვნებით“.

მეორე მხრივ, ამა თუ იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც მცირე დროის მანძილზე იგრძნობოდა, საგამომგონებლო შემოქმედების უქონლობის მტკიცების სახით უნდა განიხილებოდეს. მაგალითად, გურ-ის საპატენტო სასამართლომ 1963 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „საგამომგონებლო შემოქმედების დონე არ არსებობს, თუ მოთხოვნა განაცხადის შეგანაძლე ცოცხალი ადრე წარმოიქმნა“.

ამოცანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების უეჭველ მტკიცებათა არსებობის სახით განიხილება ისეთი ფაქტები, როგორცაა სპეციალისტების მიერ ამავე პრობლემების გადაწყვეტის წარუმატებელი ცდების არაერთგზის არსებობა; ახალი გადაწყვეტით გამოწვეული მნიშვნელოვანი გექნიკური სირთულეებისა და იმ დარგში მომუშავე სპეციალისტებს შორის, რომელსაც გამოვინება მიეკუთვნება, გავრცელებულ გექნიკურ ცრურწმენათა გადალახვა. მაგალითად, 1930 წელს გერმანიაში ხანგრძლივი დავის შემდეგ დაპატენტებული იყო შიგაწვის ძრავის გემპერატორის ვადაშოლი. თავის გადაწყვეტილებაში იმპერიის სასამართლომ განაცხადა, რომ „ავტომობილისათვის გემპერატორის

მანვენებლის“ დამუშავებამ შორს გაუსწრო დროს და წინადადებას დიღხანს უარყოფლენ სპეციალისტების წინასწარაკვიავებული რწმენისა და გექნიკური კონსერვატიზმის გამო.

ამასთან ერთად გექნიკური ცრურწმენის გადალახვა ნაკეთობის, ხერხის და ა.შ. ეკონომიკურ უპირატესობათა საზიანოდ, როგორც წესი, არ მოწმობს ამოცანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების არსებობას.

ის გარემოება, რომ ბევრმა სპეციალისტმა ვერდი აუარა დასმული ამოცანის გადაწყვეტას, თუნდაც ამ ამოცანის ინტერესებიდან გამომდინარე, და ამათ მოითხოვდა მეცნიერებისა და გექნიკის განვითარების დონის გათვალისწინება, ეს უაქტი არასიაშკარავეს უდავო მტკიცებას წარმოადგენს.

გამოგონების არასიაშკარავეს შეუასებაზე მისი შექმნის საშუალებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს. ეს წესი გათვალისწინებულია აშშ-ის კანონებში ან დადასტურებულია ისეთი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკით, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები.

არასიაშკარავეს შეუასებაზე გავლენას არ ახდენს განსახილველი ამოცანის გადაწყვეტის სიმარტივე. ამ წესს ყველა ქვეყნის სასამართლოები იყენებენ. ამასთან ერთად ამოცანის გექნიკური გადაწყვეტის სირთულე თავისთავად არ წარმოადგენს საგამომგონებლო შემოქმედების არსებობის მტკიცებას.

ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია წესი, რომლის თანახმადაც ექსპერტების, მოსამართლეების დაუჭვება არასიაშკარავეს მიმართ განმცხადებლის ან კიდევ პატენტის მფლობელის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს. ეს წესი, მაგალითად, პირდაპირ გამომდინარეობს დიდი ბრიტანეთის საპატენტო კანონიდან.

სიახლე და საგამომგონებლო შემოქმედების დონე (არასიაშკარავე) წარმოადგენს პატენტუნარიანი გამოგონების განუყოფელ და ურთიერთდაკავშირებულ ნიშან-თვისებებს.

გექნიკური გადაწყვეტის სიახლის კვალიუიკაცია ემყარება

ობიექტურად არსებულ ფაქტებს. სავარაუდო გამოგონების შედარება სდება არსებულ გადაწყვეტებთან, ამასთან, მას შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ ერთი წყარო. სიახლის მოთხოვნა შესრულებულად ითვლება, თუ მიგნებული არაა ის გადაწყვეტა, რომელიც ისეთივე ნიშან-თვისებებს უღობს, როგორც განსახილველი. ცნობილისაგან სულ უმნიშვნელო განსხვავებაც კი იმის უფლებას იძლევა, რომ გადაწყვეტა დაკვალიფიცირდეს როგორც ახალი.

გამოგონების სიაშკარავის შეფასებისას ხელმძღვანელობენ თვით სიახლის თვისებრივი შინაარსით. წარმოდგენილი ამოცანის გადაწყვეტის ობიექტურად არსებული განსხვავებები პატენტუნარიანდ მიიჩნევა, თუ ისინი გამოგონებლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგს წარმოადგენს და არა უბრალო საინჟინრო დამუშავებას.

სიახლეზე ექსპერტიზა ჩვეულებრივ, წინ უსწრებს არასიაშკარაეზე ექსპერტიზას. თუ გამოირკვა, რომ გადაწყვეტა ცნობილისაგან განსხვავდება, ე.ი. უღობს სიახლეს, ექსპერტის ან მოსამართლის წინაშე დგება სხვა ამოცანა – განსაზღვროს არის თუ არა ეს სიახლე. არსებობს თუ არა ცნობილი გექნიკის დონესა და განსახილველ გადაწყვეტას შორის განსხვავება. თუ სიახლე არ არის, ბუნებრივია, არც წარმოდგენილი გადაწყვეტის არასიაშკარავის შემოწმება იქნება საჭირო.

მაშასადამე, ყოველი სიახლე არ იძლევა იმის უფლებას, რომ განცხადებული გადაწყვეტა პატენტუნარიანად იქნეს მიჩნეული. ასეთი მხოლოდ ის სიახლეა, რომელიც უღობს სხვაგვარ თვისებას – არასიაშკარაეზე; ამრიგად, იგი ისეთი სიახლე უნდა იყოს, რომელიც წარმოადგენს გამოგონებლის შემოქმედებითი საქმიანობის – საგამომგონებლო შემოქმედების შედეგს. ამიტომ არასიაშკარაე გამოგონების სიახლის დამკვალიფიცირებლის სახით განიხილება და, აქედან გამომდინარე, ზოგიერთ საპატენტო კანონში საგამომგონებლო შემოქმედების მოთხოვნა ჩადებულია გამოგონებისადმი წაყენებული ე.წ. კრიტერიუმის – „არსებითი განსხვავების“ ან „შივა სიახლის“ ცნებაში.

პრაქტიკაში არცთუ ისე ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა

გამოვინება სრულად არის გახსნილი ერთ წყაროში. განაცხადის უარყოფის უფრო გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს გამოვინების არასიაშკარავის უქონლობა.

არასიაშკარავის განსაზღვრისას განსახილველი ამოცანის გადაწყვეტას უპირისპირდება არა ერთი წყარო, როგორც სიახლის დადგენის შემთხვევაში, არამედ კომბინაცია, რამდენიმე წყაროსაგან შემდგარი „მოზიკა“. ე.წ. პროტოგოთა ნაკრები. თუ განსახილველი წინადადება და მასთან ყველაზე ახლოს მდგომი პროტოგოთი, რომელსაც გენერალურ ან მთავარ წყაროს უწოდებენ, ერთმანეთისაგან განსხვავდება, იგი შეიძლება სხვა წყაროდან ცნობილი გადაწყვეტებით შეივსოს. ექსპერტმა აუნდა განსაზღვროს წარმოადგენს თუ არა სხვადასხვა წყაროს ასეთი ნაერთი აშკარას სპეციალისგისათვის, რომელიც მოცემულ დარგში ცოდნის საშუალო დონეს მაინც ფლობს.

თუ ექსპერტს პროტოგოთთან უფრო ახლოს მდგომ და განსახილველ გადაწყვეტას შორის განსხვავების შესაფხვად წყაროების მიგნება არ შეუძლია, იგი თვით განსხვავების სიაშკარავს არკვევს სხვა მასალების გამოყენების გარეშე.

ყველა ქვეყანაში არსებობს გამოვინებები, რომლებიც საპაგენგო სამართლის მოქმედების სფეროდან გამოორიცხულია თუნდაც იმის ვაშო, რომ ისინი პაგენგუნარიანობის წინაშე კანონით დადგენილ ყველა კრიგერიუმს პასუხობენ. არაპაგენგუნარიანი გამოვინებების წრე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ე.წ. განვითარებად ქვეყნებში (ბრაზილია, ინდოეთი, მექსიკა, საქართველო და სხვ.) კანონები, როგორც წესი, შეიცავენ გამოვინებათა გრძელ ნუსხას, რომლებზეც პაგენგები არ ვაიცემა. განვითარებულ სახელმწიფოებში გამოვინებათა დაცვის წრე კი, ჩვეულებრივ, უფრო ფართოა.

უმეტეს ქვეყნებში კანონები პირდაპირ მიუთითებენ რომელი გამოვინებებია გამოორიცხული საპაგენგო სამართლის სფეროდან. აშშ-ის საპაგენგო კანონი არ შეიცავს დადგენილებას მოცემულ საკითხებზე, ხოლო არგენტინისა და კანადის საპაგენგო კანონებში შეგანილია დაუცველი ობიექტების არასრული ნუსხა. ამ ქვეყნებში პაგენგუნარიან

გამოგონებათა წრე განისაზღვრება სასამართლოებისა და საპატენტო უწყებათა მიერ შემუშავებული წესების საფუძველზე.

საქართველოს საპატენტო კანონით პატენტი არ გაიცემა „გამოგონებაზე, სასარგებლო მოღელზე ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც იწვევს არაჰუმანურ, ამორალურ ანდა ანტისაზოგადოებრივ ქმედებას“.

არაპატენტუნარიან გამოგონებათა ნუსხაში ყველა ქვეყანაში პირველ ადგილზე ღვას ის გამოგონებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს, მნიობას, საჯაროდ მიღებულ წესს, მორალს, რელიგიურ კულტებს. მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს: „გამოგონებები, რომელთა გამოყენება ეწინააღმდეგება კანონს ან მორალს, გამოირიცხება პატენტის ობიექტების რიცხვიდან“. მსგავს დადგენილებებს შეიცავენ უმეტესი ქვეყნების კანონები; აშშ-სა და კანადაში ეს ნორმა დადგენილია პრაქტიკით.

რუსეთის საპატენტო კანონში არაპატენტუნარიან გამოგონებათა ნუსხაში. ერთ-ერთი ეხება ზემოთაღნიშნულს, კერძოდ, არაპატენტუნარიანია „წინადადებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, ჰუმანურობისა და მორალის პრინციპებს“.

ისეით ცნებათა შინაარსი, როგორცაა „მნიობა“, „საჯაროდ მიღებული წესი“, „მორალი“, „რელიგიური კულტი“, ღვინდება საპატენტო უწყებებისა და სასამართლოების მიერ. მოცემული კატეგორია სვეულებრივ, აერთიანებს გამოგონებებს, რომელთა გამოყენება ეძქრება ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ან შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება ბოროტ მიდრეკილებათა განუითარებისათვის ხელის შეწყობის გამო. მაგალითად, ასეთებს მიეკუთვნება მოწყობილობა „სპირტიანი სასმელების გაზოყენების აღძვრისათვის“, „აზარტული თამაშებისათვის“ და ა.შ. ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა სასამართლომ არაპატენტუნარიანად მიიჩნია ქურდის მოსაკლავად გაშიშნული ფეთქებადი სეიფკარადა, როგორც სისხლის სამართლისა და მორალის ნორმების საწინააღმდეგო. არაპატენტუნარიანად მიიჩნევა გამოგონებები, რომლებიც

სპეციალურადაა განკუთვნილი იმ მოქმედებათა განსახორციელებლად, რომლებიც არღვევენ კანონს, საჯაროდ მიღებულ წესს, მორალს. ასეთი აღუმეგეს ქვეყნებში მიიხსნება მოწყობილობა წამებისათვის, ბინის ვაგეხვისათვის, აზარტული თამაშები. იმ ქვეყნებში, სადაც ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა აკრძალულია, არ პაგენგლება ფეხმძიმობის საწინააღმდეგო და მისი შეწყვეტისათვის განკუთვნილი იძულებითი საშუალებები.

არ პაგენგლება გამოგონებები, რომლებიც, მართალია, ეთიკური და სასარგებლო მოქმედებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ თავისი შესასრულებელი აუცილებელი მოქმედებით ძაუნე ეუქტი მოაქვთ. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა იგალის საპაგენგო უწყებამ არაპაგენგუნარიანად მიიხსნა ავგომანქანის ვაგაცების საწინააღმდეგო მოწყობილობა, რომელიც ცრემლსადენ ძილისმოგვრელ აირზე მუშაობდა. როგორც კი მანქანის ვამგაცებელი საჭეს მიუჯლებოდა, მას შეიძლება მართვის უნარი დაეკარგა და ზიანი მიუყენებინა ქუქაში ვამელელებისათვის.

მთელ რიგ ქვეყნებში არ პაგენგლება ქიმიური ნივთიერებანი. არადა მათი მიღების ხერხები ყველგან პაგენგუნარიანად მიიხსნევა. თუქცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე მრავალ ქვეყანაში მიღებული საპაგენგო კანონები ღებულებებს ქიმიურ ნივთიერებათა დაპაგენგების შეზღუდაზე არ შეიცავენ. ეს ქვეყნებია გერმანია, დანია, იაპონია, ნორვეგია, რუსეთი, საურანგეთი, საქართველო, უინეთი, შვედეთი და სხვ. ამკამად უმეგეს ქვეყნებში, რომლებსაც ვანვითარებული ქიმიური მრეწველობა აქვთ, პაგენგები ქიმიურ ნივთიერებებზე ვაციემა. ინლოეთის საპაგენგო კანონმა კი პაგენგუნარიან გამოგონებათა რიცხვიდან ქიმიური ნივთიერებები ვამორიცხა.

ქიმიურ ნივთიერებათა პაგენგუნარიანად მიხსნევის გენდენცია, ერთი მხრივ, ვანპირობებულია ქიმიური მეცნიერების სყეროში მიღწევების ვამო. მეორე მხრივ, ამის მიზეზია სხვადასხვა ქვეყნის საპაგენგო სამართლის უნიუცირობისაღმი მოთხოვნილებების ვაზრდა. ამიგომ შემთხვევითი არაა, რომ სგრასბურგის კონყერენცია საპაგენგო

სამართლის ზოგიერთი დებულების უნიფიცირების შესახებ პაგენგუნარიანთა შორის ქიმიურ ნივთიერებებსაც შეიცავს.

იმ ქვეყნებში, სადაც პირდაპირი ფორმით არ არის შემოღებული ქიმიურ ნივთიერებათა დაცვა, არსებობს ე.წ. „არაპირდაპირი დაცვა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთიერების მიღების ხერხზე ვაცემული პაგენგი, თავის მოქმედებას ავრცელებს ისეთ ნივთიერებაზეც, რომელიც ამ ხერხით დამზადდა – პაგენგის მულობელს შეუძლია აკრძალოს ქვეყანაში არა მარგო მისი გამოყენება, არამედ საზღვარგარეთიდან დაპაგენგებული ხერხით დამზადებული ნივთიერების შემოტანაც.

უმეტეს სახელმწიფოებში, სადაც დაცული არაა ქიმიური ნივთიერებები, პაგენგის საგანი შეიძლება იყოს შენადნობები, თუმცა მათი მიღებისას მიმდინარეობს არა მარგო ფიზიკური, არამედ ქიმიური პროცესებიც.

როგორც წესი, არ პაგენგდება ნივთიერება, რომელიც მიღებულია შიგაბირთვული გარდაქმნების გზით. მაგალითად, ბრაზილიის სამრეწველო საკუთრების კოლექსი შეიცავს წესს, რომლის თანახმადაც არაპაგენგუნარიანად მიიჩნევა ნივთიერებები, მასალები, ნარევეები, ელემენტები ან ნებისმიერი ნაირსახეობის, ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე პროდუქტები, თუ ისინი მიღებულია შიგაბირთვული გარდაქმნების მეშვეობით, აგრეთვე მათი წარმოების საშუალებათა სრულყოფით.

აშშ-ში პაგენგები ვაიცემა შიგაბირთვული რეაქციის პროდუქტებზე. მაგალითად, ასეთი პაგენგები ვაიცემა ხელოვნურად მიღებულ 95-ე და 96-ე ელემენტებზე (ამერიციუმსა და კიურიუმიზე) და მათს იზოტოპებზე.

ზოგიერთი ქვეყანაში პაგენგუნარიანად არ მიიჩნევა საკვები, გემოს ნივთიერებანი და სამკურნალო პრეპარატები. ბრაზილიასა და მექსიკაში არ პაგენგდება აგრეთვე ამ ნივთიერებათა მიღების ხერხებიც. იგალიასა და თურქეთში არაპაგენგუნარიანია მედიკამენტები და მათი მიღების ხერხებიც.

საპაგენგო დაცვის უქონლობა საკვებ, გემოს ნივთიერებებზე, სამედიცინო პრეპარატებზე ზემოთ აღნიშნულსა და ზოგიერთ სხვა

ქვეყანაშიც აიხსნება ჰუმანური მოსაზრებით, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს სურვილი არა აქვთ მონოპოლია დააწესონ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე. ამასთან ერთად კონსტრუქციული გამოგონებები კვების მრეწველობის დარგში, სამედიცინო ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და ა.შ. წარმოადგენს დაცვისუნარიანს, თუცა მათი მონოპოლიზაცია ასევე არ შეესაბამება მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს, ვინაიდან ეს იწვევს კვების პროდუქტების, მკურნალობის ხერხების, დაავადების პროფილაქტიკის გაძვირებას.

საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ ცნებებში: „საკვები პროდუქტები“, „გემოს ნივთიერებანი“, „სამკურნალო პრეპარატები“ ჩადებულია სხვადასხვა შინაარსი. ამიგომ თუნდაც იმ ქვეყნებში, სადაც ერთნაირი საერთო წესებია, საპატენტო სამართლის მოქმედების სფერო, ამ ცნებათა გადაცემისა და მათდამი დამოკიდებულების მხრივ. პრაქტიკულად შეიძლება მაინც სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ვენესუელაში, კოლუმბიაში, შეეცარიანა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში საკვები პროდუქტების კატეგორიას მიეკუთვნება საკვები და ცხოველთა კვების სხვა საშუალებები. ასე მაგალითად, ვენესუელის კანონი სამრეწველო საკუთრებაზე აღგენს, რომ „არაპატენტუნარიანია... წვენები და ადამიანებისა და ცხოველებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტები“.

იგალიაში არაპატენტუნარიანია სამკურნალწამლო ნივთიერებანი და ადამიანთა მკურნალობისათვის განკუთვნილი სხვა მედიკამენტები. მაშინ, როცა იქ, როგორც წესი, დაცულია ვეტერინარული პრეპარატები. ბრაზილიაში, ინდოეთში, კოლუმბიაში პატენტები არ გაიცემა ადამიანებსა და ცხოველებზე თერაპევტული ზემოქმედების უნარის მქონე ნებისმიერ საშუალებებზე, აგრეთვე ქიმიურ-ბიოლოგიურ პრეპარატებზე, რომლებიც მცენარეებზე ზემოქმედებისთვისაა განკუთვნილი.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, პატენტი არ გაიცემა „გამოგონებაზე ან სასარგებლო მოღელზე, რომელიც ეხება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ,

თერაპიულ და დიაგნოსტიკურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მოწყობილობებზე, ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ ხერხებში“.

ერთობ უართო შინაარსია ჩადებული ცნებაში „მედიკამენტები და წამლები“. სამკურნალწამლო ნივთიერების სასიო უმეტეს ქვეყნებში გულისხმობენ არა მარტო თერაპევტული ზემოქმედების მომხდენ პრეპარატებს, არამედ იმ ნივთიერებებსაც, რომლებიც პროფილაქტიკურ-დიაგნოსტიკური მიზნით გამოიყენება. კოსმეტიკური საშუალებები, ხერხები. როგორც წესი, პატენტუნარიანია. მაგალითიად, იყო შემთხვევა, როცა ავსტრალიის უმაღლესმა სასამართლომ 1973 წელს პატენტუნარიანად მიიხსნია თმის ძირების გამაგრებისა და ელასტიკურობის გაუძღობების ხერხი ქიმიური პრეპარატების გამოყენების ვით. თუ კოსმეტიკური საშუალება ერთდროულად სამკურნალო ზემოქმედებასაც ასდენს, მაშინ პატენტის ვაცემაზე შეიძლება უარი ითქვას.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო პრაქტიკაში დაშვებულია პატენტების ვაცემა სამკურნალწამლო პრეპარატებსა და მოწყობილობებზე, თუ ისინი ორგანიზმში არ შეჰყავთ და აღამიანის განს კი არ ეხებიან, არამედ მასზე ვარეჯან ზემოქმედებას ასდენენ.

ბევრ ქვეყანაში, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, საკვები, ვემოს, სამკურნალწამლო ნივთიერებანი და მათი მიღების ხერხები დაცულია. თუმცა პატენტების ვაცემა ასეთ გამოგონებებზე განსაკუთრებულ წესებს ექვემდებარება. ჩვეულებრივ, საპატენტო უწყებები მოითხოვენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ვანცხალეული საკვები პროდუქციის ან სამედიცინო პრეპარატის ვამოყენებას აღამიანისა ჯანმრთელობისათვის უარყოფითი შედეგები არ ექნეს. დიდ მოთხოვნებს უყენებენ ასეთი ობიექტის საპატენტო ვანაცხალის მასალებში სარგებლიანობის ვახსნას. ვარდა ამისა, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით ვათვალისწინებულია იძულებითი ლიცენზიების ვაცემა პატენტებზე, რომლებიც იცავენ საკვებ პროდუქტებს, საგემოვნო ნივთიერებებს და მედიკამენტებს. ინლოეთსა და ევკიპის არაბთა რესპუბლიკაში მედიკამენტების მიღების ხერხებზე

პატენტები გაიცემა გაცილებით მოკლე ვადით.

თუმცა ეს ღონისძიებები იმისათვისაა განკუთვნილი, რომ აღამიანთა ჯანმრთელობისათვის საზიანო პროდუქტებზე პატენტების გაცემა და პირველ აუცილებელ ობიექტებზე მონოპოლიური უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხოს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ამან დიდი ეფექტი ვერ გამოიღო, რადგანაც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა კონკურენტი ფირმების მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედებების გამო გარანტირებული არ არის.

ყველა ქვეყანაში არ პატენტდება გამოგონებები, რომლებიც სამხედრო მრეწველობას განეკუთვნება. მაგალითად, ინგლისის კანონი პატენტების შესახებ ადგენს, რომ გამოგონებებზე, რომლებსაც ქვეყნის თავდაცვის მნიშვნელობა აქვთ, პატენტები არ გაიცემა. ანალოგიური ნორმები მოქმედებს სხვა ქვეყნებშიც.

საპატენტო სამართლის მოქმედების სფეროდან, როგორც წესი, გამორიცხულია ის გამოგონებებიც, რომლებიც ატომური ენერჯის წარმოებას უკავშირდება. 1954 წელს აშშ-ში მიღებული კანონი ატომური ენერჯის შესახებ ადგენს, რომ გამოგონებებზე, რომელთა ერთადერთი დანიშნულებას ატომური იარაღის წარმოებისათვის, სპეციალური რადიაციული მასალების ან ატომური ენერჯის გამოყენება წარმოადგენს, პატენტები არ გაიცემა. მაგრამ, რამდენადაც პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ძნელია ზღვარის გაღება ატომური ენერჯის მშვილობიანი და სამხედრო მიზნით გამოყენებას შორის, როგორც წესი, არ პატენტდება ყველა ის გამოგონება, რომლებიც შემოქმედებითი საქმიანობის ამ სფეროს მიეკუთვნება.

გამოგონებაზე პატენტები გაიცემა სპეციალური სახელმწიფო ორგანოს – საპატენტო უწყების მიერ, რომელსაც, როგორც წესი, განვითარებული ქვეყნების სინამდვილეში სახელმწიფო მართვის ორგანოებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი მდგომარეობა უკავია. ამ ვითარებით აიხსნება ის დიდი როლი, რომელსაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში ასრულებს საპატენტო ურთიერთობები.

უმეგესი ქვეყნების საპატენტო უწყებები ექვემდებარებიან ისეთ სამინისტროების – მართვის ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, მაშასადამე, საპატენტო პოლიტიკის განხორციელებისთვისაც, აშშ-სა და ლიდ ბრიგანეიში საპატენტო უწყება ექვემდებარება ვაჭრობის სამინისტროს, გერმანიაში – იუსტიციის სამინისტროს, საურანჯეთში – ვაჭრობისა და მრეწველობის ფედერალურ სამინისტროს და ა.შ.

საპატენტო უწყებათა სტრუქტურა, კომპეტენცია, საქმიანობის წესი ქვეყნების ერთ ნაწილში რეგულირდება საპატენტო კანონებით, სხვა ქვეყნებში კი სპეციალური კანონებით, აგრეთვე ადმინისტრაციული აქტებით.

საქართველოში საპატენტო უწყება 1992 წელს შეიქმნა, როცა მოხდა საპატენტო სისტემაზე გადასვლა, ხოლო 1999 წლის მაისიდან იგი არსებობს, როგორც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“. მისი ადგილი სამთავრობო ორგანიზაციების სისტემაში ავტორიტეტული და პრესტიჟულია, ამიგომ ხელმძღვანელს პრეზიდენტი ნიშნავს. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ საპატენტო ურთიერთობებს ეკონომიკაში ღილი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს საპატენტო კანონიც გამოგონებათა დაცვითა და გამოყენებაზე ზემოქმედებით ხელს უნდა უწყობდეს მრეწველობისა და, საერთოდ, წარმოების განვითარებას.

საპატენტო უწყებათა კომპეტენციაში შედის გამოგონებებზე პატენტების გაცემა, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, სამრეწველო საკუთრების უფლებათა დათმობაზე შეთანხმებათა რეგისტრაცია, მეცნიერული და კელევიითი მუშაობა სამრეწველო საკუთრების სფეროში, საპატენტო ინფორმაცია, საჩივრების განხილვა და სხვა საკითხები.

მაგალითისათვის მოკლედ შევხვით აშშ-ის საპატენტო უწყების სტრუქტურას და მისი მუშაობის ზოგიერთ საკითხს.

აშშ-ის საპატენტო უწყება არის ავტორიტეტული სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებელი სამმართველოს უფლებით

შედის აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროში. მას სამთავრობო ორგანოების სისტემაში ურიად პრესტიჟული მდგომარეობა უკავია. მართალია, საპატენტო უწყება ვაჭრობის სამინისტროს ექვემდებარება, მაგრამ მისი კომისარი (ბიუროს უფროსი), კომისრის მოადგილე, კომისრის ორი თანამშემწე და მთავარი ექსპერტები ინიშნებიან აშშ-ის პრეზიდენტის მიერ სენატთან შეთანხმების ისეთივე წესით, როგორც ინიშნებიან სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები, კერძოდ, მინისტრები. საპატენტო ბიუროს ასეთი მდგომარეობა აშშ-ის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმ რლით, რომელსაც ასრულებს საპატენტო ურთიერთობები საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, აშშ-ის თვით საპატენტო კანონი გამოგონებათა დაცვისა და გამოყენების გემოქმედების გზით ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას.

აშშ-ის საპატენტო უწყებაში 10-ზე მეტი განყოფილებაა. მათ შორისაა საპატენტო ექსპერტიზის, საძრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, ინჟინრაციის, აღმინისტრაციული და სხვ. საპატენტო უწყებას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა.

საპატენტო უწყებაში შეგანილი განაცხადების ექსპერტიზა ხორციელდება სპეციალური ინსტრუქციით. ინსტრუქცია შეიცავს პატენტის შესახებ კანონის ზოგიერთ დებულებას, საპატენტო საქმიანობის ოფიციალურ წესებს, კომისრის მითითებებს პატენტების შესახებ, გერმინების განმარტებებს და სხვა მასალებს.

ექსპერტი არა მარტო კვალიფიციური იურისტია, არამედ იგი პატენტებს, ჩვეულებრივ, 2-3 ენაზე კითხულობს.

აშშ-ის საპატენტო ბიუროში დიდი ყურადღება ეთმობა იურიდიულ მუშაობას. საპატენტო კანონი შეიცავს სპეციალურ მითითებებს იმის თაობაზე, რომ ექსპერტი უნდა იყოს არა მარტო გექნიკის მცოდნე, არამედ სამართლისაც.

საპატენტო ბიუროს მუშაობის ორგანიზაციაზე მსჯელობისას საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ უირმები და კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ საკუთარი საპატენტო განყოფილებების

ორგანიზების მიმართ. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში არსებობს საპატენტო ადვოკატებისა და რწმუნებულთა უდიდესი არმია, რომლის საქმიანობა მნიშვნელოვნად უმსუბუქებს მუშაობას აშშ-ის საპატენტო ბიუროს. განაცხადის შეგანა და ყველა სახის საპროცედურო ოპერაციები, რომელთაც ახორციელებს აშშ-ის საპატენტო უწყება, ღიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამიგომ ნებისმიერი ფირმა განაცხადის შეგანისთანავე ესწრაფვის შეადგინოს საგანაცხადო მასალები რაც შეიძლება კვალიფიციურად, რათა არ მოუხდეს ამ მასალების შეცვლასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაწევა; ეს კი, ბუნებრივია, მხოლოდ აადვილებს ექსპერტიზის ჩატარებას.

აშშ-ის ყველა გამოგონება, რომლებიც მოსამსახურეთა მიერ არის შექმნილი მუშაობის დროს, იმ კომპანიებს მიეკუთვნება, სადაც ისინი მუშაობენ. ფირმები ახორციელებენ ამ გამოგონებათა დაპატენტებას აშშ-ში და საზღვარგარეთ, რითაც გიგანტურ შემოსავალს იღებენ მათი რეალიზაციით. თავის მხრივ, სხვადასხვა უცხო ქვეყნის ფირმების მულობელები ცდილობენ გამოგონებები დააპატენტონ არა მარტო თავიანთ ქვეყანაში, არამედ აშშ-შიც. ამრიგად, აშშ-ის საპატენტო დოკუმენტაცია კაპიტალისტური სამყაროს გექნიკურ სიასლეთა თაყისებურ ჯამს წარმოადგენს. გამოგონებათა დაპატენტებისა და რეალიზაციის ოპერაციათა განხორციელებისათვის ფირმებს აქვთ საპატენტო მუშაკთა, საპატენტო ადვოკატთა, საპატენტო საკითხებზე მომუშავე შუამავლებისა და მთელი რიგი საშუამავლო ფირმებიც კი.

აშშ-ის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიების დაახლოებით მესამედს ჰყავს საპატენტო საკითხების სპეციალისტები, რომლებიც მოგჯერ იურიდიულ განყოფილებაში შედიან, უფრო ხშირად კი მუშაობენ უშუალოდ კომპანიის საკონსტრუქტორო განყოფილებაში. ზოგიერთ კომპანიაში ორგანიზებულია დამოუკიდებელი საპატენტო განყოფილებები. თუ ფირმაში ერთ ან ორ მუშაკს ევალება პატენტებზე მუშაობა, მაშინ ისინი, ჩვეულებრივ, იურიდიული განყოფილების შექმნისადაც შედიან.

საპატენტო საკითხების სპეციალისტი, როგორც წესი, ფლობს

იურისგისა და ინჟინრის სპეციალობებს. მიღებულია, რომ საპატენტო მუშაკს, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებელი მღვთმარობა უკავია თუ არა, შედის იურიდიულ განყოფილებაში და მას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს საკონსტრუქტორის ახალი გექნიკის დამმუშავებელ და დამწერგავ სხვა მუშაკებთან, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებელი უნდა იყოს იმ პირებთან ურთიერთობაში, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელი გამოგონებათა დამუშავებაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ თაყიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი არასასურველი გავლენა პატენტმცოდნეთა გადაწყვეტილებებზე.

აშშ-ში გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ ძირითადად მონოპოლიების, გრესტების, კომპანიების ინტერესების დაცვისათვის გარდება.

ისევე როგორც მსოფლიოს სხვა უმეტესი ქვეყნებისათვის, აშშ-ისთვისაც დაპატენტება ერთადერთი გზაა, რომელიც განამტკიცებს გამოგონებათა მფლობელების მღვთმარობას მსოფლიო ბაზარზე და საშუალებას აძლევს მათ დაიკავონ უფრო ხელსაყრელი კომერციული პოზიციები. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, აშშ-იც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონეზე შესრულებული სამრეწველო პროდუქციის ამა თუ იმ ქვეყანაში გაგანისას, როგორც წესი, ამ პროდუქციაში გამოყენებულ სიახლეათა დაპატენტებას ახდენს საზღვარგარეთ. ამით ყველა სხვას გარკვეული ვადით ეკრძალება იმ სიახლეთა გამოყენება, რომლებიც დაცულია უფლებრივად. ეს კი, თავის მხრივ, აშშ-ის პროდუქციის გასაღებისათვის სასურველ პირობებს ქმნის.

აშშ-ში მოქმედებს გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტების შემდეგი წესი:

ნებისმიერ პირს შეუძლია, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა შეგანილი აშშ-ში განაცხადი გამოგონებაზე, საპატენტო უწყებას მიმართოს თხოვნით ნება დარიონ გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტებაზე. თუ აშშ-ში შეგანილია განაცხადი, პატენტზე ნებართვის მიღების ან არმიღების შემთხვევაში, საზღვარგარეთ დაპატენტების აკრძალვაზე შეგყობინებიდან 6 თვის მანძილზე, განმცხადებელს შეუძლია

შეიგანოს განაცხადი ამ გამოვონების დაპატენტებაზე საზღვარგარეთ. უარი დაპატენტებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში. საზღვარგარეთ დაპატენტებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფირმები აუთორიზებენ საგანაცხადო მასალებს და შეაქვთ ისინი საზღვარგარეთ საპატენტო წარმომადგენლების მეშვეობით. საზღვარგარეთ გასაცემადი დოკუმენტები ხელმოწერით უნდა დაამოწმოს სახელმწიფო მდივანმა ან მისმა მოადგილემ.

გამოვონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატენტო ლიცენზიის გაყიდვასთან. როგორც ცნობილია, გაყიდვა და ლიცენზიების გაცემა ამჟამად ფართოდაა ვაერცელებული საერთაშორისო ეაჭრობაში. აშშ-ს გაცილებით მეტი გამოვონება გააქვს საზღვარგარეთ, ვიდრე შემოაქვს.

ქვეყნის შიგნით გამოვონებათა რეალიზაციის პრაქტიკაში ვეხვდება როგორც სალიცენზიო მოლაპარაკებები, ასევე მოლაპარაკებები პატენტის სრულ გადაცემაზე. ყველა შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ პატენტის მქონე პირი (გამოვონების მფლობელი) იღებს გარკვეული სახის რეგულარულ ვადასახალებს, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია გამოვონების საგნის მოცულობასა და რეალიზაციის წარმატებაზე.

საზღვარგარეთ დაპატენტება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ საპატენტო ლიცენზიის გაყიდვის საკითხი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია, რადგან დაპატენტება დაკავშირებულია გარკვეული სახსრების ვალებასთან და, რაკი მისი მიზანი კომერციულია, იგი დაკავშირებულია გარკვეულ მოცუბასთან და არა წავებასთან. ყურადღებას იმსახურებს საპატენტო ბიბლიოთეკის ჭეშაობის ერთი საინტერესო მხარე. ბიბლიოთეკას აქვს ე.წ. „იმედის გაცრუების“ დარბაზი, სადაც ნებისმიერ პირს, რომელიც პატენტის მიღებაზე აღვენს განაცხადს, შეუძლია გაეცნოს ადრე გაცემულ პატენტებს და, ასე ვთქვათ, წინასწარი წესით შეამოწმოს თავისი იდეის სიახლე. ბუნებრივია, რომ განმცხადებელი განაცხადს არ შეიგანს იმ წინადადებაზე, რომელიც სიახლის ძიხელვით ამკარად არაპატენტუნარიანია. ამიგომ ასეთი

შემოწმება მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს ექსპერტებს ზედმეტი მუშაობისაგან განაცხადებზე, რომლებიც გამოვონებებს არ შეიცავენ. ვარდა ამისა, ამით თვით საპეციალისტია დაცული განაცხადის შეგანასიან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გაწევისაგან.

განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, სადაც საპატენტო განაცხადების ექსპერტიზა გარდება, საპატენტო უწყებები ასობით და ათასობით აღამიანს აერთიანებენ. ყველა ქვეყანაში საპატენტო უწყებებს აქვთ ბიბლიოთეკები, რომლებშიც იკრიბება ეროვნული და უცხოური მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია, აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სუეროში უფლებრივი ხასიათის ლიგერატურა; ეროვნული და უცხოური პატენტების აღწერილობები, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია, აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სუეროში უფლებრივი ხასიათის ლიგერატურა; ეროვნული და უცხოური პატენტების აღწერილობები, მეცნიერულ-ტექნიკური წიგნები და პერიოდული გამოცემები, საკანონმდებლო აქტები და სამრეწველო საკუთრების სუეროში ჩაგარებული კელევითი სამუშაოები. ბიბლიოთეკებით სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო საპატენტო უწყების თანამშრომლებს, არამედ ნებისმიერ აღამიანს.

საპატენტო უწყება გამოსცემს ბიულეტენს, რომელშიც იბეჭდება მონაცემები გამოვონებებზე შეგანილი განაცხადების საფუძველზე ჩატემული პატენტების, რევისგრირებული სასაქონლო ნიშნების შესახებ, ბოლო დროის ცვლილებები საპატენტო კანონმდებლობაში, საპატენტო უწყების საქმიანობასთან დაკავშირებული წესების ცვლილებები, შეგყობინებები საპატენტო უფლებათა გადაცემის თაობაზე, წინადადებები ლიცენზიების გაყიდვაზე, სასამართლო გადაწყვეტილებათა ანგარიშები და ინფორმაცია გამოვონებების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ.

საპატენტო უწყების ბიულეტენი წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში დაპატენტებულ უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს.

აშშ-ში გამოდის საპატენტო უწყების ბიულეტენი სახელწოდებით „აშშ-ის საპატენტო უწყების ოფიციალური ბიულეტენი“, საფრანგეთში – „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი“, გერმანიაში – „საპატენტო ბიულეტენი“. ინგლისში საპატენტო უწყება გამოსცემს ორ ჟურნალს: „პატენტების ოფიციალურ ბიულეტენსა“ და „სასაქონლო ნიშნების ბიულეტენს“.

ოფიციალურ ბიულეტენებთან ერთად საპატენტო უწყებები ბეჭდავენ სხვა გამოცემებსაც. ზოგიერთ ქვეყანაში იბეჭდება საპატენტო აღწერილობებიც. ეს ძირითადად ის ქვეყნებია. სადაც ყოველწლიურად გაიცემა 10000-ზე მეტი პატენტი. გარდა ამისა, საპატენტო უწყებები გამოსცემენ სხვადასხვა სახის სტატისტიკურ კრებულებს, პატენტების საძიებლებს, განმცხადებლების სიებს ანდა დასახელებებს, კლასიფიკატორებს, საინსტრუქციო მასალებს, სხვადასხვა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვებს, საპატენტო უწყების სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანგარიშებს და სხვა მასალებს. მაგალითად, ასეთია „აშშ-ის საპატენტო უწყების მიერ გაცემული პატენტების საძიებელი“, რომელიც შეიცავს აშშ-ის პატენტებზე სხვადასხვა სასიათის ცნობებს, კერძოდ, პატენტის მფლობელთა და გამომგონებელთა სიას, პატენტების ნომრების მითითებით: გაცემული პატენტების საძიებელს; პატენტის იმ მფლობელთა სიას, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთ უფლებებზე და ა.შ. საპატენტო უწყების სააპელაციო პალატისა და სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება სპეციალურ პერიოდულ გამოცემებში და სხვ.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის აქვს საპატენტო განაცხადის შეგანის უფლება და, მაშასადამე, პატენტის მიღებისაც. არსებობს პატენტის განცხადებით გაცემისა და საგამომგონებლო სისტემები.

ამ ე.წ. პატენტის განცხადებით გაცემის სისტემის მქონე ქვეყნებში პატენტი ეძლევა პირველ განმცხადებელს. მიუხედავად იმისა, არის იგი გამომგონებელი თუ არა. თუ სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონებს გადაეხედავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ, სადაც საპატენტო უწყება

განცხადებული სიახლის პატენჯუნარიანობის შესახებ შემოწმებას არ აგარეებს, განაცხადის შეგანაზე უფლება აქვს პირველ განმცხადებელს. თუმცა აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ბოგიერთი ქვეყანაში განმცხადებლის მხრივ არაკეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში ნამდვილ გამოძგონებელს შეუძლია შოთისოგოს განაცხადის ან პატენჯის გაუქმება და მისთვის შესაბამისი უფლების მინიჭება. ამასთან, შესაგებლის შეგანის უფლება აქვს მხოლოდ დაზარალებულს – გამოძგონებელს ან მის უფლებამონაცვლეს.

პატენჯის განცხადებით გაცემის სისგემა არ ზღუდავს სხვის შიერ შექმნილ გამოძგონებათა მითვისებას და მასზე საპატენჯო მონოპოლიის მოპოვებას. გასულ საეკუნეში გამოძგონებელს უფლება არ ჰქონდა თავისი სახელი მიუთითებინა პატენჯში. გამოძგონებელთა საბჭოებისა და სამეცნიერო საზოგადოებების, პროფესიული კავშირების თავგამოდებული ბრძოლის შედეგად ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ამ სისგემაზე, ხოლო იქ, სადაც იგი უცვლელი დარჩა, აგგორმა მიიღო უფლება მისი აგგორობის მითითებაზე. ეს უფლება განმტკიცებულია პარიზის კონვენციის ერთ-ერთ მუხლში, რომელშიც ნათქვამია – „გამომძგონებელს უფლება აქვს ასეთად დასახელებული იყოს პატენჯში“.

ამჟამად უმეტეს სახელმწიფოებში მოქმედებს პატენჯების გაცემის სავამომძგონებლო სისგემა, რომლის თანახმად, განაცხადის შეგანისა და პატენჯის მიღების უფლება აქვს გამოძგონებელს ან პირს, რომელმაც მიიღო ეს უფლება გამოძგონებლისაგან კანონით დადგენილი წესით. მოცემულ სისგემას მისდევს ინგლისური, გერმანული და ამერიკული საპატენჯო სისგემების მქონე ქვეყნები.

ინგლისური და ამერიკული საპატენჯო სისგემების მქონე ქვეყნებში კანონმდებლობით დადგენილია, რომ პატენჯის მიღების უფლება აქვს „პირველ და ჭეშმარიტ გამოძგონებელს“ ე.ი. განმცხადებელი უნდა იყოს არა მარგო გამოძგონებელი, არამედ პირველი გამოძგონებელიც. თუმცა პირველი გამოძგონებლისათვის პატენჯის გაცემის იდეა პრაქტიკულ განსორციელებამდე დაყვანილია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (აშშ, კანადა, ფილიპინები). დანარჩენ

ქვეყნებში საპატენტო უწყებები თვითონ არ კისრულობენ გარკვეიონ გამოგონებაზე განაცხადის რამდენიმე შემტანს შორის პირველი გამოძგონებელი. საკმარისია, რომ განმცხადებელი იყოს გამოძგონებელი ან კანონიერ საუქველზე მისი უულებამონაცვლე. საერთოდ კი. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი განმცხადებელი, როგორც წესი, პირველი გამოძგონებელია.

საქართველოს საპატენტო კანონში აღნიშნულია: „განაცხადს „საქპატენტში“ წარადგენს ავტორი, სამუშაოს მიმცემი ან მათი უულებამონაცვლე.

თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში ორი ან მეტი პირის ერთობლივი (თანაზიარი) შემოქმედებითი შრომის შედეგად არის შექმნილი, ისინი განაცხადს ურთიერთშეთანხმების საუქველზე ერთობლივად წარადგენენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა თითოეული მათგანის შემოქმედებითი წილი გამოგონების შექმნაში განსხვავებულია.

თუ რომელიმე ავტორი უარს ამბობს განაცხადის შეგანაზე, განაცხადის წარდგენის უულება აქვთ დანარჩენ ავტორებს.

განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს საპატენტო რწმუნებულის შემეეობით“.

რუსეთის საპატენტო კანონით პატენტი ეძლევა: გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორს (ავტორებს); უიზიკურ ანდა იურიდიულ პირებს (მათი შეთანხმების შემთხვევაში), რომლებიც ავტორის (ავტორების) ან მისი (მათი) უულებამოსილი პირის მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის მომენგამდე საპატენტო უწყებაში შეგანილ განცხადებაშია მითითებული; სამუშაოს მიმცემს, თუ მუშაკის მიერ გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში შექმნილია თაყის სამსახურებრივი მოვალეობის ან სამუშაოს მიმცემისაგან მიღებული კონკრეტული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, თუ მათი შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაა სხვა რამ.

გერმანული საპატენტო სისტემის მქონე ქვეყნებში (ავსტრია,

ჯერმანია, იაპონია, შვეიცარია. შვედეთი და სხვ.), კანონი გამოგონებულს უმკვიდრებს პაგენგის მიღების უფლებას, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი გამოგონების პირველ შემქმნელს.

საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნების საპატენტო უწყებები, როგორც წესი, აღგენენ განმცხადებლის პიროვნებას. როგორც უკვე ითქვა, უნდა ვივარაუდოთ და იგულისხმება, რომ განმცხადებელი არის გამომგონებელი, თუ ის ასეთად წარმოადგენს თავის თავს. თუ განმცხადებელი გამომგონებელი არაა, საჭიროა დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა განაცხადის შეგანის განმცხადებლის უფლების შესახებ, რომელსაც ეწოდება გადაცემის აქტი, მისი შედგენა ხდება მიღებული ფორმით. ხელს აწერს გამომგონებელი და უფლებამონაცემე და დასტურდება ნოტარიულ დაწესებულებაში. საპატენტო განაცხადი უქმდება, თუ აღმოჩნდა, რომ განმცხადებელი არც გამომგონებელია და არც მისი კანონიერი მემკვიდრე. შესაგებელი (საჩივარი, პროტესტი) შეიძლება შეიგანოს მხოლოდ იმ დაინტერესებულმა პირმა, ვისი უფლებებიც დარღვეულია.

ამრიგად, საგამომგონებლო სისტემის ქვეყნებში დეკლარირებულია გამომგონებლის უფლება პატენტის მიღებაზე. გამოგონების განსორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს, ხოლო მისი ათეისება, როგორც წესი, დაკავშირებულია ეურო მეტ კაპიტალდაბანდებასთან, რომლის გაღება მხოლოდ მსხვილ საწარმოებს ძალუძთ. ამიტომ გამომგონებელი უურო ხშირად იძულებულია ვაყილოს ან თავისი გამოგონება, ან კიდევ თავისი საგამომგონებლო შრომა. ამჟამად უმეტესი გამომგონებლები მსახურობენ კერძო ან სახელმწიფო საწარმოებში. ზოგიერთ ქვეყანაში მათი ურთიერთობა ამ იურიდიულ ორგანიზაციებთან რეგულირდება სპეციალური კანონებით (ჯერმანია, დანია, შვედეთი და სხვ.), ზოგიერთ ქვეყანაში კი – საპატენტო კანონებით (ავსტრია, იაპონია, იტალია, კანადა, ნიდერლანდი), ზოგში – სასამართლო პრაქტიკით (აშშ, არგენტინა და სხვ.).

მოსამსახურეთა ყველა გამოგონება იცოფა ორ კატეგორიად – სასამსახურო და თავისუფალ გამოგონებად. სასამსახუროს მიეკუთვნება

შრომითი ხელშეკრულების განმავლობაში სამსახურის სახსრების, მოწყობილობების, უინანსების, აგრეთვე წარმოების გამოცდილების გამოყენებით შექმნილი გამოგონებები. გამოგონებების სასამსახუროდ მიჩნევისათვის ამ ნიშან-თვისებათაგან ერთის არსებობაც საკმარისია. თავისუფალ გამოგონებად ითვლება ისეთი, რომელიც შექმნილია არასაბჭუქაო საათებში, საკუთარი სახსრებით და საწარმოში მუშაობის დროს შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე.

სასამსახურო გამოგონებაზე უფლება, როგორც წესი, სრულად ეკუთვნის მეწარმეს. მაგალითად, გერმანიაში უფლება მას ენიჭება კანონის ან საწარმოს შრომის განაწესის საუფუძველზე და საწარმოს არ მოეთხოვება ავტორიან დადოს სპეციალური ხელშეკრულება პატენტზე უფლების გადათმობის შესახებ. სამსახურში ჩაღვომისთანავე დაქირავებული პირი ვალდებულია იღებს ყველა გამოგონება, რომელთაც თავისი საქმიანობის დროს შექმნის, გადასცეს მეწარმეს. იმ ქვეყნებში კი (აშშ, ინგლისი), სადაც განაცხადის შეგანის უფლება ფორმალურად აქვს გამომგონებელს, შემუშავებულია გიპობრივი ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებულია დაქირავებული მუშაკის მოვალეობა, რომ საწარმოში მუშაობის პროცესში მის მიერ შექმნილ ყველა გამოგონებაზე უფლებები გადასცეს საწარმოს.

ბევრ ქვეყანაში მეწარმეებს უფლება აქვთ იმ გამოგონებებზეც, რომლებიც მოსამსახურებმა გარკვეული დროის მანძილზე შექმნეს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. მაგალითად, იტალიასა და ავსტრიაში გამოგონებები, რომლებზეც განაცხადები შეგანილი იყო შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დამთავრების შემდეგ 1 წლის განმავლობაში, განიხილება, როგორც სასამსახურო. გერმანიაში მოსამსახურეთა გამოგონებების შესახებ კანონის თანახმად, თუ გამომგონებელმა მის მიერ სამსახურის დატოვების შემდეგ მალე შექმნა გამოგონება, მან უნდა დაამტკიცოს რა გარემოებებმა მისცა მას შესაძლებლობა საწარმოს გარეშე გამოგონების შესაქმნელად, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოგონება მიჩნეული იქნება როგორც სასამსახურო.

ამრიგად, საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნებშიც პატენტის მიღების უფლება და ამ აქტთან დაკავშირებული ქონებრივი სარგებელი უმეტეს შემთხვევაში ეკუთვნის არა ნაშეიღვ გამოგონებელს. არამედ წარმოებასა და გამოგონების დანერგვაში კაპიტალის დაშვანდებელ მეწარმეს.

თითქმის ყველა ქვეყანაში საპატენტო განაცხადის შეგანნი შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიულიც. საგამომგონებლო სისტემის ქვეყნებში იურიდიული პირი შეიძლება გამოდიოდეს გამომგონებლის უფლებამონაცვლის სახით. გამომგონებელია გვარები მითითებული უნდა იყოს განაცხადში და იქვე წარმოდგენილ უნდა იქნეს გადათმობის აქტი.

განაცხადი შეიძლება ერთდროულად შეიგანოს და პატენტი მიიღოს რამდენიმე პირმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა). თითოეულ პირს მოცემულ შემთხვევაში გამოგონების გამოყენებისა და გამგებლობის მიმართ ერთნაირი უფლება აქვს.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში უცხოელებს მინიჭებული აქვთ განაცხადის შეგანის უფლება. მისი განხორციელებისათვის საფუძველს წარმოადგენს: სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ საერთაშორისო, რეგიონული შეთანხმებები, ორმხრივი მოლაპარაკებები ურთიერთობის საფუძველზე ან ასეთი პირობების გარეშე, კანონმდებლობის მიერ აღვილობრივი მოქალაქეების თანაბრად ერთნაირი უფლებების მიცემა, საცხოვრებელი ადგილის დაუიქსირება ან დაპატენტების ქვეყნის გერიტორიაზე სამრეწველო, კომერციული საქმიანობის განხორციელება და ბოლოს, საზღვარგარეთ მოქმედი პატენტის მფლობელობა.

ყველაზე მეტად გავრცელებული საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება უცხოური დაპატენტება, ეს არის ქვეყანა-განმცხადებლის ან ქვეყნის, სადაც გამოგონება პატენტდება, მონაწილეობა სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე საერთაშორისო ან რეგიონალურ მოლაპარაკებაში. მაგალითად, 1883 წლის პარიზის კონვენცია აღგენს, რომ კავშირის ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ კავშირის ყველა

სხვა ქვეყანაში იმავე უპირატესობით, რომელიც მინიჭებული აქვთ საკუთარ მოქალაქეებს. კავშირის ქვეყნების მოქალაქეებს უთანაბრებენ იმ ქვეყნების მოქალაქეებსაც, რომლებიც არ არიან პარიზის კონვენციის მონაწილენი, მაგრამ კავშირის მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე აქვთ საცხოვრებელი ან სამრეწველო, ან კიდეც სავაჭრო საწარმო. ანალოგიური წესები უღვეს საფუძვლად ბევრ რეგიონულ და ორმხრივ შეთანხმებას სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში.

თითოეული ამ საფუძველთაგანი საზღვარგარეთ დაპატენტებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ცალკე, ისე სხვა საფუძვლებთან ერთად.

უმეტეს ქვეყნებში უცხოელ მოქალაქეებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიტანონ განაცხადი და განახორციელონ საპატენტო უწყების საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა მოქმედებანი. მათთვის კანონი ალგენს წარმომადგენლობის აუცილებლობას, რომელიც სორციელდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები პირის მიერ, სადაც პატენტდება გამოგონება. წარმომადგენლების სახით, ჩვეულებრივ, არსებობენ ხოლმე სპეციალიზებული ფირმები, ე.წ. საპატენტო რწმუნებულები ან საპატენტო აგენტები.

იმ ქვეყნებში, სადაც უცხოელი განმცხადებლები უფლებრივად გათანაბრებული არიან საკუთარ მოქალაქეებთან, საპატენტო უფლებათა გაფორმება შესაძლებელია მესამე პირის მომსახურების გამოყენების გარეშე. მაგრამ პრაქტიკაში უცხოელები და ბევრი ალგილობრივი მოქალაქეც, ძირითადად მარტოხელა-გაძომგონებლები და წვრილი ფირმები, რომლებსაც საკუთარი საპატენტო სამსახურები არ გააჩნიათ, საპატენტო რწმუნებულთა სამსახურს მიმართავენ ხოლმე, რამდენადაც გამოგონების აღწერილობის შედგენა, სხვა საგანაცხადო მასალების მომზადება და საპატენტო უწყებასთან მიმოწერა მოითხოვს დასპეციალებას, საპატენტო კანონმდებლობისა და დაპატენტების პროცედურის ყველა წვრილმანის ცოდნას. საპატენტო რწმუნებულთა ფირმები შედგება კვალიფიციური პატენტომცოდნეებისაგან, რომლებსაც აქვთ იურიდიული, ტექნიკური განათლება და საპატენტო მუშაობის

გამოცდილება. საპატენტო რწმუნებულთა სახით სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ სპეციალური აქტებით ან საპატენტო კანონმდებლობით დადგენილ და საპატენტო უწყებაში რეგისტრირებულ განსაკუთრებულ მოთხოვნებს. საპატენტო რწმუნებულები განმცხადებელს ესმარებიან გამოგონების აღწერილობისა და საპატენტო ფორმულის შედგენაში, მისი თხოვნით აგარებენ გამოგონების სიახლის წინასწარ შემოწმებას, აფორმებენ განაცხადის მასალებს (თარგმნიან, ბეჭდავენ, ამზადებენ ნახაზებს და სხვ.), შეაქვთ განაცხადი საპატენტო უწყებაში და იცავენ განმცხადებლების ინტერესებს გამოგონებათა დაპატენტების პროცესში, აგრეთვე პატენტების გაცემის შემდეგაც. ვარდა ამისა, საპატენტო რწმუნებული შეიძლება იყოს განმცხადებლის ინტერესების დამცველიც სასაპართლოში. იგი თავისი სამსახურისათვის კლიენტისაგან იღებს საბაჟო გადასახადს, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფირმის ავტორიტეტულობაზე, მუშაობის ხასიათსა და შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე.

პატენტის გაცემის შესახებ სწორად შედგენილ და გაფორმებულ განაცხადს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საპატენტო უწყებაში მისი სწრაფად გავლისათვის, ისე გამოგონების საპატენტო უფლების მოცულობის სწორი დადგენისათვის.

საპატენტო განაცხადი შეიცავს იმ ქვეყნის, სადაც პატენტდება გამოგონება, კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკით განპირობებული მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ მთელ რიგ დოკუმენტებს. ეს დოკუმენტებია: განცხადება პატენტის გაცემაზე (საკუთრივ განაცხადი); საპატენტო აღწერილობა; გამოგონების მოკლე ანოტაცია ან რეზიუმე; კონვენციური ან საგამოყენო პრიორიტეტის დადასტურება და პირველი საპატენტო განაცხადის, რომლის საფუძველზეც მოითხოვება კონვენციური პრიორიტეტი, ასლი; საპატენტო რწმუნებულის მინდობილობა საქმის წარმოების უფლებაზე; გადაცემის აქტი. განაცხადს უნდა დაერთოს ქვითარი ბაჟის გადახდის შესახებ ან საბაჟო მარკა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დოკუმენტების

მედგენა, კონვენციური პრიორიტეტის უფლების დადასტურების ცნობისა და პირველი განაცხადის ასლის გამოკლებით, ხდება იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, სადაც გამოგონება პატენტდება. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ქვეყანა, სადაც განაცხადების ძირითადი მასალების წარდგენა ხდება იმ ქვეყნის ენაზეც, რომელთანაც დამატებულ ქვეყანას ამასთან დაკავშირებით დადებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულება. მაგალითად, რუსეთის საპატენტო კანონი მასალების წარდგენის დროს ითვალისწინებს ფრანგულ ენას. ხოლო საფრანგეთის საპატენტო უწყებაში შეიძლება მასალების წარმოდგენა რუსულ ენაზეც.

განაცხადის ძირითადი დოკუმენტები – განაცხადება პატენტის გაცემის შესახებ და საპატენტო აღწერილობა ისეთი დოკუმენტებია, რომელთა წარდგენა საპატენტო უწყებაში აუცილებელია განაცხადის შეტანის ფაქტის დადგენისა და პრიორიტეტის დამკვიდრებისათვის. სხვა დოკუმენტების წარდგენა ყველა ქვეყანაში სავალდებულო არაა და, ვარდა ამისა, ისინი შეიძლება მოგვიანებით იქნეს წარდგენილი განაცხადის განხილვის პროცესის დროს. საპატენტო განაცხადის მასალები შეიძლება შეივსოს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში და იმ ქვეყანაში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც გამოგონება პატენტდება.

განაცხადება პატენტის მისაღებად იწერება საპატენტო უწყების ხელმძღვანელის სახელზე და შეიცავს თხოვნას პატენტის გაცემის შესახებ. იგი სრულდება სპეციალურ ბლანკზე და მასში შეტანილია შემდეგი მონაცემები:

1. განმცხადებლის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი). თუ განმცხადებელი საპატენტო რწმუნებულს მიმართავს სამსახურის გასაწევად, მაშინ საჭიროა მისი გვარის მითითება და საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის მისამართის ოფიციალური დასახელება, აგრეთვე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების მოცულობა;

2. გამომგონებლის ვინაობა და მისი საცხოვრებელი ადგილი (პატენტების გაცემის სავალდებულო სისტემის ქვეყნებში).

გამოტკონებლის ვინაობის სწორი მითითება ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, არგენტინა, ინგლისი, კანადა და სხვ.) წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას, რომლის დაუკველობა გამოიწვევს განაცხადის უარყოფას ან პაგენგის გატყუებულ ქვეყანაში გამოვონებაზე უფლების გაუქმებას;

3. გამოვონების დასახელება;

4. გამოვონების უფლებრივი დაცვის ფორმა და ვადის ხანგრძლივობა (უფლებრივი დაცვის სხვადასხვა ფორმის ან პაგენგების სხვადასხვა მოქმედების ვადების მქონე ქვეყნებში);

5. ძირითადი პაგენგის ნომერი ან განაცხადის სარეგისტრაციო ინდექსი ძირითადად პაგენგზე (თუ დამატებითი პაგენგი მოითხოვება);

6. საპაგენგო უწყებასთან მიმოწერის უფლების მქონე პირი (განაცხადში რამდენიმე განმცხადებლის ან რამდენიმე რწმუნებულის არსებობის შემთხვევაში);

7. ქვეყნის დასახელება. სადაც პირველი განაცხადი იყო შეგანილი, შეგანის თარიღი, განაცხადის ნომერი, აგრეთვე პაგენგის ვაცემის დღე და მოქმედების ვადა (კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში).

გამოვონებაზე პაგენგის მისაღებად განცხადება ზოგიერთ ქვეყანაში შეიგანება ერთ, ზოგიერთ ქვეყანაში კი ორ ეტაპულად. მას ხელს აწერს განმცხადებელი ან საპაგენგო რწმუნებული. მასში აღინიშნება საპაგენგო განაცხადის შეგანის საათი, დღე, თვე და წელი.

საპაგენგო აღწერილობა წარმოადგენს გამოვონების ტექნიკური არსის გადმოცემას და მას მნიშვნელოვანი საინფორმაციო და უფლებრივი დანიშნულება აქვს. მსოფლიოს ყველა ქვეყანას დადგენილი აქვს მისი შინაარსისა და გადმოცემისადმი გარკვეული ფორმის მკაცრი მოთხოვნები, რომელთა დაუკველობა დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნები ყველგან ერთნაირი არ არის, თითქმის ყველა ქვეყანაში საპაგენგო უწყების ძირითადი მოთხოვნა აღწერილობისადმი შემდეგ წესს უნდა აკმაყოფილებდეს: აღწერილობა გამოვონებას იმდენად ნათლად და სრულად უნდა ხსნიდეს, რომ ამ დარგის ნებისმიერ სპეციალისტს შეეძლოს დამატებითი შემოქმედებითი ძალისხმევით

გარეშე მისი პრაქტიკაში განხორციელება. ეს წესი, როგორც უკვე აღინიშნა, ემყარება ე.წ. პაგენგის ხელშეკრულებითს თეორიას, რის თანახმადაც, საპაგენგო მონოპოლია ენიჭება განმცხადებელს იმ წვლილის სანაცვლოდ, რომელიც მას მეცნიერებისა და გექნიკის განვითარებაში შეაქვს. უხსნის რა საზოგადოებას ახალ გექნიკურ იდეას. ამასთან ერთად, იღებს გახსნა უნდა იყოს სრული. ნათელი, მკაფიო, არაორამროვანი, რაიმე არსებითი დეგალის დაფარვის გარეშე. თუმცა პრაქტიკაში, მსხვილი საპრეწველო ფირმები, რომლებიც ფაქტობრივად განმცხადებელთა უმრავლესობას წარმოადგენენ, ცდილობენ არ გახსნან აღწერილობაში გამოგონების არსის ყველა დეგალი, დაუარონ არსებითი წვრილმანები, რომელთა ცოდნის გარეშე გამოგონება, საერთოდ, არ შეიძლება იყოს შესრულებული ან კიდევ მისი განხორციელების შემთხვევაში არ იძლევა მოსალოდნელ ეფექტს. ამ მიზანს ისინი ხშირად აღწევენ კიდევ. ამასთან, ეს სრულდება იმდენად კვალიფიციურად, რომ ექსპერტებს არ შეუძლია აღმოაჩინოს უკმარი მონაცემები და იგი იღებს გადაწყვეტილებას პაგენგის გაცემის თაობაზე. განსაკუთრებით აღვიღაღ ხერხდება გამოგონებაში ისეთი დეგალების შენიღბვა, რომლებიც მიეკუთვნება წარმოების მეიოდებს, სადაც ამა თუ იმ პარამეტრის, ოპერაციის თანამიმდევრობის არაზუსტი მითითების გამოვლენა დროის მოკლე პერიოდში ვერ ხერხდება და ამასთან ერთად მათი მნიშვნელობა გამოგონების ეფექტიანობისათვის საკმაოდ დიდია.

აღწერილობის სწორ შედგენაზე დამოკიდებულია საპაგენგო უწყებაში განაცხადის განხილვის ხანგრძლივობა და, რაც მთავარია, მიღებული პაგენგის საიმედოობა. აღწერილობის არასრულად გადმოცემა, გაურკვეველობა, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომების დაშვება შეიძლება განაცხადის უარყოფის მოტივი გახდეს. ექსპერტი ითხოვს აღწერილობის შესწორებას და დამატებითი ცნობების წარდგენას. მაგრამ ყველა მონაცემის მიღება და თავდაპირველ განაცხადში ჩართვა არ შეიძლება. ვარდა ამისა, როგორც წესი, ზოგაერთ ქვეყანაში არ დაიშვება განაცხადში ისეთი მონაცემების შეგანა, რომლებიც, საერთოდ, არ იყო თავდაპირველად წარდგენილ განაცხადში, მაგალითად, თუ საქმე

განაცხადში ცვლილების სახით „მასალების ახალი ნიშან-თვისებების“ შეგანას ეხება. ასეთი მასალები შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ ახალი განაცხადის შეგანის შექმნისას შიგნით ახალი პრიორიტეტით, რასაკვირველია, თუ ამ მასალებს შეუძლიათ შეაღწიონ განაცხადის საგანი და ისინი თავისთავად პატენტუნარიანი იქნებიან. ხშირად აღინიშნება განაცხადის გაუქმება და ახლის შეგანა ხდება არასაკმარისი მონაცემების მიზეზით და მის ყველაზე აღრეულ პრიორიტეტს წარმოადგენს უკმარისი ცნობების შეგანის თარიღი.

იმ ქვეყნებში, სადაც განაცხადის მასალები არსებითად მათი შინაარსის მიხედვით არ მოწმდება, პატენტი შეიძლება გაიცეს დეფექტური აღწერილობით და იგი დაინტერესებული პირების მიერ ადვილად შეიძლება დაეის საგნად იქცეს.

საპატენტო აღწერილობა წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც დგინდება პატენტის მფლობელის უფლებათა საზღვრები და ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოგონების უფლებრივი საზღვრების დადგენის სიმუხტე. თუ აღწერილობაში გახსნილი გამოგონება უკვე ისაა, რაც სინამდვილეში შექმნა გამოგონებელმა, პატენტი ვერ უზრუნველყოფს იმის სრულ დაცვას, რაც აღწერილობის ფარგლებს მიღმა დარჩა და უკანასკნელი შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული ნებისმიერი პირის მიერ. თუკი ეს პირიქით მოხდა, მაშინ გამოგონებელი აღწერილობაში პრეტენზიას აცხადებს უფრო მეტზე, ვიდრე სინამდვილეში იყო შექმნილი და განაცხადი გამოგონებაზე შეიძლება უარყოფილ იქნეს, ხოლო პატენტი – გაუქმებული გამოგონების სიახლის უქონლობის გამო.

ყველა ქვეყანაში არსებობს ე.წ. „გამოგონების ერთიანობის“ მოთხოვნა. ის იმას ნიშნავს, რომ თითოეულ საპატენტო განაცხადში გახსნილი უნდა იქნეს მხოლოდ ერთი გამოგონება. თუ აღწერილობაში არის ორი ან მეტი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი გამოგონება, ექსპერტიზა, ჩვეულებრივ, ითხოვს ხოლმე განაცხადის გაყოფას – ერთი გამოგონება შეადგენს პირველი განაცხადის საგანს, ხოლო სხვა

დანარჩენებზე შეიძლება დადგენილ ვალებში შეგანილ იქნეს დამოუკიდებელი განაცხადები. ამ შემთხვევაში ახალი განაცხადების პრიორიტეტი ღვინდება პირველი განაცხადის შეგანის თარიღით. ერთ განაცხადში დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე სახის გამოგონების გახსნა, მაგალითად, ნაკეთობის მიღების ხერხი და თვით ამ ნაკეთობის განხორციელების ხერხი და მოწყობილობა, მისი მოქმედების პრინციპი და ხერხი: თუ ეს გამოგონებები ერთიპორესთან ისეთი სახითაა დაკავშირებული, რომ ისინი არ შეიძლება ერთიპორეს გარეშე იქნეს მიღებული ან გამოყენებული, მაგალითად, თუ მოცემული ხერხით შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მოცემული ნივთიერება და, პირიქით, მოცემული ნივთიერება შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მოცემული ხერხით, მაშინ ეს ორი გამოგონება ერთიპორესთან საგამომგონებლო ერთიანობით დაკავშირებულად მიიხსნევა და შეიძლება ერთ საპატენტო აღწერილობაში, ე.ა. ერთ განაცხადში იქნეს გახსნილი.

საპატენტო აღწერილობა რამდენიმე სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. ესენია: საკუთრივ აღწერილობის დასახელება, თვით აღწერილობა. ნახაზები ან ქიმიური ფორმულები, თუ ამას გამოგონების ხასიათი მოითხოვს და გამოგონების ფორმულა (საგანი).

დასახელება ზუსტად და მოკლედ უნდა განსაზღვრავდეს გამოგონების საგანს და სრულად შეესაბამებოდეს მის მოცულობას. მან უნდა ასახოს გამოგონების საგნის გვარობითი ცნება, საერთოდ, მიღებული ან დარგობრივი ტექნიკური ტერმინოლოგიის შესაბამისად, მაგალითად, „უარი გვირაბების გაყვანისათვის“, თუ სპეციალური ტერმინი არ არსებობს, დასახელება შეიძლება გადმოიცეს აღწერილობით, მაგალითად, „სამარღვ ბუშტში ქვების დამშლელი მოწყობილობა“. საგნის დასახელება მოცემული უნდა იყოს მხოლოდობით რიცხვში – „სარეცხი საშუალება“, „უფრიგის მასალა“. უმეტეს ქვეყნებში (გამონაკლისს წარმოადგენენ აშშ, არგენტინა, კანადა და სხვ.) გამოგონების დასახელება სიგყვასიგყვით უნდა ემთხვეოდეს გამოგონების დასახელებას, რომლითაც იწყება საპატენტო ფორმულა.

დაუშვებელია დასახელებაში ჩაირთოს საკუთარი სახელები,

სიკვების შეერთება, რომლებიც სასაქონლო ნიშნებს, პირობით აღნიშნებს, გამოწვინებს, სიმბოლურ გამოსახულებებს ემთხვევა.

გამოგონების დასახელების სიზუსტის შოთხოვნა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოგონების სწორი კლასიფიკაციის აუცილებლობას, რაზედაც ღიდად არის დამოკიდებული ექსპერტიზის უწყეტიანობა.

ზოგიერთ ქვეყანაში გამოგონების საკუთრივ აღწერილობას წინ უძღვის პრეამბულა, რომელშიც მითითებულია განაცხადის შეტანის თარიღი, განმცხადებლის ვინაობა, მისი საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი); თუ განცხადებულია კონვენციური პრიორიტეტი – მითითებული უნდა იქნეს პირველი ქვეყანა, სადაც შეტანილია განაცხადი და სარეგისტრაციო ნომერი.

გამოგონების საკუთრივ აღწერილობაში ასახული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: ტექნიკის დარგი, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება; ამ დარგის განვითარების ღონე, რომელიც წინ უსწრებდა გამოგონების შექმნას (პრიორიტეტის თარიღს); ცნობილი ტექნიკური გადაწყვეტების (პროტოტიპების) ნაკლოვანებანი; გამომგონებლის მიერ შექმნილი გამოგონების ან გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის მიზანი; მოცემული ამოცანის ტექნიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტის საშუალებანი, ე.ი. გამოგონების არსის მოკლე აღმოსვება; ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატეობა, რომელიც შიილება გამოგონების გამოყენებისას; ნახაზების ნუსხა; გამოგონების დეტალური აღწერა.

აშშ-ის, ავრეთვე ამერიკული და ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემების მქონე ზოგიერთი სხვა ქვეყნის გამოგონების აღწერილობაში შეიტანება ე.წ. „გამფართოებელი განყოფილება“ ამ ნაწილს მსოლოდ უფლებრივი მნიშვნელობა აქვს და გამოგონების ფართო განმარტებას იძლევა. მასში აღინიშნება, რომ გამოგონება აღწერილობაში განსნილი მისი განსოციელების კონკრეტული ფორმით კი არ იზღუდება, არამედ ამოცანის ყველა ეკვივალენტურ გადაწყვეტას მოიცავს.

კანონი გამოგონების აღწერილობისადმი ყველა ქვეყანაში

ერთნაირ მოთხოვნებს არ აყენებს. მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ნებისმიერი ქვეყნის საპატენტო უწყებაში შეტანილი გამოგონების აღწერილობაში უნდა იყოს ასახული, მაგრამ მათი გახსნის მოცულობა და ხასიათი ყოველთვის ერთნაირი არაა და აღმინისგრაფიულ აქტებში დადგენილი წესებით განისაზღვრება. პაგალითადა, გამოგონების გახსნის მოცულობის მიმართ ყველაზე უფრო მაღალი მოთხოვნა წაყენებულია აშშ-ში, სადაც საპატენტო კანონი აღგნს, რომ აღწერილობაში არა მარტო „სრულად, ნათლად და ბუსგად“ უნდა იყოს გახსნილი გამოგონების არსი, არამედ უნდა ვაღმოიკვს კიდევ „ავტორისათვის ცნობილი მისი რეალიზაციის ყველაზე საუკეთესო ხერხი“. ანალოგიური მოთხოვნებია წაყენებული აღწერილობაში არსის გახსნის. გამოგონების საუკეთესოდ განსხორციელების ავტორის მიერ მიღებული ხერხის მიმართ ავსტრალიის, ინგლისის, ინდოეთის, კანადის და სხვა ინგლისური და ამერიკული საპატენტო სამართლის სისტემების მქონე ქვეყნების. აგრეთვე ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონებში. გერმანული და ფრანგული საპატენტო სამართლის სისტემების მქონე ქვეყნებში გამოგონების გახსნის მოცულობის მოთხოვნა აღწერილობაში არცთუ იმდენად მკაცრადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ დაწვრილებით უნდა იქნეს გადმოცემული, რათა სპეციალისტმა შეძლოს მკაფიოდ გაიაზროს გამოგონების არსი და პრაქტიკულად განახორციელოს იგი ყოველგვარი დამატებითი მასალების, ცდებისა და შემოქმედებითი დამუშავების გარეშე.

გამოგონების აღწერილობას, თუ მისი არსის გაგებისათვის ეს აუცილებელია, დაერთიება ნახაზები. ნახაზებზე უნდა აისახოს აღწერილობაში გახსნილი გამოგონების ყველა დეტალი, კვანძი, ვარიანტი და მასში არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ისეთი რამ, რაც აღწერილობაში მოცემული არაა. ნახაზების ზომები ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა დეტალი და კვანძი მკაფიოდ ჩანდეს ფოტოასლებზე, რომლებსაც ამზადებენ სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებები. ყველა ქვეყანაში ერთნაირი მოთხოვნა არაა წარდგენილი ნახაზების ზომების, ქალაღის, აღნიშვნათა დაგანის წესის, ხასიათისა და ა.შ. მიმართ. ამ

დადგენილი მოთხოვნებიდან რომელიმე შათიგანის შეუსრულებლობის გამო პაგენგის მაძიებელს შეიძლება პაგენგის გაცემაზე უარი ეთქვას. ნახაზების გარდა, საპაგენგო აღწერილობაში შეიძლება ჩაირთოს სქემები, დიაგრამები, ტექნოლოგიური პროცესის ამსახველი რკკები და სხვა ილუსტრაციები, თუ ისინი გამოგონების არსის გახსნისათვის აუცილებელია.

საპაგენგო აღწერილობა, საერთო წესის თანახმად, მთავრდება ე.წ. საპაგენგო ფორმულით (გამოგონების ფორმულით, საპაგენგო პრეტენზიებით, პაგენგის საგნით), რომელიც გამოგონების ტექნიკური არსის მოკლედ გადმოცემას ემსახურება და საპაგენგო მონოპოლიის საზღვრებს აღგენს. საპაგენგო ფორმულა წარმოადგენს აღწერილობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რამდენადაც სწორედ მისი შემვეობით განი-საზღვრება პაგენგის მფლობელის უფლებათა მოცულობა და დგინდება პაგენგის დარღვევის ფაქტი. უმეტეს ქვეყნებში პაგენგის უფლებათა დარღვევის გამო დავის წამოჭრის შემთხვევაში გამოგონების საკუთრივ აღწერილობა ან საერთოდ არ მიიღება მხედველობაში. ან კიდე, საპაგენგო ფორმულაში ნახმარი მხოლოდ ზოგიერთი ტერმინის გამოთქმის მნიშვნელობის გარკვევისათვის გამოიყენება. ამიგონ-თითქმის ყველა ქვეყანაში საპაგენგო ფორმულის შედგენა ერთობ მკაცრ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

საპაგენგო ფორმულაში გადმოცემული უნდა იყოს გამოგონების ყველა აუცილებელი ნიშან-თვისება. თუ რომელიმე შათიგანი გამოგონებულა, პაგენგი გამოგონების არასრულად გახსნის გამოგონების აღწერილობის ფორმულასთან შეუსაგყვისობის (თუ ან ნიშან-თვისებამ ასახვა პოვა აღწერილობაში) ან კიდევ განცხადებუ-გადაწყვეტის არაეფექტიანობის, განუხორციელებლობის გამო შეიძლე-ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული. სხვა მხრივ, გამოგონებ...ს ფორმულაში გამოგონების იდეის განხორციელებისათვის მუორეხარისხოვანი, არასავალდებულო ნიშან-თვისებების ჩართვა ზღუდავს პაგენგის მფლობელის უფლებათა მოცულობას და მას პაგენგის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას. მაშასადამე, ფორმულაში ჩართული

თითოეული ნიშან-თვისება აუცილებელი უნდა იყოს, ხოლო ყველა მათგანი ერთად გამოგონების სწორი დახასიათებისათვის – საკმარისი.

საპატენტო პრევენციების შედგენისას ღილი მნიშვნელობა ენიჭება ფორმულირების სიზუსტეს, გერძინების სწორ გამოყენებას, ცალკეული ელემენტების ურთიერთკავშირის მკაფიოდ გამოსატყობას. არ დაიშვება ზარკიველი გამოთქმების, ორამბროვანი ფორმულირების გამოყენება. გამოგონების არსი და საპატენტო მონოპოლიის საზღვრები მარტო გამოგონების ფორმულის საფუძველზე უნდა იყოს გასატყობი. ამიგომაც კმეტის ქვეყნებში დაუშვებელია მასში აღწერილობაზე, ნახაზზე საერთო მითითებების დართვა. მაგალითად: „როგორც გახსნილია აღწერილობაში“ ან კიდევ – „როგორც ნაჩვენებია ნახაზზე“. გერმანული საპატენტო უფლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მხოლოდ იმ აღნიშვნათა მითითებაა დასაშვები, რომლებიც ნახაზების პოზიციებზეა ნაჩვენები.

გამოგონების ფორმულა არ უნდა იძლეოდეს გამოყენებული ელემენტების ან საბოლოო ანგარიშით მიღებული შედეგის რაიმე შეფასებას. ამიგომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ დაიშვება გამოგონების მიზნების მითითება გამოგონების ფორმულაში, რამდენადაც მათ უფლებრივი მნიშვნელობა არაა აქვთ, ხოლო მათი ფორმულაში მოქცევა ზედმეტად გვირთიავს მას, აძნელებს გამოგონების არსისა და მოცულობის გაგებას.

საპატენტო ფორმულა, ჩვეულებრივ, შედგება რამდენიმე პუნქტისაგან ან პოზიციისაგან, რაც საშუალებას იძლევა უფრო სწორად და მკაფიოდ დახასიათდეს გამოგონება. ასეთ ფორმულას მრავალრგოლიანი ეწოდება. საპატენტო ფორმულის პუნქტების ოდენობა დამოკიდებულია გამოგონების თავისებურებაზე, უპირველესად მის სირთულეზე; არსებობს როგორც კონსტრუქციული, ისე გექნოლოგიური სირთულე, მათი ოდენობა შეიძლება იყოს 5-დან 15-მდეც, ხოლო ზოგჯერ საგამომგონებლო იდეის სრული გახსნიისათვის ერთი პუნქტიც საკმარისია. საპატენტო უწყებები, როგორც წესი, არ ზღუდავენ საპატენტო ფორმულის პუნქტების რაოდენობას, თუმცა ცალკეულ

ქვეყნებში – აშშ, კანადა, საფრანგეთი, შვეიცარია – დადგენილია მღვარი, რომლის გადაბეჭება იწვევს დამატებითი ბაჟის გადახდას.

საპატენტო ფორმულის შედგენა მოითხოვს დიდ ოსტატობას, გამოგონების არსის მკაფიოდ გაგებას და ყველა ხერხის იურიდიული გექსიკის წვრილმანების დაუფლებას. საპატენტო ფორმულის რელაქცია ისეთი უნდა იყოს, რომ მან მოიცუვას გამოგონების ყველა განსახორციელებელი ვარიანტი და ნებისმიერი დავის წამოჭრის შემთხვევისათვის მუსკად დაადგინოს მონოპოლიის საზღვრები.

აურია-ძალაგასის კავშირის ქვეყნებში აღწერილობა მიაგრდება არა გამოგონების ფორმულით, არაბედ ე.წ. საპატენტო რეზიუმით, რომელიც აღწერილობაში მოცემული მასალების საფუძველზე დასკვნის სახით შედგენილი, გამოგონების არსის მოკლედ გადმოცემას წარმოადგენს და მას დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა არა აქვს.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო უწყება ერთნაირ მოთხოვნებს არ უყენებს საპატენტო ფორმულის ფორმასა და შინაარსს. არსებობს: საპატენტო ფორმულის გადმოცემის შემდეგი ძირითადი სისტემები გერმანული, რომელიც მიღებულია გერმანული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში; ამერიკული, რომელიც მიღებულია კანადაში და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში; ინგლისური, რომელიც მოქმედებს ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში. ცალკეულ ქვეყნებში დასაშვებია ნებისმიერი სისტემით გადმოცემული საპატენტო ფორმულის საპატენტო განაცხადში ჩართვა და შეგანა. კერძოდ, ასეთი წესი მოქმედებს ბელგიაში, ესპანეთში, იგალიაში, კანადაში, პორტუგალიაში და სხვ.

გერმანულ საპატენტო ფორმულას უწოდებენ ლოგიკურს, რამდენადაც იგი ფორმალური ლოგიკის კანონების მიხედვით არის აგებული და არსებითად საგამომგონებლო იდეის გვარუობითი და სახეობრივი განსხვავებებით განსაზღვრავს წარმოადგენს. გვარუობით ცნებას გამოხატავს გამოგონების დასახელება, რომლითაც იწყება საპატენტო ფორმულა; იგი მუსკად უნდა ემთხვეოდეს პატენტის გაცემაზე

განაცხადში და საპატენტო აღწერილობაში მითითებულ დასახელებას. შეძლევა საჭიროა ჩამოითვალოს როგორც ცნობილი, ისე ახალი სახეობრივი განსხვავებები, რომლებსაც გამოგონების ნიშნებს უწოდებენ.

გერმანული საპატენტო უორმულის დამახასიათებელ თავი-სებურებას წარმოადგენს ის, რომ გამოგონების ცნობილი უახლესი პროტოტიპის აღმწერი ნიშან-თვისებები თავსდება უორმულის გექსტის პირველ ნაწილში, რომელსაც შემომსაზღვრელს (შეზღუდვით) უწოდებენ, ხოლო ავტორის მიერ შექმნილი სიახლე ერთიანდება სხვაში, ე.წ. განმასხვავებელ ნიშნებში. შეზღუდვითი და განმასხვავებელი ნაწილები ერთიმეორისაგან გამოყოფილია სიტყვებით „განსხვავებულია“ ან კიდევ „ხასიათდება იმით, რომ“. მაგალითად, „უოტოკაპერა საკეითა და ობიექტივით განსხვავდება იმით, რომ ერთი ამ ელემენტიაგანი გასართით უერთდება კამერას და შეუძლია შეუერთდეს სხვა ელემენტებს“.

მრავალრგოლიანი უორმულის შემთხვევაში გამოგონების ყველა აუცილებელი ნიშან-თვისება გადმოცემული უნდა იქნეს პირველ პუნქტში, რომელსაც მთავარს უწოდებენ და იგი შინაარსით ყველაზე უარითოს წარმოადგენს; შემდგომ პუნქტებში, რომლებსაც დამატებითს, ანუ დამოკიდებულს უწოდებენ, გადმოიცემა გამოგონების ვარიანტები და მოცემულია მათი გექნიკური კონკრეტობაცია. დამატებითი პუნქტი უნდა შეიცავდეს მთავარი პუნქტის ყველა ნიშან-თვისებას, ე.ი. მასში შეიძლება მითითებული იქნეს მხოლოდ ისეთი განსხვავებები, რომლებიც პირველ პუნქტში გადმოცემული პირითადი განმასხვავებელი ნიშნების გარეშე ვერ განხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებით პუნქტში გახსნილი იქნება სხვაგვარი გამოგონება, რომელიც პირველ პუნქტში განცხადებული გამოგონების ნიშან-თვისებითს ერთიანობას არ ფლობს. დამატებითი პუნქტის დამოკიდებულება მთავრისაგან, რედაქციული თვალსაზრისით, გამოიხატება იმით, რომ ის შეიცავს მითითებას მთავარ პუნქტზე, მაგალითად, „2. მოწყობილობა 1-ლი პუნქტის შინეღვით, განსხვავდება იმით, რომ...“. დამატებითი პუნქტები შეიძლება შეიცავდეს მითითებას მთავარ და წინა დამატებითზეც, მაგალითად, „4.

მოწყობილობა 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, განსხვავდება იმიო, რომ...“.

დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პირველ პუნქტს. მხოლოდ დამატებით პუნქტებში ვახსნილი ნიშან-თვისებების გამოყენება არ არღვევს პატენტს, თუ არ შეეხებოდა მთავარ პუნქტში გადმოცემულ ნიშან-თვისებებს.

ერთიპანეთთან უუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ორი გამოგონების დაპატენტების შემთხვევაში (მაგალითად, ხერხი და მოწყობილობა, ნივთიერება და ხერხი და ა.შ.), ერთი აირჩევა მთავრის სახით და შთააქვსლება პირველ პუნქტში. მეორე კი შეადგენს ე.წ. პარალელურ პუნქტის საგანს, რომელიც, მართალია, მთავარზე მითითებას („4. მოწყობილობა ხერხის განხორციელებისათვის 1-3 პუნქტების მიხედვით...“) შეიცავს, მაგრამ წარმოადგენს დამოუკიდებელს და მას დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს. თითოეული პარალელური პუნქტი შეიძლება შეიცავდეს აუცილებელი ოდენობის დამატებით პუნქტებს, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ.

გერმანული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე უმეტეს ქვეყნებში საპატენტო პრეტენზიების გექსიკური არსისა და გამოგონებაზე უფლებათა მოცულობის გარკვევისათვის შეიძლება გამოიყენოს საპატენტო აღწერილობა. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ აღწერილობაში ვახსნილია გამოგონების ნიშნები, რომლებიც, მართალია, ფორმულაში განმტკიცებული არ არის, მაგრამ მათი არსებობა პირდაპირ მისგან გამომდინარეობს.

ამერიკული საპატენტო ფორმულა გერმანულთან შედარებით, შეიცავს არსებით თაყისებურებებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ვანისაზღვრება იმიო, რომ აშშ-ში პატენტის მულობელის მონოპოლიური უფლებების მოცულობა ღვინდება გამოგონების ფორმულის მიხედვით. არც აღწერილობა და არც ნახაზები მხედველობაში არ მიიღება.

ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის აღმინისგრაციულ და სასამართლო პრაქტიკაში გამოიმუშავებულია მკაცრი მოთხოვნები საპატენტო

ფორმულის შედგენისა და რედაქციის მიმართ და საპატენტო უწყება მოიხსოვს მათს მკაცრ დაცვას.

ამერიკული საპატენტო ფორმულის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ გამოგონების ყველა ნიშან-თვისება მასში ერთიმეორის მიყოლებითაა გადმოცემული, როგორც ეს მოსახერხებელია მისი გახსნისათვის, განსაკუთრებულ ნაწილში ახალი ნიშან-თვისებების გამოყოფის გარეშე. სიახლე განისაზღვრება მილიანად, თითოეული პუნქტის ანალიზის გზით.

ამერიკული ფორმულის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ თითოეული პუნქტი წარმოადგენს დამოუკიდებელ საპატენტო ფორმულას, რომელშიც გადმოცემულია გამოგონების ერთი ვარიანტთაგანი; ესაა თავისებური პატენტი პატენტში. ამერიკული საპატენტო ფორმულის ნებისმიერ პუნქტში გადმოცემული ნიშნების მესამე პირის მიერ გამოყენება წარმოადგენს პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას. მეორე მხრივ, რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად მიჩნევა, მათ შორის პირველისა, სხვა პუნქტების გაუქმებას არ იწვევს. გამოგონების თითოეული ვარიანტი ცალკე პუნქტში ამომწურავად უნდა გადმოიციეს. იმისათვის, რომ ამერიკულ ფორმულაში ავტორისათვის ყველა ცნობილი ვარიანტი გადმოიციეს, გაცილებით მეტი პუნქტებია საჭირო, ვიდრე გერმანული სისტემის მისეღვით. ამერიკული ფორმულა უფრო დაწვრილებითი და გაშლილია. მისი თითოეული პუნქტი იწყება იმ ნიშან-თვისებების გამეორებით, რომლებიც წინა პუნქტში უკვე იყო გადმოცემული და მას ერთი ან რამდენიმე უკვე მითითებული ახალი ელემენტი ან კომბინაცია ემატება. გამოგონება რომ უფრო სრულად იქნეს დაცული, აუცილებელია ფორმულაში ჩამოითვალოს მისი ყველა არსებითი ვარიანტი. ამიგომ ამერიკული საპატენტო ფორმულა მოცულობის მიხედვით რამდენიმეჯერ აჭარბებს გერმანულს. გვხვდება მაგალითები, როცა აშშ-ში გაცემულ პატენტების საპატენტო ფორმულები ათობით და ასობით პუნქტს შეიცავენ.

მრავალრგოლიანი ფორმულის პირველი პუნქტი, ჩვეულებრივ,

წარმოადგენს მთავარს, საერთოს, შინაარსით უფრო ფართოს, ვიდრე მომღვწეო პუნქტები, რომლებსაც დამხმარე ან დამოკიდებული ეწოდება. დამხმარე პუნქტები შეიცავენ მითითებებს მთავარ ან ნებისმიერ წინასხვა პუნქტზე. თუმცა თითოეულ ასეთ პუნქტს მასში გახსნილი გამოვლენების მოდიფიკაციის დაკვირვების სრულიად დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს. ექსპერტიზის მიერ მთავარი პუნქტის ფართოდ ფორმულირების უარყოფას დამოკიდებული პუნქტის უარყოფა მოსდევს. აბისათვის მთავარი ფუნქციისაგან მხოლოდ მითითების მოცილებაა საჭირო.

დასაშვებია ერთი საპატენტო ფორმულაში ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე სხვადასხვა გამოვლენების გახსნა. ესენია: მისი განხორციელების ხერხი და ძოწყობილობა ან კიდევ ხერხი და ნაკეთობა და ა.შ. ამ შემთხვევაში მთავარი პუნქტების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს გამოვლენათა ოდენობას. თითოეულ მთავარს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დამოკიდებული პუნქტი. ასეთმა ფორმულამ მიიღო „ჰიბრიდული“ სახელწოდება და საკმაოდ არის გავრცელებული აშშ-ის საპატენტო პრაქტიკაში, თუმცა საპატენტო უწყების ექსპერტები მას უხალისოდ იღებენ. ჩვეულებრივ, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მასში ჩართულ გამოვლენებს არა აქვთ აუცილებელი ურთიერთკავშირი, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად და, მაშასადამე, მათზე შეგანილი უნდა იყოს დამოუკიდებელი განაცხადები.

ამერიკის საპატენტო უწყება საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს გამოვლენების ფორმულის პუნქტების ვადმოცემის ხასიათს. გამოვლენების ელემენტები უნდა ვადმოიცეს პირდაპირი ჩამოთვლით და უნდა ჩანდეს მათი ურთიერთკავშირი. გამოვლენების ყველა ნიშან-თვისება ისაზღვრება მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად. არ ღაიშვება ალგერნატიული ვადმოთქმები, კერძოდ: „ერთი ან მეტი მკაფა ან მათი მარილი“, „რკინა ან ფოლადი“ და ა.შ. ამავე დროს საპატენტო კანონი უფლებას იძლევა ვადმოიცეს კომბინაციური ხახის გამოვლენება. თუმცა ეს წესი არ შეიძლება ვავიგოთ, როგორც, საერთოდ, ფუნქციური ნიშან-

თვისებისაგან შედგენილი, გამოგონების საცნის დაპატენტების დაშვებად აშშ-ში. პირიქით, დეგალის, კვანძის, ნივთიერების და ა.შ. ფუნქციის მითითება ამერიკულ საპატენტო ფორმულაში ნებადართული არაა. აღნიშნული გამოთქაკისი ეხება მხოლოდ კომბინაციურ გამოგონებებს და განისაზღვრება მათი სპეციფიკით: კომბინაციების სიახლე წარმოადგენს ცნობილი ელემენტების ახალ ფუნქციას, მათს ახალ შესაძლებას.

ლიტერატურაში ამერიკულმა საპატენტო ფორმულამ რამდენიმე სხვადასხვა დასახელება მიიღო, რომლებიც ასე თუ ისე ასახავენ მის სპეციფიკას. კომბინაციურს უწოდებენ მას იმიტომ, რომ მთავარი პუნქტის მომღვესო პუნქტები გამოხატავენ იმავე ელემენტების სხვადასხვა ვარიანტს, რომელთაგან შედგება მთავარი პუნქტიც, მაგრამ ერთი ან რამდენიმე დამატებით ელემენტთან კომბინაციაში. მას უწოდებენ „ფუნქციურს“, რადგან თითოეული პუნქტი მთავარ პუნქტში გახსნილ მოქმედ, გამოგონების მაგურქციონირებელ ვარიაციას გაღმოსცემს. ე.წ. „განლაგებითი“ დასახელება ნიშნავს, რომ განმცხადებელი „განლაგებს“, ანაწილებს გამოგონების ყველა ნიშან-თვისებას სხვადასხვა პუნქტის მიხედვით, რომელია ოდენობა დამოკიდებულია დასაპატენტებელი გამოგონების სირთულეზე და მნიშვნელოვანწილად ფორმულის სწორად შედგენის ცოდნაზე. გამოგონების ფორმულის შედგენის ამერიკულ სისტემას გერმანულისაგან – ცენტრალურისაგან განსხვავებით, პერიფერიულსაც უწოდებენ. მასში ყველა პუნქტს აქვს დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა, ე.ი. უფლებრივ დაგვირთვას ასრულებს არა მარტო პირველი პუნქტი, როგორც ეს გერმანულ ფორმულაშია, არამედ იგი ყველა პუნქტზე ნაწილდება.

საპატენტო ფორმულა ახალ ნივთიერებაზე, აგრეთვე ფორმულა ნივთიერების ძილების ხერხზე შეიძლება გაღმოდცეს ე.წ. მარკუშის სისტემის მიხედვით. ასეთი ფორმულის თავისებურება ისაა, რომ კონკრეტული ნივთიერებების ჩამოთვლის ან ერთი რომელიმე კონკრეტული ნივთიერების მითითების ნაცვლად უნდა დასახულდეს გარკვეული თვისების მქონე ნივთიერებათა მთელი ჯგუფი, რომლის

გამოყენებაზეც ივება მოცემული გამოგონება. ეს ჯგუფი ხშირად საერთოდ აღიარებულს არ წარმოადგენს და მას ცნობილი დასახელება არა აქვს, მაგრამ მისი ნაწილები მოცემულ პირობებში ეკვივალენტებს წარმოადგენენ.

მარკუშის სისგემით ხერხზე ფორმულის გადმოცემის შემთხვევაში ნებადართულია, რომ არ დაზუსტდეს დასაბაგენებლად ხერხში შემავალი კონკრეტული რეჟიმები და ოპერაციები.

ამრიგად, მარკუშის სისგემით შედგენილი გამოგონების ფორმულა მიეკუთვნება არა კონკრეტულ პროდუქტს, არამედ იგი მონოპოლიურ უფლებას ანიჭებს პროდუქტების მთელ სერიას, ნივთიერებებს, რომლებიც ერთი და იმავე ქიმიური ფორმულით, ერთი და იმავე ძირითადი თვისებებით ხასიათდებიან, ე.ი. შეიძლება ერთი პატენტით დაეცვათ ნივთიერებებისა და ხერხების მთელი ჯგუფი. მაგალითად, ფორმულაში იმის მითითება, რომ მოცემულ გამოგონებაში გამოიყენება „გაუწყლოებული კომპონენტები“ ან „აბსორბციის რეაგენტები“, ნებისმიერი კომპონენტის, რომელსაც მათთან სტრუქტურული ან ფუნქციური მსგავსება აქვს, პატენტის მოქმედების ქვეშ მოქცევას ნიშნავს.

ფორმულა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარკუშის სისგემით მოწყობილობის დახასიათებისათვის.

ამერიკული საპატენტო პრაქტიკით განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვებულია ფორმულის პუნქტების გადმოცემა გამოგონების სიახლის გამოყოფით, ე.წ. ჯეპსონის ფორმულის მისივით. ამ ფორმულის გამოყენება ნებადართულია, თუ, ჯერ ერთი, პატენტდება გამოგონებამოწყობილობა (მანქანა, აპარატი და ა.შ.) და მეორე, თუ განცხადებული ობიექტის სიახლე გულისხმობს არა ახალი კვანძების, დეტალებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების არსებობას, არამედ განსაკუთრებულ, ფუნქციური მნიშვნელობის მქონე მათს განლაგებას. ჯეპსონის ფორმულის მიხედვით გამოგონების ცნობილი ნიშანთვისებების მითითება ხდება გრადიციული ამერიკული რედაქციის პუნქტის პირველ ნაწილში, ხოლო სავარაუდო გამოგონების სიახლის

შემცველი პუნქტის მეორე ნაწილი იწყება სიტყვებით: „კომბინაციაში...-თან“, „ხასიათდება იმით, რომ...“.

თავისი სტრუქტურით „ჯეოსონის ფორმულა“ ძალზე ახლოს დგას ევროპის ბევრ სახელმწიფოში მიღებულ საპატენტო ფორმულებთან, რომლებიც შეზღუდული და განმასხვავებელი ნაწილების არსებობით ხასიათდება.

ინგლისურ საპატენტო ფორმულას მსგავსება აქვს როგორც გერმანულთან, ისე ამერიკულთან. როგორც გერმანულ საპატენტო ფორმულაში, აქაც პირველი პუნქტი წარმოადგენს მთავარს, შინაარსით უფრო უარითოს და ადგენს საპატენტო დაცვის მოცულობას. დანარჩენი პუნქტები ექვემდებარება და დამოკიდებულია მასზე. ეს დამოკიდებულება რედაქციულად გამოისატება მითითებით პირველ ან წინა ნებისმიერ პუნქტზე. როგორც ამერიკულ ფორმულაში, ისევე აქაც, გამოგონების ახალი ნიშან-თვისებები განმასხვავებულ ნაწილში კი არ გამოიყოფა, არამედ ცნობილ ნიშან-თვისებებთან ერთად უფრო მოსახერხებელი მიმდევრობით ჩამოითვლება. საპატენტო ფორმულა მთავრდება პუნქტით, რომელიც განმარტავს ხასიათს აგარებს და არაერთარ ახალ ნიშან-თვისებას არ შეიცავს. მაგალითად: „ნ. კალციუმის სულფატის მიღება 1-5 პუნქტებში აღწერილი ნებისმიერი ხერხით“. ეს პუნქტი იმისათვის არის შემოღებული, რომ გამოგონების მთლიანი ფორმულა პატენტუნარიანობისა და დაცვის მოცულობის განსაზღვრისას აღქმული იქნება, როგორც ერთიანი.

ღიდი ბრიგანეთის საპატენტო უწყება მკაცრ მოთხოვნებს არ უყენებს გამოგონების ფორმულის ვადმოცემის ხერხს. აღწერილი ხერხი წარმოადგენს უფრო გავრცელებულსა და უკეთესს. თუმცა დაშვებულია გერმანული სისტემით შედგენილი ფორმულაც, ოღონდ დაკონკრეტებული სახით. ნებადართულია ფორმულაში ჩაირთოს რამდენიმე დამოკიდებული პუნქტი ისე, როგორც ეს მიღებულია ამერიკულში, თუ ისინი ერთ საერთო ახალ ნიშან-თვისებას შეიცავენ. მაგრამ ნებისმიერი სისტემის შემთხვევაში უკანასკნელი პუნქტი განმარტავებული უნდა იყოს – ეს არის ინგლისური ფორმულის

თავისებურება.

საპატენტო აღწერილობის ყველა ნაწილი (დასახელება, საკუთრივ აღწერილობა, ნახაზები, საპატენტო ფორმულა) მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება საპატენტო აღწერილობის შინაარსის მიმართ მოთხოვნებიან ერთად აღგენს ისეთ მოთხოვნებსაც, რომლებიც ესება განაცხადის გაფორმებას. კერძოდ, ესენია: აღწერილობის, ნახაზების, ფორმაგების, ეგზემპლარების ოდენობა, ქაღალდის ხარისხი, მინდვრის ზომა, გვერდზე სტროფების ოდენობა და ა.შ. ყველა ამ ფორმალური მოთხოვნის შესრულება წარმოადგენს პატენტის მიღებისათვის აუცილებელ პირობას. ევროპის კონვენციაში მონაწილე ქვეყნებში საპატენტო განაცხადების შეგანისას მისი წვერი ქვეყნებისათვის ზემოთ აღნიშნული ფორმალური მოთხოვნების პირობები განაცხადის გაფორმების მიმართ თითქმის ერთნაირია.

გამოგონების ანოტაციაში მოცემული უნდა იყოს მისი მოკლე დახასიათება, გამოყენების სფერო, ტექნიკური ეფექტი. იგი ცალკე ფურცელზე იბეჭდება, რამდენიმე წინადადებიანია (50-დან 250 სიტყვამდე) და ერთი აბზაცისაგან უნდა შედგებოდეს. გამოგონების ანოტაციის სავალდებულო წარდგენის მოთხოვნა დაწესებულია განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, იტალია, კანადა, საფრანგეთი და სხვ.). იგი განკუთვნილია საპატენტო ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებისათვის, დაინტერესებულ პირთა ინფორმირებისათვის, იმასთან დაკავშირებით, რომ გაირკვეს, თუ დაახლოებით როგორია გაცემული პატენტების შინაარსი.

კონვენციური პრიორიტეტის დამადასტურებელ დოკუმენტებში იგულისხმება ქვეყნის საპატენტო უწყების ცნობა იმის შესახებ, თუ სად იყო შეგანილი პირველი განაცხადი და პირველი განაცხადის გამოგონების აღწერილობის ასლი. ეს მასალები შეიძლება წარდგენილ იქნეს განაცხადის შეგანასთან ერთად და მის შემდეგაც დადგენილი ვადით; მაგალითად, ეს ვადა ავსტრიასა და ისრაელში შეადგენს 2 წელს, ესპანეთში, იაპონიაში, ინგლისსა და შვეიცარიაში – 3 წელს,

საფრანგეთში – 4 წელს, აშშ-სა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – 6 თვეს, საქართველოში – 3 თვეს.

საგამოფენო პრიორიტეტის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეული საერთაშორისო გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო გამოგონების საგანი. ადმინისტრაციის ცნობა, რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნეს ან განაცხადის შეგანისას ან კიდევ განაცხადის შეგანის შემდეგ დადგენილ ვადაში.

ვადაცემის აქტის წარდგენა საჭიროა განაცხადის შეგანის საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნებში იმ შემთხვევაში, როცა განაცხადი იმ პირს შეაქვს, რომელიც გამომგონებელი არაა. ვადაცემის აქტი უფრომდება იმ ქვეყნის მოქმედი წესების შესაბამისად, სადაც განხორციელებული იყო უფლებათა ვადაცემა, და შეიძლება შეგანილ იქნეს საპატენტო უწყებაში, როგორც განაცხადთან ერთად, ისე მისი შეგანის შემდეგ დადგენილ ვადაში.

მინდობილობა საპატენტო რწმუნებულისათვის საქმის წარმოებაზე, როგორც წესი, წარედგინება საპატენტო განაცხადის შეგანასთან ერთად. ზოგიერთ ქვეყანაში დაიშვება ერთი მინდობილობის წარდგენა, ერთი და იმავე განმცხადებლის რამდენიმე განაცხადის მიხედვით საქმის წარმოებაზე.

არსებული წესის თანახმად, საპატენტო უწყებაში გამოგონებაზე შეგანილი განაცხადი რეგისტრირდება, იგი იღებს რიგით ნომერს, შემდეგ უიქსირდება განაცხადის პრიორიტეტი და მას ენიჭება ქვეყანაში მიღებული საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი. ამის შემდეგ იგი გადაეცემა ექსპერტიზაზე. გამოგონების განმცხადებელს ეგზავნება პრიორიტეტის ცნობა – საბუთი, რომელშიც მითითებულია გამოგონებაზე განაცხადის რიგითი ნომერი და პრიორიტეტის თარიღი.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება ამოწმებს გამოგონებაზე შეგანილი განაცხადისათვის წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს – არის თუ არა თავმოყრილი საჭირო საბუთები და სწორად არის თუ არა დაცული მათი შედგენის წესი. თუ ამ მიმართებით რაიმე

შეცდომა იქნა დაშვებული, გამოგონების განმსხვავებელს ეძლევა ვადა, რომლის განმარტობაშიც მას შეუძლია ეს შეცდომა გამოასწოროს. თუ გამოგონების განმსხვავებელი ამ პირობას არ შეასრულებს, განაცხადი გამოგონებაზე უარყოფილი იქნება.

საპატენტო უწყების მიერ ჩაჭარბული გამოგონების ექსპერტიზის მოცულობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ქვეყნების ერთ ნაწილში გამოგონებაზე განაცხადში გადმოცემული მასალა არსებითად არ მოწმდება – ამას პატენტების გაცემის განცხადებითს, ანუ სარეგისტრაციო სისტემას უწოდებენ. ქვეყნების მეორე ნაწილში გამოგონებაზე განაცხადების შინაარსი საგულდაგულოდ მოწმდება. გამოიკვლევა გამოგონების პატენტუნარიანობა აღწერილობაში მისი გახსნის სისრულის თვალსაზრისით. ამ სისტემამ შემოწმებითის, ანუ კვლევითის. სახელწოდება მიიღო.

გამოგონებათა დაპატენტების განცხადებითი სისტემა მოქმედებს აზიისა და აფრიკის უმეტეს ქვეყნებში, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანასა და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, კერძოდ – ესპანეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, საბერძნეთში, შვეიცარიაში. ყველა მითითებულ ქვეყანაში ხდება იმის შემოწმება: 1. შეესაბამება თუ არა გამოგონებაზე განაცხადი მის წინაშე წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს; 2. ხომ არ მიეკუთვნება განცხადებული ობიექტი საპატენტო სამართლის მოქმედების სფეროდან ამოღებულთა რიცხვს; 3. დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები გამოგონების ერთიანობის შესახებ.

ცალკეულ ქვეყნებში, ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, გამოგონებაზე განაცხადების ექსპერტიზა რამდენაღმე უარყოფითად გარდება. მაგალითად, იტალიაში საპატენტო უწყება ამოწმებს შეესაბამება თუ არა გამოგონება სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს, სრულად არის თუ არა გამოგონების არსი გახსნილი გამოგონების აღწერილობაში, არსებობს თუ არა იდენტურობა განცხადებული გამოგონების სახელწოდებასა და შინაარსს შორის. შვეიცარიაში გამოგონებაზე ყველა განაცხადის პიძართ მოწმდება სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნათა შესრულება. მართალია, გამოგონების

სიახლე სპეციალურად არ მოწმდება, მაგრამ, თუ ექსპერტმა გამოაქვინა, რომ განცხადებული გამოგონება სიახლე არ არის, იგი ამის შესახებ აცხადებს განმცხადებელს, რომელსაც უულება ეძლევა განცხადებული გამოგონების არსი შეცვალოს, გამოიხსოვოს განაცხადი ან მიიღოს პატენტი. საპატენტო უწყებას არ შეუძლია უარყოს განაცხადი სიახლის არარსებობის მოტივით. შევიცარიაში გამოგონებები, რომლებიც აქ განვითარებული წარმოების ისეთ დარგებს მიეკუთვნება, როგორცაა საათების წარმოება და საუფიქრო მრეწველობა, პატენტუნარიანობის დადგენაზე სრულ ექსპერტიზას ვაივლიან, ე.ი. უფრო მეტად განვითარებულ დარგში შექმნილი სიახლე სრულ ექსპერტიზას ექვემდებარება.

გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემა ხასიათდება იმით, რომ პატენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმი – სიახლე და საგამომგონებლო შემოქმედების ღონე, საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემამდე წინასწარ არ გამოიკვლევა. არ მოწმდება აგრეთვე აღწერილობის შედგენის სისწორე და განაცხადის მასალებში გამოგონების გახსნის სისრულე. განცხადებული წარმოდგენილი გადაწყვეტის შესაბამობა ამ კრიტერიუმებისაღმა ან შეცდომები აღწერილობაში არ შეიძლება საფუძველი იყოს საპატენტო უწყების მიერ გამოგონებაზე განაცხადის უარყოფისა და პატენტის გაცემაზე უარის თქმისათვის.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო სამართალი განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა. მაგალითად, ბელგიის 1984 წლის საპატენტო კანონით არსებითად შეიცვალა მოთხოვნა გამოგონების სიახლისადმი. თუ აღრე ბელგიაში ვათვალისწინებული იყო შედარებითი მსოფლიო სიახლე, ახლა საპატენტო კანონით შემოდებულია აბსოლუტური მსოფლიო სიახლის მოთხოვნა: „გამოგონება ითვლება სიახლედ, თუ იგი არ მიეკუთვნება ტექნიკის ღონეს“. თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულმა კანონმა დაადგინა განაცხადის დოკუმენტების ფორმალური შემოწმება და არ შემოიღო განაცხადის საგნის შემოწმება პატენტუნარიანობაზე. „პატენტი ვაიცემა გამოგონების

აღწერილობის სიზუსტის და მნიშვნელობის გარანტიის კარგეშე, მისი მულობელის პასუხისმგებლობით“. ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები. გამოგონების პატენტუნარიანობის სრული შემოწმება სასამართლოს პრაქტიკის კომპეტენციას შეადგენს და ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა პატენტის ნამდვილობა დაეას იწვევს.

მაშასადამე, პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის ქვეყნებში პატენტი შეიძლება გაიცეს სწორად გაფორმებული გამოგონების ყველა განაცხადზე. ასეთი პატენტების მნიშვნელობა თეორიულად დიდი არ არის. ისინი შეიძლება სასამართლო წესით სადავო გახადოს ნებისმიერმა პირმა. აღსანიშნავია, რომ უმეტესი გამოგონებები პატენტდება რამდენიმე ქვეყანაში. ე.წ. განვითარებად ქვეყნებში განაცხადების უმეტესობა მოდის სხვა ქვეყნების განმცხადებლებზე, რომლებსაც, როგორც წესი, გამოგონებაზე განაცხადები შეაქვთ ჯერ თავიანთ ქვეყანაში, ხოლო შემდეგ სხვაგან, იყენებენ რა კონვენციური პრიორიტეტის უფლებას. ამრიგად, განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებში ბევრი დაპატენტებული გამოგონება ერთდროულად დაცულია იმ ქვეყნებშიც, სადაც პატენტების გაცემას წინ უძღვის განცხადებული გამოგონების სრული შემოწმება პატენტუნარიანობაზე. მეორე მხრივ, ქვეყნების ბევრი ფირმა დაინტერესებულია მიიღოს „მყარი“ პატენტები. ამიტომ, როგორც წესი, ისინი თავიანთი საპატენტო ქვეგანყოფილებებში, დამოუკიდებლად ახორციელებენ გამოგონებათა შემოწმებას. უფრო პატარა ფირმები და ინდივიდუალური ავტორები სარგებლობენ კერძო ფირმების, აგრეთვე ჰაავის საერთაშორისო საპატენტო ინსტიტუტის მომსახურებით.

ამრიგად, პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებშიც გამოგონებათა პატენტების უმეტესობა გაციემა ისეთ გექნიკურ სიხსლევებზე, რომელთა პატენტუნარიანობა უკვე შემოწმებულია. საპატენტო უწყებაში გამოგონებათა განაცხადების სრული შემოწმების უქონლობა განმცხადებელს ავალდებულებს

დამოუკიდებლად მოახდინოს ამის ორგანიზება. ამასთან ერთად გამოგონების განმსხვავებელი იძულებულია გულდასმით მოამზადოს და გადმოსცეს გამოგონების აღწერილობა, რადგან მასში დაშვებული ნებისმიერი შეცდომა შეიძლება პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის მიზეზი გახდეს, ხოლო პატენტის გაცემის შემდეგ გამოგონებათა განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებში შესწორებათა შეგანა, როგორც წესი, არ დაიშვება. ისიც უაქტია, რომ გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის ქვეყნებში პატენტების გარკვეული ნაწილი არაპატენტუნარიან გამოგონებებზე გაიცემა და ძეწარმეები ხშირად შეგნებულად იღებენ ასეთ პატენტებს იმისათვის, რომ კონკურენტი დააფრთხონ ან ხელი შეუშალონ მრეწველობის განვითარებას იმ ქვეყანაში, სადაც პატენტდება გამოგონება.

განცხადებითი სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, ტუნისი, ურუგვაი) გამოგონების შესახებ განაცხადის მასალები ქვეყნდება წინასწარ, პატენტის გაცემამდე. ამით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ გარკვეული ვადის განმავლობაში (ჩვეულებრივ, 2-3 თვე) წარმოადგინონ თავიანთი ამრი პატენტის გაცემის წინააღმდეგ. საპატენტო უწყებაში შესულ საწინააღმდეგო ამრს – შესაგებელს (პროტესტს) განიხილავს კომპეტენტური ორგანო (ტუნისში – სასამართლო, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში – სპეციალური კომიტეტი, ურუგვაიში – მრეწველობისა და შრომის სამინისტრო), რომელსაც გამოაქვს დასკვნა. ამ დასკვნის საფუძველზე საპატენტო უწყება იღებს გადაწყვეტილებას გასცეს პატენტი ან უარყოს განაცხადი.

შემოწმების შეზღუდვის შედეგია ის, რომ პატენტი გაიცემა განაცხადის შეგანიდან 1-12 თვის განმავლობაში. ზოგიერთ ქვეყანაში, ძირითადად ურანგული საპატენტო სისტემის მქონე ქვეყნებში (აფრიკა-მალაგასის კავშირის ქვეყნები, მაროკო, საბერძნეთი, სირია), დაიშვება პატენტის გაცემის გადავადება 1 წლით.

გამოგონებათა დაპატენტების შემოწმებითი სისტემა მოქმედებს ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში და ბევრ

განვითარებად ქვეყანაში. საპატენტო უწყებაში შესული განაცხადის გამოკვლევის მიზანია დადგინდეს: 1. შესატყვისობა ფორმალურ მოთხოვნებთან; 2. გამოგონების პატენტუნარიანობა; 3. აღწერილობაში გამოგონების არსის გახსნის სისრულე და სისწორე. საპატენტო უწყების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის ძირითადი დანიშნულებაა განსაზღვროს არის თუ არა განცხადებული გადაწყვეტა პატენტუნარიანი და შესაბამისად მისცეს მას გამოგონების სახით კვალიფიკაცია. პატენტი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებული გამოგონება აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისეთ ორენოვან ქვეყანაში, როგორც არის შვეიცარია, წარმოდგენილია განაცხადების შემოწმების ბეზით აღნიშნული ორივე სახე. შესამოწმებელი სისტემა, როგორც უკვე ითქვა, გამოიყენება იმ გამოგონებების მიმართ, რომლებიც შექმნილია ორ ისეთ დარგში, როგორცაა საუფიქრო მრეწველობა და საათების წარმოება; ყველა სხვა შემთხვევაში გარდება მხოლოდ ე.წ. ფორმალური ექსპერტიზა. თუმცა უკანასკნელ წლებში ამ ქვეყანაში დამკვიდრდა გენდენცია, რომ ე.წ. დაპატენტების შემოწმებითი სისტემა გავრცელდეს მრეწველობის სხვა დარგებზეც.

მთელი რიგი ქვეყნები, განსაკუთრებით გექნოლოგიური თვალსაზრისით უფრო განვითარებულნი, რომლებიც გამოგონებათა შესამოწმებელ სისტემას იყენებენ, საპატენტო განაცხადისაგან მოითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ გამოგონების სიახლის დადგენა, რომელიც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნობილი გექნიკური დონის წარმატებით დადგენის ერთ-ერთი ვარიანტიაგანია.

ამშ-ში ამ „წარმატებით ვარიანტში“ იგულისხმება გამოგონების საგნის არასიაშკარავე, გერმანიაში – საგამომგონებლო შემოქმედების დონე. ამასთან, გერმანიაში იმასაც მოითხოვენ, რომ გამოგონება წარმოადგენდეს პროგრესს გექნიკაში. ე.ი. გამოგონება უნდა ფლობდეს „გექნიკური პროგრესულობის“ ნიშან-თვისებას.

სიახლეს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ.

ქვეყნების ერთი ჯგუფი მოითხოვს აბსოლუტურ, ანუ მსოფლიო სიახლეს (ბელგია, ნიდერლანდი, რუსეთი, საფრანგეთი), მეორე ჯგუფი – შედარებით სიახლეს, ე.ი. გამოგონების სიახლეს, რომელიც შეზღუდულია იმ ქვეყნის ფარგლებით, რომელშიც გამოგონებაზე პატენტს მოითხოვენ. ქვეყნების ამ უკანასკნელ ჯგუფში გარკვეული მიზნით განსხვავდება ინფორმაციის წყაროების სახეები, რომლებიც გამოგონების სიახლეს (პირადი ცოდნა, ბეჭდური პუბლიკაცია, ღია გამოყენება და ა.შ.) აბათილებენ.

ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო განაცხადის გამოკვლევის სხვადასხვა სტადიაზე გამოგონებათა სიახლის უკიდურესად სხვადასხვაგვარი კრიტერიუმი გამოიყენება. მაგალითად, გერმანიის საპატენტო უწყებაში სიახლეზე ექსპერტიზის ჩატარება შემოიფარგლება ბეჭდური პუბლიკაციებით, რომლებიც ყველა ქვეყანაში განაცხადის შეგანამდე უკანასკნელი 100 წლის მანძილზე იქნა გამოვლენილი თუმცა, მიუხედავად ამისა, როცა გამოგონების განმცხადებელსა და საპატენტო უწყებას ან მესამე პირს შორის, სადავო საკითხები წამოიჭრება, ზემოთ აღნიშნული ხელოვნური შეზღუდვები არ გამოიყენება. ცნობილია, რომ ელისონის ერთ-ერთი პატენტი გერმანიაში გაუქმებულად მიიჩნის, რადგანაც „რალაცა მსგავსი გამოიყენებოდა ევკიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლის წინათ“.

საპატენტო განაცხადების ექსპერტიზის პროცედურა შეიძლება ორ სტადიად ან ორ ფაზად გავეყოთ: *

1) გამოგონებასთან დაკავშირებული ტექნიკის აღრინდელი დონის გამოკვლევა; 2) აღრინდელი ტექნიკის დონის დაპირისპირება განცხადებულ გამოგონებასთან, აღმინისგრაციული ვით გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრის ჩათვლით. ზოგიერთ ქვეყანაში ეს უუნქციები გაყოფილია და თითოეული მათგანი სრულდება თანამშრომელთა სხვადასხვა შტაგით.

გამოგონებათა შესამოწმებელი სისტემის ძირითადი უპირატესობა შემდეგია: 1) იგი პატენტებს აძლევს განსაზღვრულობას მათი ნამდვილობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით; რაც, თავის მხრივ,

დადებით გავლენას ახდენს პატენგით დაცული გამოგონების განხორციელებისათვის კაპიტალის ინვესტირებაზე (კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებაზე); 2) იგი გონივრული არჩევანის საშუალებას იძლევა – გავრძელდეს გამოგონების საიდუმლოდ შენახვა, თუ მიღებულ უფლებათა სანაცვლოდ, საიდუმლო მთელი საბოვადობისათვის ხელშისაწვდომი გახდეს. ეს, თავის მხრივ, გამოგონების საპატენტო დაცვის მიზნით, იღვის წარსადაგენად განხილვისათვის გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის უმეტესმა ქვეყნებმა უპირატესობა მიანიჭეს სარევისგრაფიო სისტემას, ხოლო ჩრდილოეთის ყველა ქვეყანამ – შემოწმებით სისტემას.

სარევისგრაფიო სისტემას დასაბამი მიეცა საფრანგეთის იურისპრუდენციაში, რომელიც ეუუქმებოდა იმას, რომ სამომავლოდ „ადმინისტრაციულობის ბოროტად გამოყენება“ არ მომხდარიყო. ამის გამო საფრანგეთში გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრას ადმინისტრაცია – საპატენტო უწყება კი არ ახდენს, არამედ სასამართლო. მისი განსაზღვრა მაშინ ხდება, როცა პატენტის მფლობელი თავის საპატენტო უფლებათა დარღვევის გამო სარჩელს სასამართლოში წარადგენს.

საფრანგეთში სარევისგრაფიო სისტემა 1789 წლის რევოლუციის დროიდან არსებობდა, რომელიც 1973 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული კანონით შეიცვალა. შესამოწმებელი სისტემის შემოღებით საფრანგეთი საერთო ბაზრის პარტნიორ ქვეყნებს გერმანიასა და ნიდერლანდს დაუახლოვდა.

თავის მხრივ, გერმანიამ და ნიდერლანდმა, იმისათვის, რომ რითიმე გამკლავებოდნენ დიდი ოდენობის განაცხადებს და ამასთან ერთად დაეჭვარებინათ გექნიკური ინფორმაციის გავრცელება, შეცვალეს საპატენტო განაცხადების წარმოების პროცედურა და, შეძლიეს გადავადებული ექსპერტიზა. ამ ქვეყნებში უკვე აღარ გარდება განმცხადებლის მიერ შეგანილი თითოეული საპატენტო განაცხადის ავტომატური ექსპერტიზა. უფრო მეტიც, განაცხადის შინაარსის

ექსპერტიზა გადაიღება იმ დრომდე, ვიდრე არ შემოვა განცხადება მისი ჩაგარების შესახებ. ასეთი განცხადება შეიძლება შეიგანოს თვით გამომგონებელმა, მისმა უფლებამონაცვლემ ან ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ.

გერმანიაში განცხადება ძიებისა და ექსპერტიზის ჩაგარების შესახებ შეიძლება შეგანილ იქნეს ერთდროულად. ამასთან, ეს ხდება შესაბამისი საპატენტო ბაჟის გადახდის შემდეგ. ნიდერლანდში განცხადება ძიების ჩაგარების შესახებ წინ უნდა უსწრებდეს საპატენტო ექსპერტიზის ჩაგარების შესახებ განცხადებას. თუ საპატენტო უწყებაში ექსპერტიზის ჩაგარებაზე არაავითარი განცხადება არ შევა, მაშინ პუბლიკაცია ხდება ავტომატურად, 18 თვის მანძილზე თავდაპირველი საპატენტო განაცხადის შეგანის მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში ძალას კარგავს ის უფლებები, რომლებიც აქვს გამოგონების აღწერილობას. პუბლიკაციასა და პატენტის გაცემის თარიღს შორის პერიოდში დამრღვევს – განცხადებული გამოგონების გამომყენებელს – არ შეიძლება აეკრძალოს მისი გამოყენება. იგი ვალდებულია აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ ის გარალი აანაზღაუროს, რომელიც განმცხადებელს კომპენსაციის თანხის ოდენობით მიაყენა. იმასთან დაკავშირებით, რომ პუბლიკაცია, როგორც წესი, პატენტის გაცემამდე ხდება, განმცხადებელი, რომელიც განაცხადის ექსპერტიზის შესახებ საპატენტო უწყებას დროულად არ მიმართავს იხოვნით, უარის შემთხვევაში პატენტის გაცემაზე რისკს ეწევა და შეიძლება თავისი გამოგონების საიდუმლო დაკარგოს. ამრიგად, გერმანიასა და ნიდერლანდში ვინც ითხოვს პატენტს, იძულებულია მონაწილეობა მიიღოს თავისებურ თამაშში, რომლის პირობები ისეთივეა, როგორც პატენტის გაცემის სარეგისტრაციო სისტემის მქონე ქვეყნებში.

ურიგო არ იქნება ამ შემთხვევაში მოვისხენით სარეგისტრაციო სისტემის გამოყენების ორი მნიშვნელოვანი შედეგი: 1) დასაპატენტებელი გამოგონების აღწერილობის ადრეული პუბლიკაცია და 2) საპატენტო უწყების მიერ გაცემული დაპატენტებული გამოგონების პატენტში მკაფიოდ გამოკვეთილი საზღვრების უქონლობა. კერძოდ, ძიების

ჩაგარებისათვის გამოყოფილი არაა სპეციალური დრო და ცნობილი გექნიკის დონის შეუასებისათვის სარევისგრაფიკო სისტემის მქონე ქვეყნებში საპაგენგო განაცხადები, როგორც წესი, განიხილება და ქვეყნდება 1 წლის მანძილზე განაცხადის შეტანის მომენტიდან.

როგორც აღინიშნა, გამოგონების არსის ასეთ ნაადრევ გახსნას შეიძლება ძალზე არაკეთილსასურველი შედეგები მოჰყვეს იმ პირისათვის, რომელსაც განაცხადი პატენტზე სარევისგრაფიკო სისტემის მქონე ჯერ ითვის, ხოლო შემდეგ პატენტების გაცემის შესამოწმებელი სისტემის მქონე ქვეყანაში შეაქვს; მაგალითად, როცა შესამოწმებელი სისტემის მქონე ქვეყანაში საპატენტო განაცხადის ექსპერტიზის დროს მიჩნეული იქნება, რომ, თანახმად მისი ეროვნული სისტემისა, გამოგონების შინაარსი, რომელიც ცნობილია პუბლიკაციის გამო, ხელს უშლის პატენტის გაცემას.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცდილობენ ისეთი საპატენტო სისტემა შექმნან, რომლის ფარგლებშიც პატენტები ცხადად ასახავენ გამოგონებლის ნამდვილ წვლილს გექნიკის განვითარებაში; მაგრამ ზოგჯერ ეს შეუძლებელია და ზოგჯერ არც იმის სურვილი აქვთ, რომ ჰყავდეთ სპეციალური მომსახურე პერსონალი აუცილებელი შემოწმების ან საპატენტო განაცხადების ექსპერტიზის ჩაგარებისათვის. ზოგიერთი ქვეყანაში კი იმასაც ცდილობენ, რომ შეზღუდონ არსებული ექსპერტების პერსონალის საქმიანობა. ამ მიზნით გამოიყენება ორი ხერხი, რომლებიც ცვლიან ან ავსებენ ოფიციალურ ექსპერტიზას. ეს ხერხებია: 1) განაცხადისადმი მოთხოვნის წაყენება, რათა განაცხადთან ერთად წარმოადგინოს იქნეს დაწვრილებითი მონაცემები გექნიკის ცნობილი დონის შესახებ, რაზეც ოფიციალურად მიუთითებენ სხვა ქვეყნების საპატენტო უწყების ექსპერტები ამავე გამოგონების შესახებ პარალელური განაცხადების განხილვის დროს (ასეთი საშუალება გამოიყენება კანადაში, სკანდინავიის ოთხივე ქვეყანაში, ახალ ზელანდიაში, ნიდერლანდში, ირლანდიაში, ისრაელში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში); 2) პროცედურის გამოყენება შესაგებლების გამო, რომელიც ეხება პატენტების გაუქმებას ანდა გამოგონებათა ბათილად ცნობას.

რა თქმა უნდა, პირველი ხერხი მხოლოდ ცდაა იმისა, რომ ექსპერტიზის გვირთი გადაგანილ იქნეს იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ექსპერტიზის ჩატარების ფართო შესაძლებლობა აქვთ. მეორე ხერხი გამოიყენება მსოფლიოს ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია და დიდი ბრიტანეთი. ეს განპირობებულია შემდეგი თავისებურებით; 1) გათვალისწინებული პროცედურების დახმარებით შეიძლება მუსტად დადგინდეს განაცხადის შეგანამდე გამოგონების გამოყენების ფაქტი, რომელიც, როგორც წესი, არ შეიძლება საპატენტო უწყებაში ჩვეულებრივი ძიების დროს მხარეთა მონაწილეობის გარეშე დადგინდეს; 2) გათვალისწინებული პროცედურები საშუალებას იძლევა განაცხადის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. თუმცა ასეთ საშუალებას თან სდევს მნიშვნელოვანი ხარჯები და გამომგონებელს ეკისრება მძიმე გვირთი, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება მარტოხელა გამომგონებელს. გამომგონებელი იძულებულია გაიღოს ხარჯები მესამე პირის ხელყოფისაგან იმ უშუალებათა დაცვისათვის, რომელიც ჯერ არც ჩამოყალიბებულა და არც ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

პატენტუნარიანობის დადგენის ექსპერტიზის მოცულობა და მოთხოვნები შემოწმებითი სისტემის მქონე ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდსა და სკანდინავიის ქვეყნებში საპატენტო განაცხადი საგულდაგულოდ გამოიკვლევა პატენტუნარიანობის დადგენილ კრიტერიუმებთან მისი შესაგვეისობის თვალსაზრისით. ინგლისური უფლებრივი სისტემის მქონე ბოვიერთ ქვეყანაში საპატენტო უწყებები გამოგონების საგამომგონებლო შემოქმედების (არასიაშკარავის) არსებობას არ იკვლევენ. განცხადებული გამოგონების კრიტერიუმისადმი შეუსაბამობის შესასებ საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემის წინააღმდეგ პროტესტის შეგანის შემთხვევაში მესამე პირის მხრიდან.

ყოველთვის და ყველა ქვეყანაში გამოგონების სარგებლიანობისა და სამრეწველო გამოყენებადობის მხრივ სრული მოცულობით შემოწმება არ გარდება.

არსებითი განსხვავებებია საპატენტო უწყებაში განაცხადის შემოწმების პროცედურის მხრივაც. ასე მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო უწყება პატენტუნარიანობაზე გამოგონებათა ექსპერტიზას დამოუკიდებლად ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში განაცხადის მასალები დადებითი გადაწყვეტილების გამოგონამდე და გაცემული პატენტის პუბლიკაციამდე საიდუმლოდ ინახება. ესაა ე.წ. დახურული (ამერიკული) ექსპერტიზა. იგი ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს (არგენტინა, აშშ, კანადა). გამოგონებათა განაცხადების შემოწმების სისტემის მქონე უმეტესი ქვეყნების საპატენტო უწყებები გამოგონების პატენტუნარიანობის საკითხის გადაწყვეტას თვითონ არ კისრულობენ და ამისათვის ექსპერტიზაზე სამუშაოდ იწვევენ მესამე პირს. ეს არის ე.წ. ღია (ევროპული) ექსპერტიზა.

ღია ექსპერტიზის შემთხვევაში საპატენტო უწყება პატენტუნარიანობაზე გამოგონების განაცხადის სრული შემოწმების ჩაგარების შემდეგ და დადებითი გადაწყვეტილების (განაცხადის აქცეპტის) შემთხვევაში ახდენს ექსპერტიზის შედეგებს – გამოგონების აღწერილობისა და საპატენტო ფორმულის, აგრეთვე ნახაზების პუბლიკაციას იმ სახით, რომლითაც ისინი მოწოდებული და მომზადებულია პატენტის გასაცემად. დადგინდა ვადაში, ჩვეულებრივ, 2-დან 4 თვემდე, დაინგერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი საწინააღმდეგო აზრი პატენტის გაცემასთან დაკავშირებით. ამ საწინააღმდეგო აზრის საფუძველი შეიძლება იყოს სიბნელის, საგამომგონებლო შემოქმედებითი ღონის უქონლობა, სამრეწველო გამოყენებალობის მოთხოვნებთან, სარგებლიანობასთან შეუსაბამობა, განაცხადის მასალებში, კერძოდ, გამოგონების აღწერილობაში არსის გახსნის არასაკმარისობა და ა.შ., ე.ი. ყოველსეუ ის, რასაც ამოწმებს და რაზედაც ექსპერტიზას აგარებს საპატენტო უწყება, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მიზეზი გამოგონებაზე განაცხადის უარყოფისა. საწინააღმდეგო აზრის შეგანის საფუძველია გამოგონების „არაკეთილ-სინდისიერად გადმოღება“.

თუ საწინააღმდეგო აზრი საპატენტო უწყებაში მიითითებულ ვადაში

არ იქნა შეგანილი, ექსპერტიზა დამთავრებულად ითვლება და განაცხადის მისეღვით გამოგონებაზე გაიცემა პატენტი. საწინააღმდეგო აზრის შესახებ განაცხადის შეგანის შემთხვევაში საპატენტო უწყება წამოყენებული საწინააღმდეგო აზრის საფუძველზე აგარებს გამოგონებაზე განაცხადის დამატებით გამოკვლევას. ამიგომ ამ ღია ექსპერტიზას მოგჯერ ორსაფეხურიან ექსპერტიზას უწოდებენ. განმცხადებელს აცნობებენ, რომ შემოსულია საპროტესტო წინადადებები და მას საშუალება ეძლევა პასუხი გასცეს მათზე. თუ ეს საწინააღმდეგო მოსაზრებები დასაბუთებულად ჩაითვლება, პატენტის გაცემაზე განმცხადებელს უარს ეგყვიან. თუკი დამატებითი ექსპერტიზის მსვლელობისას წარმოდგენილი საწინააღმდეგო მოსაზრებები დასაბუთებულ არგუმენტებს არ შეიცავენ, განაცხადის მისეღვით პატენტის გაცემა დაუბრკოლებლად ხდება.

ერთი სიგყვით, განაცხადის გამოკვლევაში მესამე პირის მონაწილეობა საშუალებას იძლევა ექსპერტიზის ხარისხი გაუმჯობესდეს და ამით შემცირდეს კონფლიქტური სიტუაციები პატენტის გაცემის შემდეგ. ამასთან, მეწარმეები დაინტერესებული არიან, რომ მათმა კონკურენტებმა იურიდიულად მყარი პატენტები მიიღონ. ამიგომ სშირად, კიდეყაც რომ აღმოაჩინონ გამოქვეყნებულ განაცხადში სერიოზული ნაკლოვანებები, კონკურენტი ფირმა არ ჩქარობს საპატენტო უწყებაში შეიტანოს საწინააღმდეგო აზრი (პროტესტი). თვლის რა თავისთვის უფრო ხელსაყრელად სადავო გახალოს გაცემული პატენტი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი ცნობილი ინგლისელი პატენტმცოდნის რჩევა თავისი კვლევებისადმი: „თუ თქვენ შეგაქვთ პროტესტი, ამით კონკურენტის უხვირო პატენტისაგან უკეთესს ქმნით. მოიცადეთ, ვიდრე იგი თქვენს წინააღმდეგ არ აღძრავს სარჩელს მისი საპატენტო უფლების დარღვევის შესახებ. მაშინ ჩვენ გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რომელთა გამოყენება შეიძლება პროტესტის შემთხვევაში, და ჩვენ მოვიგებთ პროცესს“ ამის გამო პროტესტის ინსტიტუტი პრაქტიკაში იმ უფექტს არ იძლევა, რისთვისაც იგი არის გამიზნული.

პაგენტი, რომელიც შემოწმებითი სისგემის მქონე ქვეყანაშია გაცემული, საკმაოდ მყარ მონოპოლიას უზრუნველყოფს. რასაკვირველია, ამ ქვეყნებშიც შეიძლება პაგენტი საღაურო გახდეს, მაგრამ მისი ძალადაკარგულად მიჩნევის შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განცხადებითი სისგემის შემთხვევაში. სახელდობრ, ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამჟამად თითქმის ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა იყენებს შემოწმებითს სისგემას.

თუმცა შემოწმებითს სისგემას აქვს არსებითი ნაკლოვანებებიც. კერძოდ, გამოგონების შესახებ განაცხადის ექსპერტიზა სიახლეზე წარმოადგენს რთულსა და ძვირად ღირებულ პროცედურას, მიაქვს დიდი დრო და საპაგენტო სამართლისა და გექნიკის დარგში კვალიფიციური ექსპერტების ყოლას მოითხოვს.

იმასთან დაკავშირებით, რომ 60-იან წლებში მთელ რიგ ქვეყნებში გამოგონებაზე განაცხადების რაოდენობა გაიზარდა, დაგროვდა განუხილავი გამოგონებები, განცხადებითს სისგემაზე გადასვლა, როგორც გამოსავალი, არ გამოდგებოდა, რადგან იგი პაგენტის ინსტიტუტის გაუფასურებას გამოიწვევდა. ამ ე.წ. „საპაგენტო სისგემის კრიზისის“ დაძლევის ერთ-ერთი რადიკალურ გზას წარმოადგენდა მიუღი რიგი ქვეყნების გადასვლა განაცხადების შემოწმების „გადავადებული ექსპერტიზის“ სისგემაზე.

როგორც უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, გადავადებული ექსპერტიზის პროცედურის არსი ასეთია: საპაგენტო უწყებაში გამოგონების შესახებ შემოგანილი განაცხადი ფორმალურ მოთხოვნებთან მხოლოდ მისი შესაგვეისობით მოწმდება. განაცხადის ექსპერტიზა შემოსულის რიგითი ნომრის მიხედვით ავტომატურად არ გარდება, როგორც ეს, ჩვეულებრივ, შემოწმებითი სისგემის მქონე ქვეყნების საპაგენტო უწყებებში ხდება. იმისათვის, რომ ექსპერტიზა ჩაგარდეს, განმცხადებელი იხდის ბაჟს და შეაქვს თხოვნა განაცხადის განხილვაზე გამოგონების პაგენტუნარიანობის დადგენის მიზნით. თხოვნა ექსპერტიზის ჩაგარებაზე შეიძლება შეგანილ იქნეს კანონით

განსაზღვრული ვადაში. ეს ვადა, მაგალითად, გერმანიაში, იაპონიასა და ნიდერლანდში – 7 წელია; ავსტრალიაში – 5 წელი განაცხადის შეგანის მომენტიდან; რუსეთში – 3 წელი განაცხადის შეგანის თარიღიდან; ბრაზილიაში 2 წელი – საყოველთაო განსახილველად განაცხადის მასალების გამოქვეყნების შემდეგ. თუ განმცხადებელი დარწმუნებულია, რომ თავისი გამოგონება მნიშვნელოვანია და სურს რაც შეიძლება მალე მიიღოს პატენტი, მას შეუძლია თხოვნა ამის შესახებ განაცხადის შეგანის დროს დაამთხოვოს.

გერმანიასა და ნიდერლანდში პატენტუნარიანობაზე ექსპერტიზა ორ ეტაპად გარდება. განმცხადებელს ჯერ თხოვნა შეაქვს საპატენტო უწყებაში გამოგონების განაცხადის მხოლოდ სიხლის განხილვაზე. ამჯერად თხოვნასთან დაკავშირებით ხდება მასალების მოძიება, რომლის შედეგებსაც განმცხადებელს აცნობებენ. ამ ეტაპზე არაერთი დასკვნა განცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობაზე არ გამოაქვთ. განმცხადებელმა, რომელსაც სურს სრული ექსპერტიზის ჩატარება, უნდა შეიგანოს მეორე თხოვნა. თუ გათვალისწინებულ პერიოდში გამოგონების პატენტუნარიანობის განხილვაზე თხოვნა შეგანილი არ იქნება, განაცხადი უქმდება.

ამრიგად, გადაუადებული ექსპერტიზა ნიშნავს იმას, რომ გამოგონების პატენტუნარიანობაზე გამოკვლევა გადაიდება ხოლმე ვარკვეული ვადით, რომელიც განმცხადებელს გამოგონების გეჟნიკური და კომერციული მნიშვნელობის დადგენისათვის ეძლევა. თუ გამოგონება იმედებს არ ამართლებს, თხოვნა არ შეიგანება და განაცხადის განხილვა სრულ ექსპერტიზაზე არ შედგება, რითაც საპატენტო უწყება თავს დააღწევს ზედმეტ მუშაობას. ასეთ ვითარებაში განაცხადის მასალები გამოთხოვილი იქნება და განმცხადებელი უახლოეს დროში უარს იცხვეის პატენტის მიღებაზე.

იმისათვის, რომ გამოგონებაზე განაცხადის განხილვის პროცედურა არ დაყოვნდეს, გათვალისწინებულია გამოგონებაზე შეგანილი განაცხადის პუბლიკაცია საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში ან პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ

განაცხადის მასალების გამოყენა მოხდეს საპატენტო უწყებაში. მოცემულ შემთხვევაში განაცხადის შინაარსი ხდება ღია, საყოველთაო განხილვისათვის განკუთვნილი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საპატენტო უწყებაში შეიძინოს გამოგონებაზე განაცხადის მასალების ასლები. მასალების გამოყენა და პუბლიკაცია ხდება იმისაგან დამოუკიდებლად, შეგანილია თუ არა იხონება ექსპერტიზის ჩატარებაზე. გამოგონებაზე განაცხადის პუბლიკაციის შემდეგ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განცხადებულ გამოგონებაზე პატენტის გაცემის პერსპექტივის გარკვევის მიზნით, განმცხადებლისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია შეიგანოს იხონება ექსპერტიზის ჩატარებაზე, რისთვისაც უნდა გადაიხადოს ბაჟი. ექსპერტიზის შედეგები ეგზავნება განმცხადებელს, რომელიც საპატენტო უწყებასთან მიმოწერას ეწევა და გარკვეული პირობების შემთხვევაში იღებს პატენტს.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდისას უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას ექვსი თვის განმავლობაში.

განაცხადი გამოგონებაზე, რომელზედაც განმცხადებელმა არ გადაიხადა კვლევისათვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური, განიხილება, როგორც განაცხადი სასარგებლო მოდელზე.

„საქპატენტი“ განმცხადებელს უგზავნის დოკუმენტურ დასკვნას გექნიკის ღონის შესახებ. განმცხადებელს შეუძლია დასკვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში „საქპატენტი“ წარადგინოს გამოგონების ფორმულის ახალი რედაქცია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გამოგონების აღწერილობის არსებით ფარგლებს ან წარადგინოს წერილობითი პასუხი.

თუ დოკუმენტური დასკვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში განმცხადებელმა არ წარადგინა შესწორება ან დასაბუთებული შეპასუხება და განაცხადი აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმის მოთხოვნებს, „საქპატენტს“ გამოაქვს წინასწარი გადაწყვეტილება გამოგონების პატენტის გაცემის თაობაზე.

გამოგონების პატენტის გაცემის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების საუბრებზე დადგენილი წესით განსამზღვრული საფასურის გადახდისას „საქპატენტი“ აქვეყნებს მონაცემებს საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში და აცნობს საგანაცხადო მასალებს სპეციალისტებსა და საზოგადოებას“.

საყოველთაო განხილვისათვის გამოყენილი გამოგონებები სარგებლობენ დროებითი დაცვით მესამე პირის არაკეთილსინდისიერი ხელყოფისაგან, რაც შეიძლება გამოვლინდეს გამოგონების არსის გახსნის შემდეგ, მისი სრული საპატენტო დაცვის უზრუნველყოფამდე – შემოწმებული განაცხადის პუბლიკაციამდე ან პატენტის გაცემამდე. უულებრივი დაცვა გამოგონებას ენიჭება გამოყენილი განაცხადის მიხედვით პატენტის გაცემის პირობის შემთხვევაშიც. იგი შეზღუდული ხასიათისაა, რამდენადაც განმცხადებელს არ შეუძლია კანონის დამრღვევს გამოგონების გამოყენება აუკრძალოს. მას უფლება აქვს მისი გამოყენებისათვის მოითხოვოს მხოლოდ უუღლადი კომპენსაცია. თანხის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ და, როგორც წესი, სალიცენზიო შეთანხმებით გაცემულ თანხებს არ აღემატება.

ავსტრალიაში საყოველთაო განხილვისათვის გამოგონების განაცხადის გამოყენისას განმცხადებელს გარანტირებული აქვს გამოგონების ისეთივე სრული უულებრივი დაცვა, როგორც ეს ხდება პატენტის გაცემის შემთხვევაში.

განაცხადების განხილვის ახალი პროცედურის შემოღებამ თავიდანვე დადებითი შედეგი გამოიღო. მისი გამოყენების პრაქტიკამ, მაგალითად, ნიდერლანდში ცხადყო, რომ შუამდგომლობა სრული ექსპერტიზის ჩატარებაზე საპატენტო უწყებაში შეჰქონდა გამოგონების შესახებ განაცხადების შემგანთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%-ს. დანარჩენი განმცხადებლების მხრივ გამოგონებისადმი ინტერესის დაკარგვის გამო საპატენტო უწყებაში 7 წლის განმავლობაში განაცხადები განუხილველი რჩებოდა ან გამოითხოვებოდა მათ მიერ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადავადებული ექსპერტიზის შემთხვევაში დიდი ყურადღება ეთმობა მესამე პირის მონაწილეობას განაცხადის

განხილვის პროცესში, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტიზის ხარისხს აუმჯობესებს და სამუალებას იძლევა შემცირდეს კონფლიქტური სიგუაციები. პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის შემდეგ შექმნილი გამოგონების განაცხადის მასალათა პუბლიკაცია (გამოფენა) კელევის ორგანიზაციებსა და სამრეწველო ფირმებს სამუალებას აძლევს გაეცნონ უახლეს მიღწევებს. გადავადებული ექსპერტიზის წარმატებით გამოყენება ნიდერლანდში, სადაც იგი 1964 წლიდან მოქმედებს, ხელს უწყობს მის გავრცელებას სხვა ქვეყნებშიც. ეს ექსპერტიზა შემოღებულია გერმანიაში 1968 წელს, ავსტრალიაში – 1969 წელს, იაპონიაში – 1970 წელს, ბრაზილიაში – 1971 წელს, მექსიკაში – 1976 წელს.

სკანდინავიის ქვეყნებში გადავადების ექსპერტიზის წესი ვერ დამკვიდრდა. მაგრამ იქ მოქმედებს მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი – საპატენტო განაცხადების პუბლიკაცია ხდება პრიორიტეტის თარიღის შემდეგ 18 თვეში. გადავადებული ექსპერტიზის პროცედურა დამღვეული არაა ზოგიერთი ნაკლისაგან. კერძოდ, ამ სისტემის მოქმედება დაკავშირებულია უდიდესი ოდენობის შეუმოწმებელი განაცხადების პუბლიკაციების აუცილებლობასთან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს არაპატენტუნარიან გამოგონებებს; გარკვეული სიძნელეებია გამოგონებათა დაცვის განხორციელების საქმეშიც გამოგონებათა განაცხადების გამოფენის შემდეგ, რადგან ამ უფლებრივი დაცვის დროებითი და შემზღვეული ხასიათი არასაკმარისი საიმედოობით უზრუნველყოფს განმცხადებლის უფლებებს.

მართალია, გადავადებული ექსპერტიზის შესახებ ზოგიერთი საკითხი ზოგადად გაშუქდა, მაგრამ ურიგო არ იქნება კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხოთ ამ სისტემას და მის ძირითად ნიშან-თვისებებს.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემა მოქმედებს მსოფლიოს დაახლოებით 20-მდე ქვეყანაში. პირობითად ეს სისტემა შეიძლება გავანაწილოთ 3 სახედ. პირველი, ყველაზე გავრცელებული სახე, მიღებული იყო გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, ნიდერლანდში, აგრეთვე ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, მეორე სახე, რომელიც თავისებური იყო თავისი არსით, გავრცელდა ყოფილ

სოციალისტურ ქვეყნებში და მესამე, რომელიც ცნობილია ავსტრალიურის სახელწოდებით და განსხვავდება ევროპელისაგან.

გადავალებული ექსპერტიზის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი სხვადასხვა მოლიფიცირების შესაძლებლობა და არსებობა უფრო უკეთესად პასუხობს იმ ქვეყნის საგამომგონებლო და საპატენტო-უფლებრივი სისტემების თავისებურებას, სადაც ის არის შემოღებული.

ცალკეული დეტალების მიხედვით შედარებით რთულია გადავადებული ექსპერტიზის ის სისტემა, რომელიც გამოიყენება გერმანიაში, იაპონიაში და ნიდერლანდში. თუმცა მათშიც არ შეიმჩნევა ერთგვაროვნება. ამ ქვეყნებში ძირითადად ემთხვევა ექსპერტიზის ჩატარებაზე შუამდგომლობის შეგანის ვადა და იგი განისაზღვრება 7 წლით. ერთნაირია ასევე განაცხადის მიხედვით, საკუთარი ექსპერტიზის მიზნით, განცალკევებული ძიების ჩატარების შესაძლებლობა და, როგორც ყველა ამ სისტემის გამომყენებელ ქვეყნებში, განაცხადების შეგანის დღიდან 18 თვის შემდეგ – მათი გამოქვეყნების სავალდებულო წესი.

გადავალებული ექსპერტიზის ძირითადი ნიშან-თვისებები შემდეგია:

1. საპატენტო უწყებაში შეგანილი ყველა განაცხადი ექვემდებარება სავალდებულო წინასწარ ექსპერტიზას. განაცხადის შეგანის (ან პრიორიტეტის) დღიდან 18 თვის შემდეგ ხდება ყველა შეგანილი განაცხადის საპატენტო უწყებაში გასაცნობად სავალდებულო გაწყობა და გამოქვეყნება. ეს ვადა დადგენილია ხანგრძლივი დებატების შემდეგ და ასახავს პატენტის მულობრულია მისწრაფებას რაც შეიძლება დიდხანს იქნეს შენახული მათი გამოგონება საიდუმლოდ და ასევე კონკურენტების სურვილს მალე გაეცნონ ტექნიკურ სიახლეებს;

2. გამოგონებაზე განაცხადის საიდუმლოდ შენახვის 18-თვიანი ვადის დადგენა წარმოადგენს მეწარმეებისათვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ახლად შემოღებულ წესს. განაცხადის მასალების კაცნობა დაინგერესებულ პირებს საშუალებას აძლევს დროულად მიიღონ ინფორმაცია კონკურენტების საწარმოო გეგმებზე, საკუთარი საწარმოო და საინფორმაციო პროგრამების დამუშავებისას გაითვალის-

წინონ სხვათა სამრეწველო უულებები;

3. განაცხადის გამოქვეყნების შემდეგ განმცხადებლის უულებების დაცვის ახალი ნაირსახეობის – „ღროებითი შეზღუდული საპატენტო დაცვის“ შემოღება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოგონების გამოყენებელ მესამე პირს განაცხადის გამოძვეურების მოქმეტიდან ექსპერტიზის დამთავრებამდე გამოგონების გამოყენებისათვის შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ ე.წ. თანაბრობითი ანაზღაურება და არ შეიძლება მას წარედგინოს სარიელი გამოგონების გამოყენების შეწყვეტაზე და არც ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც იარაღია პატენტის მფლობელის ხელში მისი განსაკუთრებული უულების დაცვისათვის. საქმე ისაა, რომ პატენტის მფლობელის ეს უულებები სრული მოცულობით წარმოიქმნება მხოლოდ პატენტის გაცემის შემდეგ.

4. განაცხადის მიხედვით სრული ექსპერტიზისაგან განცალკევებული ძიების ჩატარების შესაძლებლობა. ეს ღონისძიება განიხილება წერილი და საშუალო მრეწველებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის, რასაც იწვევს გადავადებული ექსპერტიზის სისგემით გამოწვეული ზოგიერთი შედეგი. გათვალისწინებულია საპატენტო უწყებაში თხოვნით მიმართვის შესაძლებლობა განაცხადის ძიება (დაპირისპირებული შერჩეული მასალების წარმოდგენით) მოხდეს ექსპერტიზის ჩატარების გარეშე. მასალების ასეთი ძიების შედეგები განმცხადებელს საშუალებას აძლევს წარმოდგენა შეექმნას გამოგონების დაპატენტების პერსპექტივაზე და მცირე ხარჯი გაიღოს ამისათვის. რამდენადაც ამგვარი ძიების ჩატარება უფრო მცირე დანახარჯს მოითხოვს, ვიდრე სრული ექსპერტიზის ჩატარება. გადავადებული ექსპერტიზის ამ ეტაპის პრაქტიკაში განხორციელებისას დადასტურდა მისი მიზანშეწონილობა და დაპირისპირებული მასალების განცალკევებული ძიება ევროპული საპატენტო კონვენციის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი გახდა;

5. განაცხადის შეგანის მომენტიდან ექსპერტიზის ჩატარებაზე 7-წლიანი ვადის დადგენა შუამდგომლობის შეგანაზე, რაც საშუალებას იძლევა მოწესრიგდეს საპატენტო უწყების მუშაობა ეკონომიკურად

არაეფექტიანი განცხადების გამოკვლევის უსარგებლო და შრომატევადი სამუშაოს შესრულების თავიდან აცილების გზით. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განცხადება ექსპერტიზის ჩატარებაზე შეიძლება შეგანილი იყოს განაცხადის შეტანასთან ერთად. გადავადებული ექსპერტიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ იმ განმცხადებლისათვის, ვინც დარწმუნებულია თავისი წინადადებების ეკონომიკურ ეფექტიანობაში უაქტობრივად შენარჩუნებულია შესაძლებლობა მიმართოს გამოგონების ექსპერტიზის ჩვეულებრივ შესაბამისებელ სისტემას.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემის შემოღების ძირითადი მიზნები – საპატენტო უწყებათა განგვიროვა პატენტზე განაცხადების დიდი ნაკადისაგან და გექნიკური სიახლეების შექმნის შესახებ სამრეწველო წრეების ინფორმირების დანიქარება, როგორც უკვე აღინიშნა, მიღწეულია, მაგალითად, გერმანიაში, სადაც გამოგონებაზე განაცხადების ოდენობამ, რომლებზეც შუამდგომლობა არ იყო შეგანილი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, შეადგინა შეგანილი განაცხადების 40%. სამუშაოს მოცულობის ასეთმა კლებამ საშუალება მისცა გერმანიის საპატენტო უწყებას რამდენიმე წელში სრულად განგვიროულიყო განუხილავი განაცხადებისაგან, რომლებიც გადავადებული ექსპერტიზის შემოღების მომენტისათვის 270 ათასზე მეტ ერთეულს მოიცავდა.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემის მისხედვით, გამოგონებაზე ყველა განაცხადის გამოქვეყნება მათი შეგანის თარიღიდან 18 თვის შემდეგ გადავადებული ექსპერტიზის სისტემის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ეს წესი მოქმედებს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ისეთშიც, სადაც ეს სისტემა არაა შემოღებული, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებსა და ესპანეთში. თუმცა ესპანეთში 1986 წლის 26 ოქტომბრის საპატენტო კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა პატენტების გაცემასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ესპანეთი განცხადებითი სისტემიდან თანდათანობით, უკაობრივად გადადის შემოწმების სისტემაზე.

განაცხადების გამოქვეყნების ასეთივე რეგულირებაა დადგენილი

ევროპის საპატენტო კონვენციით. თუმცა მათ მიერ გადავადებული ექსპერტიზის სისტემის შემოღებაზე შეიძლება მხოლოდ პირობითად ითქვას, რადგან შეამდგომლობის შეგანის ვადა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ არ შეადგენს მხოლოდ 6 თვეს ძიების ჩატარებაზე ანგარიშის შედგენის თარიღიდან. ამასთან დაკავშირებით თითქმის ყველა განაცხადს, რომლებიც ევროპული პატენტის მისაღებადაა შეგანილი, ახლავს შეამდგომლობა ევროპის საპატენტო უწყების მიერ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

ამჟამად მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაშია მიღებული განაცხადის შეგანის მომენტიდან 18 თვის შემდეგ გამოვონებაზე განაცხადის გამოქვეყნება.

რუსეთში 1992 წლის 14 ოქტომბრიდან ძალაში შესული საპატენტო კანონით ნაწარადღევა განაცხადის შეგანის თარიღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ ჩატარდეს ფორმალური ექსპერტიზა და დადებითი შედეგის შემთხვევაში საპატენტო უწყება აქვეყნებს ცნობებს განაცხადის შესახებ იმ შემთხვევის გარდა, როცა განაცხადი გამოთხოვილია. ნებისმიერ პირს უფლება აქვს მასალების გამოქვეყნების შემდეგ გაეცნოს მათ.

განმცხადებლის შეამდგომლობით საპატენტო უწყებას შეუძლია გამოაქვეყნოს განაცხადის შესახებ ცნობები მითითებულ ვადაზე ადრე. გამოქვეყნებული ცნობების შედგენილობას განსაზღვრავს საპატენტო უწყება.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემის მოქმედების თითქმის 30-წლიანმა პერიოდმა გამოავლინა მისი ნაკლოვანი მხარეებიც რაზეც ზოგადად ითქვა კიდევ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პატენტის მიღების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, თავისი გამოვონების შესაფასებლად განმცხადებლისათვის მიცემული ხანგრძლივი პერიოდი. ამ სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, იაპონია, ნიდერლანდი), სადაც შეამდგომლობის შეგანის ვადა შეადგენს 7 წელს, იქმნება უფლების არამყარი ხანგრძლივობა საპატენტო უწყებაში განაცხადების შემგანი ფირმებისათვის, აგრეთვე კონკურენცი საწარმოებისათვის, რომლებმაც იციან განაცხადის შეგანის შესახებ

და ელიან მის შემდგომ ბედს (განაცხადი და მასთან დაკავშირებული უფლებები ან 7 წლის ვადაში გაუქმდება, ან გამოგონების დროებითი და შეზღუდული დაცვა ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ სრულყოფილ საპატენტო დაცვად გარდაიქმნება). ამ მიმართებით საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარა იაპონიის საპატენტო უწყებამ, სადაც გადავადებული ექსპერტიზის არსებობის შემთხვევაში დროს შეესაბამება განაცხადების ექსპერტიზის ვადებისა და დიდი რაოდენობის განსახილველი განაცხადების განგვირთვის მიზნით, 1986 წლიდან შემოღებულ იქნა განაცხადების დანიქარებული ექსპერტიზის სისტემა. გამოგონებაზე დანიქარებული ექსპერტიზის შესახებ მიიღება განაცხადები, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში ან უახლოესი 6 თვის მანძილზე უნდა იქნეს გამოყენებული იმ დროიდან დაწყებული, როცა მოხდება ასეთი თხოვნის წარდგენა იაპონიის საპატენტო უწყებაში. ამ დოკუმენტს ეწოდება „დანიქარებული ექსპერტიზის გამოყენების დასაბუთება“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ღონისძიების გატარება გადავადებულ ექსპერტიზასთან ერთად შესაძლებელს გახდის უფრო ოპერატიულად განაწილდეს საპატენტო უწყების ძალისხმევა განაცხადების განხილვის საქმეში, „მწვანე ვა გავხსნას“ გამოგონებებს, რომლებიც ფაქტობრივად უკვე რეალიზებულია წარმოებაში.

სხვა არსებითი ნაკლი, რომელიც ახასიათებს გადავადებულ ექსპერტიზას, არის გადავადების პერიოდის ხანგრძლივობა და მდგომარეობს თვით ექსპერტიზის ჩატარების სიძნელეში. გადავადებული ექსპერტიზის წესის თანახმად, პატენტუნარიანობის გამოკვლევისას განაცხადი გექსპერტიზის დონეს უპირისპირდება განცხადებული გამოგონების პრიორიტეტის თარიღისათვის. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ განაცხადის შეგანიდან 6 ან 7 წლის შემდეგ გექსპერტიზის დონე მნიშვნელოვნად იცვლება. ნიშანდობლივია, რომ გამოგონების სიხლის ექსპერტიზაზე ამან არ შეიძლება რაიმე გავლენა მოახდინოს, რამდენადაც დაპირისპირება ხდება კონკრეტული გამოქვეყნებული მასალების ან ღია გამოყენების ფაქტებისა, რომლებსაც მკაცრად განსაზღვრული თარიღი აქვთ, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს დაპირისპირება

განაცხადის შეგანის თარიღთან განაცხადის გამოკვლევის მიმართ საგამომგონებლო ღონის არსებობაზე, როცა ექსპერტს თავისი წარმოდგენა აქვს გექნიკის ღონებზე. პაგენტუნარიანობის ამ ნიშან-თვისებების დადგენა ძნელდება. ექსპერტმა პირობითად თავი უნდა წარმოიდგინოს სპეციალისტად, რომლის ცოდნა და გამოცდილება განაცხადის შეგანის დროს შეესაბამება და „დაიფიწყოს“ ყველა ის ცოდნა, რომელიც მან შეიძინა განაცხადის შეგანის დღიდან გახული დროის განმავლობაში გექნიკის შემდგომი განვითარების გამო. უსიქოლოგიურად ძალზე რთულია გამოთიშო თავი გექნიკის თანამედროვე ღონის ცოდნისაგან და გახერდე იმ ღონებზე, რაც იყო 5-7 წლის წინათ. ამიტომაც გამორიცხული არ არის თავი იზინოს სუბიექტურმა მიდგომამ და საგამომგონებლო ღონის შეუასებასთან დაკავშირებით მოხდეს შეცლომები.

გერმანიის საპატენტო უწყების გამოცდილებამ და სხვა ქვეყნების საპატენტო პრაქტიკამ, რომელიც პატენტის მიღების მიზანშეწონილობის ასეთი ხანგრძლივ ვადას გულისხმობს, თავისი გავლენა მოახდინა ევროპული საპატენტო უწყების შექმნისას ექსპერტიზის ჩატარების პრობლემის გადაწყვეტაზე. კერძოდ, შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ შეგანილი უნდა იყოს ევროპის საპატენტო უწყებაში არა უგვიანეს 6 თვისა მასალების ძიებაზე ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, რაც არსებითად ევროპის საპატენტო უწყების ექსპერტს უმსუბუქებს გექნიკის ღონის შეუასებას, თუმცა განმცხადებელს საშუალებას არ აძლევს ღრმად ჩაწვდეს და არსებითად შეაუფასოს ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობა.

საჭიროა ითქვას აგრეთვე იმ განაცხადების დიდ ოლენობაზე, რომლებიც პატენტებად არ იქცევა. ეს ე.წ. გაუქმებული განაცხადებია, რომლებიც გამოქვეყნდა და მათზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ისინი მთლიანად შეგანილი განაცხადების დაახლოებით 40%-ს შეადგენენ. ინფორმაციის ეს წყაროები, რომლებიც არ წარმოქმნიან შესაბამის უულებებს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საპატენტო დაცვის სფეროში სხვადასხვა სახის სამუშაოთა ჩატარების დროს.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემა იწვევს ათობით და ასობით სპეციალისტის შრომის ასანაზღაურებლად გამოყოფილ არამწარმოებელ დანახარჯებს. რომლებიც დაკავშირებულია უსარგებლო აღწერილობათა ანალიზთან, მაშინ როცა კლასიკური შესამოწმებელი (არაგადავადებული) ექსპერტიზის სისტემის დროს საპატენტო უწყების ერთი ექსპერტი ათეულობით აღამიანს ცელის.

გამოგონებათა დაპატენტების ორიგინალური პროცედურაა მიღებული საფრანგეთში. მასში შეჯერებულია შემოწმებითი და განცხადებითი სისტემები. გარდა ამისა, იგი შეიცავს გადავადებული ექსპერტიზის ზოგიერთ ელემენტს. საფრანგეთში პატენტზე შეტანილი ყველა განაცხადი ფორმისადმი მათი მოთხოვნის შესაგყვისობის წარმატებით შემოწმების შემდეგ ავტომატურად, რიგითი წესის დაცვით, ექსპერტიზას გადის პატენტუნარიანობაზე. ამ ექსპერტიზის შედეგად ღებება ლოკუმენტური დასკვნა, რომელიც ეგზავნება განმცხადებელს. დასკვნის საფუძველზე საკითხს გამოგონებისათვის პატენტის მიღების იურიდიული შესაძლებლობის შესახებ თვით განმცხადებელი წყვეტს. თუ გამოგონებაზე განაცხადი აკმაყოფილებს მისი ფორმის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს და თუნდაც ექსპერტიზის პროცესში გამოვლენილი იქნება გამოგონების არაპატენტუნარიანობა, ამ საკითხის გადაწყვეტა შეადგენს სასამართლოს კომპეტენციას. საპატენტო უწყება განაცხადის მიხედვით არ აგარებს სრულ ექსპერტიზას, ახორციელებს მხოლოდ ძიებას სიახლეზე. თვით სიახლის შეუასებაც შეზღუდულია: ამ დროს განცხადებულ გამოგონებაში სიახლის უქონლობა აშკარა უნდა იყოს. ამრიგად, ლოკუმენტური დასკვნა ზემოქმედებას არ ახდენს საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემის საკითხის გადაწყვეტაზე. მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ განმცხადებლისათვის პატენტის აღების თაობაზე მის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და მესამე პირისათვის საპატენტო დავის წამოჭრის შემთხვევაში.

პრიორიტეტის მინიჭების თარიღიდან 18 თვის შემდეგ საფრანგეთში ყველა განაცხადი გამოგონებაზე ქვეყნდება საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში, რის შემდგომაც ნებისმიერ

დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოქვეყნებული გამოცონების პატენტუნარიანობის შესახებ, შეიტანოს შენიშვნები, რომლებიც განმცხადებელს ეცნობება. განმცხადებლის თხოვნით პუბლიკაცია შეიძლება განსორციელდეს 18 თვის ვასელამდე.

განაცხადის შეტანისას განმცხადებელს შეუძლია ითხოვოს, რომ ლოკუმენტური დასკვნის შედგენა გადაიდოს 2 წლამდე ვადით. თუ საპატენტო უწყებაში განაცხადი მედიკამენტებზე შეიტანება, გადავადება დაიშვება მხოლოდ 6 თვით. თუ დადგენილი ვადის ვასელამდე ექსპერტიზის ჩატარებაზე ითხოვნა არ იქნა შეტანილი, შემთხვევაში აღნიშნული განაცხადები (გარდა მედიკამენტებზე განაცხადებისა) განიხილება, როგორც განაცხადები სარგებლიანობის მოწმობის მისაღებად. განაცხადების ამგვარ ავტომატურ გარდაქმნას მოჰყვება ის, რომ მოწმობა სარგებლიანობაზე ვაიცემა ისეთ განაცხადებზეც, რომლებსაც ექსპერტიზა პატენტუნარიანობაზე არ ვაუცილიათ.

თხოვნის შეტანა ლოკუმენტური დასკვნის შედგენის შესახებ შეუძლია მესამე პირსაც განაცხადის პუბლიკაციის შემდეგ, რამდენადაც განმცხადებელს ეცნობება. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს 2 თვის განმავლობაში ან გამოითხოვოს განაცხადი, ან გარდაქმნას ის მოწმობად სარგებლიანობაზე. თუ განმცხადებელი არავითარ მომებს არ იღებს და უმოქმედოდ არის, 2 თვის შემდეგ საპატენტო უწყება ადგენს ლოკუმენტურ დასკვნას ჩვეულებრივი წესით.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, გამოცონებაზე წარდგენილი განაცხადი იშვიათად აკმაყოფილებს ექსპერტს. ამ დროს, ჩვეულებრივ, წამოიჭრება ხოლმე პატენტის გაცემის საწინააღმდეგო აზრი, რომელზეც გამოცონების განმცხადებელმა უნდა უპასუხოს დადგენილ ვადაში. უარის მიზეზი შეიძლება იყოს განმცხადებელი გადაწყვეტის სიხარლისა და საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობა, გამოცონების ფორმულის მოცულობის დაუცველობა, სავარაუდო გამოცონების აღწერილობის ნახაზებთან და ფორმულასთან შეუსაბამობა, გეჟნიკური ტერმინოლოგიის არასწორი გამოყენება და ა.შ. გამოცონებაზე განმცხადებელს შეუძლია დაეთანხმოს ექსპერტიზის შენიშვნებს და

შეიგანოს გამოგონებაზე წარდგენილ განაცხადში მოთხოვნილი საჭირო შესწორებები, მაგალითად, გადააკეთოს საფარაულო გამოგონების ფორმულა (რითაც შეაძვირებს საპატენტო უფლებათა მოცულობას), გასაგები გახადოს აღწერილობაში გამოყენებული გაუგებარი გამოთქმები, შეეცალოს გამოგონების დასახელება და ა.შ. ამგვარ შენიშვნებზე პასუხის მიღების შემდეგ ექსპერტს, ჩვეულებრივ, გამოაქვს დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის ან განაცხადის პუბლიკაციის შესახებ.

გამოგონების განმცხადებელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ექსპერტის აზრს, მაგრამ ამ შემთხვევაში მან საფუძვლიანად უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია, შეეცალოს დაარწმუნოს ექსპერტი თავის სიმართლეში. თუ მან ეს ვერ მოახერხა, განაცხადი უარყოფილი იქნება.

განაცხადის მასალებში განმცხადებლის ინიციატივით ცვლილებების შეტანა შესაძლებელია გამოგონებაზე განაცხადის შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყნებშიც. თუ გამოგონებაზე განაცხადის შეტანის შემდეგ განმცხადებელი დამოუკიდებლად აღმოაჩენს შეცდომებს, მას შეუძლია საპატენტო უწყებაში გააგზავნოს თხოვნა აუცილებელი ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილებების შეტანა ნებადართულია, როგორც წესი, განაცხადის მასალების განხილვის მთელი პროცესის განმავლობაში – აქცეპტის ან პატენტის გაცემის შემდეგ, მის პუბლიკაციამდე. პუბლიკაციის შემდეგ ნებადართულია გექნიკური ხასიათის აშკარა შეცდომების გასწორება. ყველა ქვეყანაში დაუშვებელია ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც გამოგონების საგანს აფართოებენ და ისეთ ცნობებს შეიცავენ, რომლებიც თავდაპირველ აღწერილობაში შეტანილი არ იყო. აშშ-ში, თუ ეს აუცილებელია, გამოგონების განაცხადის მასალებში ახალი ნიშან-თვისებების ჩამატება შესაძლებელია გამოგონებაზე განაცხადის გარდაქმნით კერძო გაგრძელების განაცხადად; რომლისთვისაც ღვინდება ახალი პრიორიტეტი.

გამოგონებაზე განაცხადის მასალების განხილვის პროცესში გამოიგანება, როგორც წესი, რამდენიმე გადაწყვეტილება. ექსპერტიზის ყველა შენიშვნაზე განმცხადებლები ვალდებული არიან საპატენტო

უწყებაში დადგენილი წესით წარადგინონ ამომწურავი პასუხები. ექსპერტიზის გადაწყვეტილებათა ოდენობა დამოკიდებულია გამოგონების სირთულეზე, გამოგონების აღწერილობის, ფორმულის, საგანაცხადო მასალების გაფორმების სისწორეზე. აშშ-ში, გერმანიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ექსპერტიზის მეორე გადაწყვეტილება წარმოადგენს საბოლოოს. მის მიღებამდე განმცხადებელმა განაცხადის მასალებში უნდა შეიგანოს ექსპერტის მიერ მოთხოვნილი ყველა შესწორება და განაცხადის მასალები სათანადოდ მოაწესრიგოს დადებითი გადაწყვეტილების გამოგანისათვის.

ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე პასუხის წარდგენისათვის განმცხადებელს ეძლევა ვადა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა – მერყეობს 1-დან 6 თვემდე. გამოგონებაზე განმცხადებლის მიერ პასუხის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა იწვევს განაცხადის გაუქმებას. ზოგიერთ ქვეყანაში ბაჟის გადახდის შემთხვევაში დაშვებულია ამ ვადის გაგრძელება, თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ ვადის გადაცილება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა (ავადმყოფობა, ხანგრძლივი მივლინება და ა.შ.).

დიდ ბრიტანეთში 1949 წლის კანონით ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე განაცხადის განხილვის მთლიანი პროცედურისათვის საპატენტო კანონით დადგენილი იყო 25 წელი საპატენტო უწყებაში გამოგონების სრული აღწერილობის წარდგენის თარიღიდან. შეიძლებოდა ამ ვადის გაგრძელება 3 თვით. მაშასადამე, 2 წლისა და 9 თვის მანძილზე განაცხადი სრულად უნდა განეხილათ და მის შესახებ მიღებული უნდა ყოფილიყო საბოლოო გადაწყვეტილება. შემდგომ დიდ ბრიტანეთში შემოღებულ იქნა გადავადებული ექსპერტიზის წესი, რომელიც გადავადების ექსპერტიზის შესახებ სხვა სახელმწიფოებში მიღებულ ძირითად დებულებებს იმეორებს.

ყველა ქვეყანაში შეიძლება ექსპერტიზის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნეს დადგენილ ვადაში. აშშ-ში, როგორც წესი, ეს ვადა 4 თვეა; თურქეთში, ინდოეთსა და ნიდერლანდში – 3; ავსტრიაში, ბრაზილიაში, ეკვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, ფინეთში – 2; გერმანიაში,

კოლუმბიაში, პერუში – 1 თვე. საფრანგეთში ეროვნულ განმცხადებლებს შეუძლიათ აპელაცია შეიგანონ 1 თვის განმავლობაში, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს ამისათვის ეძლევათ 2 თვე. იაპონიაში ანალოგიური ვადები შეადგენს 1-სა და 3 თვეს.

დაპატენტების ე.წ. ღია სისტემის მქონე ქვეყნებში, სადაც გამოგონებაზე განაცხადების განხილვაში ჩაბმულია მესამე პირი, მას მიცემული აქვს უფლება ექსპერტიზის გადაწყვეტილების შესახებ შეიგანოს საჩივარი და მონაწილეობა მიიღოს საპატენტო დავაში, თუ ექსპერტმა მისი პროტესტი უარყო.

პროტესტის შეგანის ყველაზე გავრცელებული საფუძველია საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემაზე, გამოგონების აღწერილობაში, ფორმულაში, ნახაზებში შესწორებების შეგანაზე უარის თქმა. ასეთივე საფუძველია პატენტის გაცემა გამოგონების ფორმულის იმგვარი შინაარსით, რომელიც განმცხადებლის პრეტენზიას მისი მოქმედების საზღვრებისა და მოცულობის მიმართ არ ემთხვევა. მესამე პირს უფლება აქვს განმცხადებელს შეედავოს ავტორობაზე, არ დაეთანხმოს გამოგონების საგნის ფორმულირებას, ამკიცოს გამოგონების სიახლის, საგამომგონებლო შემოქმედების ღონის უქონლობა და ა.შ.

საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება თითქმის ყველა ქვეყანაშია დაშვებული, უარის შემთხვევაში კი – ორ ინსტანციაში მაინც. ინდოეთში საპატენტო უწყების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მხოლოდ ქვეყნის უზენაეს სასამართლოში. კოლუმბიაში ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე ერთადერთ სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს საპატენტო უწყების საჩივრების განყოფილება. ავსტრალიაში, აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მეორე სააპელაციო ინსტანციის არაკეთილსასურველი გადაწყვეტილებისა და მიუღებელი პირობების გამო კანონით გათვალისწინებულია ქვეყნის უზენაეს სასამართლო ორგანოში მიმართვის შესაძლებლობა.

გამოგონებაზე განაცხადების შემოწმებითი სისტემის მქონე

ქვეყნებში თავდაპირველად საწივარი შეიგანება საპატენტო უწყებაში. ექსპერტიზის გადაწყვეტილების გადასინჯვა ზოგიერთ ქვეყანაში გარდება განაცხადის გამომკვლევი ექსპერტის მონაწილეობით. უძველესი ქვეყნების საპატენტო უწყებებში არსებობს ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე საწივრების განხილვის სპეციალური ორგანო. აშშ-ში ეს არის სააპელაციო საბჭო; ავსტრალიაში, დანიაში, კოლუმბიაში, ნიდერლანდში, პერუსა და შევლეთში – საპატენტო უწყების საწივრების განყოფილება; ავსტრიაში და გერმანიაში საწივარი თავდაპირველად განიხილება საპატენტო უწყების დარგობრივი განყოფილების მიერ.

საწივარი საპატენტო უწყების გადაწყვეტილებაზე ზოგიერთ ქვეყანაში შეიგანება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ზოგიერთში კი – სასამართლოში. განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, სადაც გამოგონებებზე მრავალრიცხოვანი განაცხადი შეაქვთ და ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაწივრება ძალზე გაერცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს, მოქმედებენ სპეციალური საპატენტო სასამართლოები. ასე მაგალითად, აშშ-ში განმცხადებელს, რომელმაც სააპელაციო საბჭოსაგან უარი მიიღო, გასაწივრებისათვის ორი გზა აქვს. ეს გზებია საბაჟო და საპატენტო საქმეთა სააპელაციო სასამართლო ან კოლუმბიის საოლქო სასამართლო. სააპელაციო სასამართლოში საწივარი განიხილება საპატენტო სასამართლოში მხოლოდ ადრე წარდგენილი მასალების საფუძველზე. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს საპატენტო უწყებისათვის და იგი შეიძლება ძალზე იშვიათად იქნეს გასაწივრებული აშშ-ის მხოლოდ უზენაეს სასამართლოში. კოლუმბიის საოლქო სასამართლოს, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სარჩელი წარედგინება და საქმე განიხილება ყველა იმ მტკიცების საფუძველზე, რაც, საერთოდ, არის დაშვებული სამოქალაქო დავის გადაწყვეტის შემთხვევაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება იმავე ოლქის სააპელაციო სასამართლოში იქნეს გასაწივრებული და იშვიათად ხდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაწივრება აშშ-ის უზენაეს სასამართლოში.

გერმანიაში, თუ გამოგონებაზე განმცხადებელი ექსპერტიზის

გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მას უფლება აქვს 1 თვის ვადაში მისი მიღების დადგენილი მომენტიდან, საპატენტო უწყებაში გააგზავნოს განცხადება, რომელშიც მოტივირებული იქნება მისი განზრახვა გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება. ამას „ფორმალურ საჩივარს“ უწოდებენ.

დიდ ბრიტანეთში პატენტის შესახებ 1977 წლის კანონის თანახმად, საპატენტო უწყების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სპეციალურ ორგანოში – საპატენტო სასამართლოში. გარკვეული პირობების შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საყრანგეთში საპატენტო უწყების გადაწყვეტილება განაცხადის უარყოფის შესახებ განიხილება მხოლოდ ერთ სასამართლო ორგანოში – სააპელაციო სასამართლოში.

რუსეთში პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია შეიტანოს შესაგებელი საპატენტო უწყების სააპელაციო პალატაში, რომელიც განხილული უნდა იქნეს 4 თვის განმავლობაში მისი შეტანის თარიღიდან. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან 6 თვის განმავლობაში შეუძლია იგი გაასაჩივროს უმაღლეს საპატენტო პალატაში.

საქართველოს საპატენტო კანონით „განმცხადებელს, დაინტერესებულ პირს „საქპატენტის“ მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან 3 თვის განმავლობაში უფლება აქვს საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილება გაასაჩივროს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში“. აღნიშნული კანონით, პატენტიდან გამომდინარე სხვა უფლებების დარღვევის შემთხვევაში, პატენტის მფლობელს უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოში.

გამოვონებაზე განაცხადების შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყნებში გამოვონებათა და პატენტების პროცესში საპატენტო დავა ძალზე იშვიათად წარმოიქმნება და ისინი, როგორც წესი, განიხილება საპატენტო უწყებებისაგან დამოუკიდებელი სპეციალური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. იგალიაში ეს არის მრეწველობისა

და ვაჭრობის სამინისტროს საჩივრების კომისია, ევკეიპის არაბთა რესპუბლიკაში – საპაგენგო უწყების სპეციალური კომისია, ერაყში – ეკონომიკის სამინისტრო. პირველი სააპელაციო ინსტანციის არაკეთილსახურეული გადაწყვეტილება შეიძლება განმცხადებელმა გაასაჩივროს ზემდგომ აღმინისტრაციულ ორგანოში, კერძოდ, ევკეიპის არაბთა რესპუბლიკაში, იგალიაში – სახელმწიფო საბჭოში. ერაყში ეკონომიკის მინისტრის გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიძლება შეგანილ იქნეს მინისტრთა საბჭოში.

საპაგენგო უწყებაში განაცხადის განხილვის დამამთავრებელ სგალიას წარმოადგენს პაგენგის გაცემა.

თუ განაცხადის განხილვა დადებითი გადაწყვეტილებით დამთავრდება, განმცხადებელი ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბაჟი პაგენგის გაცემისათვის. არგადახდის შემთხვევაში იგულისხმება, რომ განმცხადებელმა დაკარგა ინტერესი გამოგონების მიმართ და პაგენგი არ გაიცემა. ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია ბაჟის გადახდის დადგენილი ვადის გაგრძელება, თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ მან ბაჟის გადახდის ვადას საპაგეო მიზნით გადააცილა. მაგალითად, აშშ-ში კანონით დაწესებულია 3 თვის ვადა ბაჟის სრულად გადახდისათვის. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 3 თვით, თუ განმცხადებელი წარმოადგენს მტკიცებას, რომელიც ამართლებს ბაჟის არადროულად გადახდას. ბაჟის გადახდის შემდეგ პაგენგს ენიჭება ნომერი, მისი გაცემის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საპაგენგო უწყების ბიულეტენში და განმცხადებელს ეგზავნება საპაგენგო სიგელი. ყველა გაცემული პაგენგი შეაქვთ სპეციალურ რეესტრში.

საქართველოს საპაგენგო კანონით დაწესებულია, რომ „პაგენგის გაცემის თაობაზე მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, „საქპაგენგი“ ახორციელებს გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციას სამრეწველო საკუთრების რეესტრში და გასცემს პაგენგს.

პაგენგის ძალაში შესანარჩუნებლად გადაიხდება დადგენილი

წესით განსაზღვრული წლიური საფასური.

პატენტზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, საპატენტო ექსპერტიზის პროცედურული, პატენტის გაცემის, ძალაში შესანარჩუნებელი წლიური და სხვა იურიდიული მნიშვნელობის ქმედებებისათვის გადაიხდება საფასური. საფასურის ოდენობა და მისი გადასდის პირობები განისაზღვრება დადგენილი წესით.

პატენტის მულობელის მიერ წლიური საფასურის გადაუხდელობა იწვევს პატენტის მოქმედების შეწყვეტას.

თუ პატენტის მულობელმა საპატენტო მიზეზით არ გადაიხადა წლიური საფასური, მას უფლება აქვს შეამდგომლობა აღძრას „საქპატენტის“ წინაშე პატენტის მოქმედების აღდგენის თაობაზე.

დადგენილი საშუაევითო ვადის გასვლის შემდეგ შეამდგომლობა სამი თვის განმავლობაში აღიძურება, ხოლო გადაწყვეტილება აღდგენის შესახებ შეიგანება რეესტრში.

პატენტი აღდგენილად ჩაითივლება, თუ პატენტის მოქმედების აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების გამოგანიდან სამი თვის განმავლობაში გადახდილი იქნება წლიური საფასური.“

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით, პატენტის ძალის დაკარგვა-გაუქმების სხვა შემთხვევებიც არის გათვალისწინებული, კერძოდ: „პატენტი ძალას კარგავს „საქპატენტში“ პატენტის მულობელის მიერ საკუთარ პატენტზე წერილობითი უარის შეგანის შემთხვევაში.

პატენტი უქმდება, თუ დადგინდა, რომ:

- პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;
- პატენტი არ აღწერს გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;
- პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზეც საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, პატენტი არ ვაიცემა;
- პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითაც დადგინდა პრიორიტეტი ან პატენტი გაცემულია გამოცალკეებული განაცხადის საფუძველზე და მისი საგანი სცილდება

პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;

– თუ პატენტის მფლობელს არ ჰქონდა უფლება პატენტზე საქართველოს საპატენტო კანონში მითითებულ შემთხვევათა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“.

ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში პატენტის გაცემას ეწოდება „პატენტის ბეჭდით დამოწმება“ სრული აღწერილობის პუბლიკაციის დღიდან დადგენილ ვადაში განმცხადებელმა საპატენტო უწყებაში უნდა შეიტანოს სპეციალური შუამდგომლობა „პატენტის ბეჭდით დამოწმებაზე“. ეს ვადა შეიძლება 3-დან 6 თვემდე გავრძელდეს დადგენილ ვადაში მითითებული შუამდგომლობის არშეგანის შემთხვევაში განაცხადი კარგავს ძალას. იგი შეიძლება აღდგენილ იქნეს 6 თვის მანძილზე, თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ ვადა გადაცილებული იყო მისგან დამოუკიდებელ ვითარებათა გამო.

პატენტი წარმოადგენს სიგელს. საპატენტო სიგელი შეიცავს გამოგონების დასახელებას, პატენტის მფლობელის და გამოგონებლის ვინაობას, პატენტის გაცემის თარიღს, საპატენტო უფლებათა მოქმედების ვადას, პატენტის მფლობელისათვის მინიჭებულ უფლებათა მოკლე შინაარსს, საპატენტო უწყების ხელმძღვანელისა და სხვა თანამდებობის პირთა ხელმოწერას, აგრეთვე ბეჭდით დამოწმებას. საპატენტო სიგელი გაიცემა ერთ ეგზემპლარად, მიუხედავად პატენტის მფლობელთა რაოდენობისა. საპატენტო სიგელის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში იგი შეიძლება შეიცვალოს დუბლიკაგით.

ბევრ ქვეყანაში დაშვებულია საპატენტო აღწერილობასა და საპატენტო სიგელში შესწორებების შეტანა. ნებადართულია, როგორც წესი, განმცხადებლის იხოვნით, გამოგონების ფორმულის შეზღუდვა, ფორმულის ზოგიერთ პუნქტზე უარის თქმა. მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ პატენტის მფლობელის განცხადებით შეიძლება გამოგონების ფორმულა შეიზღუდოს. ამასთან, შეზღუდვა მოქმედებს პატენტის ძალაში შესვლის მომენტიდან. პატენტის შეზღუდვისათვის აუცილებელია განცხადების შეტანა და ბაჟის გადახდა.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში საპატენტო უფლებათა მოცულობის შემზღვევა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პატენტში ცვლილებების შეგანის საკითხს იმ სახელმწიფოებში, სადაც განაცხადის მასალები პატენტის გაცემამდე არ ქვეყნდება (აშშ, კანადა და სხვ.). აქ, საპატენტო სიგელებსა და აღწერილობებშიც შეცდომები შედარებით ხშირად არის ხოლმე. ამიტომ აღნიშნული ქვეყნების კანონები დაწერილებით არეგულირებენ ცვლილებათა შეგანის წესს და ადგენენ ცვლილებებისათვის საფუძვლის ამომწურავ ნუსხას.

აშშ-შიც და კანადაშიც საპატენტო უწყების ან პატენტის მფლობელის მიზებით, აღწერილობის დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, გათვალისწინებულია პატენტის ხელმეორედ გაცემა. ამასთან. ეს ნებადართულია იმ შემთხვევაში. თუ გამოვლენილი შეცდომები წარმოადგენს უყურადღებობის, გაუგებრობის შედეგს და შემცველი პატენტი არ შეიცავს თავდაპირველ აღწერილობაში გაუხსნელ მასალებს. გექნიკური შეცდომები, ავგორების არასწორი მითითება, მაგალითად, აშშ-ში სწორდება სპეციალური მოწმობის გაცემის ვზით. კანადაში კი არ დაიშვება გამოგონებლის ვინაობაში რაიმე ცვლილების შეგანა. გამოგონების ავგორის არასწორი მითითება პატენტს უმოქმედოს ხდის.

იმ ქვეყნებში, სადაც აქცეპტირებული საპატენტო განაცხადები პატენტის გაცემამდე ქვეყნდება, შესწორებები გამოგონების აღწერილობაში და სხვა ცვლილებები განაცხადში, ჩვეულებრივ, ჯერ კიდევ პატენტის გაცემამდე შეიგანება. განმცხადებელი იღებს გამოქვეყნებული განაცხადის ასლს და შეუძლია საპატენტო უწყებას მოსთხოვოს დასაშვები ცვლილებების შეგანა, რის გამოც პატენტებში შეცდომები გაცილებით იშვიათად შეიმჩნევა. მაგალითად, ინგლისა და იაპონიაში ნებადართულია ცვლილებათა შეგანა გამოქვეყნებულ აღწერილობაში, რომლებიც აშკარა შეცდომების გასასწორებლად, საპატენტო ფორმულის დასახვეწად, მის შესასწორებლად ან დასაზუსტებლად არის მიმართული. არ დაიშვება ისეთი დებულებების

შეშცვლელი ცვლილებების შეგანა, რომლებიც თავდაპირველად წარდგენილ მასალებში არ იყო.

ქვეყნებში, სადაც პაგენტების გაცემის განცხადებითი სისჯემა არსებობს, როგორც წესი, არ დაიშვება ცვლილებების შეგანა პაგენტში მისი მფლობელის ინიციატივით. განაცხადის მასალების ძირეული შემოწმების ჩაუგარებლობა უმეტეს შემთხვევაში უაზროს ხდის შესწორების შეგანას უკვე გაცემულ პაგენტში. ამავე ღრის ამ ქვეყნებში შესაძლებელია გამოგონების ფორმულის შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

IV ტაპი
პატენტის გულგებლთა უფლებები
და მათი დაცვა

საპატენტო უწყების დადებითი დასკვნა გამოგონების პატენტუნარიანობის შესახებ მთავრდება დამცველი ლოკუმენტის – პატენტის ვაცემით.

გამოგონებისათვის პატენტი – ეს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს (საპატენტო უწყების) მიერ გაცემული უფლებრივი ლოკუმენტია, რომელიც მის მფლობელს გამოგონებაზე განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს.

პატენტის მოქმედების სფერო შემზღუდულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, სადაც დაპატენტებული არის გამოგონება. ამიგომ იმ ქვეყნებში, სადაც გამოგონება დაპატენტებული არაა, იგი შეიძლება ნებისმიერი პირის მიერ თავისუფლად იქნეს გამოყენებული. გამოგონების უფლებრივი დაცვისათვის რამდენიმე ქვეყანაში აუცილებელია მათთან პატენტების მიღება. თეორიულად, ერთი და იმავე გამოგონებაზე შეიძლება გაიცეს იმდენი პატენტი, რამდენ სახელმწიფოშიც არსებობს საპატენტო კანონმდებლობა.

ერთი და იმავე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში გაცემული პატენტები ერთიმეორეზე დამოკიდებული არაა, რასაც ითვალისწინებს კიდევ მთელი რიგი ქვეყნების ეროვნულ საპატენტო კანონებში ასახული და საპატენტო საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმების პარიზის კონვენციის ერთ-ერთი მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომლის თანახმად: „პატენტები, აგრეთვე განაცხადები, სადაც შეგანილია კავშირის მოქალაქის მიერ კავშირის წევრ სხვადასხვა ქვეყანაში, დამოუკიდებელია კავშირის შემადგენლობაში შემავალ ან არშემავალ სხვა ქვეყნებში იმავე გამოგონებებზე მიღებული პატენტებისაგან“. ერთსა და იმავე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში პატენტი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა პირზე. ერთი ქვეყნის საპატენტო უწყების ან სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს სხვა ქვეყნების

საპატენტო უწყების ან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. პატენტის გაუქმება ერთ ქვეყანაში, მაგალითად, სიახლის უქონლობით, არ იწვევს ამავე გამოგონებაზე სხვა სახელმწიფოებში პატენტის გაუქმებას.

ამ საერთო წესებიდან არსებობს იალაკეული გამონაკლისები. მაგალითად, ინდოეთის პატენტების მოქმედება ვრცელდება ბირმის გერიტორიაზე, შვეიცარიისა – ლიხტენშტაინის გერიტორიაზე. როგორც უკვე აღინიშნა, აურიკა-მალაგასის კავშირის ქვეყნებში ვაიცემა ერთიანი პატენტი, რომელიც კავშირის ყველა წევრი ქვეყნის გერიტორიაზე მოქმედებს.

პატენტის მოქმედების სხვა შეზღუდვას წარმოადგენს მისი სასწრაფო ხასიათი. ვადა, რომლის დროსაც სხვადასხვა ქვეყანაში პატენტი ვაიცემა, სხვადასხვაა და მერყეობს 3-დან 20 წლამდე. უფრო გავრცელებულია 15-20 წელი. მთელ რივ ქვეყნებში პატენტი შეიძლება ვაიცეს სხვადასხვა ვადით. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკასა და არგენტინაში პატენტი ვანმცხადებლის სურვილით შეიძლება ვაცემულ იქნეს 5, 10 ან 15 წლით, ვენესუელაში – 5 წლით ან 10 წლით, ხოლო ეკვადორში – 3,6,9,12 წლით. თუმცა უმეტეს ქვეყნებში კანონი ითვალისწინებს პატენტის მოქმედების მხოლოდ ერთ ვადას.

საწყისი მომენტი, რომლითაც პატენტის მოქმედების ვადის ათვლა იწყება, სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არაა. უმეტეს ქვეყნებში პატენტი ძალაში შედის ვანაცხადის შეგანის დღიდან. ინდოეთში და ინგლისური საპატენტო სამართლის მქონე სხვა ქვეყნებში – სრული საპატენტო აღწერილობის შეგანის მომენტიდან; ავსტრიაში – აქცეპტირებული ვანაცხადის პუბლიკაციის მომენტიდან, აშშ-ში, კანადაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში – მისი ვაცემის მომენტიდან; რუსეთის უფერვაციასა და საქართველოში – გამოგონებაზე სწორად ვაფორმებული ვანაცხადის შეგანის დღიდან და ა.შ.

ვაცილებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება იმ ქვეყნის პატენტის მფლობელი, სადაც პატენტის მოქმედების იმავე ვადის პირობებში იგი ძალაში შედის მოგვიანებით, სახელდობრ, მისი ვაცემის თარიღიდან, რამდენადაც გამოგონებათა დაპატენტების შემოწმებითი სისგემის

შემთხვევაში განაცხადი საპატენტო უწყებაში განხილვის მიზნით, წლობით ყოვნდება ხოლმე, რაც მნიშვნელოვნად ამოკლებს პატენტის მოქმედების რეალურ ვადას, თუ იგი ძალაში შედის განაცხადის შეგანის თარიღიდან.

ინგლისური საპატენტო სისტემის მქონე მთელ რიგ ქვეყნებში დაიშვება პატენტის ვადის გაგრძელება. ამ ქვეყნების საპატენტო კანონებით დადგენილია ვადის გაგრძელების ორი ვარიანტი: 5 და 10 წელი. ვადის გაგრძელების საფუძველია გამოგონების გამოყენებით საკმარისი მოვების მიუღებლობა. პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელება უშეგესად ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რადგან ამ პერიოდში გამოგონებათა გამოყენებას ხელი შეუშალა სამხედრო მოქმედებებმა. ამჟამად ვადის გაგრძელება უკვე იშვიათად ხდება, რადგანაც პატენტების დიდი ნაწილი დადგენილ ვადამდე ვერ ინარჩუნებს „სიცოცხლისუნარიანობას“, რაც გამოწვეულია მისი გამოგონების არსის მოძველებით.

პატენტი მის მფლობელს აძლევს დაპატენტებული ობიექტის გამოყენების მონოპოლიურ უფლებას. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ პატენტის მფლობელს შეუძლია დაამზადოს, გაყიდოს, რეკლამა გაუწიოს, საზღვარგარეთიდან შემოიგანოს და განახორციელოს გამოგონების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებანი. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები, როგორც წესი, შეიცავს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ პატენტის მფლობელთა უფლების შინაარსს. გერმანიის საპატენტო კანონში აღნიშნულია, რომ პატენტის მოქმედება განისაზღვრება იმით, რომ მხოლოდ პატენტის მფლობელს აქვს უფლება დაამზადოს სამრეწველო წესით გამოგონების საგანი, ჩართოს იგი ბრუნვაში, გაყიდოს ან გამოიყენოს. თუ პატენტი გაცემულია დამზადების ხერხზე, მაშინ მისი მოქმედება ვრცელდება ნაკეთობაზეც, რომელიც დამზადებულია უშუალოდ ამ ხერხით.

მთელ რიგ ქვეყნებში (საფრანგეთი, აშშ, კანადა, კოლუმბია და სხვ.) პატენტის მფლობელის უფლება დგინდება მესამე პირისათვის კანონით განსაზღვრული მოქმედების აკრძალვის გზით. მაგალითად,

საურანგეთის საპატენგო კანონით დადგენილია, რომ პატენგით მოცემული განსაკუთრებული უფლება ნიშნაქს ნებისმიერი მესამე პირისათვის დაპატენგებული გამოგონების გამოყენების აკრძალვას. იქვე მითითებულია, სახელდობრ, თუ რა ხასიათის მოქმედების უფლება არა აქვს მესამე პირს პატენგის მფლობელის თანხმობის გარეშე. ეს მოქმედებებია: დამზადება, გამოყენება, შემოგანა, დაპატენგებული ობიექტის გაყიდვის შეთავაზება ან ნებისმიერი სხვა ფორმით მისი სავაჭრო ბრუნვაში ჩართვა.

აღნიშნულ მოქმედებათა განსაზღვრის საშუალებისაგან დამოუკიდებლად, თითქმის ყველა ქვეყანაში პატენგის მფლობელის განსაკუთრებული უფლების შინაარსს წარმოადგენს, ერთი მხრივ, გამოგონების გამოყენების უფლება, მეორე მხრივ – ყველა დანარჩენი პირისათვის ასეთი ქმედების შესრულების აკრძალვის უფლება.

პატენგის მფლობელის უფლების განსაკუთრებული ხასიათი აახლოებს მას საკუთრების უფლებასთან.

პატენგის მფლობელს შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს გამოგონება სამრეწველო წარმოებისა და პატენგით დაცული ნაკეთობის გაყიდვის გზით ან კიდევ დაუთმოს ეს უფლება სხვა დაინტერესებულ პირებს. უფლებათა დათმობა ხორციელდება ე.წ. სალიცენზიო შეთანხმების ან ლიცენზიის გზით.

სალიცენზიო შეთანხმებით პატენგის მფლობელი გამოდის გამყიდველის როლში, რომელსაც ეწოდება ლიცენზიარი. იგი მყიდველს, ლიცენზიაგად წოდებულს, გარკვეული გასაძრჯელოთი და შეთანხმებით დადგენილ ფარგლებში აძლევს გამოგონების გამოყენების უფლებას.

პატენგიდან გამომდინარე, მონოპოლიური უფლება, მართალია, განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ მას ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი აქვს გარკვეული საზღვრები. მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა და უპირველეს ყოვლისა პარიზის კონვენციის, აგრეთვე მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის საპატენგო კანონების თანახმად, პატენგის მფლობელის უფლებები შეიძლება იყოს შეზღუდული, მაშინ როცა

შესაძლებელია: მესამე პირისათვის წინათსარგებლობის უფლების აღიარება; მესამე პირისათვის შემდგომსარგებლობის უფლების აღიარება; პაგენგის მოქმედების გერიგორიაზე ღროებით არსებული დაპაგენგებული ობიექტების გამოყენება, რომლებიც გრანსპორტის საშუალებათა ნაწილს წარმოადგენენ; გამოგონების საგნის გამოყენება პირადი მიზნებისათვის ან მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარება; გამოგონების გამოყენება სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

წინათსარგებლობის უფლების არსია ის, რომ პაგენგის მფლობელის მიერ განაცხადის შეგანამდე პირმა, რომელიც გამოგონებას იყენებდა იმ გერიგორიაზე, სადაც გამოგონება პაგენგდება ან ყველა აუცილებელი პირობა შეასრულა მისი მომზადებისათვის, შეუძლია გამოგონების ექსპლუატაცია გაავრძელოს სხვა პირისათვის პაგენგის გაცემის შემდეგაც. მაგალითად, აესგრიის საპაგენგო კანონი აღგენს, რომ „პაგენგი არ მოქმედებს იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც საპაგენგო განაცხადის შეგანის ღროს კეთილსინდისიერად იყენებდა გამოგონებას მოცემულ ქვეყანაში ან გადაღვა აუცილებელი ნაბიჯი ასეთი გამოყენებისათვის“. მაშასადამე, წინათსარგებლობის უფლების ძალით – პირი, რომელმაც გამოგონების ფაქტობრივი გამოყენება განაცხადის შეგანამდე დაიწყო, უფლებრივად დაუკლია და პაგენგის მფლობელის უფლება მასზე არ ვრცელდება.

კანონები აუცილებელი პირობის სახით აღგენენ წინათსარგებლობის უფლების წარმოქმნას და პიროვნების კეთილსინდისიერებას გამოგონების გამოყენების საქმეში. მაგალითად, ნიდერლანდის საპაგენგო კანონი ითვალისწინებს, რომ წინათსარგებლობის უფლება „მოქმედებს იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა პირმა ცნობები ისესხა იქიდან, რაც უკვე დამზადებული ან გამოყენებული იყო განმცხადებლის მიერ, ან განმცხადებლის აღწერილობიდან, ნახაზებიდან, მოდელებიდან“;

საქართველოს საპაგენგო კანონის თანახმად – „თუ რომელიმე პირი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელებ ან სამრეწველო ნიმუშზე „საქპაგენგში“ განაცხადის შეგანის თარიღამდე ან იმ პირველი განაცხადის შეგანის თარიღამდე, რომელიც პარიზის კონვენციით დაღვე-

ნილი პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველია, კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით, სასარგებლო მოდელით ან სამრეწველო ნიმუშით, ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი პატენტის მოქმედების მიუხედავად (წინათსარგებლობის უფლება)“.

წინათსარგებლობის უფლება ყველაზე ხშირად წარმოიქმნება ცალკეული ფირმების ან გამოცხადებლების მიერ ერთი და იმავე პრობლემის პარალელური დამუშავების შემთხვევაში.

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ვისაც წინათსარგებლობის უფლება აქვს, შეუძლია ექსპლუატაცია გაუწიოს გამოგონებას თავის საწარმოში და სხვა პირთა საწარმოებშიც, მაგრამ მხოლოდ საკუთარი საქმის მიზნებისათვის. წინათსარგებლობის უფლება შეიძლება გაყიდული ან გადაცემული იქნეს მემკვიდრეობით საწარმოსთან ერთად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უფლება არ შეიძლება დამოუკიდებელი გარიგების ობიექტი იყოს (ლიცენზია ან გასხვისება).

კონვენციური განაცხადის შეგანის შემთხვევაში წინათსარგებლობის უფლება წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა გამოგონების გამოყენება დაწყებული იყო მესამე პირის მიერ თაყდაპირველი განაცხადის შეგანამდე. გამოგონების გამოყენება პირველი განაცხადის შეგანის მომენტიდან კონვენციური განაცხადის შეგანამდე წინათსარგებლობის უფლების წარმოქმნისათვის საფუძველს არ წარმოადგენს. ეს დადგენილება შეგანილი იყო პარიზის კონვენციის გექსტში ლონდონის კონფერენციაზე. ამრიგად, კონვენციური პრიორიტეტი ბლუდავს წინათსარგებლობის უფლებას. მთელ რიგ ქვეყნებში წინათსარგებლე თავისი უფლების დასადასტურებლად იღებს მოწმობას, რომელიც მის სახელზე საპატენტო უწყების ან პატენტის მულობელის მიერ გაიცემა. იაპონიაში, შედეგითისა და სხვა ქვეყნებში წინათსარგებლეს უფლება აქვს უბრალო უსასყიდლო ლიცენზიაზე.

წინა გამოყენება წარმოადგენს წინათსარგებლობის უფლების წარმოქმნის საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სიასლეს აბათილებს და ხელს არ უშლის პატენტის გაცემას.

წინათსარგებლობის უფლება აღიარებულია მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც გამოგონების პრიორიტეტი საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღიდან ღვინდება. ამიგომ აღნიშნული ინსტიტუტი არა აქვთ აშშ-სა და კანადაში, სადაც გამოგონების პრიორიტეტი შეიძლება დაღვინდეს გამოგონების შექმნის თარიღით.

შემდგომსარგებლობის უფლება არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია პატენტის აღდგენა, ბაჟის გადაუხდელობის გამო მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ეს უფლება ეძლევა იმ პირს, რომელიც გამოგონების გამოყენებას პატენტის გაუქმების შემდეგ შეუდგა ან ამისათვის ჩააგარა არსებითი მოსაზრებელი სამუშაო. უმეტეს ქვეყნებში შემდგომსარგებლობის უფლება რეგულირდება იმავე სახით, როგორც წინათსარგებლობის უფლება. მოგჯერ მისი მოპოვება შესყიდვის საწყისებზე ხდება.

საქართველოს საპატენტო კანონით – „ნებისმიერ პირს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის ძალის დაკარგვის დღიდან მის აღდგენამდე კეთილსინდისიერად გამოიყენა ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები იმ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენებისათვის, რომელიც პატენტის საკანს შეაღვენს, უფლება აქვს განაგრძოს მისი გამოყენება მწარმოებლობისათვის. ამ უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ წარმოებასთან ერთად (შემდგომსარგებლობის უფლება)“.

საგრანსპორტო საშუალებებზე გამოგონებათა გამოყენებამ ასახვა პოვა პარიზის კონვენციაში, რომლის დებულებებიც, თავის მხრივ, გავრცელდა კონვენციის მონაწილე ქვეყნების საპატენტო კანონებში. მისი ძალით ნებადართულია დაპატენტებული ობიექტების გამოყენება საზღვაო, საჰაერო და მიწისზედა საგრანსპორტო საშუალებებში თვით გრანსპორტის ან მისი მოწყობილობის კონსტრუქციის ელემენტის სახით, როცა ეს საშუალებები ღროებით ან შემთხვევით იმყოფება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ეს პატენტი მოქმედებს. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში დაპატენტებული ობიექტის გამოყენება საგრანსპორტო საშუალებებში კვალიფიცირებული იქნება, როგორც პატენტის დარღვევა.

გამოგონების გამოყენება პირადი მიზნების ან მეცნიერული ექსპერიმენტისათვის წარმოადგენს გამოგონების საგნის გამოყენებას არაკომერციული მიზნებისათვის, ე.ი. არა რეწვის სახით. მაგალითად, მექანიკაში კანონით მესამე პირის მიერ დაპატენტებული გამოგონების გამოყენება „სწავლების, მეცნიერული ან ტექნოლოგიური გამოკვლევების, ექსპერიმენტის ან გამოცდილების, ამ მიზნებისათვის ნაკეთობათა დამზადება, ხერხის ან ნივთიერების გამოყენება“ პატენტის დარღვევად არ ითვლება. საფრანგეთის საპატენტო სამართლით „პირადი ან ოჯახური საჭიროებისათვის ან ექსპერიმენტის მიზნით შესრულებულ აქტებს“ ასევე არ მოსდევს პატენტის დარღვევა. ანალოგიურ ნორმებს შეიცავს სხვა ქვეყნის საპატენტო კანონები.

საქართველოს საპატენტო კანონით, პატენტიდან გამომდინარე, განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

„1. პატენტის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დაშვებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გაერყელება ან სხვაგვარად გამოყენება;

2. გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის კერძო წესით გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს;

3. გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება რომელიმე ქვეყნის საზღვაო ზომალდზე, საფრენ ან სახმელეთო საგრანსპორტო საშუალებაზე, მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით ან დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ საგრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;

4. გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვა საგანგებო ვითარების დროს“.

სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით გამოგონების გამოყენების არსი ასეთია: თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა

ითვალისწინებს პაგენგის მულობელის უფლებათა შემზღვევას სახელმწიფოს ინტერესებით. შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით – პაგენგის კონფისკაციიდან უბრალო იძულებითი ლიცენზიამდე.

ჩვეულებრივ, სახელმწიფოს აქვს იძულებითი ლიცენზიის უფლება ქვეყანაში გაცემულ ნებისმიერ პაგენგზე, ხოლო გარკვეული პირობების შემთხვევაში შეუძლია პაგენგი ან საპაგენგო განაცხადი გააუქმოს.

მაგალითად, გერმანიის საპაგენგო კანონი ადგენს: პაგენგს არაერთიანი ეფექტი არა აქვს, თუ ფელერალური მთავრობა აწესებს, რომ გამოგონება გამოყენებულ იქნეს საერთო კეთილდღეობის ინტერესებისათვის. ინგლისის საპაგენგო კანონი სახელმწიფოს უფლებას აძლევს ნებისმიერი გამოგონება გამოიყენოს „გვირგვინის საჭიროებისათვის“, განმცხადებლებისათვის რაიმე გასამრჯელოს გაცემის გარეშე. ამასთან, ცნება „გვირგვინის საჭიროებისათვის“ განმარტებულია ძალზე ფართოდ. იგი შეიცავს გამოგონების გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის, მის გამოყენებას სახელმწიფო საწარმოებში, სხვა ქვეყნისათვის მიყიდვას და ა.შ.

საქართველოს საპაგენგო კანონით – „გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე შეიძლება გაცეს იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია. იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია გაიცემა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული იძულებითი ლიცენზიების კომისიის გადაწყვეტილებით.

იძულებითი ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი. იგი გაიცემა პაგენგის გაცემის თარიღიდან ოთხი წლის შემდეგ ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული ვადის განმავლობაში გამოგონება ან სასარგებლო მოდელი არ გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ან გამოიყენებოდა არასაკმარისად, აგრეთვე, თუ შეუძლებელია მათი გამოყენება სხვა, უფრო აღრინდელი პაგენგის დარღვევის გარეშე.

იძულებითი ლიცენზია შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე დაინგერესებული პირი ცდილობდა ნებართვის მიღებას პატენტის მფლობელისაგან ან მისი უფლებამონაცვლისაგან გონივრული პირობებით და გონივრულ ვადაში, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ოფიციალური ლიცენზია, იძულებითი ლიცენზიის ნაირსახეობაა და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით, თუ დასაბუთებულ იქნა ეროვნული თავდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინგერესებისათვის პატენტის გამოყენების აუცილებლობა. ოფიციალური ლიცენზია შეიძლება გაიცეს საქართველოს საპატენტო კანონით გათვალისწინებული ოთხწლიანი ვადის გასვლამდე.

ოფიციალური ლიცენზიის გაცემა პატენტის მფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის თხოვნით შეიძლება გადაიღოს, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა იმ პირობით, რომ პატენტის მფლობელი იკისრებს თვითონ დააკმაყოფილოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნილება.

პატენტის გამოყენება ოფიციალური ლიცენზიის საუფქველზე შეიძლება განახორციელოს როგორც სახელმწიფომ, ისე კერძო პირმა, რომელსაც დაასახელებს ლიცენზიის გაცემის მომთხოვნი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ან სასამართლო.

ოფიციალური საპატენტო ლიცენზიის გაცემის თაობაზე ვადაწყვეტილებით ღვინდება გამოყენების სფერო, მოქმედების ვადა, ლიცენზიარისა და ლიცენზიაგის უფლება-მოვალეობანი, ანამლაურების ოღენობა და სხვა პირობები“.

სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებითი ლიცენზირებას და კონფისკაციას, ზვეულებრივ, ის გამოგონებები ექვემღებარება, რომელთა შიძართ წარმოიქმნება ე.წ. საზოგადოებრივი ინგერესი.

როგორც წესი, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ნებისმიერი გამოგონება შეიძლება იყოს ჩამორთმეული ან გამოყენებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ „საზოგადოებრივი ინგერესების“ მოციეაით. ეს განსაკუთრებით ესება სამხედრო მიზნით გამოყენებულ

გამოგონებებს, ჯანმრთელობის დაცვისა და კვების მრეწველობის სფეროს, აგრეთვე ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების თვალსაზრისით – მნიშვნელოვან გამოგონებებს.

იმ გამოგონებების საიდუმლოდ შენახვას, რომლებიც შეიძლება სამხედრო მრეწველობაში იქნეს გამოყენებული, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ასეთ გამოგონებებს, ჩვეულებრივ, რეკვიზიციას უკეთებენ საპატენტო უწყებაში ჯერ კიდევ მათი განხილვის სტადიაში. კერძო პირების მიერ შეგანილი ყველა განაცხადი მოწმდება საპატენტო უწყების ექსპერტების მიერ ქვეყნის „უსაფრთხოების“ ინტერესების თვალსაზრისით. თუ აღმოჩნდება, რომ გამოგონებას სამხედრო მრეწველობისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, პატენტის გაცემაზე ან საერთოდ უარს ამბობენ ან მისი გაცემა გადაიდება განუსაზღვრელი ვადით. მაგალითად, საფრანგეთში საპატენტო უწყებას უფლება აქვს თითოეული განაცხადი გაგზავნოს ეროვნული თავდაცვის სამინისტროში. თუ სამინისტრო მიიჩნევს, რომ საჭიროა გამოგონების საიდუმლოდ შენახვა, განმცხადებელს უაქტობრივად ჩამოერთმევა უფლება მასზე და შეუძლია სანაცვლოდ მხოლოდ ე.წ. „გონივრული კომპენსაცია“ მოითხოვოს. თუ გამოგონება სამხედრო ტექნიკის სფეროს მიეკუთვნება და მაინც ქვეყანაში დაპატენტებული აღმოჩნდა, სახელმწიფო იღებს უფლებას მის გამოყენებაზე, აგრეთვე საზღვარგარეთ დაპატენტებაზე. ამავე მიზნებს ემსახურება ბევრ ქვეყანაში მოქმედი წესები, რომელთა თანახმად, შეზღუდულია უფლება განაცხადის საზღვარგარეთ შეგანაბე. განმცხადებელს უფლება არა აქვს ქვეყანაში განაცხადის შეგანის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში იგი დაპატენტებისათვის საზღვარგარეთ გააგზავნოს.

ბევრ ქვეყანაში არსებობს პატენტების მფლობელთა უფლებების შეზღუდვა მედიკამენტებზე, ავალმყოფთა მკურნალობის ხერხებზე, საკვებ პროდუქტებზე და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან სხვა გამოგონებებზე. საფრანგეთში, სამრეწველო საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორს შეუძლია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით იძულებითი ლიცენზია ფართო გამოყენებისათვის

რეკომენდებულ მედიკამენტებზე, როცა ისინი ბაზარზე არასაკმარისი ოდენობით ან მომაკვებელი ფასებით შემოდის, გადასცეს მესამე მხარეს. ამგვარ ნორმებს შეიცავს მექსიკისა და სხვა ქვეყნების კანონებიც.

დაბოლოს, ნებისმიერ გამოგონებაზე უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები დაადგენენ, რომ პატენტის მფლობელს არ შეუძლია უზრუნველყოს გამოგონების საგანზე მოთხოვნა ან ბოროტად იყენებს თავის უფლებებს.

იძულებითი ლიცენზიის არსი სწორედ იმას გულისხმობს, რომ უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები პატენტის მფლობელს მოვალეობას აკისრებენ თავისი გამოგონება პატენტის გაცემის მომენტიდან გარკვეულ ვადაში (ჩვეულებრივ, არანაკლებ 3 წლისა) განახორციელოს. თუ პატენტის მფლობელი ამ მოვალეობას არასაკმარისი მიზეზით არ ასრულებს, მაშინ კომპეტენტური ორგანო დაინგერესებული პირების განცხადებით მათ, პატენტის მფლობელის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, ანიჭებს უფლებას დაპატენტებული გამოგონების გამოყენებაზე, რისთვისაც ამ პირებმა პატენტის მფლობელისათვის გარკვეული გასაძრჯელო უნდა გადაიხადონ.

აღნიშნული წესი შემოღებული იყო სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი ქვეყნებისათვის საპატენტო სამართალში იმ მიზნით, რომ იგი, როგორც ხელშეწყობი ღონისძიება, მიემართათ დაპატენტებული ტექნიკური გადაწყვეტის გამოსაყენებლად. ხშირ შემთხვევაში პატენტის მფლობელი არ ცდილობს წარმოება იმ ქვეყანაში განახორციელოს, სადაც გაცემულია პატენტი. ამიტომ ის საქონელი, რომელშიც გამოყენებულია მის მიერვე დაპატენტებული გამოგონება, შეაქვს სხვა ქვეყანაში და ყველა დანარჩენს აკრძალული აქვს გამოუმავს პროდუქცია ამ დაპატენტებული გამოგონების გამოყენებით. ზოგჯერ პროდუქციის საჭიროება ფაქტობრივითან შედარებით მეტია. ზოგიერთ შემთხვევაში კი ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ადგილობრივი ფირმებისა და პირების ინგერესებს.

ჩვენი მხრივ, უნდა დავასკვნათ, რომ თითოეულ ცალკე შემთხვევაში იძულებითი ლიცენზიის ეს ობიექტურად გამოწვეული „იძულებითი

წესი“ არ შეიძლება გამოგონებულთა ინტერესების წინააღმდეგ იქნეს მიმართული.

უმეტეს ქვეყნებში პატენტის მფლობელს ეკისრება ორი ძირითადი მოვალეობა – გადაიხადოს საპატენტო ბაჟები და პრაქტიკულად განახორციელოს დაპატენტებული გამოგონება. ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას პატენტის მფლობელისათვის მოაქვს უარყოფითი შედეგები, რომელია შორის ყველაზე მძიმე პატენტის ძალის დაკარგვა.

საპატენტო ბაჟის გადახდა ხდება დამცველი დოკუმენტის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე. სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილია ბაჟის გადახდის სხვადასხვა ოდენობა, ვადები და წესი.

უმეტეს სახელმწიფოებში საპატენტო ბაჟს ყოველწლიურად ისდიან და მისი ოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. ზოგჯერ პატენტის მოქმედების ბოლო წელს გადახდილი ბაჟის ოდენობა ათჯერ აჭარბებს პირველი წლისათვის გადახდილს.

საპატენტო ბაჟის პროგრესული ხასიათი მიმართულია იქითკენ, რომ შემცირდეს ეკონომიკურად უმნიშვნელო პატენტების მოქმედების ვადა. თუ დაპატენტებული გამოგონება არ გამოიყენება, პატენტის მფლობელისათვის ხელსაყრელი არ არის ისხადოს დიდი ოდენობის ბაჟები და, ბუნებრივია, იგი უარს იცხვის პატენტზე. პატენტის დაცვას სრული მოქმედების მანძილზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ გამოგონების გამოყენებას სარგებლობა მოაქვს.

ბაჟის ოდენობა პატენტის ძალაში დაგოვებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. მათი ოდენობის დადგენა სმირად განპირობებულია სახელმწიფოს საშინაო საპატენტო პოლიტიკით, აგრეთვე უცხოურ ტექნოლოგიაზე ან ვალუტაზე მოთხოვნილებით და სხვა მიზეზებით.

ზოგიერთ ქვეყანაში ბაჟის გადახდა ხდება ყოველწლიურად (ერაყი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. პორტუგალია, უილიჰინები, ვაგაგმალა, ჰონდურასი, სალვადორი და სხვ.). ქვეყნების შედარებით მცირე ნაწილში ბაჟის გადახდის ინტერვალს შეადგენს არა ერთი, არამედ 5 წელი (მაგალითად, ირანი, ისლანდია, ბოლივია); ეს ინტერვალი 4

წელია იორდანიაში; 3 – ახალ ზელანდიაში.

არსებობს ბაჟის გადახდის სხვა საშუალებები. მაგალითად, არგენტინაში პატენგის მოქმედების მთლიანი ვადის განმავლობაში გადასახდელი ბაჟის 50 % შეიგანება განაცხადის შეგანის დროს, ხოლო დარჩენილ თანხას იხდიან ყოველ წელს თანაბარ ნაწილებად. განმცხადებელს შეუძლია გადაიხადოს მთლიანი ბაჟი განაცხადის შეგანის დროს, ამასთან, ასეთ შემთხვევაში მას ეძლევა შეღავათი საერთო თანხის ნახევრის 6 % -ის ოდენობით.

უმეტეს ქვეყნებში წლიური ბაჟების გადახდას იწყებენ პატენგის მოქმედების პირველივე წლიდან. თუმცა მთელ რივ ქვეყნებში პირველი ბაჟი შეაქვთ მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 წლიდანაც. მაგალითად, ფილიპინებში, პაკისტანში, ირლანდიასა და შრი-ლანკაში ბაჟს იხდიან პატენგის მოქმედების მე-5 წლიდან; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ბრაზილიაში, გერმანიაში, ნორვეგიაში – მე-3 წლიდან. ავსტრიაში, საბერძნეთში, ვენესუელაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში – მე-2 წლიდან. იაპონიასა და ავსტრიაში ბაჟის გადახდის ვადა იწყება შემოწმებული განაცხადის პუბლიკაციის დღიდან, რადგან ამ მომენტიდან განისაზღვრება პატენგის ძალაში შესვლა. საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ბაჟს წინასწარ იხდიან.

წლიური ბაჟის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, როგორც წესი, ეს ვადა გრძელდება, ხოლო გადავადების ხანგრძლივობა მერყეობს 2-დან (პორტუგალია, ერაყი) 12 თვემდე (ლუქსემბურგი, თურქეთი). უფრო გავრცელებულია 3-დან 6 თვემდე გადავადება. გადავადებისათვის, ჩვეულებრივ, გადასახდელია გარკვეული თანხა.

ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ვენესუელა, ცვატემალა, სალვადორი და სხვ.) გადავადება ნებადართული არაა და წლიური ბაჟის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა იწვევს პატენგის მოქმედების შეწყვეტას.

ცალკეულ სახელმწიფოებში წლიური საპატენგო ბაჟები შეიძლება გადავადებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით ან კიდევ შემცირდეს ბაჟის ოდენობა პატენგის მულობელის რთული მაგერიალური მდგომარეობის

გამო. ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს გერმანიის, იაპონიის, იგალიის, შვედეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ დადგენილი წესები. მაგალითად, იგალიის საპატენტო კანონით გამოგონებელს, რომელიც თავის რთულ მაგერიალურ მდგომარეობას დაადასტურებს, შეუძლია მიიღოს გადავადება წლიური ბაჟის გადახდაზე პირველი ხუთი წლის პერიოდისათვის. 5 წლის გასვლის შემდეგ მან უნდა შეიგანოს ყველა გამოგონებული ბაჟი, აგრეთვე ბაჟი პატენტის მოქმედების მე-6 წლისათვის, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში პატენტი ძალას დაკარგავს.

ამავე დროს საკმაოდაა ისეთი ქვეყნები, სადაც ბაჟს პატენტის ძალაში დაგოვებისათვის, საერთოდ, არ ახდენინებენ. პატენტის გაცემის შემთხვევაში ხდება ე.წ. დამამთავრებელი ბაჟის გადახდა და პატენტის მულობელი დამცველი დოკუმენტის მოქმედების პერიოდში ყოველგვარი დაბეგვრისაგან თავისუფლებს. ქვეყნების ამ ჯგუფში შედიან აშშ, კანადა, კოლუმბია, პარაგვაი, პანამა, ჰაიტი, ლომინიკელთა რესპუბლიკა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო.

ყველა ქვეყნის საპატენტო კანონი, აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის გამოკლებით (არგენტინა, კოლუმბია და სხვ.). პატენტის მულობელს აკისრებს დაპატენტებული გამოგონების განხორციელების მოვალეობას. გამოგონების სავალდებულო განხორციელების მოვალეობათა ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების ნორმები სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად სხვადასხვაგვარია, მაგრამ არსებობს ზოგიერთი საერთო დებულება. გამოგონების განხორციელება გულისხმობს მოცემულ ქვეყანაში გამოგონების განუწყვეტელ გამოყენებას საგნის დამზადებისა და გაყიდვის გზით.

პატენტის მულობელს შეუძლია თვითონ დაამზადოს გამოგონების საგანი, გამოიყენოს იგი თავის საწარმოებში და განახორციელოს მისი გაყიდვა. ამასთან ერთად მას შეუძლია სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე, გამოგონების წარმოებასა და გაყიდვაზე გასცეს საკუთარი უფლება. კანონის თვალსაზრისით, სულერთია ვინ გამოიყენებს გამოგონებას; მნიშვნელოვანია ის, რომ მისი საგანი დამზადდეს იმ

მოცულობით, რომელიც შეესაგეყვისება საშინაო ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით ბევრ ქვეყანაში განხორციელებლობის ცოლუასია გამოგონების გამოყენება ისეთი მასშტაბით, რომელიც არ პასუხობს ქვეყნის მოთხოვნებს. ამასთან, დაუწყებელია გამოგონების საგნის გაყიდვა ძალზე ძვირად და პატენტით მინიჭებული სხვა განსაკუთრებული უფლებების ბოროტად გამოყენება. დაპატენტებული გამოგონების საუქძველზე დამზადებული ნივთების იმპორტი მისი სათანადოდ განხორციელების სახელ არ ვანიხილება. თუცა ზოგიერთი არასაკმარისი საშინაო ბაზრის მქონე ქვეყნის კანონები ამას გამოგონების სათანადოდ განხორციელებად მიიხსენვენ. მაგალითად, ირლანდიის საპატენტო კანონის თანახმად, თუ ამ ქვეყანაში შექმნილი გამოგონება დაპატენტებულია ნიდერლანდში და არსებობს ნიდერლანდის მთავრობის განკარგულება მისი გამოყენებისათვის, იგი სათანადოდ განხორციელებულად ითვლება. შვედეთის საპატენტო კანონით დადგენილი ნორმის თანახმად, ურთიერთობის საუქძველზე შეიძლება გაიცეს განკარგულება, რომლის ძალითაც გამოგონების გამოყენება რომელიმე ქვეყანაში ჩათვლილი იქნება მისი შვედეთში გამოყენებად. ანალოგიურ დადგენილებებს შეიცავს სკანდინავიის სხვა ქვეყნების საპატენტო კანონებიც. შვეიცარიაში გამოგონების სათანადოდ განხორციელებად ითვლება მისი გამოყენება გერმანიასა და აშშ-ის ტერიტორიაზე.

უშეტესი სახელმწიფოების საპატენტო კანონები განასხვავებენ გამოგონების ფაქტობრივ და ნომინალურ განხორციელებას. ფაქტობრივი განხორციელება აღნიშნავს დაპატენტებული გამოგონების წარმოების ორგანიზაციას, მის გაყიდვას, დაპატენტებული ხერხის გამოყენებას და ა.შ. ნომინალური განხორციელება – ეს გამოგონების გამოყენებაზე ლიცენზიის წარდგენისათვის მზადყოფნის საჯაროდ გამოხატვაა. იგი ქვეყნდება საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში ან კომერციულ ყურნალ-გაზეთებში და პატენტის მფლობელს ათავისუფლებს გამოგონების რეალიზაციის ფაქტობრივი მოვალეობისაგან. გარდა ამისა, ასეთი შეგყობინებისა და საპატენტო უწყების

ოფიციალურ ბიულეტენში პუბლიკაციის ფაქტი პატენტის მფლობელს ნაწილობრივ ათავისუფლებს ყოველგვარი საპატენტო ბაჟის გადახდისაგან. მაგალითად, ინდოეთში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ბაჟის ოდენობა თითქმის 50 %-ით მცირდება.

ცალკეულ ქვეყნებში გამოგონების გამოყენება გულისხმობს დაპატენტებული ობიექტის გამოყენებზე, ბაზრობებზე და ა.შ. ლემონსტორირებას. მაგალითად, იგალიაში გამოგონების განხორციელების გოლუასია მისი საგნის პირველი ჩვენება ეროვნულ გამოყენაზე.

პატენტის მფლობელის მოვალეობა, რომ ფაქტობრივად ან ნომინალურად გამოიყენოს დაპატენტებული გამოგონება, იწყება კანონით დადგენილ ვადაში. ჩვეულებრივ, ეს ვადა გამოითვლება პატენტის გაცემის მომენტიდან.

სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილია გამოგონების განხორციელების განსხვავებული ვადები. გვაგემალაში, ჰონდურასში, ნიკარაგუაში პატენტის მფლობელი ვალდებულია გამოგონების გამოყენება დაიწყოს მისი მოქმედების პირველივე წლიდან; არგენტინაში, ბოლივიაში, ერაყში, ლიბანში, პერუში, სირიაში, ეკვადორში – 2 წლის მანძილზე; დომინიკელთა რესპუბლიკასა და პაკისტანში – 4 წლის მანძილზე; ირანსა და ირლანდიაში ეს ვადა პატენტის გაცემის დღიდან 5 წელია. ყველაზე ფართოდაა გავრცელებული და უმეტეს ქვეყნებში მოქმედებს 3-წლიანი ვადა. პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნებისათვის დადგენილია ორი ვადა – 3 წელი პატენტის გაცემის დღიდან და 4 წელი განაცხადის შეგანის მომენტიდან. ამასთან, გამოიყენება ვადა, რომელიც მოგვიანებით გადის. გამოგონების გამოყენება უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს. სამრეწველო ან კომერციული ექსპლუატაციის შეჩერება კანონით დადგენილ ვადას არ უნდა აჭარბებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პატენტის მფლობელი გამოგონების განხორციელების მოვალეობას არ ასრულებს.

გამოგონების გამოყენებისათვის დადგენილი წყვეტილობის ვადა, ჩვეულებრივ, ისეთივეა, როგორც გამოუყენებლობისათვის, მაგრამ ბოგიერთ ქვეყანაში იგი საკმაოდ მცირეა.

ცალკეულ ქვეყნებში დაშვებულია გამოვონების განსორციელებისათვის გათვალისწინებული ვადის გაგრძელება, თუ პატენტის მფლობელი დაამტკიცებს, რომ გამოვონების გამოყენებლობა გამომწვეული იყო საპატენტო მიზნებით.

გამოვონების განუსორციელებლობა კანონით დადგენილ ვადაში იწვევს პატენტის მფლობელისათვის არასასურველ შედეგებს – დაინტერესებული პირებისათვის იძულებითი ლიცენზიის გაცემიდან პატენტის გაუქმებულად მიჩნევამდე. როგორც წესი, ამ ზომების გამოყენება განპირობებულია პატენტის მფლობელის ბრალეული ქცევით. თუ იგი დაამტკიცებს, რომ არ შეეძლო გამოვონების გამოყენების დაწყება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იძულებითი ლიცენზია არ გაიცემა და პატენტი არ შეიძლება გაუქმებულად იქნეს მიჩნეული. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს: გამოვონების ხანგრძლივი ათვისების აუცილებლობა, მისი დანერგვისათვის დიდი კაპიტალის დაბანდება, პატენტის მფლობელის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ა.შ.

უმეტეს ქვეყნებში დაპატენტებული გამოვონების განუსორციელებლობის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს თხოვნით მიმართოს მის გამოყენებაზე – გამოვონების ექსპლუატაციაზე და ამ შესაბამის პირისათვის გაცემული ნებართვა ხორციელდება იძულებითი ლიცენზიის სახით.

აშშ-ის, არგენტინის, სალუადორისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონები იძულებით ლიცენზიებზე დადგენილებებს არ შეიცავენ. მათი გაცემა მითითებულ ქვეყნებში ხორციელდება ტრესტების საწინააღმდეგო კანონმდებლობის საფუძველზე. დაპატენტებული გამოვონების შეგნებული გამოყენებლობა განიხილება, როგორც თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა, რაც კანონით იკრძალება.

იძულებითი ლიცენზია შეიძლება მიეცეს პირს, რომელმაც, ჯერ ერთი, ვერ შეძლო პატენტის მფლობელისაგან ნებაყოფლობით მიიღო შესაბამისი ლიცენზია და, მეორეც, რომელსაც ძალუძს ათვისოს მოთხოვნილი ლიცენზიის საგანი. იძულებითი ლიცენზია, როგორც წესი,

პაგენგის დამრღვევ პირზე არ გაიყემა.

იძულებითი ლიცენზია შინაარსითა და მოცულობით უბრალო ლიცენზიის ანალოგიურია. იგი შეიძლება გადაცემულ იქნეს სუბლიცენზიის ფორმით, მაგრამ მის გამოყენებულ სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოსთან ერთობლივად.

იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს საპატენტო განაცხადის შეგანის მომენტიდან 4 წლის ან პატენტის გაცემის თარიღიდან 3 წლის ვადის გასვლამდე. მხედველობაში მიიღება ვადა, რომელიც მოგვიანებით გადის. ეს დებულება მოქმედებს პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში, რომლებმაც ლისაბონისა და სტოკჰოლმის რედაქციების რაგვიფიცირება მოახდინეს.

ბოგიერთ ქვეყანაში (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, დანია, კოლუმბია, ნორვეგია, ურუგვაი, ფინეთი, შვედეთი და სხვ.) იძულებითი ლიცენზიის გაცემა წარმოადგენს ერთადერთ სანქციას, რომელსაც გამოგონების გამოყენების მოვალეობათა დარღვევისათვის პატენტის უდისციპლინო მულობელთა მიმართ იყენებენ. ბევრ სხვა ქვეყანაში კანონები ითვალისწინებენ სხვაგვარ სანქციებსაც, მაგალითად, პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევას. იგი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა იძულებითი ლიცენზიების გაცემა მონოპოლიური უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისათვის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენს. თუმცა პარიზის კონვენციის თანახმად, არავითარი მოქმედება უფლებათა ჩამორთმევის ან პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემის მომენტიდან ორი წლის ვადის გასვლამდე ნებადართული არაა.

როგორც უკვე ზემოთაყ აღინიშნა, არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც იძულებითი ლიცენზიები პატენტის გამოუყენებლობისათვის ვათვალისწინებული არაა და ერთადერთი სანქციას პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევა წარმოადგენს, რაც მომავალში უმოქმედობას ნიშნავს.

მთელი რიგი სახელმწიფოების საპატენტო კანონმდებლობით ამ მხრივ უფრო მკაცრი ზომებია გათვალისწინებული. მაგალითად,

ინდოეთში, მექსიკასა და პერუში გამოგონების კომერციული მიზნით გამოუყენებლობამ, ანუ უფლებების ბოროტად გამოყენებამ, შეიძლება პატენტის გაუქმება, ე.ი. მისი ძალადაკარგულად მიჩნევა გამოიწვიოს.

გამოგონების განხორციელების მოვალეობის შესახებ ნორმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი თავიდანვე მიმართული იყო ეროვნული მრეწველობის დასაცავად უცხოური ფირმებისაგან, რომლებიც გამოგონების დაპატენტებისა და გამოყენებლობის გზით ხელს უშლიდნენ მის განვითარებას. გამოგონების სავალდებულო განხორციელების ინსტიტუტი ამჟამადაც უფროდ გამოიყენება. ასლა გამოგონებათა საპატენტო დაცვით უზრუნველყოფილია კომერციული და საწარმოო ოპერაციების უარყო წრე და თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, აშშ-ის, გერმანიისა და იაპონიის გამოკლებით, უცხოური პატენტის მფლობელსაა წილად გაცემული პატენტების 50 %-ზე მეტი მოდის. გამოგონებათა გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც პატენტის უცხოელ მფლობელებს პატენტების 90 %-ზე მეტი ეკუთვნით.

გამოგონებათა აუცილებელი განხორციელების ნორმები შეიძლება მიმართული იქნეს არა მარტო საპატენტო უფლებების ბოროტად გამოყენებელი უცხოელი ფირმების წინააღმდეგ, არამედ საკუთარი საწარმოების წინააღმდეგაც, რომელთა არაკეთილსინდისიერი საქმიანობაც ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან კერძო მეწარმეთა ინტერესებს.

პრაქტიკაში საპატენტო უწყებებს იშვიათად უხდებათ მკაცრი ზომების განხორციელება საპატენტო მონოპოლიების უფლებათა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. უმეტესი ქვეყნების საპატენტო სამართალი პატენტის გაუქმებას განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოყენებულ უკიდურეს ზომას. იგი თითქმის ყოველთვის შეიძლება ავიცილოთ თავიდან ლიცენზიის გაცემის ან გამოგონების ნომინალური განხორციელების გზით. იძულებითი ლიცენზიები უფროდ არაა გავრცელებული, რადგანაც ისინი არახელსაყრელია როგორც პატენტის მფლობელისათვის, ისე ლიცენზიის მყიდველისათვის. იგი

პატენგის მულობელისათვის იმიტომ არაა სასარგებლო, რომ მისი ღირებულება, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ნებაყოფლობითი ლიცენზიის ღირებულება. ლიცენზიის მყიდველს კი წარმოების აწყობასთან დაკავშირებით არ შეუძლია პატენგის მულობელის დახმარების იმედი იქონიოს.

მართალია, გამოგონების აუცილებელი განხორციელების ნორმები პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, მაგრამ მათი მნიშვნელობა ამით არ მცირდება. რადგან იძულებითი ლიცენზიის გაცემის ან პატენგის გაუქმებულად მიჩნევის შიშით პატენგის მულობელი ისწრაფვის ან პირადად გამოიყენოს გამოგონება, ან ლიცენზია გადასცეს შესაბამე პირს.

ზოგიერთ ქვეყანაში პატენგის მულობელს ევალება აღნიშვნა დაუსვას ყველა სახის დაპატენგებულ, აგრეთვე გარკვეული ხარისხით დამზალბულ დაპატენგებულ ნაკეთობებს, რაც იმას მოწმობს, რომ ეს საგნები დაცულია პატენგით. თუ ნაკეთობის ხასიათის გამო მასზე აღნიშვნის დაგანა დაუშვებელია, მაშინ ნიშანი დაგანილი უნდა იქნეს საფუთიავეზე. მარკირებისაგან თავისუფლება მხოლოდ ის ნაკეთობა, რომელიც პირადი სარგებლობისთვისაა განკუთვნილი.

თუ დაპატენგებული საგნის ეტიკეტით აღჭურვა ან შეფუთვა შეუძლებელია, პატენგის მულობელმა ყველა გამოქვეყნებულ პროსპექტში უნდა ჩართოს მითითება საპატენგო დაცვის შესახებ აღწერილობისა და განაცხადების სახით. კანადის საპატენგო კანონი აღგებს, რომ პატენგის მულობელი... მოვალეა გასაყიდი ან გაყიდვისათვის შემოთავაზებული საგანი აღჭურვოს დამით ან ამოგვიფრული მითითებით, მაგალითად – „დაპატენგებულია 1999 წელს“.

ამ მოვალეობის შეუსრულებლობა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. კანადაში ჯარიმის ოდენობა 1000 დოლარამდეა, ხოლო მისი გადაუხდელობის შემთხვევაში იგი იცვლება თავისუფლების აღკვეთით 2 თვემდე. ნიდერლანდში დაპატენგებული ნაკეთობის მარკის დასმის უქონლობისათვის პატენგის მულობელი ისჯება ჯარიმით 300 გულდენამდე.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, იგალიაში, დასმული

მარკის გარეშე დაპატენტებული საგნები ართულებენ პატენტის დარღვევის გამო დავაში მონაწილე მოსარჩელე პატენტის მფლობელთა პროცესუალურ მდგომარეობას. მოსარჩელეს არ შეუძლია ანაზღაურების მიღების იმედი იქონიოს მანამდე, სანამ არ დაამტკიცებს, რომ დამრღვევისათვის პატენტის არსებობა ცნობილი იყო. ჩაღწილი დარღვევისათვის მარალი შეიძლება მხოლოდ დამრღვევისათვის შეგყობინების შემდეგ იქნეს ანაზღაურებული.

გამოგონებაზე ზემოქმედების მომხდენი მონოპოლიის სარეალიზაციო ნაკეთობის მარკირება, მესამე პირის გაურთხილების მიზნით, ბევრი ქვეყნის პრაქტიკაშია მიღებული. უმთავრესად ეს ის ქვეყნებია, სადა კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს მას, როგორც პატენტის მფლობელის მოვალეობას.

პატენტის დარღვევად ითვლება მესამე პირის მიერ დაპატენტებული გამოგონების სამართალსაწინააღმდეგო, ე.ი. ნებადაურთიველი გამოყენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პატენტის დარღვევა არის გამოგონების საგნის გამოყენება პატენტის მფლობელის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, ამა თუ იმ ფორმით ღიად ან ფარულად გამოხატული.

მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოების კანონმდებლობაში, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაში შემუშავებულია გარკვეული წესები, რომელთა დახმარებით განისაზღვრება პატენტის დარღვევის ცნება. წესების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში პატენტის დარღვევის ცნებაში თითქმის ერთნაირი შინაარსია ჩაღებული. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო კანონი ადგენს – „რამდენადაც სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ განყოფილებით, ყველა, ვისაც არა აქვს ამის უფლებამოსილება და აშშ-ის ფარგლებში ამზადებს, იყენებს ან ყიდის პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში დაპატენტებულ გამოგონებას, ამით არღვევს პატენტს“.

უფრო ფართოდ განისაზღვრება პატენტის მფლობელის უფლებათა დარღვევის არსი საფრანგეთის კანონით, რომელიც დარღვევად მიიჩნევს ისეთ მოქმედებებს როგორცაა: 1) ნაკეთობის დამზადება,

რომელიც წარმოადგენს დაპაგენგებული გამოცონების საგანს; 2) დაპაგენგებული ნაკეთობის ან მისი გამოყენების ან გაყიდვის მიზნით, უშუალოდ დაპაგენგებული ხერხით მიღებული ნაკეთობის გამოყენება, საფრანგეთის გერიგორიაზე შეგანა, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, დაგროვება; 3) დაპაგენგებული გამოცონების საგნის ან ხერხის გამოყენება, გაყიდვა ან გასაყიდად შეთავაზება; 4) წინადალების მიცემა იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს ლიცენზია გამოცონების გამოყენებაზე, აგრეთვე საშუალებანი მისი გამოყენებისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, არგენტინაში, იტალიაში და სხვაგან საპატენტო კანონებში ვერ შეხვდებით პატენტის დარღვევის ცნების განსაზღვრას, მაგრამ აღნიშნული ხარვეზის შევსება ხდება სასამართლო პრაქტიკით.

ასევე სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე არის შემუშავებული წესები, რომელთა დახმარებითაც განისაზღვრება ცნება „დაპატენტებული გამოცონების დამზადება, გამოყენება ან გაყიდვა (ყიდვა)“, რამდენადაც კანონები, ზოგიერთის გამოკლებით, ამ ცნების შინაარსს არ ხსნიან.

მაგალითად, „დამზადება“ გულისხმობს კომერციული მიზნებისათვის გამოცონების საცნების წარმოებას. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს გაიყიდა თუ არა ისინი სინამდვილეში. ნაკეთობა შეიძლება მზადდებოდეს და საწყობში ინახებოდეს მისი შემდგომში გაყიდვის მიზნით. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად ხდება გაყიდვა – ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ. უმეტეს ქვეყნებში დაპატენტებული ნაკეთობის ცალკეული დეტალების დამზადება პატენტის დარღვევას არ ნიშნავს, თუ ისინი სრული კომპლექტით არ მზადდება, რაც გამოცონების აწყობისათვის აუცილებელია. მაგრამ იაპონიაში გამოცონების საცნების წარმოებისათვის გამოსაყენებელი ნებისმიერი ნაკეთობის დამზადება განიხილება როგორც პატენტის დარღვევა.

მსოფლიოს ქვეყნების უმეტეს ნაწილში გამოცონების „გამოყენების“ ცნება გულისხმობს კომერციული მიზნებისათვის მის მოხმარებას, ამასთან, მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც არის იგი დაპატენტებული. დაპატენტებული ნაკეთობების ულობა (გრანსპორტირება, შენახვა)

ზოგიერთ ქვეყანაში დარღვევად არ განიხილება, სხვებში კი ეს დარღვევას წარმოადგენს. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ გამოგონების საგნების დაგროვება მისი გაყიდვის ან გამოყენების მიზნით, პატენტის დარღვევას ნიშნავს. ინგლისში „გამოყენების“ ცნებად მიიჩნევა გამოგონების გამოყენება ნებისმიერი ძიონისათვის, კერძოდ, ეს იქნება კომერციული, პირადი თუ გართობის მიზანი.

„ყიდვისა“ და „გაყიდვის“ ცნებები გულისხმობს დაპატენტებული ნაკეთობების ან ნივთიერებათა რეალიზაციისათვის კომერციულ საქმიანობას, ე.ი. ყიდვა-გაყიდვას მოგების მიღების მიზნით. პირადი მიზნებისათვის გამოგონების საგნის ყიდვა-გაყიდვა უშეგეს ქვეყნებში პატენტის დარღვევას არ წარმოადგენს.

პატენტის დარღვევად ითვლება „გაყიდვის წინადადება“, ე.ი. გამოგონების საგნის რეკლამა-ნაკეთობის დემონსტრირება საჯარო ვაქრობის დარბაზში. მალაზიის ეიგრინაში და ა.შ. გამოგონებების შესახებ ცნობების პუბლიკაცია აფიშებში, კატალოგებში, პროსპექტებში წარმოადგენს პატენტის დარღვევას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა თვით გაყიდვა არ მოხდება. მხოლოდ რეკლამის ფაქტი ან საჯარო ჩვენება საპატენტო უფლების დარღვევის ძიონისათვის საკმარისია.

თუ გამოგონების ობიექტს ხერხი წარმოადგენს, პატენტის დარღვევად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც მის გამოყენებას გულისხმობს. თუ ხერხი შედგება რამდენიმე ოპერაციისაგან, რომლებსაც რამდენიმე სხვადასხვა პირი ასრულებს, პატენტს არღვევს ის, ვინც ბოლო ოპერაციის შემსრულებელია.

ამგვარი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ხერხებზე გაცემული პატენტები იცავენ იმ ნივთიერებებს ან ნაკეთობებს, რომლებიც მიღებულია ამ ხერხებით. მაშასადამე, პროდუქციის დამზადება, გამოყენება და გაყიდვა უდავოდ პატენტის დარღვევას წარმოადგენს. მოპასუხე შეიძლება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს, თუ დაამტკიცებს, რომ პროდუქტი დამზადებული იყო სხვაგვარი ხერხით.

პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების დარღვევა

შეიძლება მოხდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ. პაგენგის პირდაპირი დარღვევის შემთხვევაში მისი მფლობელის მონოპოლიური უფლებების სფეროში შექრა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე პირის უშუალო მოქმედებით. მოცემულ შემთხვევაში უფლებების კონკრეტულ დამრღვევთა დადგენა სიძნელეს არ წარმოადგენს.

პაგენგის არაპირდაპირ დარღვევად მიიხნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ უწყობს ხელს საპაგენგო უფლებათა დარღვევას. მაგალითად, აშშ-ის საპაგენგო კანონის თანახმად, დაპაგენგებული მოწყობილობის, ნაკეთობათა ნაწილის გაყიდვა ან კონტრაფაქციულ ნაკეთობათა დამზადებისა და გამოყენებისათვის სპეციალურად განკუთვნილი მასალების, მოწყობილობების გაყიდვა, დარღვევაში თანამონაწილეობას წარმოადგენს, თუ აღნიშნულ მოქმედებათა ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ იგი ხელს უწყობდა პაგენგის დარღვევას.

არაპირდაპირ დარღვევად ითვლება ე.წ. ნეიგრალური მოწყობილობების, ნივთიერებების, მასალების, ე.ი. ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ობიექტების მიწოდება. თუმცა ბევრი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პაგენგის არაპირდაპირი დარღვევის დადგენისათვის მიწოდებული საგნები ინდივიდუალიზებული უნდა იქნეს გამოგონებათა თვალსაზრისით, ე.ი. ამ საგნებს მისთვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ყველა შემთხვევაში არაპირდაპირი დარღვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როცა დგინდება პაგენგის პირდაპირი დარღვევის ფაქტი.

პაგენგის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების სფეროში შექრა შეიძლება ხლებოლეს სხვადასხვა საშუალებით. გავრცელებულ და ამასთან ერთად პაგენგის უხეშ დარღვევას წარმოადგენს დაპაგენგებული გამოგონების საგნების კომერციული მიზნით წარმოება ან დაპაგენგებული ხერხით ნაკეთობებისა და ნივთიერებების დამზადება. მესამე პირის ასეთ მოქმედებებს უწოდებენ კონტრაფაქციას, ხოლო პაგენგის დამრღვევის უკანონოდ წარმოებულ ნაკეთობებსა და ნივთიერებებს – კონტრაფაქციულს.

უმეტეს ქვეყნებში პაგენგის დარღვევის ფაქტის განსამდგომისას

ძირითად კრიგერიუმს წარმოადგენს ისეთ მოქმედებათა ჩადენის უაქტი, როგორიცაა დამზადება, გამოყენება ან გაყიდვა. თუ ამგვარი მოქმედებები მოგების მიღებისთვისაა გამიზნული, ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება პაგენგის მულობელის განსაკუთრებული უფლებების სფეროში შეჭრა. თუ გამოგონების საგანი პირადი მიზნებისათვის ან ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამოიყენება, ასეთი მოქმედებანი პაგენგის დარღვევას არ წარმოადგენს.

პაგენგის დარღვევად მიიჩნევა ნაკეთობებზე დამრღვევის ვინაობისა და პაგენგის ნომრის აღნიშვნა, თუ იგი სხვა პირის სახელზეა გაცემული.

მთელ რიგ ქვეყნებში სამართალდარღვევად ითვლება დაპაგენგებული მანქანებისა და აპარატების რემონტი და რეკონსტრუქცია. კერძოდ, აშშ-ში პაგენგის დარღვევას ნიშნავს ისეთი მოქმედება, რომლის შედეგადაც ხდება მანქანებისა და აპარატების სრული აღდგენა, რაც კვალიფიცირდება, როგორც ახალი დაპაგენგებული ობიექტის არამართლმომიერი დამზადება. თავის მხრივ, დარღვევად არ ითვლება ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად მანქანის, აპარატის ცალკეული დაუპაგენგებული კვანძების შეცვლა, მაგალითად, ავტომობილის წინა სალონის გადასაკრავის შეცვლა ჩვეულებრივ რემონტად მიიჩნევა და არა რეკონსტრუქციად.

პაგენგი დარღვეულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბემათ განხილული სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებანი იჭრება პაგენგის მულობელის განსაკუთრებული უფლებების სფეროში. ამიტომ კონტრაფაქციის არსებობის საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია განისაზღვროს პაგენგით მინიჭებული გამოგონების დაცვის მოცულობა.

პაგენგის მულობელთა უფლებების მოცულობა უმეტეს ქვეყნებში გამოგონების ფორმულით განისაზღვრება. ხშირად მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) აღწერილობასა და ნახაზებს მხოლოდ გამოგონების ფორმულის გარკვევისათვის ექცევა ყურადღება. გერმანიაში, ავსტრიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პაგენგის მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის აღწერილობა ფორმულასთან

ერთად გამოიყენება. აურთიკა-მაღაგასის კავშირის წევრ იმ ქვეყნებში, სადაც ფორმულის არსებობა აუცილებელი არ არის, დაცვის მოცულობა და დარღვევის უაქტი პაგენგის აღწერილობით განისაზღვრება.

კონტრაფაქციულად მიიჩნევა ისეთი მოქმედებანი, რომლებზეც გავლენას ახდენს გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთი პუნქტის მოქმედება. მაშასადამე, გერმანული ან ინგლისური სისტემით აგებული ფორმულის პირველი პუნქტის დარღვევა პაგენგის უდავო დარღვევად მიიჩნევა. მესამე პირის მიერ კი, ნებისმიერ მომდევნო პუნქტში განცხადებული გამოგონების ნიშან-თვისებების გამოყენება, როგორც წესი, პაგენგის დარღვევას არ იწვევს. თუ გამოგონების ფორმულა ამერიკული სისტემითაა შედგენილი, ნებისმიერ პუნქტში მითითებული ნიშან-თვისებების გამოყენება პაგენგის მულობელის უფლებათა მოქმედების სფეროში შეჭრას წარმოადგენს.

პრაქტიკაში დამრღვევი გამოგონებას იშვიათად იმეორებს მუსგად. ხშირად იგი ცდილობს თავის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა შენიღბვას, ცვლის, ამარგივებს, ართულებს და ზოგჯერ სრულყოფს კიდევ გამოგონებას.

უმეტეს ქვეყნებში პაგენგის დარღვევის მიჩნევისათვის აუცილებელი არაა დაპაგენგებული გამოგონების ნიშან-თვისებების შესაგყვისი გამოსაკვლევი ობიექტის სრული იდენტიფიკაცია. თუ გამოსაკვლევი ობიექტში გამოგონებულია გამოგონების ფორმულის არაარსებითი ულემენტები ან ისინი გადაადგილებულია, ან მათ საექვო განსხვავებები აქვთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი პაგენგის დარღვევის უაქტად არ იქნეს მიჩნეული.

მესამე პირის მიერ შეგანილი ცვლილებების არსებითობა განისაზღვრება ეკვივალენტობის (გოლფასობის) თეორიის საფუძველზე. ეკვივალენტობის თეორიის გამოყენება, როგორც ზემოთ ითქვა, მნიშვნელოვანწილად აფართოებს პაგენგის მულობელების უფლებათა მოქმედების სფეროს, განსაკუთრებით კომბინაციური გამოგონების მიმართ, რამდენადაც მის საფუძველზე ხორციელდება გამოგონების

აღწერილობისა და ფორმულის განვრცობითი ახსნა-განმარტება.

ამასთან ერთად გამოიყენება პატენტის მფლობელთა უფლებების ახსნა-განმარტებებისა და ამ უფლებათა სფეროში მესამე პირის შეჭრის ხარისხის განსაზღვრის სხვა მეთოდები.

გერმანიაში პატენტით მინიჭებულ უფლებათა დაცვის საზღვრები ღვინდება ე.წ. „გამოგონების საერთო იდეის“ დადგენის საუფქველზე, რომელიც მოიცავს არა მარტო გამოგონების საკუთრივ ფორმულას, აღწერილობას, ნახაზებს, პირდაპირ ეკვივალენტებს, არამედ ყოველივე იმას, რაც გექნიკისათვის მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად არის ცნობილი. საერთო იდეა, როგორც გერმანიის ერთ-ერთმა სასამართლომ დაადგინა, წარმოადგენს ამოცანის პრინციპულ გადაწყვეტას და არა მისი შესრულების კონკრეტულ საშუალებებსა და მათი შესრულების ხერხებს.

მაშასადამე, პატენტის მოქმედების სფეროში ექცევა ყველა საშუალება და ხერხი, რომელიც მეშვეობითაც საშუალო სპეციალისგს შეუძლია მათი განსაზღვრა აღწერილობისა და ნახაზების შინაარსის ბელმიწენით შესწავლის შემთხვევაში.

გერმანიის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების საპატენტო სამართლის მიხედვით, პატენტის დარღვევის უაქტის დადგენისათვის საკმარისია, რომ კონგრაფაქციული ობიექტი შეიცავდეს დაპატენტებული გამოგონების თუნდაც ერთ პრინციპულ ან ძირითად ნიშან-თვისებას. იაპონიაში პატენტის დარღვევად მიიჩნევენ იმ შემთხვევას, როცა საპატენტო ფორმულის ყველა ნიშან-თვისება გამოიყენება.

პატენტის მფლობელის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში მათი დაცვა ხორციელდება სასამართლო ან აღმინისგრაციული წესით. აღმინისგრაციულ იურისდიქციას (ცალკეულ ქვეყნებთან ერთად) შეზღუდული კომპეტენცია აქვს და პატენტის დაცვის სასამართლო წესი უპირატეს საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, მექსიკაში აღმინისგრაციული პასუხისმგებლობა წარმოიქმნება პატენტის უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით კანონი ითვა-

ლისწინებს უფლად ჯარიმებს, თავისუფლების დროებით აღკვეთას 60 დღემდე ან ადმინისტრაციულ დაპატიმრებას 36 საათამდე. დანარჩენ შემთხვევაში პაგენგის დაცვა ხორციელდება სასამართლოს დადგენილებით.

პაგენგიდან გამომდინარე უფლებათა სასამართლო დაცვა ხორციელდება დარღვევაზე სარჩელის შეტანის საშუალებით. სარჩელის შეტანის უფლება აქვს პაგენგის განსაკუთრებული ან სრული ლიცენზიის მფლობელს და მოვირავენეს. მოგჯერ ლიცენზიაგისა და მოვირავენის სარჩელზე უფლება პაგენგის მფლობელის დამატებით უფლების ხასიათს ატარებს. საფრანგეთში განსაკუთრებული ან იძულებითი ლიცენზიის მფლობელს შეუძლია სარჩელი თვითონ აღძრას, თუ პაგენგის მფლობელი უარს იტყვის სარჩელის შეტანაზე.

როგორც პაგენგის მფლობელს (ლიცენზიაგის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში), ისე ლიცენზიაგს (პაგენგის მფლობელის მიერ სარჩელის შეტანის შემთხვევაში) უფლება აქვს საკუთარი გარალის ანაზღაურების მიღების მიზნით მონაწილეობა მიიღოს საქმის გარჩევაში.

უცხოელი განმცხადებლისათვის გაცემული პაგენგის დარღვევის შემთხვევაში უფლებათა დაცვის ვალდებულება, ჩვეულებრივ, მოლაპარაკების, კანონის ან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ეკისრება განსაკუთრებული ან სრული ლიცენზიის მფლობელს, რამდენადაც იგი უფრო კარგად იცნობს თავისი ქვეყნის სასამართლო პროცედურის თავისებურებებს და შეუძლია უკეთ გაუწიოს ორგანიზაცია დარღვეულ უფლებათა დაცვას.

სასამართლო განხილვის მსვლელობაში უფლებათა დარღვევის მგკიცების გვირთი აწევს მოსარჩელეს. რომელმაც უნდა წარმოადგინოს პაგენგის დარღვევის დამამგკიცებელი მასალები. მოპასუხეს შეუძლია სარჩელის მართლმომიერება სადავოდ მიიჩნიოს. მისი დაცვის ყველაზე უფრო გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს საპირისპირო სარჩელის წარდგენა პაგენგის გაუქმებულად მიჩნევაზე. მოპასუხეს შეუძლია აგრეთვე მიუთითოს წინათსარგებლობის ან შემდგომსარგებლობის უფლებებზე.

სასამართლოს მიერ პაგენგის დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში მოპასუხე შეიძლება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მოპასუხის ძირიდან პაგენგის დარღვევის ფაქტით მიყენებული დანაშაული, გარალი და დამრღვევის სამართალ-საწინააღმდეგო მოქმედებასა და მიყენებულ გარალს შორის კავშირის მიზღვი. გარალის სახით იგულისხმება დადებითი გარალი და ხელიდან გაშვებული სარგებელი.

დადებითი გარალი – ესაა თანხა, რომლითაც შემციირდა მოსარჩელის ქონება მისი უფლების დარღვევის შედეგად, მაგალითად – დაპაგენგებული ნაკეთობის სამრეწველო დაშვლებისათვის გაღებული სახსრები, საგრანსპორტო ხარჯები, რომლებიც დამრღვევის კონკურენციის გამო აუნაზღაურებელი დარჩა, იმავე მიზნით გაწეული ხარჯები, რაც ურეალიზაციოდ დარჩენილი ნაკეთობის დამზადებას მოსმარდა და ა.შ.

ხელიდან გაშვებული სარგებლის სახით იგულისხმება პაგენგის მფლობელის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის მიერ პაგენგის დარღვევის შედეგად მიღებული მოგება. მისი განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება წარმოებისა და ნაკეთობათა გასაღების შემცირება, უკანონო კონკურენციის გამო საქონლის შედარებითი მცირე ფასად ვაყიდვა, სალიცენზიო გასამრჯელოს მიუღებლობა და ა.შ. ხელიდან გაშვებული სარგებლის განსაზღვრა პაგენგის დარღვევის მომენტში ხორციელდება სხვაობის განსაზღვრის გზით მოსარჩელის ქონების მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც მას შეეძლო ჰქონოდა. თუ მისი უფლებები არ დაირღვეოდა.

ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებად ბევრ ქვეყანაში დამრღვევის მოქმედებით გამოწვეულ ქონებრივ გარალიან ერთად ანაზღაურებას ექვეყლებარება ე.წ. „მორალური გარალიც“, რომელიც შეიძლება გაძოიხაგოს მოსარჩელის კომერციული რეპუტაციისათვის გარალის მიყენებით, სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ და სხვა მორალური გარალის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.

პატენგის დამრღვევის მიერ ჩადენილი დანაშაულის არსი შეიძლება ამგვარად განისაზღვროს: ერთი მხრივ, დამრღვევს არა მარტო წინასწარ პქონდა განზრახული მოეხდინა სხვათა უფლებების ხელყოფა, არამედ ისწრაფოდა კიდევ ამისაკენ. აღნიშნული ქმედების დროს მოპასუხემ გაუფრთხილებლობის გამო არ იცოდა (მაგრამ უნდა სცოდნოდა), რომ ასეთი ქმედება არღვევს პატენგს; მეორე მხრივ, პატენგის დარღვევასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქვეყანაში (ავსტრია, გერმანია, იაპონია, შვედეთი) განასხვავებენ უხემ გაუფრთხილებლობას, უბრალო გაუფრთხილებლობას და მსუბუქ გაუფრთხილებლობას.

დანაშაულის სიმძიმე, როგორც წესი, გაყენას ახდენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სიმძიმეზე, მოსარჩელისათვის კონგრაუაქციის შედეგად მიყენებული ზარალი, პრინციპში, მთლიანად უნდა ანაზღაურდეს, თუმცა ამ საერთო წესთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისი შემთხვევები და სასამართლოებს შეუძლიათ დამრღვევის დანაშაულის ხარისხის მიხედვით გაზარდონ ან შეამცირონ პასუხისმგებლობის სიმძიმე. მაგალითად, იაპონიაში სასამართლოს უფლება აქვს უხეში გაუფრთხილებლობის ან წინასწარგანზრახვის შემთხვევაში კონგრაუაქციისათვის გააძილოს კომპენსაციის ოდენობა.

პატენგის არაპირდაპირი ან პირდაპირი დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში დამრღვევის დანაშაული, ჩვეულებრივ, პრემუმიონირდება, ე.ი. მოპასუხეს ვარაუდზე დამყარებული მოსაზრებით ადანაშაულებენ. ეს წესი წარმოადგენს იმის შედეგს, რომ საპატენგო აღწერილობები ქვეყნდება და ითვლება, რომ ყველა დაინგერესებული პირი იცნობს მათ შინაარსს. საილუმლო პატენგებისა და მათი გამოქვეყნებამდე გამოყენება დანაშაულის სახის მოქმედებად არ განიხილება.

ზოგიერთი ქვეყანაში (ავსტრია, ნორვეგია, უინეთი, შვედეთი და სხვ.) პასუხისგებაში მიეცემიან პატენგების უნებლიე დამრღვევებიც, რომლებმაც არ იცოდნენ და არც უნდა სცოდნოდათ, რომ თავიანთი მოქმედებით შეიჭრნენ პატენგის მფლობელთა განსაკუთრებული უფლებების სფეროში (მაგალითად, პატენგების გამოყენება მათ უბლიკაციამდე).

პატენგის მფლობელის წინაშე, პირდაპირი დამრღვევების გარდა, პასუხისმგებლები არიან დარღვევაში თანამონაწილენიც. აშშ-ის საპატენგო კანონი ადგენს, რომ „ის ვინც აქტიურად უწყობდა ხელს პატენგის დარღვევას, ამისათვის პასუხს აგებს როგორც დამრღვევი“. პატენგის პირდაპირი დამრღვევებისაგან განსხვავებით, თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა, რომ მისი ქმედება ხელს უწყობდა დარღვევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამონაწილეობის უაქტეს მოეთხოვება წინასწარი განზრახვის არსებობა. საფრანგეთის საპატენგო კანონი ითვალისწინებს, რომ, თუ კონგრაფიკული ნაკეთობები მზადდება ერთი პირის მიერ, ხოლო იყენებს, ყიდის, მყიდველებს სთავაზობს და ინახავს სხვა პირი, მაშინ ეს პირი პატენგის დამრღვევად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა, რომ მისი მოქმედება კანონსაწინააღმდეგო იყო. თანამონაწილეობა შეიძლება დაფიქსირებული იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა პატენგის პირდაპირი დარღვევა.

პატენგის დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითად ფორმას წარმოადგენს პატენგის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელისათვის მიყენებული ზარალის ფულადი ანაზღაურება.

ზარალის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, პატენგის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს მოპასუხისაგან მისი უფლების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა. მაგალითად, დამრღვევს შეიძლება მიეცეს განაწესი რათა შეაჩეროს კონგრაფიკული ნაკეთობის ან გექნოლოგიის გამოყენება, შეწყვიტოს რეკლამა ამ საქონლის გაყიდვა და ა.შ. მან შეიძლება მოითხოვოს აგრეთვე კონგრაფიკული საქონლის კონფისკაცია, განადგურება ან მისთვის შესაბამისად გადაცემა და მოპასუხესთან არსებული ნაკეთობებისა და წარმოების საშუალებების გადაცემა.

კონგრაფიკიის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატენგო კანონით დადგენილია შემდეგი წესი:

„დაპატენტებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, საძრე-

წველო ნიმუშის პაგენგის მულობელის ნებართვის გარეშე დამზადება, გამოყენება, ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობა, მათი არსის განზრახ გამჟღავნება (გარდა ავგორისა) „საქპაგენგის“ მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, საიდუმლო გამოგონების, სასარგებლო მოდელის არსის გამჟღავნება, ავგორობის მითვისება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, ბელგია, გურ, იაპონია, იგალია, საურანგეთი და სხვ.), დამატებითი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახით, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მოპასუხე თავისი ხარჯით გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე. გერმანიაში, იაპონიასა და საურანგეთში ეს ღონისძიება მიიღება მოსარჩელის მოთხოვნით. იგალიაში სასამართლო არ არის დაკავშირებული მოსარჩელის განცხადებასთან და შეუძლია იგი დამოუკიდებლად მიიღოს. პაგენგის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების პუბლიკაცია განიხილება, როგორც პაგენგის მულობელის საქმიანი რეპუტაციის აღდგენის საშუალება და შესაძლო პაგენგის დარღვევის შესახებ გაურთიხილებას წარმოადგენს.

მოპასუხის მხრივ, ამგვარი განზრახვის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს მის განკარგულებაში არსებული დაცვის ყველა საშუალების ერთდროულად გამოყენება.

თუ დამრღვევი კეთილსინდისიერად მოქმედებდა, ე.ი. მან არ იცოდა და არ უნდა სცოდნოდა, რომ პაგენგს არღვევდა, სამოქალაქო დაცვის ზოგიერთი საშუალება (ნაკეთობის კონფისკაცია, სასამართლოს გადაწყვეტილების პუბლიკაცია), საერთოდ, არ გამოიყენება. ზოგჯერ კეთილსინდისიერი დამრღვევი ზარალის ანაზღაურების ნაცვლად, სასამართლო ვალდებულების თანახმად, გამოგონების გამოყენებისათვის პაგენგის მულობელს უხდის გარკვეულ თანხას.

სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობით მიიღოს გამაურთიხილებელი ზომები იმ მოქმედებითა

შენერებისათვის, რომლებიც სავარაუდოა, რომ პაგენგის დარღვევის ცდას წარმოადგენდეს. კერძოდ, ასეთი ზომებია ნაკეთობასა და საწარმოზე ყადაღის დადება. თუკი დარღვევის ფაქტი სასამართლოზე განხილვისას არ დამტკიცდება, გამაურთხილებელი ღონისძიებების ხარჯები ეკისრება მოსარჩელეს. იგივე პირი ვალდებულია საქონლის ყადაღასთან დაკავშირებული ზარალის გამო კომპენსირება გაუწიოს მოქალაქეს.

პაგენგის დარღვევის შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ამზადებენ დაპაგენგებულ ნაკეთობებს ან დაპაგენგებულ ხერხს იყენებენ. კერძოდ, ამ შემთხვევაში პასუხისმგებელი არიან დაპაგენგებული საქონლით მოვაჭრე სარეკლამო ფირმები, მათი აგენტები. ცალკეულ ქვეყნებში (ახალი ზელანდია, ლიდი ბრიტანეთი) სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მომხმარებელსაც, რომელიც ყოველთვის კეთილსინდისიერ დამრღვევად იგულისხმება და უფლება აქვს მის მიერ გაცემული თანხის კომპენსაცია მოსთხოვოს ფირმას, სადაც მან კონგრაფაქციული საქონელი შეიძინა.

თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში დამრღვევი შეიძლება მხოლოდ მაშინ მიეცეს, როცა იგი წინასწარ განზრახულად მოქმედებს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ფიზიკურ პირს. სშირად ფირმა-მოქალაქეს უწესდება ზარალის კომპენსაცია, კონგრაფაქციული მოქმედებების შეწყვეტა. ე.ი. მიიღება სამოქალაქო ღონისძიებები, სოლო ფირმის ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით უშუალოდ მოახდინეს პაგენგის დარღვევა, ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, კერძოდ, მათ შეიძლება დაეკისროთ ჯარიმის გადახდა ან თავისუფლების აღკვეთა.

უმეტეს სახელმწიფოებში სისხლის სამართლის სანქციები მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნით გამოიყენება. მათ მიეკუთვნება ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა. ჯარიმისა და თავისუფლების აღკვეთის უკიდურესი ზომები, ჩვეულებრივ, მითითებულია კანონში. მაგალითად,

ნიდერლანდში თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობამ არ შეიძლება 3 თვეს გადააჭარბოს, შვედეთში – 6 თვეს, გერმანიაში – 1 წელს.

მოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრიაში, იაპონიაში, მექსიკაში და სხვაგან დამრღვევს შეიძლება მიესაჯოს ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი სამუშაოები. სხვა ქვეყნებში (გერმანია, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი) შესაძლებელია იმ მომეხიდან მხოლოდ ერთის გამოყენება.

პაგენგის ხელშეორედ დარღვევის ან მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შრომითი ურთიერთობების შემთხვევაში სისხლის სამართლის სანქციები ორმაგდება. მაგალითად, არგენტინისა და ნიდერლანდის საპაგენგო კანონით, თუ პირი დარღვევას გამამტყუნებელი განაჩენის გამოგანის მომენგიდან 5 წლის მანძილზე იმეორებს ან პაგენგის მულობელთან შრომითი ურთიერთობა აქვს, სასჯელის ზომა ორჯერ იზრდება, ხოლო საფრანგეთში პაგენგის ხელშეორედ დარღვევა 5 წლის მანძილზე იწვევს ჯარიმასთან ერთად თავისუფლების აღკვეთას 2-დან 6 თვემდე ვადით.

პაგენგის მულობელის დარღვეული უფლების სასამართლო დაცვა შეიძლება განხორციელდეს კანონით დადგენილ სასარჩელო ხანდამულობის ვადებში, რომელთა ვასელის შემდეგ პაგენგის მულობელი შესაძლებლობას კარგავს იძულებითი წესით დაიცვას თავისი უფლება. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა ვადა. კერძოდ, აშშ-სა და ინგლისში სასარჩელო ხანდამულობის ვადა პაგენგის დარღვევის მომენგიდან 6 წელია, არგენტინაში – 2 წელი; გერმანიაში, საფრანგეთსა და იაპონიაში – 3 წელი. დარღვევის ფაქტის გამოვლენის მომენგიდან და ა.შ., როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში სასარჩელო ხანდამულობის ვადა ამ ფაქტზე საქართველოს საპაგენგო კანონით შეზღუდული არ არის.

როგორც პრაქტიკა ადასტურებს, პაგენგის მულობელები და ლიცენზიატები ხშირად არ ჩქარობენ ხოლმე წარადგინონ სარჩელი, არამედ იცდიან, ვიდრე დარღვევა არ მიიღებს ისეთ მნიშვნელოვან მასშტაბებს, როცა შესაძლებელი იქნება მეტი ანაზღაურების მოთხოვნა.

ნა. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ანაზღაურების ოდენობა შეზღუდულია პაგენგის დარღვევის ბოლო წლებით, კერძოდ, შეუღლები შარალი იფარება პაგენგის დარღვევიდან მხოლოდ სარჩელის წარდგენის წინ 5 წლით და არაავითარი კომპენსაციის მიღება უფრო ადრეული პერიოდისათვის ნებადართული არაა.

პაგენგის დარღვევის გამო სარჩელი უმეტეს ქვეყნებში განიხილება მოპასუხის ადგილმდებარეობის ან პაგენგის მფლობელის უფლებათა დარღვევის ადგილის მიხედვით.

პაგენგების დარღვევის გამო დავას, ჩვეულებრივ, განიხილავს სასამართლო საერთო იურისდიქციის საუქმებლზე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ მიზანს ემსახურება ერთი ან რამდენიმე საერთო სამოქალაქო სასამართლო. ყველა ქვეყანაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი ქვეყნის უზენაეს სასამართლო ორგანოში.

პაგენგი, როგორც ზემოთაყ აღინიშნა, ვაიციკმა კანონით დადგენილი ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პაგენგით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებები წყდება და გამოგონება შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული ნებისმიერი პირის მიერ.

იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია პაგენგის ვადის გავრძელება, გამოგონების მონოპოლიის ობიექტის საყოველთაო თავისუფალი გამოყენების ობიექტად გადაქცევა გადაიდება შესაბამისი ვადით. უმეტესი პაგენგების მოქმედების ციკლი მათთვის კანონით დადგენილ პერიოდს არ აღწევს და არსებობას გაცილებით ადრე, მისი ვადის გასვლამდე წყვეტს. პაგენგის მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტის მთავარ საუქმებლებს უმეტეს ქვეყნებში წარმოადგენს: 1. პაგენგის მფლობელის უარი თავის უფლებებზე; 2. პაგენგის მფლობელის მიერ თავისი მოვალეობების დაუკველობა (ძალის დაკარგვა); 3. პაგენგის უმოქმედება მისი არამართლმომიერი გაცემის (გაუქმების) გამო.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს პაგენგის შეწყვეტის სხვა მიზეზებიც. მაგალითად, კანადაში პაგენგის უმოქმედოდ მინიჭების საუქმებელი შეიძლება იყოს გამომგონებლის გვარის არასწორი მითითება.

პატენგის მფლობელის მიერ თავისი უფლებების უარყოფასთან, ბაჟის გადაუხდელობასთან, პრაქტიკულ განუხორციელებლობასთან დაკავშირებით, პატენგის მოქმედების შეწყვეტა ხდება შემდგომი დროისათვის, ე.ი. პატენტი უმოქმედოდ ითვლება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომენტიდან.

საქართველოს საპატენტო კანონით პატენტი უქმდება, თუ დადგინდა, რომ:

„1. პატენგის საგანი არ არის პატენტუნარიანი;

2. პატენტი არ აღწერს გამოგონებას, სასარგებლო მოდელს და სამრეწველო ნიმუშს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;

3. პატენგის საგანი ვანეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელზეც ამ კანონის თანახმად, პატენტი არ გაიცემა;

4. პატენგის საგანი სცილება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითაც დადგინდა პრიორიტეტი ან პატენტი გაცემული გამოცალკეებული განაცხადის საფუძველზე და მისი საგანი სცილება პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;

5. თუ პატენგის მფლობელს არ ჰქონდა უფლება პატენტზე საქართველოს საპატენტო კანონში მითითებულ შემთხვევათა გამო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

პატენგის მფლობელის მიერ შემოტანილი პატენტით დაცული გამოგონების გამოუყენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე პატენგის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში იწვევს შემოტანილი პატენგის გაუქმებას. ამასთან, გამოყენებად არ ჩაითვლება შემოტანილი პატენტით დაცული გამოგონების საფუძველზე დამზადებული პროდუქციის იმპორტი საქართველოში“.

გაუქმებას კი უკუძალა აქვს. ე.ი. პატენტი არარსებულად ითვლება დასაწყისიდანვე (მისი გაცემის მომენტიდან). ამიტომ შესაბამისი პატენგის საფუძველზე და მისი მოქმედების პერიოდში დადებული ვარიანტები, ასევე ექვემდებარება გაუქმებას. თუ, მაგალითად, პატენგის მფლობელმა სალიცენზიო შეთანხმება დადო და შესაბამისი

გასამრჯელო მიიღო, მაშინ პაგენგის გაუქმების შემდეგ იგი შეიძლება აიძულონ დააბრუნოს მისთვის გაცემული თანხები, რადგანაც მათი მიღება განიხილება, როგორც უსაუბლო გამოძირების ფაქტი.

ყველა ქვეყანაში პაგენგის მულობელი უფლებამოსილია უარი თქვას პაგენგზე ნებისმიერ დროს სრულად ან მის რომელიმე ნაწილზე და საპაგენგო უწყებაში შესაბამისი განცხადების გაგზავნის ვებით. უარი რეგისტრირდება უწყებაში და ოფიციალურ ძალას იძენს ბიულეტენში მასზე შეტყობინების პუბლიკაციის მომენტიდან.

საქართველოს საპაგენგო კანონის მიხედვით „პაგენგი ძალას კარგავს „საქპაგენგში“ პაგენგის მულობელის მიერ საკუთარ პაგენგზე წერილობითი უარის შეტანის შემთხვევაში“.

პაგენგის მულობელის პაგენგზე უარის თქმის უფლება უმეტეს ქვეყნებში იზღუდება შესაძენ პირის ინტერესებით. მაგალითად, საურანჯეთის საპაგენგო კანონი ადგენს, რომ უარი დაიშვება მხოლოდ პაგენგის ეროვნულ რეესტრში რეგისტრირებული ლიცენზიების მულობელთა და მოგირავენეთა მხრივ თანხმობის შემთხვევაში. თუ პაგენგი ვალებისათვის ქონების აღწერილობის შედგენილობაში შედის ან სასამართლო პროცესი აღძრულია საპაგენგო უფლებათა გადაცემის თაობაზე, სკანდინავიის ქვეყნების კანონებით პაგენგის მულობელის უარი არ შეიძლება მიღებული იქნეს, ვიდრე პაგენგზე ყალბა მოქმედებს და სასამართლო პროცესი დამთავრებული არაა.

პაგენგზე უარს ყველაზე ხშირად იმ შემთხვევაში ამბობენ, როცა პაგენგი სხვა პაგენგების უფლებების ინტერესებს ეხება და პაგენგის პირველ მულობელს არ სურს რა ჩაერთოს სასამართლო პროცესში, არჩევს, საერთოდ, ჩამოერთვას პაგენგი.

როგორც უკვე მემოთავ აღინიშნა, პაგენგის ძალაში დაგოვებისათვის პაგენგის მულობელი ვალდებულია იხალოს ბაეი. ბაეის გადაუხდელობა კანონით ვალდენილ ვადაში ასევე იწვევს პაგენგის მოქმედების შეწყვეტას.

ბაეის გადაუხდელობა და ამასთან დაკავშირებული უფლების დაკარგვა რეგისტრირდება საპაგენგო უწყების მიერ და ინფორმაცია

ამის შესახებ ქვეყნდება საპაგენგო ბიულეტენში. პაგენგის მულობელი იღებს შეტყობინებას გამოგონებაზე მისი უფლების შეწყვეტის შესახებ.

უმეტეს ქვეყნებში ბაჟის გადაუხდელობის გამო ძალადაკარგული პაგენტი შეიძლება აღდგეს გარკვეული ვადის განმავლობაში.

პაგენგის აღდგენის ვადა ზოგიერთ ქვეყანაში (მექსიკა, ნორვეგია, საურანგეთი, ფინეთი, შვედეთი) ჩვეულებრივ, დადგენილია 6 თვე, ხოლო საქართველოში – 3 თვე იმ ბოლო თარიღიდან, როცა გადასდელი უნდა ყოფილიყო ბაჟი; 6 თვეა დადგენილი, მაგალითად, იგალიაში, ოღონდ პაგენგის შეწყვეტაზე შეტყობინების პუბლიკაციის შემდეგ. ცალკეულ სახელმწიფოებში პაგენგის აღდგენის ვადა შეადგენს რამდენიმე წელს. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში პაგენტი შეიძლება აღდგენილ იქნეს 1 წლის მანძილზე იმ დღიდან, როცა მან ძალა დაკარგა.

ყველა ქვეყანაში პაგენგის აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაგენგის მულობელი სარწმუნო მიზეზებს წარმოადგენს ამ ვადის გამოტოვების გასამართლებლად.

დამტყველი დოკუმენტის აღდგენისათვის საპაგენგო უწყებაში გამოგონებაზე შეტანილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დადგენილი დროისათვის ბაჟის გადაუხდელობის მიზეზები, აგრეთვე შეიტანება პაგენგის აღდგენისათვის განკუთვნილი შესაბამისი თანხა და ბაჟი. თუ განმცხადებელი შეძლებს საპაგენგო უწყება დაარწმუნოს თავისი უფლებების აღდგენის სამართლიანობაში, განცხადების შეტანის შესახებ ბიულეტენში ქვეყნდება ინფორმაცია. პუბლიკაციის მომენტიდან 2-3 თვის განმავლობაში ნებისმიერ მესამე პირს შეუძლია პაგენგის აღდგენის წინააღმდეგ შეიტანოს შესატყველი. თუ შესატყველი შეტანილი არაა ან იგი უსაფუძვლოდ ჩათვალიეს, აღადგენენ პაგენგს, რის თაობაზეც შესაბამისი აღნიშვნა შეაქვთ რეესტრში და იგი ქვეყნდება ბიულეტენში.

ვადა, რომლის განმავლობაშიც პაგენტი არ მოქმედებდა, მისი აღდგენის შედეგ პაგენგის მოქმედების საერთო ვადად ჩაითვლება.

თუ პაგენგის აღდგენაზე განცხადება დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი ან განმცხადებელს უარი ეთქვა მისი უფლებების აღდგენაზე,

პაგენტი საბოლოოდ კარგავს ძალას. ინფორმაცია ამის შესახებ იბეჭდება საპაგენტო უწყების ბიულეტენში.

ამჟამად პაგენტის განუხორციელებლობის გამო მისი შეწყვეტა იშვიათად ხდება. პრაქტიკაში საკითხი პაგენტის მოქმედების ვალაზე აღრე შეწყვეტის შესახებ ყველაზე ხშირად მის დარღვევასთან დაკავშირებით წარმოიქმნება. მოპასუხე სარჩელის მიხედვით პაგენტის დარღვევის შესახებ, ჩვეულებრივ, დაცულია საპირისპირო სარჩელით პაგენტის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ. უფრო მეტიც, ცალკეულ ქვეყნებში (მაგალითად, აშშ-ში) სარჩელი პაგენტის ძალადაკარგულობაზე შეიძლება განცხადებული იყოს მხოლოდ იმ პირთა საპირისპირო სარჩელის სახით, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით პაგენტის მფლობელის მიერ მისი უფლებების დარღვევაში.

მოქმედი კანონები შეიცავენ პაგენტის გაუქმების დაახლოებით ერთნაირ საფუძვლებს. მათგან მთავარია – დაპაგენტებული გამოგონების შეუსაბამობა კანონით დადგენილ პაგენტუნარიანობის მოთხოვნებთან. სიახლის, არასიაშკარავის ან სარგებლიანობის უქონლობის საფუძველი ყველაზე ხშირად გვხვდება იმ შემთხვევაში, როცა პაგენტს ძალადაკარგულად მიიჩნევენ.

პაგენტის ძალადაკარგულად მიჩნევის მეორე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს აღწერილობაში გამოგონების არსის არასრული ან ბუნდოვანი, გაუგებარი, უზუსტო გახსნა ან გამოგონების საგნის არამკაფიო ფორმულირება, გამოგონების ფორმულისა და აღწერილობის შეუსაბამობა და ა.შ.

მესამე ნიშენლოვან საფუძველს პაგენტის ძალადაკარგულად მიჩნევისა წარმოადგენს მისი იმ პირისათვის გაცემა, ვინც მოცემული გამოგონების პაგენტის მიღებაზე უფლებამოსილი არაა. ამ საფუძვლის ვათვალისწინება ხდება პაგენტის გაცემის საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობით, კერძოდ, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იაპონიაში, კანადასა და სკანდინავიის ქვეყნებში.

ზოგიერთ ქვეყანაში ვათვალისწინებულია პაგენტის გაუქმების სხვა საფუძვლებიც. მაგალითად, აშშ-ის სამართლით პაგენტი შეიძლე-

ბა ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, თუ აღწერილობა ან ნახაზები შეიცავენ შეცდომას, იაპონიის სამართლით კი – თუ იგი გაცემულია საერთაშორისო მოლაპარაკების დარღვევით.

ძალადაკარგულობა შეიძლება ეხებოდეს მილიან პაგენგს ან მხოლოდ მის ნაწილს. პაგენგის ძალადაკარგულად ნაწილობრივი მიჩნევა ნიშნავს, რომ მოქმედებას აგრძელებს ის ნაწილი, რომელიც ძალაში დარჩა.

პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევაზე სარჩელები ზემოთ დასახელებული საფუძვლების მიხედვით, როგორც წესი, უმეტეს ქვეყნებში შეიძლება შეგანილ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ. თუმცა სარჩელზე უფლება ზოგიერთი საფუძვლის მიხედვით, დაინგერესებული პირებისათვის შეზღუდულია. მაგალითად, გერმანიაში, თუ პაგენგის ძალადაკარგულობაზე სარჩელის საფუძველს წარმოადგენს აღწერილობებიდან, ნახაზებიდან, ნაკეთობებიდან, მოწყობილობებიდან გაღმობული სხვა პირის კუთვნილი გამოგონების არსებული ელემენტები, უფლება სარჩელზე მხოლოდ მოცემულ პირს ექნება. ნიდერლანდსა და სკანდინავიის ქვეყნებში, თუ პაგენგი უფრო აღრინდელი პაგენგის მფლობელის ინგერესებს ეხება, სარჩელზე უფლება აქვს მხოლოდ ამ პირს. თუ სარჩელის საფუძველს პაგენგის მფლობელის არაუფლებამოსილება წარმოადგენს, ასეთი სარჩელი შეიძლება პაგენგზე პრეგენზიის მქონე პირის მიერ იქნეს შეგანილი.

აშშ-ში, ინგლისში, ფინეთში, შეედეთსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში პაგენგის ძალადაკარგულობის სარჩელზე უფლება მხოლოდ დაინგერესებულ პირს აქვს. ბრაზილიის, ფინეთის, შვეციისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კანონები ითვალისწინებენ პაგენგზე სამოქალაქო ხელისუფალთა მიერ შედაეების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს „სამოგალოების ინგერესები“. მაგრამ, ჩვეულებრივ, პაგენგის ნამდვილობას სადავოს ხდიან ისინი, რომლებიც ამით არიან დაინგერესებული, კერძოდ: პაგენგის მფლობელის კონკურენტი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები, პაგენგის დარღვევის საქმეებზე მოპასუხეები, ლიცენზიების მყიდველები და სხვა დაინგე-

რესებული პირები. პროკურატურის ორგანოები, როგორც საჯარო საქვეყნო ხელისუფალნი, ასეთი საქმეების მოსარჩელები იშვიათად არიან. პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევაზე სახელმწიფოს სახელით სარჩელის წარდგენა, ჩვეულებრივ, მსოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა დასაცავი ობიექტი „კეთილმზნობას“, „მორალს“ ან „საჯარო წესრიგს“ ეწინააღმდეგება.

პაგენგის ნამდვილობაზე შედავების შემთხვევაში მის ძალადაკარგულობაზე მტკიცების გვირთი აწვეს იმ მხარეს, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა.

კანონი, როგორც წესი, პაგენგზე შედავებისათვის სარჩელის ხანდაზმულობის ვალებს არ ადგენს. სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს პაგენგის მილიანი ვადის მოქმედების განმავლობაში. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც; მაგალითად, იაპონიის კანონი ადგენს, რომ, თუ პაგენტი უკვე ცნობილ ან გექნიკური ამოცანის ამკარა გადაწყვეტაზეა გაცემული, სარჩელი შეიძლება პაგენგის რეგისტრაციის მსოლოდ 5 წლის განმავლობაში იქნეს განცხადებული. სკანდინავიის ქვეყნებში, თუ პაგენტი უფლებამოსილ პირზეა გაცემული. სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს 1 წლის მანძილზე იმ მომენტდან, როცა პაგენგზე პრეტენზიის მქონე პირმა გაიგო, რომ იგი სხვის სახელზეა გაცემული. ამავე დროს, თუ პაგენგის მფლობელი კეთილსინდისიერად მოქმედებდა, სარჩელი არ შეიძლება განცხადებული იყოს პაგენგის გაცემის შემდეგ 3 წლის ვასვლამდე.

დავის დაქვემდებარება პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევაზე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. იგი განიხილება ან საერთო სამოქალაქო სასამართლოების, ან სპეციალური საპაგენგო სასამართლოების მიერ, ან კიდევ მისი განსილება როგორც საპაგენგო უწყების, ისე სასამართლოთა კომპეტენციაში შედის.

უმეტეს ქვეყნებში (არგენტინა, აშშ, იგალია, ნიდერლანდი, საურანგეთი, შვედეთი და სხვ.) სარჩელს პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ საერთო სამოქალაქო სასამართლოები განიხილავენ.

მაგალითად, აშშ-ში დავა პაგენგის ნამდვილობაზე, ისევე რო-

გორც დავა პაგენგის დარღვევაზე, განიხილება უედერალური საოლქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ. ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებები გარკვეულ ვითარებათა გამო (კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევა, საკითხის პრინციპული გადაწყვეტის აუცილებლობა) შეიძლება ქვეყნის უზენაეს სასამართლოში იქნეს გასაჩივრებული.

ინგლისის კანონით საკითხი პაგენგის ნამდვილობის შესახებ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საპაგენგო უწყების გადაწყვეტილება შეიძლება სადავო გახდეს თავდაპირველად საპაგენგო, ხოლო შემდგომ – სააპელაციო სასამართლოში. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სარჩელი პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ შეიძლება საპაგენგო კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით იქნეს წარმოდგენილი. ასეთ სარჩელს, ისევე როგორც პაგენგის დარღვევაზე სარჩელს, პირველი ინსტანციის მიხედვით განიხილავს საპაგენგო სასამართლო, მეორე ინსტანციის მიხედვით – სააპელაციო სასამართლო, უმაღლესი ინსტანციის მიხედვით კი – ლორდთა პალატა.

პაგენგის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უმეტეს ქვეყნებში აბსოლუტურ ხასიათს ატარებს, ე.ი. მოქმედებს ყველა პირის წინააღმდეგ.

პაგენგების ძალადაკარგულად მიჩნევაზე გადაწყვეტილება, აგრეთვე ყველა სხვა ცნობა პაგენგების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ქვეყნდება საპაგენგო უწყების ოფიციალურ ბიულეტენებში. შესაბამისი თანხის გადასდის შემდეგ საპაგენგო უწყებები აზგაენიან ცნობებს პაგენგების მოქმედების შესახებ.

მემოთ აღნიშნული ყველა წინა მსჯელობა ესებოდა ე.წ. ძირითად პაგენგს. ძირითადი პაგენგის სახით იგულისხმება გექნიკურად სრულყოფილი, იურიდიულად დამოუკიდებელი გამოგონებისათვის გაცემული დამცველი დოკუმენტი, რომელიც მოცემული ქვეყნის საპაგენგო სამართლით დადგენილ პაგენგუნარიანობის ყველა კრიტერიუმს პასუხობს. პაგენგის ეს სახე გავრცელებულია საპაგენგო კანონმდებლობის მქონე ყველა ქვეყანაში.

როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე ბევრ განვითარებად

ქვეყანაში ძირითად პაგენგთან ერთად მოქმედებს პაგენგების რამდენიმე სპეციალური სახე, კერძოდ: დამაგებითი, დამოკიდებული, შემოგანილი ან დადასტურებული, გამაფრთხილებელი (წინასწარი) და სხვ.

პაგენგების სპეციალურ სახეებს უფლებრივი კავშირი აქვს ძირითად პაგენგებთან და ძირითადისაგან დასაპაგენგებელი გამოვონების წინაშე წაყენებულ შოისოყნათა მიცულობით, დაპაგენგების პროცედურით, პაგენგიდან გამოძინარე უფლებათა და მოვალეობათა მიცულობით განსხვავდება.

ყველაზე მეტად გავრცელებულია დამაგებითი პაგენგი. იგი ვაივალისწინებულია უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობით.

დამაგებითი პაგენგი გულისმსმობს დამაგებით გამოვონებაზე ვაიციმულ დამციველ დოკუმენტს (მოწმობას ან პაგენტს), რომელიც ძირითადი პაგენგით დაციულ და მასზე გექსნიკურად დამოკიდებული სხვა გამოვონების სრულყოფას ან მოდიფიკაციას წარმოადგენს. დამაგებითი პაგენგი ვაიციემა ავრეთივე გამოვონებაზე, რომელიც საშუალებას იძლევა განსორციელდეს და რეალიზებულ იქნეს ძირითადი პაგენტის საგანი. მაგალითად, იაპონიის საპაგენტო კანონის თანახმად, თუ დაპაგენგებულია ნაკეთობა, დამაგებითი პაგენგი შეიძლება მიღებულ იქნეს მისი დამზადების ხარისხზე ან მოცემული ნაკეთობის წარმოებისათვის განკეთვნილ მანქანაზე, მოწყობილობაზე; თუ თავდაპირველად დაპაგენგებულია ხერხი, დამაგებითი პაგენგი შეიძლება მიღებულ იქნეს მანქანაზე, რომელიც მისი განსორციელებისათვის გამოიყენება.

დამაგებითი პაგენგები ვაიციემა მხოლოდ ისეთ გამოვონებებზე, რომლებიც ერთიმეორესთან გექსნიკურადაა დაკავშირებული და დამოკიდებული; დამაგებითი პაგენგები ისეთ გამოვონებებზეც ვაიციემა, რომლებზეც პაგენგი უკვე ვაიციებულია ან წარდგენილია საპაგენტო განაცხადი. გექსნიკური დამოკიდებულება გამოიხატება იმით, რომ დამაგებითი გამოვონება არ შეიძლება იყოს გამოყენებული დამოუკიდებლად ძირითადი გამოვონების ან რომელიმე მისი ნაწილის გამოყენების ვარეშე. მაგალითად, საფრანგეთის საპაგენტო კანონი

ადგენს, რომ დამატებითი გამოგონების საგანი შეიძლება მხოლოდ ისეთი გამოგონებები იყოს, რომლებიც უკიდურეს შემთხვევაში პატენტის ფორმულის თუნდაც ერთი მოთხოვნასთანაა „დაკავშირებული“. თუ დადგინდება, რომ დამატებითი პატენტის ობიექტი ძირითადი პატენტის ობიექტთან შინაგან კავშირს არ უღობს, დამატებითი პატენტი ძალადაკარგულად მიიხსნება.

გამოგონებას – დამატებითი პატენტის ობიექტს – იგივე მოთხოვნები წარედგინება, რაც ძირითადი პატენტის ობიექტის შემადგენელ გამოგონებას, ერთი გამონაკლისით, რომელიც იმას გულისმობს, რომ ძირითად გამოგონებასთან შედარებით, დამატებითი გამოგონება შეიძლება არ უღობდეს საგამომგონებლო შემოქმედების დონეს (არასიაშკარავეს). მიაჩნიათ, რომ გექნიკური ამოცანის დამატებითი გადაწყვეტა ძირითადი პატენტით დაცული გამოგონების ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენს. ორივე მათგანი რაღაცნაირად ერთ მილიანს შეადგენს. ამის საფუძველზე ძირითადი გამოგონების პატენტის არასიაშკარავე დამატებით გამოგონებაზე ვრცელდება. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონები მოითხოვენ, რომ დამატებითი სახით განცხადებული გამოგონება ძირითადისაგან „არარსებითად“ განსხვავდებოდეს.

დამატებითი გამოგონების გექნიკური დამოკიდებულება იწვევს დამატებითი პატენტის უფლებრივ დამოკიდებულებას ძირითადისაგან, რომელიც სხვადასხვა ასპექტით გამოისახება. მაგალითად, დამატებითი პატენტი შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი პატენტის მოქმედების, როგორც წესი, მთელი ვადის განმავლობაში. სკანდინავიის ქვეყნებში დამატებითი პატენტი გაიცემა მასზე განაცხადის შეტანის შემთხვევაში ძირითად პატენტზე მასალების განხილვამდე, ე.წ. ვაწყობამდე, ე.ი. არა უგვიანეს 18 თვისა პრიორიტეტის თარიღიდან.

დამატებითი გამოგონების მოქმედების ვადა გაცილებით შეზღუდულია და განისაზღვრება უკვე გაცემული ძირითადი პატენტის სამოქმედო ვადის დარჩენილი ნაწილით, რომლის გასვლის შემდეგ ძალას კარგავს დამატებითი გამოგონებაც. ცალკეულ ქვეყნებში (არგენტინა,

თურქეთი, სალვადორი და სხვ.) დამატებითი პატენტი კიდე უფრო მოკლე ვადით მოქმედებს. მაგალითად, არგენტინაში დამატებითი პატენტი შეიძლება გაიყოს ძირითადი პატენტის დარჩენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა. თუკი დამატებითი პატენტი ძირითადი პატენტის მოქმედების ნახევარი ვადის გასვლის შემდეგაა მიღებული, მაშინ მისი ვადა საპატენტო უწყების მიერ ღვინდება.

დამატებითი პატენტის მიღებაზე უშლება უმეტეს ქვეყნებში მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელს აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამატებითი და ძირითადი გამოგონების შემქმნელები არ შეიძლება სხვადასხვა პირები იყვნენ. ყურადსაღებია, რომ დამატებით პატენტზე განაცხადის წარმდგენი შეიძლება ძირითადი პატენტის მფლობელი იყოს. „თუ გამოგონება – ნათქვამია, მაგალითად, იგალიის საპატენტო კანონში, – პატენტით უკვე დაცული სხვა გამოგონების სრულყოფას წარმოადგენს, რომელიც იმავე პირს ეკუთვნის, მაშინ მასზე შეიძლება გაიყოს დამატებითი პატენტი“.

ბოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბელგია, ერაყი, თურქეთი, ნიკარაგუა, გუნისი, ჰონდურასი და სხვ.) დამატებითი პატენტები გაიყემა ნებისმიერ პირზე, მაგრამ მათი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვით. თავის მხრივ, ძირითადი პატენტის მფლობელს არ შეუძლია დამატებითი პატენტით დაცული გამოგონება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე გამოიყენოს. ბევრ ალნიშნულ ბოგიერთ ქვეყანაში დამატებითი პატენტი გაიყემა მესამე პირზე მხოლოდ კანონით დადგენილი ძირითადი პატენტის გაცემის ვადის გასვლის შემდეგ, რაც, ჩვეულებრივ, ერთ წელს უტოლდება და, რომლის მანძილზეც დამატებითი პატენტი შეიძლება მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის მიერ იქნეს განცხადებული. გვატემალაში მესამე პირს განაცხადი დამატებით გამოგონებაზე შეუძლია მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვით შეიგანოს. თუ ძირითადი პატენტი რამდენიმე პირს ეკუთვნის, დამატებითი პატენტი შეიძლება მხოლოდ ასეთი პატენტის ყველა მფლობელის თანხმობით იქნეს მიღებული.

ერთი ძირითადი პაგენგის საფუძველზე გაცემული დამატებითი პაგენგების ოდენობა, როგორც წესი, არ იზღუდება. თუმცა, ესპანეთში, პორტუგალიასა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ერთ ძირითად პაგენგზე არ შეიძლება სამზე მეტი დამატებითი პაგენგი იქნეს მიღებული. დასაშვებია დამატებითი პაგენგის მიღება სხვა დამატებითი პაგენგზეც.

დამატებითი პაგენგის ძალაში დატოვებისათვის უმეტეს ქვეყნებში ბაჟს არ იხდიან. ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, არგენტინა, ბელგია, ლიბანი და სხვ.) ეს პირობა გათვალისწინებულია, მაგრამ მათი ოდენობა ძირითადი პაგენგის ბაჟის ოდენობასთან შედარებით მცირეა. მაგალითად, არგენტინაში ბაჟი დამატებითი პაგენგზე ძირითადი პაგენგის მულობელისათვის უტოლდება 25%-ს, ხოლო მესამე პირისათვის იგი ძირითადი პაგენგისათვის გადასახდელი თანხის 50%-ია.

თუ ძირითადი პაგენგი ძალადაკარგულად მიიჩნევა ისეთი საფუძვლებით, რომლებიც დამატებითს არ ეხება, უკანასკნელი მისი მულობელის სურვილით შეიძლება ძირითადად გარდაიქმნეს და მისი მოქმედების ვადა იანგარიშება ძირითადი პაგენგის მოქმედების პირველი დღიდან, ხოლო ძალაში დატოვებისათვის იხდიან ჩვეულებრივ ბაჟს.

დამატებითი პაგენგის მულობელს გამოგონების განხორციელება არ ევალება. ამასთან ერთად დამატებითი პაგენგით დაცული გამოგონების განხორციელება ისეთივე უულებრივ შედეგებს იწვევს, როგორსაც ძირითადი გამოგონების პაგენგის განხორციელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი პაგენგის მულობელის მოვალეობა გამოგონების განხორციელებასთან დაკავშირებით შეიძლება დამატებითი პაგენგის საგნის მქონე გამოგონების განხორციელების გზით იქნეს შესრულებული. მაგალითად, ესპანეთის საპაგენგო კანონი ადგენს, რომ „დამატებითი პაგენგის განხორციელება ყოველმხრივ ცვლის ძირითადი პაგენგის განხორციელების მოთხოვნებს“.

დამატებითი და ძირითადი პაგენგის უულებრივი კავშირი იმითაც ვლინდება, რომ დამატებითი პაგენგის დარღვევა აუცილებლად იწვევს ძირითადი პაგენგის დარღვევასაც.

ამრიგად, დამატებითი პატენტი მთელ რივ უპირატესობებს ანიჭებს ძირითადი პატენტის მფლობელს. საგამომცონებლო შემოქმედების დონის უქონლობა, მაშასადამე, განაცხადების შედარებით მარტივი პროცედურა, აგრეთვე ის, რომ პატენტის დაყვისათვის ბაჟის გადახდა აუცილებელი არაა, დამატებითი გამოგონებების უფლებრივ დაცვას ააღვილებს.

დამატებითი პატენტებს ძირითადი პატენტების მფლობელები წარმატებით იყენებენ ძირითად გამოგონებაზე პატენტით მინიჭებული მონოპოლიის გაფორმებისათვის. ამჟამად კარგი გექნიკური სიახლე, როგორც წესი, დაცულია არა ერთი, არაშელ ძირითადი და დამატებითი პატენტების მთელი სერიით, რაც უზრუნველყოფს მის ყოველმხრივ უფლებრივ დაცვას. დამატებითი პატენტების ვარკვეული წილი ყოველწლიურად გაცეპული პატენტების საერთო რიცხვში ზოგიერთ ქვეყანაში შედარებით დიდია. საყრანგეთში იგი მაგალითად, შეაღვენს 5-6%-ს, გერმანიაში – 10%-ს.

დამატებითი პატენტი გაუმჯობესებული დაპატენტებული გამოგონების ერთადერთი დაცვის ფორმა არ არის. ძირითადი პატენტის მფლობელს შეუძლია გამოგონების გაუმჯობესებისათვის მიიღოს სხვა ძირითადი პატენტიც. კერძოდ, ავსგრიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ, გაუმჯობესების ან შემღგომი მოდიფიკაციის მიმართ განმცხადებელი დამოუკიდებლად წყევგს საკითხს იმასთან დაკავშირებით, მიიღოს თუ არა დამოუკიდებელი ან მთავარზე დამოკიდებული დამატებითი პატენტი. არჩევანის უფლება განმცხადებლისათვის იზღუდება მხოლოდ იმით, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, დამატებითი პატენტის საგანს ძირითადი გამოგონების მიმართ არასიაშკარავის მოთხოვნები არ წარედგინება. ამ ვითარებამ შეიძლება წინასწარ განსაზღვროს გაუმჯობესების დაცვის ფორმა.

ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, ბრაზილია, მექსიკა, პარაგვაი და ფილიპინები) დამატებითი პატენტები არ არსებობს. დაპატენტებული გამოგონებების გაუმჯობესებისათვის ამ ქვეყნებში ვაიცემა ძირითადი პატენტები.

მესამე პირის მიერ დაჰაგენგებულ გამოგონებებზე, რომლებიც გექსნიკურად ერთიმეორეზეა დამოკიდებული, გაიცემა დამოკიდებული პატენტი.

გამოგონებათა გამოყენება, როგორც ბემოთაც იყო აღნიშნული, პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ მონოპოლიას წარმოადგენს. თუმცა ამ მონოპოლიის განხორციელება მესამე პირის ინტერესებს და უპირველეს ყოვლისა სხვა პატენტების მფლობელებს არ უნდა შეეხოს. ამასთან ერთად პრაქტიკაში სშირად იქმნება გამოგონებები, რომლებსაც აქეთ მოქმედი პატენტებით დაცული და მესამე პირის კუთვნილი სხვა გამოგონებების არსებითი ნიშან-თვისებების მქონე ელემენტები. ასეთ გამოგონებათა გამოყენება პატენტის მფლობელთა ნებართვის გარეშე არ შეიძლება. მსოლოდ ამით გამოიხატება უფლებრივი კავშირი დამოკიდებული პატენტისა ე.წ. მთავარ პატენტთან. სხვა მხრივ, იგი ძირითადი პატენტისაგან არ განსხვავდება, კერძოდ, მიეცემა ნებისმიერ პირს და მის მფლობელს ჩვეულებრივ პრივილეგიებს ანიჭებს; გამოგონებას წაყენება პატენტუნარიანობის ჩვეულებრივი მოთხოვნები; მისი მოქმედებების ვადა ყველა ქვეყანაში ისეთივეა, როგორც ძირითადი პატენტისა და ა.შ. თუ ძირითად პატენტს ვადა გასდის ან იგი ძალადაკარგულად მიიჩნევა, დამოკიდებული პატენტი ძალას ინარჩუნებს და დამოუკიდებელი ხდება.

პატენტის დამოკიდებულება ძირითად პატენტზე გამოგონებათა ექსპერტიზის დროს დგინდება საპატენტო უწყებაში ან დავის წამოჭრისას სასამართლოში. თუ განმცხადებელმა იცის, რომ მისი გამოგონება სხვა გამოგონების რაიმე ნიშან-თვისებებს ემყარება ან მასში მოქმედი პატენტებით დაცული გალაწყევლები გამოიყენება, იგი მოვალეა მიუთითოს ეს აღწერილობაში და დაასახელოს პატენტის ნომერი. პატენტის დამოკიდებულების დადგენა ექსპერტიზის დროს მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს. ამიგომაც ყველა ქვეყანაში, ავსტრიისა და ისლანდიის გარდა, პატენტები დამოკიდებულ გამოგონებებზე კანონით განსაკუთრებულ კატეგორიად არ გამოიყოფა და მათზე ფორმალურად გაიცემა ძირითადი პატენტები. მაგრამ უმეტეს ქვეყნებში სხვა პატენტებით

დაცული გექნიკურად დამოკიდებული გამოგონებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მათი მფლობელების ნებართვით. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „უკვე დაპატენტებული გამოგონების გაუმჯობესებაზე ვაცემული პატენტის მფლობელს მესამე პირის სასარგებლოდ არ შეუძლია გამოიყენოს თავისი გამოგონება უფრო ადრეული პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე“.

თუ გამოგონების დამოკიდებულება ექსპერტიზის მსვლელობისას ღვინდება, აღწერილობაში და დამოკიდებული პატენტის საპატენტო სიგელში დაისმება ძირითადი, ე.ი. ადრე ვაცემული პატენტის ნომერი. ეს კეთდება მესამე პირის ინტერესების დაცვის მიზნით, რომელმაც ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში შეიძლება დამოკიდებულების არსებობა არ იცოდეს და ძირითადი პატენტი დაარღვიოს. მაგალითად, ისლანდიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „პატენტი ვაციემა... უკვე დაპატენტებულ გამოგონებებში შეგანილ ცვლილებებზე... ასეთი პატენტი დამოკიდებულად მიიჩნევა და ძირითად პატენტზე სპეციალურ მითითებას უნდა შეიცავდეს“. თუ ძირითად პატენტზე მითითება არ არსებობს, იგი შეიძლება მისი მფლობელის მოთხოვნით მოხდეს.

დამოკიდებული გამოგონების გამოყენება დაიშვება მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვით. ამგვარი სახით ძირითადი პატენტის მფლობელსაც არ შეუძლია გამოიყენოს დამოკიდებული პატენტით დაცული გამოგონება.

როგორც წესი, დამოკიდებული პატენტის მფლობელს შეუძლია მიიღოს იძულებითი ლიცენზია ძირითადი გამოგონების გამოყენებაზე, თუ მისი მფლობელი უარს აცხადებს თავისი ნებით მისცეს მას ამის უფლება. სხვა მხრივ, გარკვეულ ვითარებათა დროს ძირითადი პატენტის მფლობელსაც შეუძლია მიიღოს მის პატენტზე დამოკიდებული გამოგონების გამოყენების ნებართვა. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ჯვარედინი ლიცენზიის არსებობას.

ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ვენესუელა, მექსიკა, ურუგვაი, ჰონდურასი) დაპატენტებული გამოგონების გაუმჯობესებისათვის ვაციემა დამცველი დოკუმენტები დასახელებით

– „პატენტები გაუმჯობესებისათვის“. ეს პატენტები ჩვეულებრივი ძირითადი პატენტებისაგან არსებითად არ განსხვავდება. ისინი გაიცემა ნებისმიერი პირის სახელზე, მათი მოქმედების ვადა და დამცველი ბაჟების ოდენობა ისეთივეა, როგორც ძირითადისა. გაუმჯობესებისათვის გაცემული პატენტები არ შეიძლება განვიხილოთ დამატებითი პატენტების სახით, მათ გამოგონების საფუძველზე გაცემულ პატენტთან უფლებრივი კავშირი არა აქვთ. სხვა მხრივ, თუ პატენტი გაუმჯობესებისათვის გაცემულია მესამე პირზე, იგი შეიძლება პატენტის იმ ფლობელის გარეშე იქნეს გამოყენებული, ვის ინტერესებსაც ეხება ასეთი გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში გაუმჯობესებისათვის გაცემული პატენტი დამოკიდებულ პატენტს წარმოადგენს.

უმეტეს განვითარებად ქვეყნებში არსებობს შემოგანილი ან დადასტურებული პატენტები.

შემოგანილი ან დადასტურებული პატენტის ცნება გულისხმობს პატენტს, რომელიც მოქმედი უცხოური პატენტის ან მოწმობის საფუძველზე გაიცემა. აქედან წარმოდგება ამ სახის პატენტის დასახელებაც, რომელიც სხვა ქვეყანაში უკვე მოქმედი პატენტის დადასტურებას წარმოადგენს ან ადასტურებს იმპორტს, უცხოური პატენტის შემოგანას. სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულია ამ სახის პატენტის სხვადასხვა აღნიშვნა (შემოგანილი, დადასტურებული), მაგრამ სხვადასხვაობა მხოლოდ გერმინოლოგიურ ხასიათს ატარებს და იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. შემოგანილი პატენტები თითქმის ყველგან ნებისმიერი უცხოური გამოგონების დამცველი ლოკუმენტის საფუძველზე (პატენტი, მოწმობა) გაიცემა. თუმცა ესპანეთში შემოგანილი პატენტი შეიძლება გაცემულ იქნეს არა მარტო უცხოური პატენტის საფუძველზე, არაპელ ნებისმიერ სხვა პუბლიკაციაზე (წიგნები, სტატიები და ა.შ.), რომლებიც ხსნიან გამოგონებას. ეკვალორში შემოგანილი პატენტის მიღების საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ამერიკის კონგრესის ქვეყნებში მოქმედი პატენტები.

ამა თუ იმ ქვეყანაში შემოგანილი პატენტის წარმოებულ ხასიათს განსაზღვრავს პატენტის მიმართ მისი უფლებრივი დამოკიდებულება,

რომლის საფუძველზეც პაგენტი იყო გაცემული. იგი ვლინდება შემოგანილი პაგენტის გაცემის ვალების დადგენისა და მოქმედების პირობების წესით.

შემოგანილი პაგენტის მიღებაზე უულება, როგორც წესი. აქვს უცხოური პაგენტის მფლობელს. ბელგიაში, ვენესუელაში, ესპანეთსა და ზოგიერთი სხვა ქვეყანაში შემოგანილი პაგენტი შეიძლება ნებისმიერი პირის სახელზე გაიყვას. თურქეთში გაიყვამა საზღვარგარეთი დაპაგენტებული გამოგონების განმცხადებელზე.

შემოგანილი პაგენტი შეიძლება უცხოური პაგენტის მოქმედების ნებისმიერ მომენტში იქნეს მიღებული. გამონაკლისს წარმოადგენს ვენესუელა, სადაც განაცხადის წარდგენა დაშვებულია შემოგანილ პაგენტზე მხოლოდ უცხოური პაგენტის გაცემის შემდეგ საში წლის განმავლობაში.

გამოგონებას, რომელიც შემოგანილი პაგენტის საგანს წარმოადგენს, წარედგინება სიახლისადში შეზღუდული მოთხოვნები. განაცხადის შეგანამდე სიახლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება გამოგონების საგნის მხოლოდ ღია გამოყენება. გამოგონების არსის პუბლიკაცია შემოგანილი პაგენტის ქვეყანაში და საზღვარგარეთი, აგრეთვე მისი ღია გამოყენება საზღვარგარეთ არ წარმოადგენს დაბრკოლებას შემოგანილი პაგენტის მისაღებად. ეს წესი მოქმედებს იმ ქვეყნებშიც, სადაც გამოგონებას მსოფლიო სიახლის მოთხოვნები აქვს წაყენებული.

თუმცა ცალკეულ ქვეყნებში ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები წაყენება გამოგონების გახსნის სხვა საშუალებებსაც. კერძოდ, ესპანეთის საპაგენტო კანონი ადგენს, რომ „შემოგანილი პაგენტის ობიექტი შეიძლება იყოს გამოგონება, რომელიც გახმაურებული ან დაპაგენტებული იყო საზღვარგარეთი, მაგრამ... არ იყო გახსნილი. გამოყენებული ან განსორციელებული ესპანეთში“.

შემოგანილი პაგენტის გაცემის პროცედურა, ჩვეულებრივ, უყრო მარტივია, ვიდრე ძირითადისა. მისი მიღებისათვის აუცილებელია უცხოური პაგენტის სწორად გაფორმებული ასლის წარდგენა, რომ-

ლის საფუძველზეც მოითხოვება იგი.

შემოგანილი პაგენგები ვაიცემა უცხოური პაგენგის მოქმედების დარჩენილი ვადით, რომელმაც არ შეიძლება ძირითადი პაგენგისათვის კანონით დადგენილ ვადას გადააჭარბოს. არგენტინასა და ესპანეთში შემოგანილი პაგენგები ვაიცემა გაცილებით მოკლე ვადით (10 წელი). შემოგანილი პაგენგის მულობრებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ძირითადი პაგენგებისას, მაგრამ არსებობს ცალკეული გამონაკლისებიც. მაგალითად, ესპანეთში შეგანილი პაგენგი უფლებას იძლევა ქვეყანაში წარმოებულ იქნეს და ვაიცილოს გამოგონების საგანი, მაგრამ პაგენგის მულობრებს ნებას არ აძლევს მესამე პირს აუკრძალოს მისი საბლვარგარეთიდან შემოგანა. გამოგონებათა გამოყენება დაწყებული უნდა იქნეს ერთი წლის მანძილზე შემოგანილი პაგენგის ვაციემის დღიდან. არსებობს შემოგანილი პაგენგებისათვის დადგენილი გამოგონების აუცილებელი განხორციელების განსხვავებული წესები, კერძოდ, შემოგანილი პაგენგი მისი ვაციემის შემდეგ, მესამე წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს. ფაქტობრივი განხორციელება არ შეიძლება ნომინალურით შეიცვალოს.

შემოგანილი პაგენგების ძალაში დაგოვებისათვის ისეთივე ბაჟის გადახდაა საჭირო, როგორც ძირითად პაგენგზე.

შემოგანილი პაგენგის უცხოურ პაგენგთან დამოკიდებულება იმითაც გამოიხატება, რომ უცხოური პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევა იწვევს შემოგანილი პაგენგის ძალადაკარგულად მიჩნევასაც. თუკი უცხოური პაგენგი ძალას დაკარგავს, მაგალითად, პაგენგის მულობრის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა მიზეზით, შემოგანილი პაგენგი მოქმედებას აგრძელებს.

შემოგანილი ან დადასტურებული პაგენგები ძირითადად განვითარებად ქვეყნებშია გავრცელებული. პაგენგის ეს სახე ცნობილია ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნისათვის, ბრაზილიის, კოლუმბიისა და მექსიკის გამოკლებით. იგი ასევე ცნობილია ფრანგული საპაგენგო-უფლებრივი სისტემის მქონე ზოგიერთი ქვეყნისთვისაც – მათ შორის ესპანეთისათვის, რაც მოწმობს ამ ქვეყნის მრეწველობის საკმაო

დამოკიდებულებას უცხოურ კაპიტალზე და მისი საკუთარი გექნიკური ღონის ჩამორჩენილობას.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად: „პატენტის მფლობელის მიერ შემოგანილი პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში იწვევს შემოგანილი პატენტის გაუქმებას. ამასთან, გამოყენებად არ ჩაითვლება შემოგანილი პატენტით დაცული გამოგონების საფუძველზე დამზადებული პროდუქციის იმპორტი საქართველოში“.

ბელგიაში 1984 წლამდე გამოგონებაზე გაიყვანა რამდენიმე სახის პატენტი, მათ შორის შემოგანილი პატენტიც. 1984 წლის 23 მარტის კანონით დადგენილია მხოლოდ ერთი სახე – პატენტი გამოგონებაზე.

შემოგანილი პატენტები პატენტის მფლობელებს უადვილებს გამოგონებათა დაცვას; ისინი გამოიყენება ინდუსტრიალად განვითარებული სახელმწიფოების მიერ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალისა და სამრეწველო საგნების ექსპორტის დასაცავად.

ბოგიერო განვითარებად ქვეყანაში, რომლებიც უკანასკნელ დრომდე პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ დიდ ბრიტანეთზე, არსებობს ე.წ. რეგისტრირებული პატენტის კატეგორია. რეგისტრირებული პატენტი წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის პატენტის რეგისტრაციის მოწმობას. შეამდგომლობა რეგისტრაციაზე შეიძლება 3 წლის ვადით იქნეს წარდგენილი დიდი ბრიტანეთის პატენტის გაცემის თარიღიდან. რეგისტრირებული პატენტის მიღების უფლება მხოლოდ დიდი ბრიტანეთის პატენტის მფლობელს აქვს. რეგისტრირებული პატენტი, შემოგანილისაგან განსხვავებით, შესაბამის ქვეყანაში მოქმედებს არა მისი რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ პატენტის მოქმედების დაწყებიდან დიდ ბრიტანეთში, ე.ი. მას უკუძალა აქვს.

რეგისტრირებული პატენტის საგანი უნდა აკმაყოფილებდეს გამოგონების ადგილობრივი სიახლის მოთხოვნას, რომელიც დიდ ბრიტანეთში შესაბამისი განაცხადის შეგანის თარიღით ღვინდება.

რეგისტრირებულ პატენტზე, ისევე როგორც შემოგანილ პატენტზე,

განაცხადის ექსპერტიზა არ გარდება.

რეგისტრირებული პატენტის მოქმედებისათვის ბაჟს არ ახდევინებენ.

ძირითადად ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბოლივია, პერუ და სსუ.) არსებობს გამაფრთხილებელი პატენტების კატეგორია.

გამაფრთხილებელ პატენტს შეიძლება პირობითად ვუწოდოთ პატენტი, რამდენადაც იგი მის მფლობელს გამოგონების პრაქტიკული გამოყენების, მის შესახებ მოხსენებების, ლექციების და ა.შ. გარდა, რაიმე უფლებას არ ანიჭებს. მისი მიზანი ძირითადად ისაა, რომ პრიორიტეტი დაიმკვიდროს გარკვეული ვადით. გამაფრთხილებელი პატენტის საგანს წარმოადგენს გექნიკურად დაუმთავრებელი გამოგონება, რომლის ფორმულირება ავგორს ჯერ კიდევ გარკვეულად არ შეუძლია, რათა განაცხადი წარადგინოს ძირითად პატენტზე. იმისათვის, რომ გამაფრთხილებელმა პატენტმა ძალა არ დაკარგოს, მფლობელმა მისი მოქმედების პროცესში უნდა წარადგინოს განაცხადი ძირითად პატენტზე. ამ შემთხვევაში გამოგონების პრიორიტეტი გამაფრთხილებელ პატენტზე განაცხადის თარიღის მიხედვით იქნება დადგენილი.

ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, სალვადორი, შრი-ლანკა) გამაფრთხილებელი პატენტი მიეცემა ნებისმიერ გამოგონებელს, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი კუთვნილებისა; ზოგიერთში – (ჩილი, გვატემალა) მხოლოდ ეროვნულ განმცხადებლებს; პერუში – ამ ქვეყნის მაცხოვრებელ ნებისმიერ პირს.

გამაფრთხილებელი პატენტების მოქმედების ვადები დიდი არ არის. არგენტინაში, ბოლივიაში, ბრაზილიაში, პერუში, სალვადორში, ჩილიში მათი ვადა 1 წელია, გვატემალაში – 6 თვე. ზოგიერთ ქვეყანაში (გვატემალა, ჩილი) დაშვებულია ასეთივე ვადით ვადის ერთხელ გაგრძელება; არგენტინასა და სალვადორში ვადის გაგრძელებათა რიცხვი შეზღუდული არაა.

ჰონდურასში გამაფრთხილებელ პატენტს ღროებით პატენტს უწოდებენ, ბრაზილიაში კი – „პრიორიტეტის გარანტიის“ პატენტს.

კანადაში გამაფროთხილებელი პაგენგის უუნქციას ასრულებს წინასწარი განაცხადი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მოქმედებს და ამ ვადაში განმცხადებელს პრიორიტეტს უმკვიდრებს.

გამაფროთხილებელი პაგენგები ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი გამომგონებლების უშუალო დაიცვისათვის.

ქვეყნების ერთ ჯგუფში არსებობს სამრეწველო საკუთრების განსაკუთრებული სახე – სასარგებლო მოდელი. სასარგებლო მოდელების დაცვა გათვალისწინებულია ან საპატენტო კანონმდებლობით (ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, საქართველო, ფილიპინები და სხვ.), ან სპეციალური აქტებით სასარგებლო მოდელებზე (ჯერმანია, იაპონია, იტალია, ლიხტენშტაინი, სამხრეთ კორეა, სან-მარინო, სომალი, ურუგვაი და სხვ.).

სასარგებლო მოდელის სახით იგულისხმება ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც ძირითადად მოწყობილობას მიეკუთვნება. იგი შეიძლება გამოიხატოს ობიექტის განსაკუთრებული ფორმით თაქისებური განლაგებით, მისი ცალკეული ნაწილების შერწყმით. ახალი კვანძების დეტალების გამოყენებით და ა.შ. როგორც დადგენილია, მაგალითად, ბრაზილიის სამრეწველო საკუთრების კოდექსში „სასარგებლო მოდელად მიიჩნევა პრაქტიკული გამოყენების შესუნებისმიერი გაერთმობიანება, ცნობილი ობიექტების ახალი ფორმა“.

სასარგებლო მოდელების რიცხვს, როგორც წესი, არ მიეკუთვნება ხერხები, ნივთიერებები, განსაკუთრებით არაპატენტადი ფორმის (სიბრუნები, აირები) ცოცხალი ორგანიზმები. თუმცა გარკვეულ პირობებში ბოგიერთი ნივთიერება სასარგებლო მოდელად მიიჩნევა. იაპონიაში. მაგალითად, სასარგებლო მოდელს წარმოადგენს „საკეები და სამედიცინო პროდუქტები. თუ ისინი მოწყობილობის ან მოწყობილობათა კომბინაციის ფორმითაა დამზადებული“ (მაგალითად, სიგარეტი პერფორირებული ქაღალდით).

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით: „პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას. ნივთიერებას ან ხერხს, და

რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

სასარგებლო მოდელი ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის გეჟნიკის არსებული ღონით.

სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

გეჟნიკის არსებულ ღონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, მეპირი აღწერით, აგრეთვე საქართველოში გამოყენებით და შეეხო იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეგანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

სასარგებლო მოდელის სიახლის დადგენისას გეჟნიკის ღონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება „საქპატენტში“ გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე შეგანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. სიახლე ღვინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე“.

მთელ რიგ ქვეყნებში ნებადართულია ქიმიური ნივთიერებების სასარგებლო მოდელების სახით რეგისტრაცია, თუ სიახლისათვის დამახასიათებელია მისი აგომების სივრცეში განლაგების სპეციფიკა. ამასთან, გერმანიასა და იაპონიაში ნებადართულია სასარგებლო მოდელის ფორმულაში ქიმიური შედგენილობის მითითება.

მაშასადამე, სასარგებლო მოდელის სპეციფიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია მაგერიალური ობიექტების სივრცობრივ განხორციელებასთან. ამიგომ ცნება „სასარგებლო მოდელი“ მოიცავს ობიექტების უფრო ვიწრო წრეს, ვიდრე ცნება „გამოგონება“.

სასარგებლო მოდელების პატენტუნარიანობის კრიტერიუმები ძირითადად იგივეა, რაც გამოგონებებისა, კერძოდ, სიახლე, სამრეწველო

გამოყენებადობა, სარგებლიანობა, საგამომგონებლო შემოქმედების ღონე.

სასარგებლო მოდელების უფლებრივი დაცვის თავისებურებებს წარმოადგენს შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი შოთხონები, რომლებიც საგამომგონებლო შემოქმედების ღონეს ეხება. იაპონიის კანონი ადგენს, რომ სასარგებლო მოდელი – ეს „ბუნების კანონების გამოყენებელი გექნიკური იდეაა“. ამასთან ერთად ამოცანის გექნიკური გადაწყვეტა სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა, თუ იგი „ძალზე ადვილად შეიძლება იქნეს შექმნილი საშუალო ღონის მქონე სპეციალისტის მიერ მოცემული დარგში არსებული ცნობების ბაზაზე“. მაშასადამე, აუცილებელია, რომ გექნიკური ამოცანის გადაწყვეტა, რომლის შედეგსაც სასარგებლო მოდელი წარმოადგენს, საშუალო ღონის მქონე სპეციალისტისათვის გარკვეული ზომით არ იყოს აშკარა.

როგორც ცნობილია, ეს კრიტერიუმები სუბიექტურ ხასიათს აგარებს და ამიგომ ზღვარის დადგენა გამოგონებასა და სასარგებლო მოდელს შორის ძალზე რთულია. პრაქტიკაში ხშირად ერთი და იგივე გექნიკური გადაწყვეტა ერთ ქვეყანაში დაკულია გამოგონებაზე პატენტით, ხოლო მეორე ქვეყანაში რეგისტრირებულია, როგორც სასარგებლო მოდელი. სასარგებლო მოდელის გამოგონებასთან მიახლოების გამო სასარგებლო მოდელზე განაცხადი, თანახმად პარიზის კონვენციისა, შეიძლება იყოს საფუძველი გამოგონებაზე კონვენციური განაცხადის შეტანისათვის და პირიქით.

ზოგიერთ ქვეყანაში, სახელდობრ, ესპანეთში, იაპონიასა და საქართველოში შეიძლება პატენტზე განაცხადი გარდაიქმნას სასარგებლო მოდელზე განაცხადად და განაცხადები სასარგებლო მოდელებზე – განაცხადად პატენტზე. საქართველოს საპატენტო უწყება – „საქპატენტი“ ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს სასარგებლო მოდელის გამოგონებად აღიარებას, თუკი ამას მოითხოვს განმცხადებელი. კერძოდ, საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს: „გარდაქმნას განაცხადი გამოგონებაზე განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით“. აღნიშნული კანონი

აღგენს, რომ „განაცხადის გარდაქმნა დასაშვებია პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების გამოგანამდე“. ამავ ეკონომის ძალით „განაცხადი გამოგონებაზე, რომელზედაც განმცხადებელმა არ გადაიხადა კვლევისათვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური, განიხილება როგორც განაცხადი სასარგებლო მოდელზე“.

იაპონიაში პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში „აუცილებელი საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობის გამო საპატენტო განაცხადი შეიძლება სასარგებლო მოდელზე განაცხადად გარდაქმნას საბოლოო გადაწყვეტილების გამოგანის შემდეგ 4 თვის მანძილზე“. ამასთან, „ახალი განაცხადისათვის პრიორიტეტი დგინდება თავდაპირველი განაცხადის მიხედვით, რომელიც გარდაქმნის შემდეგ ავტომატურად უქმდება“. გერმანიასა და იტალიაში გამოგონებაზე განაცხადის შეგანასთან ერთად შეიძლება შეგანილ იქნეს დამხმარე განაცხადი სასარგებლო მოდელზე, რომელზეც შეიძლება გაიყოს დამცველი ლოკუმენტი გამოგონების შესახებ პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში.

დანარჩენი მოთხოვნები, რომლებსაც სასარგებლო მოდელი უნდა პასუხობდეს, გამოგონებისადმი წარდგენილი მოთხოვნებისაგან არ განსხვავდება; პატენტუნარიანობის შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრის პირობები ანალოგიურად იმ წესებს ექვემდებარება, რომლებიც გამოგონებისათვის არის დადგენილი.

სასარგებლო მოდელზე დამცველი ლოკუმენტი, ჩვეულებრივ, მოწმობის სახელწოდებას ატარებს; იტალიასა და საქართველოში მას პატენტი ეწოდება. ხშირად მას „მცირე პატენტგსაც“ უწოდებენ.

სასარგებლო მოდელზე განაცხადის განხილვისა და მოწმობის გაცემის პროცედურა ძირითადად იგივეა, რაც გამოგონებათა დაპატენტებისას. საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სასარგებლო მოდელზე განაცხადის წარდგენის წესი და ფორმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრების წესი იგივეა, რაც გამოგონებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს გერმანია, სადაც სასარგებლო მოდელები, გამოგონებებისაგან განსხვავებით, რეგის-

გრირდება ე.წ. ვანცხადებითი წესით. ვარდა ამისა, დასაშვებია ფორმულის მხოლოდ ერთი პუნქტის შევსება.

სასარგებლო მოდელზე გაეყვანილი მოწმობის უფლებათა მოცულობა გამოვითქვამებ პატენტით დადგენილ უფლებათა მოცულობისაგან არ განსხვავდება. თუმცა სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების ხანგრძლივობა უმეტეს ქვეყნებში გაცილებით უფრო ნაკლებია. კერძოდ, გერმანიაში იგი 3 წელია, კიდევ 3 წლით გავრძელების შესაძლებლობით; იაპონიასა და იტალიაში – 10 წელი; პორტუგალიაში – 5 წელი, რეგისტრაციის არაერთხელ გავრძელების შესაძლებლობით; საქართველოში სასარგებლო მოდელზე პატენტის მოქმედების ვალა განისაზღვრება განაცხადის შეგანის დღიდან 8 წლით.

სასარგებლო მოდელზე მოწმობის მფლობელს ისეთივე ანალოგიური მოვალეობანი აქვს, როგორც გამოვითქვამებ პატენტის მფლობელს. ამ მოვალეობათა დაუცველობა იწვევს სასარგებლო მოდელზე დამცველი დოკუმენტის ძალის დაკარგვას.

იმ ქვეყნებში, სადაც სასარგებლო მოდელზე მოწმობები ან პატენტები ვაიცემა, საგამომგონებლო შემოქმედების დაცვის მოცემული ფორმა ძალზე ფართოდ გამოიყენება. კერძოდ, ე.წ. „მცირე პატენტების“ რაოდენობა ამ ქვეყნებში ცალკეული წლების მიხედვით, გამოვითქვამებ პატენტების რაოდენობას თითქმის უტოლდება.

საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის
ორგანიზაცია საქართველოში

საქართველოში საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის მათრგანიზებულ და წარმმართველ ორგანოს წარმოადგენს „საქპატენტი“ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უმრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს.

1999 წლის მაისიდან ძალაში შესული საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, „საქპატენტის“ ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობა, კერძოდ, სამრეწველო საკუთრების ობიექტის უფლებრივი დაცვის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შემოღებამ განაპირობა. აღნიშნული პროცესი, თავის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გამოყენების უფლებრივ რეგულირებას მოითხოვს. საწარმო, კოოპერატივი, მეწარმე დაინტერესებული არიან გარკვეული ღრით დაიმკვიდრონ უფლება სხვადასხვა სახის მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობების, ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებაზე.

საქართველოს საპატენტო კანონი არეგულირებს გამოგონებებთან, სასარგებლო მოდელებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებული პატენტურიანობის, ავტორობისა და პატენტის მფლობელობის, სავარაუდო განაცხადების წარდგენის, საპატენტო ექსპერტიზისა და პატენტის გაცემის, საპატენტო უფლებით სარგებლობის, საპატენტო ლიცენზიების გამოყენების, საპატენტო დავის, პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხებს.

მოქმედი საპატენტო კანონით საქართველოში გამოგონებაზე შეიძლება გაიცეს პატენტი, თუ იგი აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო ღონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

გამოვონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის გექნიკის არსებული ღონით; გამოვონებას აქვს საგამომგონებლო ღონე, თუ განაცხადის შეგანის თარიღისათვის იგი სპეციალისტისათვის აშკარად არ გამომდინარეობს გექნიკის არსებული ღონიდან; გამოვონება სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი დამზადება ან მისით სარგებლობა ისეთ სუეროებში, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.

გექნიკის არსებული ღონის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ბეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით განაცხადის შეგანის თარიღამდე.

პაგენგით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს, და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. სასარგებლო მოდელი ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის გექნიკის არსებული ღონით; სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სუეროებში; გექნიკის არსებულ ღონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით. ბეპირი აღწერით, აგრეთვე საქართველოში გამოყენებით და, რომელიც შეეხება იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეგანის თარიღამდე.

პაგენგით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სამრეწველო ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მსაგერულ-კონსტრუქციულ ვარეგულ იერსახეს და, რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. სამრეწველო ნიმუში ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ნაკეთობის ესაეგიკურ თავისებურებებს, საყოველთაოდ არ არის ცნობილი წერილობით, ბეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით

„საქპაგენგში“ განაცხადის შეგანის თარიღამდე; სამრეწველო ნიმუში სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი შრაქალჯერადი დამზადება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კანონმდებლობა სამრეწველო საკუთრების ერთ-ერთი სახეზე, კერძოდ, გამოგონებების დაცვაზე, მათი მეცნიერულ-გექნიკური ღონის მიხედვით იქმნებოდა. მსოფლიოს საპატენტო პრაქტიკაში მეცნიერებისა და გექნიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო „მკაცრდებოდა“ გამოგონების წინაშე წაყენებული მოთხოვნები, რის გამოც სულ უფრო რთული ხდებოდა გამოგონება. იგი ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს; თითქმის ყველა მათგანში იქმნება და ინერგება გამოგონებები. მაშასადამე, არსებობს გამოგონების შესახებ დოკუმენტების სწორი, რაციონალურად გამოყენების პრობლემაც.

საგამომგონებლო საქმიანობა ძირითადად დაუქმებულია მეცნიერებისა და გექნიკის წინათ არსებულ მიღწევებზე. მხოლოდ ეს იძლევა საშუალებას საბოლოო ჯამში შეიქმნას ახალი ხელსაწყოები, მექანიზმები, გექნოლოგიური პროცესები, გამდიდრდეს და განვითარდეს საზოგადოების საწარმოო ძალები. მაგრამ სიახლის შექმნა შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი არსებულისაგან ძირითადად განსხვავდება, თუნდაც, მაგალითად, მანქანის კონსტრუქციის ცალკეული ელემენტებით.

საქართველოს საპატენტო კანონის ძალაში შესვლამდე 1992 წლის მაისიდან საქართველოში მოქმედებდა დებულება „გამოგონების შესახებ“, დებულება „სამრეწველო ნიმუშების შესახებ“ და დებულება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“.

როგორც უკვე აღინიშნა, 1999 წლის მაისიდან ძალაში შევიდა საქართველოს საპატენტო კანონი, რომელიც აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების – გამოგონებების, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშების – შექმნასთან, მათს გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს; რაც შეეხება

სასაქონლო ნიშნებს, კანონი მათ შესახებ ასევე 1999 წლის მაისიდან არის შესული ძალაში.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო პრაქტიკით დადგენილია სამრეწველო საკუთრების სახეებისადმი საერთო მოთხოვნები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებულ ნორმატიულ აქტებს. ასეა საქართველოშიც.

სამრეწველო ნიშუმის არსს წარმოადგენს ნაკეთობის მხაგრული გადაწყვეტა. ეს გადაწყვეტა გულისხმობს ნაკეთობის გარეგნულ იერსახეს. ამასთან, კონსტრუქციის ელემენტები, ნაკეთობის შინაგანი სახე „სამრეწველო ნიშუმის“ ცნებად არ მიიჩნევა. მაგალითად, გელევიზორის გარეგნული იერ-სახე შედის ამ ცნებაში, ხოლო დეტალების განლაგება მის შიგნით – არა. გელევიზორის ორიგინალური ელექტრონული სქემა მიეკუთვნება გამოგონებათა კატეგორიას, ხოლო ცნება „მაცივრის გარეგნული სახე“ შეიცავს აგრეთვე მაცივრის სახეს გაღებული კარით. სამრეწველო ნიშუმების სახით შეიძლება რეგისტრირებული იქნეს ორიგინალური იერ-სახე ისეთი ნაკეთობებისა, როგორცაა ჩარხები, საათები, ელექტროსაპარსები, შანდლები, კარაღები და ა.შ.

იმისათვის, რომ ნაკეთობა სამრეწველო ნიშუმად იქნეს მიჩნეული, მას უნდა ახასიათებდეს მხაგრული ღირებულება, რომელიც სხვადასხვა კაზმულობითა და ფორმების ორიგინალურობით მიიღწევა. ყოველივე ეს სამრეწველო ნიშუმს არსებითად უნდა განასხვავებდეს უკვე ცნობილი ნიშუმებისაგან და მისი მხაგრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მსოფლიო ხელოვნების ნაწარმოები. სამრეწველო ნიშუმზე პატენტი არ გაიცემა, თუ ის ეხება: ა) ობიექტებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესებს ან მორალს; ბ) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგნულ სახეს, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა; გ) არამდგრადი ფორმის მქონე ისეთ ობიექტებს, როგორცაა თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვ.

„სამრეწველო საკუთრება“, როგორც განსაკუთრებული სახის

სასარგებლო მოდელი, ხასიათდება ორი ძირითადი ნიშან-თვისებით: სიახლით და გექნიკური არსით. ორივე ეს ნიშან-თვისება განსაზღვრავს აგრეთვე გამოგონებას. თუმცა გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელებს საგამომგონებლო შემოქმედების გარკვეული დონის შესახებ მოთხოვნები არ წარედგინება. თუ წინადადება გარკვეულ სიახლეს ფლობს, მაშინ ის შეიძლება იყოს ან დაპატენტებული, როგორც გამოგონება, ან რეგისტრირებული, როგორც სასარგებლო მოდელი. ზოგიერთ ქვეყანაში არსებითი სიახლის უქონლობის შემთხვევაში წინადადება შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც სასარგებლო მოდელი და არა გამოგონება.

საქართველოში პატენტი გაიცემა მოწყობილობის, ნივთიერების ან ხერხის გაუმჯობესებისათვის განკუთვნილ ისეთ სასარგებლო მოდელზე, რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. სასარგებლო მოდელის უფლებრივი განმტკიცება და მისი დაცვა ჩვენთან თითქმის ისეთივეა, როგორც გამოგონებისა.

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათს გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაიცემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოსახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ანდა მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისაგან მომსახურებისაგან;

სიმბოლო შეიძლება იყოს ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, სიგ-ყვიერი, ბგერითი, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა, ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული ფაქტორებზე ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით;

სასაქონლო ნიშანის დაცვა ხდება „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. კანონი ითვალისწინებს საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვას რეგისტრაციის გარეშე (თანახმად პარიზის კონვენციისა).

რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მულობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის დღიდან.

განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე, გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ნიშანი, რომელიც მის მიერ დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელიც იმდენად მსგავსი და იდენტურია, რომ ჩნდება ნიშნებისა და საქონლის აღრევის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მესამე პირს ეკრძალება გამოიყენოს სხვის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მომსახურების ან მომსახურების გაწევის მიზნით, აგრეთვე რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქებზე დაგანიით. ამათთან ერთად კანონი კრძალავს, რომ სასაქონლო ნიშნის მულობელის ნებართვის გარეშე მესამე პირმა სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშანი დაიგანოს შესაფუთი საშუალებაზე, ეტიკეტზე და ა.შ., კერძოდ დაუშვებლად მიიჩნეოს შეფუთვის შეთავაზებას, შესაფუთი მასალის მიმოქცევაში შეგანას, გასაღებას ან გასაღებისათვის მომზადებას, მათს იმპორტს ან ექსპორტს.

1999 წლის მაისიდან მოქმედი სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია სასაქონლო ნიშნით სარგებლობის განსაკუთრებული უფლებების ფარგლები, კერძოდ, დადგენილია, რომ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არ შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს; სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების,

დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილს, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს; დაცულ სასაქონლო ნიშანს, თუ ის აუცილებელია საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი. ამ შემთხვევაში დაცული სასაქონლო ნიშანი მესამე პირმა უნდა გამოიყენოს საპეწარმოო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არ შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილ იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

თუ სასაქონლო ნიშნის რეპროდუქცია ლექსიკონში, ენციკლოპედიაში ან სხვა საცნობარო ლიგერაგურაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გვარეობით ცნებას იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც იგი რეგისტრირებულია ან მოითხოვება მისი რეგისტრაცია, გამომცემელი, აღნიშნული ნიშნის მფლობელის მოთხოვნით, ვალდებულია ამ საცნობარო ლიგერაგურის მომდევნო გამოცემებში აღნიშნოს, რომ გამოქვეყნებული სამბოლო რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადი წარედგინება „საქპატენტს“. განაცხადის შევსებისა და წარდგენისათვის შემოღებულია სპეციალური წესი.

„საქპატენტი“ აგარებს ექსპერტიზას და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. ეს პუბლიკაცია შეიცავს სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას, ცნობებს მფლობელის შესახებ და მისამართს, საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებულ

იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, და სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტს.

განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება, რომელიც განიხილება მისი შეგანის დღიდან 2 თვის ვადაში. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასაქონლო ნიშანი სარეგისტრაციოდ წარადგინოს უცხო ქვეყანაში ან მოახდინოს მისი საერთაშორისო რეგისტრაცია.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები გადაეცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა (ლიცენზიარმა) შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს (ლიცენზიარს) სალიცენზიო ხელშეკრულებით. სალიცენზიო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც საქონლის მთლიანი ჩამონათვალის, ისე მისი ნაწილის მიმართ.

საქართველოს კანონით სასაქონლო ნიშნების შესახებ დადგენილია სასაქონლო ნიშნის გაუქმება ან ბათილად ცნობა. კერძოდ, სასაქონლო ნიშანი შეიძლება გაუქმდეს „საქპატენტის“ მიერ, თუ ამას მოითხოვს სასაქონლო ნიშნის მფლობელი ან გასულია სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადა და არ იყო გავრძელებული დადგენილი წესით, ან კიდევ, თუ სასაქონლო ნიშნის ფიზიკური მფლობელი გარდაიცვალა და მას შემკვიდრე არ დარჩა, ან მოხდა იურიდიული პირის ლიკვიდაცია და არ არსებობს უფლებამონაცვლე.

კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როცა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო შესამე პირის მოთხოვნით. ასეთი შემთხვევა შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ სასაქონლო ნიშანი უწყვეტად არ გამოიყენებოდა 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ეს ნიშანი რეგისტრირებულია საქართველოში. იმ

შემთხვევაში, თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული სუბწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეგანამდე შუალედში, არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება.

სასამართლო აუქმებს სასაქონლო ნიშანს, თუ სასაქონლო ნიშანი ვახდა გვარეობითი ცნება იმ საქონლისათვის, რომლის მიმართაც იგი რეგისტრირებულია, აგრეთვე ყველა იმ მოტივით, რის საფუძველზეც სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება „საქპატენტში“ და განმცხადებელს ეუბნებიან უარს; თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, სარისხის, თვისების, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ; თუკი სასაქონლო ნიშნის გაუქმების საფუძველი არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა სასამართლოს მიერ შეიძლება მოხდეს, თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული არის საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნის შესახებ მოთხოვნათა დარღვევით.

თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეიგანება რეგისტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

თუ სასაქონლო ნიშანი გაუქმდა ან ბათილად იქნა ცნობილი ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებებიც შეწყვეტილად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოგანის დღიდან და სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოქმნის დღიდან.

მიანის ანაზღაურების საკითხები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ითვალის-

წინებს სასაქონლო ნიშნის სახით კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციას.

კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და, რომლითაც კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს განასხვავებს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

კოლექტიური ნიშნის განმცხადებელი და მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ მეწარმეთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს ან მისი წარმოშობის ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

კოლექტიურ ნიშანზე მთლიანად ვრცელდება სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონით ვატივალისწინებული წესები. თუმცა არსებობს ზოგიერთი გამონაკლისი, მათ შორის ის, რომ კოლექტიური ნიშნის სახით დასაშვებია ისეთი სიმბოლო რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (აღვლის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე); არის კიდევ ორი შემთხვევა, როცა გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა არ გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმ საქონლისათვის, რომელიც არ წარმოიშეა შესაბამის გეოგრაფიულ ადგილზე, რაიონში, რეგიონში, ქვეყანაში, თუ ასეთი აღნიშვნა მცდარ წარმოდგენას ქმნის საქონლის წარმოშობის შესახებ; თუ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა მიუთითებს საქონლის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, ასეთი აღნიშვნა გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმავე წარმოშობის მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომელსაც აქვს შესაბამისი თვისებები და ხარისხი. ამასთან, ეს წესები ვრცელდება იმ სახელებზე, აღნიშვნასა და ნიშანზე, რომლებიც გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის მსგავსია.

განაცხადი კოლექტიურ ნიშანზე უნდა შეიცავდეს სასაქონლო ნიშნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს და განაცხადის მასალებს

დაერთვება კოლექტიური ნიშნის დებულება, რომელიც შეიცავს გაერთიანების სახელწოდებას, გაერთიანების წევრთა ვინაობასა და იურიდიულ მისამართს, გაერთიანების მიზანს, კოლექტიური ნიშნით სარგებლობისა და მისი გამოყენების კონტროლის პირობებს, გაერთიანების წევრთა უფლება-მოვალეობებს კოლექტიურ ნიშანზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, იმ საქონლის ჩამონათვალსა და ერთიან მასასიათებლებს ან საერთო მაჩვენებლებს, რომელთათვისაც განკუთვნილია კოლექტიური ნიშანი.

თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, დებულება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ პირს, რომლის საქონელი წარმოიშვა აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს დებულებით განსაზღვრულ კოლექტიური ნიშნის გამოყენების პირობებს, უფლება აქვს გახდეს გაერთიანების წევრი და ჰქონდეს ამ ნიშნით სარგებლობის უფლება.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს კოლექტიური ნიშნის დებულებას.

კოლექტიური ნიშნის დაცვა გარკვეულწილად შეზღუდულია. კერძოდ, გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საუფუძველი.

პირს, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს კოლექტიური ნიშნით, შეუძლია ამ უფლების დარღვევის თაობაზე სარჩელი შეიგანოს სასამართლოში მხოლოდ კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების ნებართვით, თუ კოლექტიური ნიშნის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კოლექტიური ნიშნის მფლობელი ვალდებულია შეაგყობინოს „საქპაგენგს“ კოლექტიური ნიშნის დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეგანის თაობაზე.

თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი ამ ნიშანს იყენებს კოლე-

ქტიური ნიშნის დებულების დარღვევით, მაშინ კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია უქმდება.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფის – სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ მითითებულია, რომ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

- თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა;
- მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- ყველა იმ გამოსახულების, ეგიკეტის, ანაბეჭდის, შეუუთეის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომლებიც შეიცავენ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს და წარმოადგენენ მის ასლს ან იმიტაციას;
- სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მაგრიცების, ხოლო, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

ვიდრე სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენების შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესახებ ყურადღებას გავამახვილებდეთ, საჭიროა ითქვას, რომ სამრეწველო საკუთრების ისეთი სახეები, როგორც არის გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში და სასაქონლო ნიშანი თავდაპირველად დადგენილია წესებით მონოპოლიური უფლებების დამკვიდრებას გულისხმობს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც შედგება საქართველოს კონსტიტუციის, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან, არ

ვრცელდება ე.წ. „ინტელექტუალურ საკუთრებაზე“. კერძოდ, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით „ეს კანონი არ ვრცელდება სააეგორო და გამომგონებელითა უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად:

1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენება, საქონლის უკანონო ნიშანდება ან საქონლის დამზადების ადგილის არასწორად მითითება, რამაც მნიშვნელოვანი მარალი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. საქართველოში არარეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ანდა გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი მარალი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთიჯის, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან გუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და ჯარიმით.

ამ ნორმის არსი ცხადყოფს, რომ არსებითად იგი მიმართულია სასაქონლო ნიშნის მფლობელთა უფლებების დასაცავად და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ. მისი მიზანია ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისა და სასაქონლო ნიშნების მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, მისი სახელი. სწორედ ამიტომ კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კონკურენციის ან შესაბამე პირის

სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურ გამოყენებას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის ფორმად თვლის.

სასაქონლო ნიშნებზე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეთანხმებაა პარიზის კონვენცია – „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ და მადრიდის კონვენცია „სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“.

საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ თანახმად, სასაქონლო ნიშნების დაცვა ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მიხედვით, განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-3 მუხლის თანახმად, შეგანილი უნდა იქნეს „საქპატენტში“.

განაცხადს უნდა დაერთოს საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული ჩამონათვალის თარგმანი ინგლისურ ენაზე.

სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემები ქვეყნდება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროს კურნალში.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა იურიდიული პირის პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების ინდივიდუალიზაციის საშუალებებს (სასაქონლო ნიშანი, საფირმო სახელწოდება, მომსახურების ნიშანი და მისთ.) მიაკუთვნებს სამრეწველო საკუთრებას.

როგორც უკვე ითქვა, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნისა და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების უფლების სამართლებრივი დაცვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით, მათი რეგისტრაციის საფუძველზე. რეგისტრირებულ სასაქონლო (მომსახურების) ნიშანსა და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე გაიყემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას სარგებლობდეს და განკარგავდეს მას და უკრძალავს სხვა პირებს მის გამოყენებას. თვით მესაკუთრეს კი შეუძლია ხელშეკრულებით დაუთმოს ეს ნიშანი სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, ანდა მისცეს ლიცენზია მის გამოყენებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი მიუთითებს პასუხისმგებლობაზე სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების გამოყენებაზე ან საქონლის უკანონო ნიშანდებაზე, ან დამზადების ადგილის არასწორად მითითებაზე, თუ ამან მნიშვნელოვანი მარალი გამოიწვია. დანაშაულის გვარობითი ობიექტი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებია, ხოლო უშუალო ობიექტი – საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც აწესრიგებს კეთილსინდისიერ კონკურენციასა და სასაქონლო ნიშნით სარგებლობას. თუ მარალი მიაღება მომხმარებელთა ინტერესებს, მაშინ უაქტობრივად უაკულტატური ობიექტიც სასებზე გვექნება. დანაშაულის საგანი არის სასაქონლო (მომსახურების) ნიშანი, საფირმო სახელწოდება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება. სასაქონლო (მომსახურების) ნიშანი – ეს არის საქონელზე ან შეფუთვაზე მოთავსებული ნიშანდება საქონლის ან მისი მწარმოებლის (გამყიდველის) ინდივიდუალიზაციისათვის. იგი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით ან ციურებით, ნახატით, გრაფიკული სიმბოლოებით, ფერთა შეხამებით და მისთ. მეწარმეთა კანონის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი ასრულებს საქონლის რეკლამისა და მისი ხარისხის გარანტიის ფუნქციას.

საფირმო სახელწოდება არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო. საფირმო სახელწოდების ელემენტები სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მეწარმესთან, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო ერთეულიან გვაქვს საქმე. ზოგადად, საფირმო სახელწოდება შეიძლება შეიცავდეს დამფუძნებლის სახელს, საწარმოს საქმიანობის საგანსა და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. სამეურნეო ერთეულის საფირმო სახელწოდება განისაზღვრება მისი წესდების დამტკიცების დროს. ფირმის რეგისტრაციას კი ასდენს სასამართლო. მეწარმეები ეკონომიკურ ბრუნვაში მონაწილეობენ საკუთარი სახელწოდებით. სახელწოდებათა მეშვეობით ხორციელდება მეწარმეთა, ერთი მხრივ, იდენტიფიკაცია, მეორე მხრივ, ინდივიდუალიზაცია, ანუ ერთი სამეურნეო ერთეულის მეორისაგან განსხვავება.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება – ეს არის ქვეყნის, დასახლებული პუნქტის, ადგილმდებარეობის ან სხვა გეოგრაფიული ობიექტის განსაზღვრა. იგი გამოიყენება იმ საქონლის აღნიშვნისათვის, რომლის განსაკუთრებული თვისებებიც უმთავრესად მოცემული გეოგრაფიული ობიექტის ბუნებრივი პირობებით ხასიათდება.

განსახილველი დანაშაულის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენება, რაც გამოიხატება საქონლის ან მისი შეფუთვის უკანონო ნიშანდებით, აგრეთვე სასაქონლო ან მომსახურების ნიშნის უნებართვო გამოყენებით რეკლამაში, ნაბეჭდ გამოცემებში, ოფიციალურ ბლანკებზე, საქონლის დემონსტრირების დროს გამოყენებზე ან ბაზრობებზე. დანაშაულის ობიექტური მხარე ასევე შეიძლება გამოიხატოს დამზადების ადგილის არასწორად მითითებით საქონელზე, შეფუთვაზე, რეკლამაში, ბლანკებსა და სხვა დოკუმენტაციაში, რაც დაკავშირებულია საქონლის სამეურნეო ბრუნვაში გაშვებასთან.

დანაშაულია აგრეთვე სხვისი რევისტრირებული საფირმო სახელწოდების გამოყენება. ამ შემთხვევაში საჭიროა სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნეს საფირმო სახელწოდებათა იგივეობის ან დამოხვევის ფაქტი, რასაც შეეძლო გამოეწვია ან უკვე გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა აღრევა, მომხმარებელთა შეცდომა.

დანაშაული დასრულებულად ჩაითვლება, თუ ზემოაღნიშნულმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიეს (მაგერიალური თვალსაზრისით). მნიშვნელოვანი ზარალი შეიძლება მიაღაცეს როგორც სასაქონლო ნიშნის კანონიერ მფლობელს, ასევე მომხმარებლებს. ზარალის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციაა. იგი შეიძლება გამოიხატოს მეწარმის საქმიანი რეპუტაციის შელახვით, მომხმარებლისათვის ქონებრივი ზარალის მიყენებით და სხვ.

სუბიექტური თვალთახედვით ამ დანაშაულის გამომხატველია მხოლოდ პირდაპირი განზრახვა. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ იყენებს სხვის სასაქონლო (მომსახურების) ნიშანს, საფირმო სახელწოდებას, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებას და

ამის ჩაღება მის სურვილიდანაა დაკავშირებული. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: ანგარება, კონკურენტულ მეტოქეობაში გამარჯვებისაკენ სწრაფვა, კონკურენტის საქმიანი რეპუტაციის შელახვა, მისი ბაზრიდან გაძევება და სხვ.

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია: ესაა პირი, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა, როგორც კანონიერ საფუძველზე, ისე უკანონოდ, აგრეთვე სამეწარმეო იურიდიული პირები და მათი ხელმძღვანელები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ამძიძებს დანაშაულის საგნით – კერძოდ, საქართველოში არარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ანდა გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უულებების დარღვევისათვის, რამაც მნიშვნელოვანი მარაალი გამოიწვია. ამგვარი მოქმედებით ძირითადად მომხმარებელი მარაალდება, რადგანაც მას სამამულო საქონლის იმპორტული საგან გარჩევის შესაძლებლობას უსპობენ, თუმცა ეს მოქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენტის ფორმაც არის.

კოდექსის 196-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევენ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათა არაერთგზის ჩაღებას.

როგორც აღინიშნა, სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებაზე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს გარკვეულ სანქციებს, კერძოდ, ადმინისტრაციული კოდექსის 158 მუხლის თანახმად არაკეთილსინდისიერი კონკურენტის მიზნით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების ან საქონლის მარკირების უკანონოდ გამოყენებისათვის გათვალისწინებულია დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

ჩვენში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის ისეთი სახით რეგისტრაცია, როგორც არის: ა) სიმბოლო, რომელიც საყოველთაოდ იხმარება,

როგორც გარკვეული სახის ნაწარმის გვარუბითი ცნება; ბ) ისეთი გერძინები, რომლებიც მხოლოდ საქონლის ან ნაწარმის თვისებებზე, რაოდენობაზე, წარმოების ან გასაღების ადგილსა და დროზე მიუთითებენ; გ) ისეთი სახის მინიშნებებისაგან შემდგარი სიმბოლოები, რომლებსაც შეუძლიათ შეცლომაში შეიყვანონ მომხმარებელი; დ) სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სიმბოლოები, რომლებიც ეხება საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნებს, გერბების გამოსახულებებს, სახელმწიფო დროშებს, ემბლემებსა და ჰიმნებს, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების დასახელებას. ოფიციალურ საგარანტიო დამლებს; ე) ისეთი სიმბოლოები, რომლებიც ბღალაყენ ეროვნულ ღირსებას. აღიზიანებენ რელიგიურ გრძნობებს, ეწინააღმდეგებიან ჰუმანისგური მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და გრადიციებს; ვ) ცალკეული ფაქსიმილეები და პორტრეტები. მათი თანხმობის გარეშე.

საქართველოში გამოგონებაზე გაცემული პატენტის მოქმედების ვადა არის 20 წელი „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან, ხოლო ქვეყანაში შემოგანილი პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება უცხო ქვეყნის ძირითადი პატენტის მოქმედების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 8 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

სამრეწველო ნიმუშის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 15 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

მოწმობა სასაქონლო ნიშანზე მოქმედებს 10 წლის განმავლობაში დღიდან მისი რეგისტრაციისა. მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით გავრძელების ჯერადობის შეუზღუდავად.

მოწმობის მოქმედების ვადის გავრძელება უნდა მოხდეს წინა რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, ბაყის გადახდის პირობითი ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის ვადის გავრძელების

შესახებ შეიგანება მოწმობაში. დადგენილ ვადაში ბაჟის გადაუსდელიობის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წყდება.

სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საპატენტო-უფლებრივი სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია გექნიკური შემოქმედების დარგში. მისთვის გვერდის ავლა უარყოფით ეკონომიკურ ანდა იურიდიულ შედეგს იძლევა. ამიტომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებს შემუშავებული აქვთ ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის დროსაც სამრეწველო პროდუქციის შექმნის ყველა სტადიაზე მუდმივ ზრუნვას მოითხოვს ის გექნიკური გადაწყვეტები, რომლებიც ახლად მუშავდება და ყოველ წუთს შეიძლება საექსპორტო ობიექტებად იქცეს.

ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა გამოგონებათა საფუძველზე წარმოების შექმნის ამოცანა. არადა, თანამედროვე წარმოება იძლევა მოგებას, რადგანაც პროდუქცია და საქონელი უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ სრულყოფას, რის გარეშეც პერსპექტივა არ არსებობს. სახელმწიფომ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ათვისებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემა უნდა დააწესოს და განსაზღვროს ამჯვარი სახელმწიფო კრედიტების ოდენობა, რათა გამოგონებელი მეწარმეც გახდეს. ეს ინტელექტუალებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ჩააბამს გექნიკურ შემოქმედებაში და ხელს შეუწყობს მათ მიერ უპირველესად მეწარმეთა გამოუყენებელ შესაძლებლობათა გამოვლენას.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას სახელმწიფოს მხრივ კაპიტალ-დაბანდებების გამოყოფას, რათა კონკურენტუნარიანი საქონელი პატენტუნარიანობითა და საპატენტო სიწმინდით იყოს უზრუნველყოფილი. პატენტთმცოდნეობას და საპატენტო სამსახურს ისეთი მაგერიალური, გექნიკური და იურიდიული ბაზა უნდა შეექმნას, რომლითაც გექნიკისა და გექნოლოგიის ობიექტების საარსებო ციკლის ყველა ეტაპზე შესაძლებელი იქნება სისტემატური და სრული საპატენტო-საკონიუნქტურო გამოკვლევათა ჩატარება.

გამოგონებათა შექმნა, უფლებრივი განმტკიცება, გამოგონებაზე პატენტის გაცემა მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატენტო ლიცენ-

ზიების საკითხებზე ხელშეკრულების გაფორმებასთან, საპატენტო ლიცენზიებისა და მოქმედი გამოგონებების გაყიდვასთან. ეს უკანასკნელი ფართოდ არის გავრცელებული საერთაშორისო ვაჭრობაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო მეტი გამოგონება გააქვს, ვიდრე შემოაქვს. ამერიკის შეერთებული შტატების ფირმები საზღვარგარეთი მაშინ აპატენტებენ გამოგონებას, თუ საპატენტო ლიცენზიის გაყიდვა გადაწყვეტილია, რადგან დაპატენტება, მართალია, სახსრების ხარჯვას უკავშირდება, მაგრამ ამ პროცესს უკუგება აქვს და კომერციულ ინტერესებს ემსახურება, საბოლოო ჯამში კი იგი მხოლოდ მოგებას იძლევა. სხვა შემთხვევებში დაპატენტება წინ უსწრებს პროდუქციის გატანას სხვადასხვა მიზნით.

ჩვენს პირობებში კომერციული წარმატების მისაღწევად საკმარისი არ არის შევექმნათ, მაგალითად, სანთებლების წარმოება, რომელიც ისეთი პროდუქციას გამოუშვებს, ჩვენს მაღაზიებში თავისუფლად რომ იშოვება. გვინდა არა უბრალოდ ჩვეულებრივი, არამედ კონკურენტუნარიანი, ე.ი. პატენტუნარიანი, საპატენტო სიწმინდით უზრუნველყოფილი, როგორც შიგა ბაზრისათვის, ასევე გარე კონკრეტული ქვეყნებისათვის. საკითხი პრაქტიკულად თუ მოგვარდა, მაშინ შემოგანილი საქონელი ხელს ვერ შეგვიშლის, ე.ი. საპატენტო სამუშაოთა დროული ჩატარება და პროდუქციის კომპლექსურ დაცვასთან დაკავშირებული უფლებრივი საკითხების მოგვარება კომერციული წარმატების პირობაა. ამისათვის აუცილებელია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, სამრეწველო ნიმუშის უფლებრივი დამკვიდრება, სანთებელაში გამოყენებული ტექნიკური კვანძების სრულყოფა, მათზე პატენტების მიღება და მათი პერიოდულად განახლება ახალ-ახალი პატენტების მიღებით. ასე მივალწევთ ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქციის მონოპოლიზაციას. ამ მაგალითით იმ სფეროს შევხებით, რომელიც შეიძლება ნაკლებად რენგაბელურია, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემის გადასაწყვეტად მთავარია მიღვთა. ყოველივე ამას კი სათანადო კაპიტალდაბანდებები ესაჭიროება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ არსებულზე უკეთესი, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნი-

კური ღონის პროდუქცია და გავყილოთ იგი უურო იაჟად. ჩვენს სინამდელილეში უურო სარუიანი მელინიეობის დარგი იქნებოდა და აქაც იგივე პრობლელები და ამოცანები გვექნებოდა ვადასაწყვეტი, თუმა შედარებით კეთილსასურველი პირობებით. კერძოდ, ნელლეული გვექნება ადგილობრივი და კარგი, ხოლო სხვა დანარჩენი – სასაქონლო ნიშანი, ბოთლისა და ეგიკეტის იერ-სახე, ღვინის დამზადების უახლესი პატენტუნარიანი ტექნოლოგია, როგორიც შეიძლება იყოს ფილგრაია, ღვინოში გაზის შეყვანა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა და გამოყენება – მოძველებული. სწორედ ამ პრობლელებისა და ამოცანების ვადაწყვეტა იქნებოდა აუცილებელი. რისთვისაც სესხისა და კრედიტის ვარდა შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალის ვრძელვადიანი დაბანდება ჩვენს წარმოებაში, ე.წ. ინვესტიცია.

საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის ვააქტიურებისათვის სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს არა მარტო ცალკეული მეწარმეები, არამედ მრეწველობის ის სფეროები, სადაც იმის ვარანგია არსებობს, რომ კომერციული წარმატება უზრუნველყოფილი იქნება. ახლა კი მდგომარეობა ისეთია, როცა შექმნილი ვამოგონების საფუძველზე კომერციული წარმატების უზრუნველყოფა კი არა, ჩვენს საგამომგონებელს სშირად იმის შესაძლებლობაც არა აქვს, რომ ვამოიყენოს პატენტიდან ვამომდინარე ყველაზე უურო მნიშვნელოვანი უფლებები (მხედველობაშია ვამოგონების ფართო ვამოყენება). ვამოდის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის (ასეთები უმრავლესობაა) პატენტი ისეთი ღირებულების მაგარებელი არ იქნება, როგორც იმ პირისათვის, რომელსაც არალიმიტირებული შესაძლებლობები აქვს. სწორედ ამან ვანაპირობა ის, რომ საპატენტო-სალიცენზიო საქმე ვერ ჩადგა ეროვნული ეკონომიკის სამსახურში, რადგან სწავლული და ინტელექტუალური ხალხი უსასსროდ დარჩა, მათ არ შეუძლიათ ვამოგონებათა საფუძველზე საკუთარი წარმოების შექმნა. იმას კი, ვისაც მაგერიალური შესაძლებლობა აქვს, უმთავრესად ვაჭრობასა და „აღებ-მიცემობაშია“ ჩაბმული და რაიმე ვამოგონების ხორცშესხმა მათთვის არასაინტერესოა.

საქართველო ახლა განვითარების ისეთ სტადიაზეა, როცა საპაგენგო სისტემის შემოღების შემდეგ მისი წარმატებითი ფუნქციონირებისათვის ყოველგვარი ღონისძიება უნდა განხორციელდეს ახალ პრობლემათა წარმოქმნის გათვალისწინებით. სხვა შემთხვევაში, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, საპაგენგო სისტემის უპირატესობები ჯეროვნად ვერ გამოიყენება.

საპაგენგო-სალიცენზიო საქმიანობა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის ეკონომიკური სარგებლიანობის მნიშვნელოვანი საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საკუთარი გამოგონებების საზღვარგარეთ გატანას დაპატენტების გზით და გამოგონების ან საპატენტო ლიცენზიის გაყიდვას. აღნიშნული პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული სამრეწველო პროდუქციის ექსპორტთან.

ნებისმიერი საექსპორტო ოპერაციის, მათ შორის სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობის, წარმატების საწინდარია მთლიანად ობიექტის კონკურენტუნარიანობა და შესაბამისად, მასში გამოყენებული კვანძების მეცნიერულ-ტექნიკური დონე – პატენტუნარიანობა.

საექსპორტო პატენტუნარიანი ობიექტის დროული დაცვა პატენტით საქართველოში და შემდგომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ხელსაყრელ პირობებს ქმნის საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისათვის, ე.ი. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ გამომგონებლობა და საპატენტო სამუშაოთა ჩატარება სავალუტო შემოსავლის სარუიანი წყარო უნდა გახდეს.

საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისა და წარმატებისათვის აუცილებელია საწარმოების, კოოპერატივების, ცალკეული მეწარმეებისა და სხვათა საპატენტო ინტერესებისა და უფლებების გარანტირებული მექანიზმის შექმნა და მათი ყოველმხრივი დაცვა, უპირატესად პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება სიახლეთა შექმნის პროცესი, საპატენტო დოკუმენტაციის შესწავლა, ავრთვეთ საერთო და საპატენტო კულტურის დონის ამაღლება.

პატენტუნარიანობა არის ამოცანის გექნიკური გადაწყვეტის თვისება, რომელიც იმას ნიშნავს, რომ გამოგონება შესაძლებელია ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში დაპატენტდეს.

პატენტუნარიანად მიიჩნევა ისეთი სახის ობიექტი, რომლის ძირითადი და მეორესხარისხოვანი კვანძები გამოგონების დონეზეა შესრულებული და ისინი შესაბამისად დაცულია დამცველი დოკუმენტებით. პატენტუნარიანი ობიექტების დროული დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნებში – იქ სადაც ექსპორტია მოსალოდნელი, მეტად მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

საექსპორტო პროდუქციის საზღვარგარეთ გაყიდვის ან ვაჭანი-სათვის საჭიროა შესრულდეს მისი მეორე მნიშვნელოვანი პირობა – მისი, როგორც საექსპორტო პროდუქციის, საპატენტო სიწმინდის გარანტირება.

საპატენტო სიწმინდე არის (მანქანის, იარაღის, ინსტრუმენტის ტექნოლოგიური პროცესის, მასალის და ა.შ.) იურიდიული თვისება, რაც შესაძლებელს ხდის მასში ჩართული გექნიკური გადაწყვეტის ან გამოგონების რომელიმე ქვეყანაში გამოყენებას (ექსპორტის ექსპლუატაციის გზით) და არ არღვევს ამ ქვეყანაში გაცემული მოქმედი პატენტის უფლებებს. თუ საპატენტო სიწმინდის მოთხოვნას ნაკეთობის დამუშავების პროცესში დროულად არ გავითვალისწინებთ, შეძლებს მისი ექსპორტი დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.

პატენტუნარიანობასა და საპატენტო სიწმინდეს იურიდიულად ბევრი საერთო აქვთ, რამდენადაც ეს საკითხები დაკავშირებულია არსებულ საპატენტო სისტემასთან. ე.ი. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გამოგონებათა უფლებრივ დაცვასთან. მაშასადამე, მათზე გავრცელებულია საპატენტო უფლებრივი სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი თავისებურება, როგორცაა მისი გერიტორიული ხასიათი. ნებისმიერი ობიექტის, როგორც პატენტუნარიანობა. ისე საპატენტო სიწმინდე დაკავშირებულია გექნიკურ გადაწყვეტასთან. რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება აღიარებული იქნეს ან აღიარებული არ იქნეს, როგორც გამოგონება,

ან კიდე – ერთ ქვეყანაში მასზე გაიყეს დამცველი ლოკუმენტი – პატენტი, ხოლო მეორეში ამასთან დაკავშირებით უარი ეთქვას. ამრიგად, ობიექტის პატენტუნარიანობაზე ან საპატენტო სიწმინდებზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყანასთან ან ქვეყნების ჯგუფთან შეფარდებით, რაღვან ერთი და იგივე ობიექტი, როგორც აღინიშნა, ერთ ქვეყანაში შეიძლება პატენტუნარიანი იყოს, მეორეში კი – არა. იგივე ეხება საპატენტო სიწმინდესაც, პატენტუნარიანობასა და საპატენტო სიწმინდებზე არსებით გავლენას ასლენს ღროის ფაქტორიც, თუქცა იგი ქათზე სხვაგვარად მოქმედებს.

პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის ცნებებიც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება.

მოცემული ობიექტის საპატენტო სიწმინდის თეალსაზრისით, პატენტის გაცემა მის რომელიმე კეანსზე არ ნიშნავს იქას, რომ ასეთი პატენტი გაცემულია იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს მოცემული ობიექტის საპატენტო სიწმინდის თეალსაზრისით, ობიექტინაკეთობა. შეიძლება პატენტუნარიანი არ იყოს, მაგრამ ამავე ღროს შეიძლება ფლობდეს საპატენტო სიწმინდეს იმ ქვეყანაში, სადაც მასში გამოყენებული ტექნიკური გადაწყვეტის – კეანის ანალოგიური გადაწყვეტა დაპატენტებული არ არის ან კიდე დაპატენტებულია, მაგრამ მისი მოქმედების ვადა უკვე გასულია.

თუ გარკვეული ღროის შემდეგ ობიექტის პატენტუნარიანობა ქალას კარგავს, ღროთა განმავლობაში ობიექტი იქენს საპატენტო სიწმინდეს, რომელსაც აღრე არ ფლობდა. მაგალითად, რომელიმე უქნიშენელო ორიგინალური მოწყობილობის პატენტუნარიანობამ შეიძლება სამუქამოდ დაკარგოს ქალა ნააღრეე უბლიკაციასთან ან სხვაგვარ გამოვლინებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე მიღებით იგი აღმოქნდება საპატენტო სიწმინდის მქონე ზოგაერთ ქვეყანაში.

ღიღი სნის წინათ ცნობიღი და ფართოდ გამოყენებული ნაკეთობები იმიტომ არაა პატენტუნარიანი, რომ ისინი ცნობიღია. მაგრამ ამავე ღროს ითიქმის ყველა ქვეყანაში ფლობენ საპატენტო სიწმინდეს. მაგალითად, ქანჭიკი ქანჩით ჩეველებრივი კონსტრუქციაა და მან ღიღი

ხანია დაკარგა პატენტუნარიანობა, მაგრამ ამასთან ერთად იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფლობს საპატენტო სიწმინდეს.

ისეც ხდება, რომ პატენტუნარიან ნაკეთობაში ჩართულ უფლებრივად დაცულ გამოგონებებზე შეიძლება პატენტები გაიყოს სხვა ქვეყანაში ან ქვეყნებშიც, მაგრამ იგი – მილიანად ნაკეთობა – არ ფლობს საპატენტო სიწმინდეს იმავე ქვეყანაში ან ქვეყნებში. ანალოგიური მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა ახალი ორიგინალური გადაწყვეტა ნაკეთობას უმაღლებს გექნიკურ დონეს, მტკიცდება დამცველი დოკუმენტით, მაგრამ ეს ნაკეთობა შეიცავს მოგიერთ უკვე ცნობილ კვანძს, რომელიც შეიძლება რომელიმე პირის ან ფირმის კუთვნილი მოქმედი პატენტი იყოს; ეს მდგომარეობა კი ხელს უშლის მილიანად ნაკეთობის საპატენტო სიწმინდეს.

ობიექტის საპატენტო სიწმინდის შესახებ დასკვნის გამოგანა შეიძლება როგორც წესი, საპატენტო ექსპერტიზით. ექსპერტიზის მიზანია დეტალურად შეამოწმოს ობიექტის საპატენტო სიწმინდე იმ ქვეყანაში მოქმედი საპატენტო ფონდებით, სადაც განზრახულია ობიექტის საექსპორტოდ ან სხვა მიზნით გაგანა.

როგორც ცნობილია, გამოგონებათა დაპატენტების ერთ-ერთ მიზანს გამოგონებაზე საპატენტო ლიცენზიის გაყიდვა წარმოადგენს.

მართალია, ჩვენს სინამდვილეში საქართველოს ამ მხრივ მდიდარი გრადიციები არ გააჩნია, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. უნდა ველოდოთ, რომ ჩვენი სამრეწველო და სასოფლო წარმოება თავეს დააღწევს კრიზისს და ისეთივე გზით განვითარდება, როგორც ეს თანამედროვე პირობებში სამოცალობრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებას ახასიათებს.

საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში ცნობილია საპატენტო ლიცენზიები და ლიცენზიები სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებაზე („ნოუ-ჰაუ“). დაუპატენტებელი ტექნოლოგიის გაყიდვაც შეიძლება, მაგრამ ყველა სხვა თანაბარ ვითარებაში ასეთი ლიცენზიის ღირებულება ერთობ მცირეა, მაშინ როცა დაპატენტებული ტექნოლოგიის მყიდველი იმის მონოპოლიურ უფლებას იძენს, რომ ახალი ტექნოლოგიით მსოლოდ

თვითონ ისარგებლოს, სწორედ ასეთი უპირატესობის გამო იხდის იგი ბედმეტ თანხას.

სალიცენზიო ვაჭრობის მასშტაბები არა მარგო იმიტომ იზრდება, რომ მისი წყალობით მაღალგანვითარებული ქვეყნები ღიდ მოგებას იღებენ, არამედ იმიტომაც, რომ პატენტებით ვაჭრობა ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევასაა გაცელა-გამოცელას და მოგებას ღროში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთ ქვეყანაში ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის და შეუძლებელიცაა ყველა ღარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ერთნაირი ინგენსივობით ჩაგარღეს. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია საპატენტო ღიცენზიების ყიღვა ტექნიკის იმ უბნებისათვის, რომლებშიც მოცეული ქვეყანა სხვა უფრო განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩება. ასეთივე თვალსაზრისით, თითოეული ქვეყნისათვის ხელსაყრელია საერთაშორისო ბაზარს მიაწოდოს ყველაფერი საუკეთესო. რაც მის მიერ არის შექმნილი.

სალიცენზიო ვაჭრობის პრაქტიკაში გვხვდება სალიცენზიო შეთანხმების სამი ძირითადი სახე: ჩვეულებრივი, განსაკუთრებული და სრული ღიცენზიებისა.

ღიცენზიარი (გამყიდველი) ჩვეულებრივ ღიცენზიაზე მოლაპარაკებისათვის უულებას აძლევს ღიცენზიაგს (მყიდველს) გარკვეული პირობებით გამოიყენოს გამოგონება ან წარმოების საიღუმლოება. ამასთან, თვითონ, იგოვებს როგორც მათი ღამოუკიღებლად გამოყენების უულებას ასევე ანალოგიური პირობებით ღიცენზია მისცეს ნებისმიერ სხვა ღაინგერესებულ პირს. პრაქტიკაში ჩვეულებრივ ღიცენზიაზე მოლაპარაკებისას ხელშეკრულების ღადებამ გავრცელება პოყა ისეთ ღარგებში, საღაც ღიცენზიის საგნები მიეკუთვნება მასობრივი წარმოებისა და უარითო მოხმარების სუფროს ისეთ პროღექტისას, რომელიც ზუსტ აღრიცხვას არ ექვემღებარება. გარღა ამისა, მასზე მუღმივი მოთსონიღება იმღენაღ ღიღია, რომ ერთი ქვეყნის ბაზარზე რამღენიმე ღიცენზიაგის არსებობა ხელს შეუღლის ღიცენზიით გამოშეებული პროღექტის რეაღბიაციის ნორმაღურ მიმღინარეობას. ეს უმეგესწლად მეღიკამენგების, საკეები პროღექტების და წარმოების სხვა

სფეროებისათვის არის დამახასიათებელი.

განსაკუთრებულ ლიცენზიაზე მოლაპარაკებისას ლიცენზიარი შეთანხმების დათქმულ ფარგლებში ლიცენზიაგს აძლევს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, რის საფუძველზეც იგი უკვე არ შეიძლება წარმოადგენდეს ლიცენზიის პირობებით სხვა პირებთან (ფირმებთან, ორგანიზაციებთან) შეთანხმების ანალოგიური იყოს, თუმცა ეს არ აღკვეთს ლიცენზიარის უფლებას გაცემული გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) როგორც დამოუკიდებლად გამოყენებაზე, ასევე სხვა პირებისათვის (ფირმებისათვის, ორგანიზაციებისათვის) ლიცენზიის გადაცემაზე ისეთი პირობებით, რომლებიც პირველი შეთანხმების პირობებს არ ეწინააღმდეგება. ყველაზე სშირად განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის პირობების შემლუღვა მიეკუთვნება გერიგორიებს, რომელთა საზღვრებშიც ლიცენზიაგს შეუძლია თავისი უფლებები გამოიყენოს სალიცენზიო მოლაპარაკებით. მაგალითად, თუ რაიმე მასალის ტექნოლოგიის ლიცენზიის გამოყენებაზე ნებართვა იაპონიის ფირმას მიეყიდა და შეთანხმებაში დათქმული იქნება, რომ იყიდება განსაკუთრებული ლიცენზია იაპონიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის გერიგორიაზე ლიცენზიის საგნის წარმოებისა და გასაღების უფლებაზე და ამ ქვეყნების რიცხვში მითითებული არ იქნება იგალია, ამ შემთხვევაში ლიცენზიარს შეიძლება სალიცენზიო შეთანხმება ჰქონდეს იგალიის ამა თუ იმ ფირმასთან, რომლის მიხედვითაც ამ ფირმა-ლიცენზიაგს ექნება იგალიის გერიგორიაზე ამ ტექნოლოგიით მასალის წარმოებისა და გასაღების განსაკუთრებული უფლება - ეს ორი მოლაპარაკება თავისი პირობებით გადაცემული უფლებების განსაკუთრებულობის მსრივ ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება.

სრული ლიცენზიის შეთანხმების არსს წარმოადგენს ის, რომ ლიცენზიარი გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენებაზე ლიცენზიაგს სრულად უთმობს ყველა უფლებას შეთანხმების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან ერთად თვით ლიცენზიას მთელი ამ ხნის მანძილზე აღკვეთილი აქვს გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენების უფლება როგორც დამოუკიდებლად, ისე

„გექნიკის განვითარების ღონე“ – უმთავრესად საპაგენგოსალიცენზიო საქმის სპეციფიკურ ცნებას წარმოადგენს. მაგალითად, პრაქტიკულად შეიძლება უცნობი იყოს გამოგონებაზე განაცხადის შინაარსი, რადგან იგი გამოქვეყნებული არ იყო პრესაში და არც სხვა ხერხით ყოფილა საყოველთაოდ ცნობილი. ამიგომ უცნობია გამოგონებაზე განაცხადის შინაარსი სპეციალისტებისათვის და მაინც იგი საპაგენგო უფლებრივი მნიშვნელობით, როგორც ცნობილი ახასიათებს გექნიკის განვითარების ღონეს, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რომელიმე გამოგონების სიახლის შეუახების დროს.

იმის მოთხოვნა, რომ დავადგინოთ გექნიკის განვითარების ღონის არსებული აბსოლუტური საზღვრები, კონკრეტულ გადაწყვეტასთან პრაქტიკულად ხორციელდება მსოფლიოს თითქმის ყველა საპაგენგო სისტემაში და გამომდინარეობს საპაგენგო სამართლის მნიშვნელობიდან, რომელიც აპირობებს პაგენგის ვაცემის შესაძლებლობას მსოლოდ ახალ გამოგონებებზე. პრაქტიკაში ძიების ჩაგარების დროს გექნიკის განვითარების ღონის დასადგენად ეს მოთხოვნა არ შეიძლება

აბსოლუტური ვაგებით იყოს დაცული, რადგან გექნიკის განვითარებით ღონე აქ განისაზღვრება ფარდობითი ვაგების ზომით, რომელიც კონკრეტულად გადასაწყვეტი გექნიკის პრობლემაზე გამოქვეყნებული ლოკუმენტების კომპლექსს გულისხმობს. გექნიკური განვითარების ღონის დადგენის ძიების დროს საპატენტო აღწერილობებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამეცნიერო-გექნიკური ინფორმაციის წყაროს, ვიდრე, როგორც საპატენტო-სამართლებრივ წყაროს.

გექნიკის განვითარების ღონის განსაზღვრას ემსახურება საცნობრივი ძიება, რომლის შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო გექნიკის განვითარების ღონის განსაზღვრისათვის ამა თუ იმ დარგში, არამედ სხვა სახის საპატენტო სამუშაოთა ჩასატარებლადაც.

საცნობრივი ძიების წარმატებით ჩატარების საწინდარია ორგანიზაციებსა და საწარმოებში, კოოპერაციებსა და ფირმებში კარგად ორგანიზებული საცნობარო-საინფორმაციო ფონდები.

საცნობრივი ძიება გარდება მაშინ, როცა ვაღვენთ გექნიკური განვითარების პერსპექტიულ გეგმას და ვსაზღვრავთ წლიურ დაეალებას, უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაწყების წინ, ახალი წარმოების მომზადების დროს, გამოშვებული ნაწარმის ახალი გაუმჯობესებისას და სხვა.

საცნობრივი ძიების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს გექნიკური განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენისას, როცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო არსებული ეკონომიკური და საწარმოო შესაძლებლობანი, არამედ მსოფლიო გექნიკის განვითარების მიმართულებანი ამა თუ იმ დარგში.

ბოჯაერ საკვლევ სამუშაოთა დაწყების წინ უკვე ჩატარებული ძიება ცხადყოფს ხოლმე, რომ გექნიკის განვითარებამ სხვა ქვეყნებში ისეთ ღონეს მიაღწია, როცა დღის წესრიგში დგება ახალი პრობლემები, რომლებიც ადრე დასმული ამოცანის გადაწყვეტაზე უარის თქმას და გამოკვლევის უფრო მაღალ ღონეზე ჩატარებას მოითხოვენ.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია პასუხი გავცეს კითხვას, წყლებოდა

თუ არა აღრე ჩვენს ქვეყანაში ან მსოფლიოში კონკრეტული ამოცანა და, თუ ვინმემ გადაწყვიტა, რა ხერხით. თუ ასეთი რამ არ ხდებოდა, მაშინ როგორი ცნობებით შეიძლება მისი გადაწყვეტა. საგნობრივი ძიება ინფორმაციას გვაწვდის მოცემული გექნიკის დარგში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის ფირმათა შესახებ, ახასიათებს ამ დარგის განვითარების პერსპექტივებს, აგრეთვე აღრე დაცულ გექნიკურ გადაწყვეტას და ამით მიგვანიშნებს იმ გზებზე, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენი გამოკვლევები და გვერდი ავუაროთ მაგერიალური და ფულადი რესურსების არარაციონალურ ხარჯვას.

საგნობრივი ძიება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საპატენტო უფლებათა დარღვევის შესაძლებლობა სამრეწველო ნაწარმის ექსპორტის შემთხვევაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ასალი ნაწარმის დამზადებისას, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ძიების შედეგებით უპირველესად უნდა ისარგებლონ ხელმძღვანელმა და წამყვანმა მუშაკებმა, რომლებიც გექნიკური განვითარების ან თემატური გვემის შედგენის, მისი ხარისხისა და რეალური განხორციელებისათვის პასუხს აგებენ.

საგნობრივი საპატენტო ძიების ჩატარებისათვის საჭიროა ჯერ დადგინდეს, ანუ დაზუსტდეს ძიების თემა. ეს სამუშაო სასურველია შესრულდეს დამკვეთთან – სპეციალისტთან ერთად, რადგან ძიების საგნის სიზუსტე არსებით გემოქმედებას ახდენს ძიების ხარისხზე და ამცირებს მისი შესრულებისათვის აუცილებელ დროს. ძიების წამყვანმა სპეციალისტებმა ძიების საგნის კონკრეტულობისათვის არა მარტო უნდა გაითვალისწინონ საპატენტო კლასიფიკაციების სხვადასხვა საპატენტო კლასის საძიებელთა არსებობა, არამედ გამოიყენონ კიდევ ისინი, რადგან ამით საგრძნობლად გაადვილდება მომაჯალი სამუშაო.

საგნობრივი ძიების ჩასატარებლად ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნების შერჩევა, რომელთა მისედვითაც უნდა ჩატარდეს ძიება. შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა ეკონომიკური მოსაზრებებით განვითარებული მრეწველობის მქონე ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო

ფონდებში არ ჩაგარდეს ძიება, რადგან ჩვენთვის საინტერესო დარგის შესაბამისი საპატენტო დოკუმენტაცია ერთი ან რამდენიმე ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა იყოს, ე.ი. გექნიკის განვითარების მიმართულების დადგენას მოცემულ დარგში მხოლოდ ამ დარგის დიდად განვითარებული ქვეყნების პატენტებით შეეძლება.

საგნობრივი ძიების ჩაგარებისას უნდა დადგინდეს ძიების პერიოდი. ცნობილია, რომ გამოგონება, რომელიც პატენტის საგანს შეადგენს, როგორც წესი, წინ უსწრებს წარმოების არსებულ ღონეს და სწორედ გამოგონების განხორციელება და გასაღება მისი შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. მაგალითად, ავტომობილების დისკოს მუხრუჭები წარმოებაში მანამდე არ დაინერგა, სანამ ავტომობილების სიჩქარე და სიმძლავრე იმდენად არ გაიზარდა, რომ არსებული კონსტრუქციები უკვე უვარდის გახდა. ეს დისკოს მუხრუჭის გამოგონებიდან 10 წლის შემდეგ განხორციელდა. გექნიკის ზოგიერთ დარგში, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება, აუცილებელია ძიება და წყაროების შესწავლა დაეწყოთ შესაბამისი დარგის წარმოქმნისთანავე და იშვიათ შემთხვევაში მსოფლიო ბაზარზე გაგანილ ნაკეთობაზე გამოგონების განაცხადის შეგანის პერიოდისა და ან თუნდაც ამ ნაკეთობაზე საპატენტო უფლების წარმოქმნის მოქმედიდან. რასაკვირველია, ზედმეტი არ იქნება უფრო ადრეული საპატენტო აღწერილობების გაცნობა, რადგან მათში ხშირად არის ხოლმე დაუარული ბევრი მნიშვნელოვანი გექნიკური გადაწყვეტა, რომელთა რეალიზაცია შესაბამისი წინაპირობის უქონლობის გამო თავის დროზე არ მოხდა.

ძიების საგნისა და პერიოდის განსაზღვრის შემდეგ უპირველეს ყოვლისა ვადგენთ გამოგონებათა კლასიფიკაციის იმ კლასებს, რომლებითაც შეიძლება ჩვენთვის საინტერესო იყოს საპატენტო აღწერილობები. ამისათვის საჭიროა გამოგონებათა კლასიფიკაციების ისეთი სისტემების ცოდნა, როგორცაა გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია და ცალკეული ქვეყნების კლასიფიკაციის ეროვნული სისტემები.

კლასის დადგენის შემდეგ უშუალოდ ღეგალურად ვეცნობით ჩვენთვის საინტერესო დარგის გამოგონებათა აღწერილობებს. ამ სამუშაოს და, საერთოდ, ყველა სახის საპატენტო ძიების ჩატარებისას უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის საპატენტო დოკუმენტაციის არსებობა. კერძოდ, უნდა გამოვიყენოთ გ.მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდის დამუშავების, სისტემატიზაციისა და გამოყენების დადგენილი წესები არსებობს. როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, აქ შექმნილია, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ყველა წყაროს მთავარი გენერალური კარგოთეკა, ისე ცალკე სისტემატური კარგოთეკები განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების გამოგონებებზე და ნუმერაციული წიგნები ყველა ქვეყნის გამოგონებათა შესახებ. ბიბლიოთეკის ფონდის ღეგალური გაცნობა შეიძლება როგორც არსებული ბეჭდვითი მეგზურის დახმარებით, ისე უშუალოდ.

შიზანშეწონილია საგნობრივი ძიება დავიწყოთ ძველ საპატენტო აღწერილობათა გადათვალისწინებით არჩეული დროის დიაპაზონში, ხოლო შემდეგ დავათვალიეროთ უფრო ძველი აღწერილობები. სამუშაოს ასეთი თანმიმდევრობა გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის თემის შესაგყვისი ტექნიკის დარგის განვითარებაზე. გამოგონებათა აღწერილობების გაცნობა და გადათვალისწინება არ უნდა იყოს ზერეულე. მან უნდა ჩამოგვიყალიბოს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად არის ჩვენ მიერ მიგნებული გამოგონების კლასიფიკაციის ინდექსი და ამ კლასში ძიების მიზანშეწონილობა.

საპატენტო აღწერილობებისადმი ასეთი აქტიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვაყვლინოთ საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოგონებები. რომლებიც გადასათვალისწინებელ კლასს მიეკუთვნება, ე.ი. გამოვაყვლინოთ ისეთი საპატენტო აღწერილობები, რომლებსაც სხვა პირობებში არავინ არ დაუწყებდა მოცემულ კლასში ძიებას. ამრიგად, ჩვენი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება შევქმნათ გამოგონებათა კლასების კონკრეტული შეფასება. თუ მოცემულ საკითხზე

ძალზე ბევრი საპატენტო აღწერილობა აღმოჩნდება, მიზანშეწონილია ერთხელ კიდევ მოვეთათბიროთ დამკვეთს და მისი თანხმობით დავაბუსგოთ ძიების თემა, თუ, რასაკვირველია, თემის ირგვლივ მას უურო ზოგადი სასიათის მასალები არ სჭირდება.

ძიების ჩამგარებელი ორგანიზაციები და საწარმოები, ფირმები, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები ძილებული ფორმით ადგენენ ხოლმე სპეციალურ ანგარიშებს საპატენტო-საინფორმაციო გამოკვლევათა შედეგების შესახებ.

საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ძიების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ტექნიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების პროგნოზირება. საზოგადოებრივ მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საზღვარგარეთი დაპატენტება, საპატენტო ლიცენზიების ყიდვა-გაყიდვა და ა.შ.

საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარება საშუალებას იძლევა შევისწავლოთ საგარეო ბაზრის მოთხოვნილებები, მსხვილ ფირმებში სამუშაოთა მიმდინარეობა და ა.შ. ეს არის ძირითადი საკითხები, რომელთა შესწავლის დროს საჭიროა ჩავაგაროთ საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

გამოგონების აღწერილობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ნაჯარაუღვევი გამოგონების არსი, მისი შინაარსი. თუმცა უფლებბრივი მსაშენებლობის ძალით ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა გამოგონების ავტორის, პატენტის მფლობელის, განაცხადის შეტანისა და პატენტის გაცემის თარიღის შესახებ შეკრებილ ცნობებს და ა.შ. ამავე რი ინფორმაციის თითოეული ელემენტი შეიძლება დამოუკიდებელი ძიების ობიექტი ვახდეს.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის წყაროები

საქართველოში ინტელექტუალურ საკუთრებას იცავს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტ“.

ინტელექტუალური საკუთრება იურიდიული ცნებაა და მოიცავს საავტორო უფლებას, მსახიობ-შემსრულებლების უფლებებს, ხმის ჩაწერის, რადიო და სატელევიზიო გადაცემების საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლებებს, საგამომგონებლო და საპატენტო სამართალს, უფლებას მეცნიერულ აღმოჩენაზე, უფლებას სამრეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო ნიშნებზე, საფირმო დასახელებებზე (ფირმებზე) და კომერციულ აღნიშვნებზე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის, ავრეთვე ყველა სხვა უფლებას, რომლებიც წარმოების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ინტელექტუალურ საქმიანობას მიეკუთვნება. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო წესი XX საუკუნის 60-იან წლებში იყო შემოღებული. 1967 წელს სტოკჰოლმში ხელი მოეწერა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის („ისმო“) დაარსების შესახებ კონვენციას. ეს კონვენცია 1970 წელს შევიდა ძალაში და ამ დროიდან ეს ორგანიზაცია საგამომგონებლო, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში დასაქმებულ ავტორთა უფლებების დაცვის საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებით არის დაკავებული.

ამ ორგანიზაციის შექმნას დასაბამი მისცა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციამ, რომელიც 1984 წლიდან არსებობს.

1996 წლის მონაცემებით ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში 157 ქვეყანა იყო გაერთიანებული, მათ შორისაა საქართველოც.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მსოფლიოში; უზრუნველყოს აღმინისგრაფიული კოოპერირება ინტე-

ლექტურული საკუთრების სფეროში არსებულ საერთაშორისო კავშირებს შორის.

ეს ორგანიზაცია ეხმარება ქვეყნებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, კადრების მომზადებაში, კანონმდებლობის სრულყოფაში, საპატენტო ინფორმაციის მოპოვებაში. მის მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს, როგორც ორგანიზაციის წევრს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრთა გადაწყვეტილებით ეს ორგანიზაცია 1974 წლიდან გახდა გაეროს სპეციალიზებული ორგანო.

ინტელექტუალურ საკუთრებას იმ უფლებათა ერთობლიობა შეადგენს, რომელიც წარმოიქმნება შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით, და როგორც აღინიშნა, მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს.

მათი თავისებურებებიდან გამომდინარე, ყოველთვის ვერ ხერხდება ამ ობიექტების გამოყენებაზე უშუალო კონტროლის დაწესება და ეფექტური განხორციელება საკუთრების სხვა ფორმებისათვის მისაღები სამართლებრივი მექანიზმებისა თუ რაიმე სხვა საშუალებების გამოყენებით. სწორედ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ხასიათიდან გამომდინარე, მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მათზე უფლებების წარმოქმნისა და უზრუნველყოფის სპეციფიკური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა პოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.

ინტელექტუალური საკუთრება გრადიციულად იყოფა ორ შემადგენელ ნაწილად:

ერთს შეადგენს სამრეწველო საკუთრება, მეორეს – საავტორო უფლებები.

სამრეწველო საკუთრება მოიცავს გამოგონებებს, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო და მომსახურების ნიშნების, საფირმო სახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას, სამრეწველო და

კომერციულ საქიანობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას.

ყოფილ საბჭოთა კავშირში სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება ხორციელდებოდა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემისა და კანონმდებლობის ფარგლებში. მასში სამრეწველო საკუთრების ძირითად განმკარგველად გვევლინებოდა სახელმწიფო. საქართველოს ამ სფეროში არ გააჩნდა საკუთარი სამსახური, არ არსებობდა ეროვნული საკანონმდებლო ბაზა, საპატენტო სისტემის ფუნქციონირების პრაქტიკული გამოცდილება.

1990-1991 წლებში, სსრ კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში შეიქმნა სრული ორგანიზაციული და სამართლებრივი ვაკუუმი. ამ მდგომარეობამ განაპირობა საქართველოს მოქალაქეებისათვის სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაკარგვის რეალური საფრთხე. გასათვალისწინებელი იყო უცხოელთა ინტერესებიც შეენარჩუნებინათ ან მოეპოვებინათ თავიანთი ობიექტების მიმართ საკუთრების უფლება საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ პერიოდში საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს თაოსნობით შემუშავდა და 1992 წლის 16 მარტს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა დებულებები გამოგონების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ.

ამ დებულებების მიღებით საქართველოში შეიქმნა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა საპატენტო სისტემის ფუნქციონირებისა და სამრეწველო საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველო პირველი ქვეყანა იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც სსრ კავშირის დაშლისთანავე, სულ რაღაც 4 თვის განმავლობაში, აამოქმედა სამრეწველო საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემა.

1999 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო

საპატენტო კანონი და კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, რითაც თვისებრივად ახალ ღონებზე გადაწედა ამ სფეროს სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი.

1999 წლის 22 ივნისს მიღებულ იქნა კანონი საქონლის ავტომატური დარეგისტრირების და დარეგისტრირებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, რამაც საუკუნეული ჩაუქარა საქართველოსათვის ამ მნიშვნელოვანი თბილესების სამართლებრივ დაცვას.

მეცნიერებისა და გეგნიკის ბოლოდროინდელმა მსაწვევებმა დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი ახალი თბილესების დაცვის აუცილ-ბლობა. ერთ-ერთი ასეთი დარგს მიკროელექტრონიკა წარმოადგენს.

1999 წლის 22 ივნისს პარლამენტმა დაამტკიცა სპეციალური კანონი ინტელექტუალური მიკროსქემების გოპოლოგიის შესახებ.

1999 წლის 23 ივნისს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაჩლერო ღონისძიებათა შესახებ.

ყველა ზემოაღნიშნული კანონი სრულ თანხმობაშია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ პრინციპებთან და სამართლებრივ ნორმებთან, მთლიანად პასუხობს მსოფლიო საუკუნო ორგანიზაციის მოთხოვნებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონების ამოქმედებით დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

საქართველოს საპატენტო კანონი

საპატენტო კანონმდებლობის ჩამოყალიბებას მსოფლიოში ხანგრძლივი ისტორია და გრადიციები აქვს. იგი სათავეს იღებს ვენეციასა და ინგლისის სამეფოში XIV–XVI საუკუნეებში. საპატენტო სამართლის საკანონმდებლო ნორმების შექმნის ფორმირებასა და დახვეწას ბიძგი მისცა სამრეწველო რევოლუციამ. მანუფაქტურული წარმოებისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ, ახალი გეგნიკური საშუა-

ლებებისა და გექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, სამოვადლოებაში ინოვაციების გამოყენებაზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების გაჩენამ.

XIX საუკუნეში პრაქტიკულად ყველა მოწინავე ქვეყნის საკანონმდებლო სისტემაში თავის ადგილს იპყიდრებს საპატენტო კანონი. 1883 წელს ხელი მოეწერა პარიზის კონვენციას – ფუძემდებელ საერთაშორისო ხელშეკრულებას სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში.

რაც შეეხება საქართველოს საპატენტო კანონს, იგი ერთდროულად მოიცავს სამრეწველო საკუთრების სამ ობიექტს – გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს.

იგი აწესრიგებს აღნიშნული ობიექტების შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

კანონის მიხედვით, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში.

ავტორობა უვადოდ დაცული განუსხვისებელი უფლებაა.

პატენტის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცელს.

პატენტის კლასიკური გაგების თანახმად, პატენტის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება პატენტით დაცულ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე.

საპატენტო სამართლის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს სამსახურებრივ გამოგონებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება წარმოადგენს.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამსახურებრივ გამოგონებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული, სამსახურებრივი დავალების შედეგად შექმნილი გამოგონებისა თუ სხვა ობიექტის მფლობელად, ჩვეულებრივ, გვევლინება სამუშაოს მიმცემი.

განვითარებულ ქვეყნებში საგამომგონებლო საქმიანობით დაკავებულ სპეციალისტს, ინჟინერს ან მეცნიერს უირმა მათ კვალიფიკაციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკმაოდ დიდი ანაზღაურებით უბრუნველყოფს; ამდენად, სამუშაოს მიმცემის უულებები პატენტის მიღებაზე სრულიად გამართლებულია.

საქართველოს დღევანდელ პირობებში საკითხის ასე, ცალსახად გადაწყვეტა რთულდება შრომის ანაზღაურების დღესდღეობით გადაუჭრელი პრობლემის გამო. სწორედ ამიტომ სამსახურებრივ დავალუბასთან დაკავშირებული ნორმა საქართველოს საპატენტო კანონში ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან და რომელიც ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობას, პატენტის მიღების უულება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული...“. ამით გამოცონების ან სამრეწველო ნიმუშის ავტორს შესაძლებლობა აქვს სამუშაოს მიმცემთან ხელშეკრულების გაფორმებისას წამოაყენოს თავისი პირობები და შესაბამისი ობიექტის შექმნისას მიღებული მოცემის მოწილე ანდა პატენტის თანამფლობელი გახდეს.

საპატენტო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კანონი არ იძლევა გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განმარტებას. მასში მხოლოდ მოყვანილია პატენტუნარიანობის კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ობიექტები, რათა ისინი მიჩნეულ იქნეს გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად.

გამოგონების კრიტერიუმებია: სიახლე, საგამომგონებლო ღონე და სამრეწველო გამოყენებადობა.

სიახლის ცნება დაკავშირებულია გექნიკის ღონესთან. კერძოდ, კანონით დადგენილია, რომ გამოგონებას კანონიერი სახე არ ექნება, თუ იგი ცნობილი არ არის გექნიკის არსებული ღონით. თავის მხრივ, გექნიკის არსებულ ღონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც პატენტზე განაცხადის შეგანის თარიღისათვის საყოველთაოდაა

ცნობილი წერილობით, ბეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით.

კანონი აღგენს გამონაკლისს გექნიკის არსებული დონით ცნობილი ისეთი ნივთიერებებისა და ნარევებისათვის, რომლებიც გამოიყენება აქამდე უცნობი დანიშნულებით. ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად.

გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისგისათვის აშკარად არ გამოდინარეობს გექნიკის არსებული დონიდან.

გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

კანონის მიხედვით, პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სამრეწველო ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მხაგვრულ-კონსტრუქციულ გარეგნულ სახეს და აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

საყოველთაოდ აღიარებულ ობიექტებთან (გამოგონება, სამრეწველო ნიმუში) ერთად სასარგებლო მოდელების დაცვის ინსტიტუტის არსებობა საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში უპირველეს ყოვლისა განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების ინტერესებით.

სასარგებლო მოდელი იგივე გამოგონებაა, რომელსაც საგამომგონებლო დონისადმი მოთხოვნები არ წაყენება. ამდენად, ამ ობიექტის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ძლიერი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, მაგრამ აქვთ უნარი ახლებურად გადაწყვიტონ პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანები და, როგორც შედეგი, დაინტერესებული არიან მისი სამართლებრივი დაცვის

უზრუნველყოფით.

ამასთან, როგორც საერთაშორისო და საკუთარი გამოცდილება ცხადყოფს, სასარგებლო მოდელები ძირითადად მოიცავენ დარგებს, რომლებიც დაკავშირებული არიან უართო მოხმარების საგნების წარმოებასთან, რითაც ამეამად ყველაზე მეტად დაინგერესებულია საქართველოს ბაზარი და ეკონომიკა.

აღრე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებითი კანონი ითვალისწინებს შემოგანილი პაგენგის გაცემას უცხოეთის პაგენგის მფლობელზე.

შემოგანილი პაგენგის საგანი შეიძლება იყოს გამოგონება, რომელიც დაპაგენგებულია საზღვარგარეთ, მაგრამ არ გამოიყენებოდა საქართველოში. აქ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა გასათვალისწინებელი – თუკი პაგენგის მფლობელის მიერ დაპაგენგებული ობიექტის ათვისება 3 წლის განმავლობაში არ მოხდა, მაშინ პაგენგი უქმდება. შემოგანილი პაგენგი არ ზღუდავს პროდუქციის იმპორტს უცხოეთიდან. ამასთან, პაგენგის მოქმედების ვადა არ აღემატება 10 წელს.

შემოგანილი პაგენგის ინსტიტუტის დამკვიდრება უცხოელ ინვესტორებს ხელშემწყობ პირობებს უქმნის საქართველოში კაპიტალის დასაბანდებლად, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვისა და პროდუქციის საწარმოებლად. ეს ინსტიტუტი ბოლო პერიოდამდე მოქმედებდა ესპანეთში, პორტუგალიაში, ბელგიასა და თურქეთში.

კანონის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია ევროპის საპატენტო კონვენციის მოთხოვნებთან, გამოგონებად და სასარგებლო მოდელებად არ მიიჩნევა:

- ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
- ბ) მხატვრული კონსტრუირების შედეგი;
- გ) ალგორითმები და პროგრამები გამოთვლითი ტექნიკისათვის;
- დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, უნის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების ხარხები.
- ე) მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;
- ვ) ნაცვობათა, შენობათა, გერიგორიათა დაგეგმარების პროექტი

და სქემა;

ბ) ინფორმაციის წარდგენა.

კანონი აღგენს აგრეთვე მთელ რიგ ფაქტორებსა და სფეროებს, როცა პაგენტი არ გაიცემა.

პაგენტი არ გაიცემა გამოვონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე, რომლებიც იწვევენ არაჰუმანურ, ამორალურ ან ანგისამოგალოებრივ ქმედებას.

ამ კანონის მიღებამდე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებით, დადგენილია, რომ პაგენტი არ გაიცემა ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულსა და დიაგნოსტიკურ ხერხებზე. ეს აკრძალვა არ ვრცელდება აღნიშნულ ხერხებში გამოყენებულ მოწყობილობებსა და ნივთიერებებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებს. ზოგიერთ ქვეყანაში, ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამის საფუძველს სამრეწველო გამოყენებალობის ვიწრო, პირდაპირი ინგერპრეგაცია წარმოადგენს, თუმცა რეალურ მიზეზად უფრო საკითხის მორალური და ეთიკური მხარე უნდა მივიჩნიოთ. შესაძლებელია იყოს შემთხვევები, როცა ცოცხალი არსების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაპაგენტებული ხერხის გამოყენებაზე იქნეს დამოკიდებული, ხოლო მისი გამოყენება შესაბამისი უფლების არქონის შემთხვევაში შეიძლება არაკანონიერად მიიჩნიონ. გარდა ამისა, ასეთი შემთხვევებისათვის დაპაგენტებული ობიექტის გამოყენებაზე კონკროლიც დაინგერესებული პირის მხრიდან საკმაოდ პრობლემურია. ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც საპაგენტო სისგემა, თავისი კლასიკური გაგებით, არ მოქმედებდა და გამოგონების შესაკუთრედ პრაქტიკულად სახელმწიფო გვევლინებოდა, რა თქმა უნდა, გემოდანიშნული პრობლემა აქტუალური არ იყო და საავტორო მოწმობა სამედიცინო დანიშნულების ხერხზეც გაიცემოდა.

პაგენტით დაცვას არ ექვემდებარება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, აგრეთვე მათი გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიური ხერხები.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევა რომ გამოგონებად იქნეს მიჩნე-

ული, მის საფუძველს მართვადი, ადამიანის ზემოქმედებასა და რეგულირებას დაქვემდებარებული მექანიზმები და პროცესები უნდა წარმოაღვენდეს. სელექციის, შეჯვარების გზით მიღებულ ახალ ჯიშებსა და სახეობებს არ მიაკუთვნებენ გამოვლინების ობიექტებს, რადგან თავიანთი არსით ისინი იმ ბუნებრივი პროცესების შედეგს წარმოადგენენ, რომლებშიც უშუალოდ აქტიურ ჩართვასა და მართვას ადამიანი არ ახდენს.

ასეთი ობიექტების სამართილებრივი დაცვა საქართველოში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, ხორციელდება კანონით სასელექციო მიღწევების შესახებ.

თუმცა ამასთან ერთად, საპატენტო კანონის შესაბამისად, პატენტი გაიცემა მიკრობიოლოგიურ სერსებსა და ამ სერსებით მიღებულ პროდუქტებზე. ეს სუერო სხვასთან ერთად მოიცავს მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოგექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს.

კანონი არ ითვალისწინებს საიდუმლო გამოვლენასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის ვაცემას. პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ მათი განსაიდუმლოების შემდეგ.

ამ ნორმის შემოღება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ, ობიექტის საიდუმლოებიდან გამომდინარე, პატენტის მფლობელის ძირითადი უფლება – თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს და განკარგოს გამოვლენა, პრაქტიკულად დაუშვებელია.

რაც შეეხება სახელმწიფოსა და განმცხადებლის ურთიერთობებს და მათ შორის ფულადი კომპენსაციის საკითხს, გამოვლინების განსაიდუმლოებამდე მისი სამართილებრივი მოწესრიგება სპეციალური ნორმატიული აქტით ხდება.

სამრეწველო ნიმუშების შემთხვევაში პატენტი არ გაიცემა:

- შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგნულ სახეზე, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;
- სხვადასხვა სახის არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებზე;
- ნაკეთობებზე, რომელთა გარეგნული სახე განპირობებულია

არსებითი ნიშნების მხოლოდ გექნიკური ან ფუნქციური დანიშნულებით;

– უშუალოდ ნაბეჭდ პროდუქციაზე.

პატენტის გაცემის საფუძველს წარმოადგენს ექსპერტიზა. გამოგონების ექსპერტიზა გარდება სიახლეზე და განმცხადებელს ანალიზისათვის ეგზავნება ლოკუმენტური დასკვნა გექნიკის დონის შესახებ. რაც შეეხება საგამომგონებლო დონეს, მისი შეუასება ხდება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ მხოლოდ მოდავე მხარის არსებობის შემთხვევაში.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ეს სქემა საკმაოდ ეფექტურია არაპატენტუნარიანი გამოგონებების განსათესად. ამასთან, საპატენტო სამსახურს არ მოეთხოვება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დიდი შტაგი. არსებული შეუასებებით იგი სრული ექსპერტიზის შემთხვევაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150-200 სპეციალისტს.

აღნიშნულ სქემას ამყამად გარკვეული ვარიაციებით ეფუძნება საფრანგეთისა და ბელგიის საპატენტო კანონები. 1995 წლიდან ამ სქემაზე გადავიდა წარსულში სრული ექსპერტიზის მქონე ისეთი კლასიკური ქვეყანა, როგორცაა ნიდერლანდი.

სასარგებლო მოდელების შემთხვევაში ექსპერტიზა გარდება ლოკალურ სიახლეზე, ანუ საქართველოში გაცემული პატენტებისა და „საქპატენტში“ განსახილველად შემოსული განაცხადების შესწავლის საფუძველზე.

სამრეწველო ნიმუშზე პატენტი ვაიცემა მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას ექვემდებარება აგრეთვე შემოგანილი პატენტი.

საკუთრების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, საპატენტო უფლებები შემოსამღვრულია გერიგორიითა და დროით.

კერძოდ, საქართველოს პატენტი იცავს პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას საქართველოს გერიგორიაზე, ხოლო დაცვის ხანგრძლივობა შეადგენს გამოგონებისათვის – 20 წელს, სასარგებლო

მოდელისათვის – 8-ს, ხოლო სამრეწველო ნიმუშისათვის – 15 წელს.

კანონი ამავდროულად ითვალისწინებს, გარკვეულ პირობებში პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვას.

კერძოდ, პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა პატენტის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება.

დაიშვება სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენება კერძო წესით პირადი სარგებლობისათვის, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს. შესაძლებელია მათი გამოყენება აგრეთვე უცხოეთის ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებაზე მათი საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას. თუ ისინი გამოიყენება საკუთარი საჭიროებისა და არა მეწარმეობისათვის. დასაშვებია ასევე ამ ობიექტების უნებართვო გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფების, ეპიდემიისა და საგანგებო ვითარების დროს.

თუ რომელიმე პირი განმცხადებლის მიერ პატენტზე განაცხადის შეტანამდე კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით, სასარგებლო მოდელით ან სარეწველო ნიმუშით, ან განახორციელა მოსამზადებელი საშუალები მისი გამოყენებისათვის, მას უყლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი, პატენტის მოქმედების მიუხედავად.

საზოგადოდ, პატენტის მფლობელი თავის შესებულებისაშებრ განკარგავს გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს. მას შეუძლია გაყიდოს ან სხვა ვით გაასხვისოს პატენტი და ლადგენილი წესით გასცეს ლიცენზია.

ლიცენზია შეიძლება იყოს მარტივი ან განსაკუთრებული. მარტივი ლიცენზია ლიცენზიარს უტოვებს პატენტიდან გამომდინარე ყველა უფლებას. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში კი პატენტის მფლობელს ეკრძალება იმავე პირობებით სხვა ლიცენზიების გაცემის უფლება.

პატენტი უქმდება იმ შემთხვევებში, თუ პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი ან არ აღწერს გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა

და სამრეწველო ნიმუშს იმ სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება. პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზეც, საპატენტო კანონის თანახმად, პატენტი არ გაიცემა და პატენტის საგანი სცილდება განაცხადის შინაარსის უარვლესს. პატენტის მოქმედება წყდება დადგენილი საუბსურის გადაუსვლელობის შემთხვევაში ან პატენტის მფლობელის სურვილის საუბმეველზე.

საპატენტო კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პატენტის მფლობელისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსება სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენების დროს.

სახელმწიფომ, უპირველს ყოვლისა, უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები პატენტით დაცული გამოგონებისა თუ სხვა ობიექტების პრაქტიკაში სწრაფი რეალიზაციისათვის, მათზე საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილების და არა პატენტის მფლობელის მიერ კონკურენტების ბლოკირებისათვის.

სწორედ ამიგომ კანონში გათვალისწინებულია ე.წ. იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი, კერძოდ, თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი პატენტის გაცემის დღიდან 4 წლის განმავლობაში არ გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ან გამოიყენებოდა არასაკმარისად, აგრეთვე, თუ შეუძლებელი იყო მათი გამოყენება უფრო ადრინდელი პატენტის დარღვევის გარეშე, სახელმწიფოს ეძლევა უფლება (ადმინისტრაციული აქტის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) აიძულოს პატენტის მფლობელი გასცეს ლიცენზია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის გამოყენებაზე შესაბამისი ანაზღაურებით.

თუ დასაბუთებულ იქნა ეროვნული თავდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებისათვის პატენტის გამოყენების აუცილებლობა, სახელმწიფომ შეიძლება გასცეს ოფიციალური ლიცენზია ოთხწლიანი ვადის გასვლამდე.

კანონი მოიცავს საპატენტო კოოპერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ნორმებს.

საქართველოს მოქალაქეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) უფლება აქვს „საქპაგენგში“ შეიგანოს საერთაშორისო განაცხადი იმ ქვეყნების აღნიშვნით, სადაც იგი აპირებს გამოგონების დაპატენტებას.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთი განაცხადის შეგანა „საქპაგენგში“ იურიდიულად გოლუასია აღნიშნული ქვეყნების საპატენტო უწყებებში განაცხადის შეგანისა. იმის გათვალისწინებით, რომ ამას თან სდევს გამოგონების საერთაშორისო ექსპერტიზა, მსოფლიოს წამყვან საპატენტო ცენტრებში გაცილებით მარტივდება უცხოეთის ქვეყნებში პატენტის მიღების პროცედურა. საქართველოს საპატენტო კანონი ძალაში შევიდა 1999 წლის 25 მაისიდან.

ამ კანონის მიღებამდე გაცემული პატენტები უთანაბრდება ამ კანონის მიხედვით გაცემულ პატენტებს.

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

იგი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათს გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სასაქონლო ნიშნები თავის საწყის ჯერ კიდევ ანგაკურ ხანაში იღებს. ჩვენამდე მოღწეულია უძველესი ცივილიზაციის დროს შექმნილი ნაკეთობანი, რომლებიც მონიშნულია მწარმოებლის სახელებით ან სხვაგვარი სპეციალური აღნიშვნებით.

სასაქონლო ნიშნების მნიშვნელობა და როლი განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ეპოქაში, როცა პროდუქციის მასობრივმა წარმოებამ მიიღო აქამდე არნახული მასშტაბები, რის შედეგადაც ნებისმიერ ქვეყანაში ვხვდებით კონკურენცი კომპანიებისა და ფირმების მიერ გამოშვებულ ერთი და იმავე სახეობის პროდუქციის სხვადასხვა ნაწარმს.

ამ პირობებში საპოქსმარებლო ბაზარზე ორიენტირებისათვის სულ უფრო საჭირო ხდება მარტივი და ეფექტური საშუალება – სასაქონლო ნიშანი. რომელიც გვევლინება ძირითად ინფორმაციულ შეამავლად მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის თანახმად: „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ანდა მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ანდა მომსახურებისაგან“.

ამდენად, სასაქონლო ნიშანი უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად მოთხოვნას – იყოს განმასხვავებელუნარიანი საქონლის მიმართ და შესაძლებელი იყოს მისი გრაფიკული გამოსახვა.

სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა არ გულისხმობს, რომ ეს ნიშანი საქონლის მწარმოებელზე უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ინფორმაციას. იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ საქონელს აწარმოებს რომელიმე საწარმო და თავისი პროდუქციის მოსანიშნად იყენებს მოცემულ, სხვებისაგან განსხვავებულ სასაქონლო ნიშანს.

სასაქონლო ნიშნის გრაფიკულად გამოსახვის შესაძლებლობის მოთხოვნა დაკავშირებულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და გამოქვეყნების აუცილებლობასთან.

კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადაპტირების სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფართო კომბინაციის გამოყენებით.

საქართველოში სასაქონლო ნიშნის დაცვის საფუძველს წარმოადგენს „საქპატენტში“, ან საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, მისი რეგისტრაცია. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

კანონი ადგენს მთელ რიგ შეზღუდვებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად ისეთი სიმბოლო ან სიმბოლოთა

ერთობლიობის რევისგრაფია, რომელიც:

– აგარებს მოცემული საქონლისადმი აღწერილობითს ხასიათს, კერძოდ, მიუთითებს საქონლის სახეობაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე, თვისებებზე, გეოგრაფიულ წარმოშობასა და სხვა; გამოიყენება როგორც საქონლის გვარობითი ცნება ან წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ გერმინს ან სიმბოლოს (ეს აკრძალვები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა სასაქონლო ნიშანი, სამოქალაქო ბრუნვაში მისი გამოყენების საფუძველზე, რევისგრაფიის მომენგისათვის იძენს განმასხვავებელუნარიანობას მოცემული საქონლისათვის);

– შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიჯიასა და გრადიციებს, მწიბრივ ნორმებს;

– მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის შესახებ. ასევე დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად საერთაშორისო და სახელმწიფო სიმბოლიკის, ოფიციალური დამლების, ნიშნების, ბეჭდების, ორღენებისა და სხვათა რევისგრაფია.

ვარდა ბემოთ მოყვანილი რევისგრაფიაზე უარის თქმის ე.წ. აბსოლუტური საფუძვლებისა, სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე ადრე წარმოქმნილი უფლებები, კერძოდ, ადრე რევისგრირებული იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნები, საქართველოში დაცული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, სამრეწველო ნიმუშები.

ასევე დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად საქართველოში ცნობილი (ისტორიული) პიროვნების სახელის, ფსევდონიმის, ფაქსიმილეს, პორტრეტის რევისგრაფია შესაბამისი თანხმობის ან ნებართვის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის რევისგრაფია სდება „საქპატენტის“ მიერ ჩაგარებული ფორმალური მოთხოვნებისა და არსობითი ექსპერტიზის საფუძველზე. არსობითი ექსპერტიზა ეყრდნობა რევისგრაფიაზე უარის თქმის როგორც აბსოლუტურს, ისე შედარებითს საფუძველს.

კანონი სასაქონლო ნიშნის რევისგრაფიამდე ითვალისწინებს მისი გამოსახულებისა და შესაბამისი მონაცემების სამრეწველო საკუთრების

ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას. რეგისტრაცია ხდება მხოლოდ გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში არ შევა საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე.

რეგისტრაციით დასრულ სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

კანონი ადგენს განსაკუთრებული უფლებების მოქმედების მთელ რიგ კონკრეტულ პირობებსა და ფარგლებს.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით გაგრძელების ჯერალობის შეუზღუდავად.

დასაშვებია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების ნაწილობრივ ან მთლიანად გადაცემა სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის. ეს გადაცემა შეიძლება მოხდეს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე.

კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე უფლებების დაკარგვა ხდება ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შედეგად.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, მფლობელის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის გვარეობით ცნებად გადაქცევისა და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად თუკი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველების მოთხოვნათა დარღვევით.

ამასთან ერთად კანონი აწესრიგებს კოლექტიურ ნიშნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფი-

ული წარმოშობის, ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

კოლექტიური ნიშნის მულობელი შეიძლება იყოს მეწარმე სუბიექტების გაერთიანება, რომელიც იქმნება კოლექტიური ნიშნის გამოყენების მიზნით, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

კანონი ითვალისწინებს გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციის შესაძლებლობას. გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა გულისხმობს ადგილის, რაიონის, რეგიონის (გამონაკლის შემთხვევაში ქვეყნის) სახელს ან სხვაგვარ აღნიშვნას, რომელიც საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე მიუთითებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლექტიურ ნიშნად იმ საქონლისათვის, რომელიც წარმოშობილი არ არის შესაბამის გეოგრაფიულ ადგილზე, რაიონში, რეგიონში, ქვეყანაში და, თუ ასეთმა აღნიშვნამ საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით მომხმარებელს შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეუქმნას.

თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, კოლექტიური ნიშნის წესდება უნდა ითვალისწინებდეს გაერთიანებაში ნებისმიერი ისეთი პირის გაწევრიანების შესაძლებლობას, რომლის საქონელი წარმოშობილია აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს წესდების მოთხოვნებს.

გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად აღიარება მის მულობელს არ ანიჭებს უფლებას მესამე პირს აუკრძალოს ამ სახელის გამოყენება, თუ მას გამოყენების მართლზომიერი საუბუქელი აქვს.

აკრძალულია კოლექტიური ნიშნის გადაცემა ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემა იმ პირისათვის, რომელიც კოლექტიური ნიშნის მულობელი გაერთიანების წევრი არ არის.

კანონში გათვალისწინებულია საერთაშორისო განაცხადების ექსპერტიზის პროცედურის მარეგულირებელი ნორმები, რაც განპირობებულია საქართველოს მონაწილეობით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებულ

პროტოკოლში.

პროტოკოლის შესაბამისად, საქართველოს მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ „საქპაგენგში“ შეიგანონ საერთაშორისო განაცხადი სასაქონლო ნიშანზე და მოითხოვონ მისი რეგისტრირება პროტოკოლის მონაწილე ყველა ქვეყანაში.

კანონი მოქმედებს 1999 წლის 25 მაისიდან. ამ კანონის ძალაში შესვლამდე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე გაცემული მოწმობა ძალაშია ამ კანონის ამოქმედების შემდეგაც.

საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ. კანონი აწესრიგებს საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასა და დაცვასთან, ავრთვით გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ამ კანონის მიღებამდე საქართველოს არ გააჩნდა საკანონმდებლო ბაზა ინტელექტუალური საკუთრების ამ მნიშვნელოვანი ობიექტების სამართლებრივი დაცვის სფეროში, მაშინ, როდესაც საქართველოში წარმოებული რამდენიმე ათეული ღვინის, მინერალური წყლისა თუ სხვა პროდუქციის დასახელება, თავისი არსით, ფაქტობრივად სწორედ ამ ობიექტებს წარმოადგენს.

წარმოშობის ადგილის სახელწოდებით საქონლის მონიშვნის გრადიცია სათავეს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იღებს. ეს აიხსნება მეწარმის ბუნებრივი სურვილით მიანიშნოს საქონლის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, რაც სწორედ ამ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკურობით არის განპირობებული. აქ აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, ასეთი სახის საქონლის მაღალმა ხარისხმა და რეპუტაციამ და, მეორე მხრივ, სპეციალური კანონების არარსებობამ წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბების გაუარყოფის პირობებში, გამოიწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილი სახელების უკონტროლო გამოყენება.

სწორედ ამგვარი ფალსიფიცირების მომღვაწეებამ აიძულა საურა-

გეთი 1919-სა და 1935 წლებში მიეღო სპეციალური კანონები ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის, რამაც შექმნა სამართლებრივი საფუძველი თითოეული დასახელების ღვინისათვის მკაცრად ყოფილიყო დადგენილი ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების პირობები და ადგილმდებარეობის ზუსტი ფარგლები. სწორედ კანონის მიღებამ მისცა უდიდესი ბიძგი საფრანგეთში ღვინოების, „შამპანურისა“ და „კონიაკის“ წარმოების აღმავლობას. შემდგომში ასეთი კანონები ამოქმედდა სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ ცნობილი ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების ეტიკეტს ახლავს სპეციალური წარწერა – პროდუქციის ადგილწარმოშობა კონგროლირება

ამეაშად საფრანგეთში, ისევე როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, ანალოგიური სისტემა მოქმედებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქტებისთვისაც.

ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა, ისევე როგორც სასაქონლო ნიშანი, გამოიყენება პროდუქციის მოსახსენებლად, მაგრამ თავისი არსით ისინი ძირითადად განსხვავებული ობიექტებია.

თუ სასაქონლო ნიშანი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებას შეადგენს და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობაშია დარეგულირება კერძო სამართლის პრეროგატივას განეკუთვნება, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებისა და გამოყენების ინსტიტუტები განეკუთვნება საჯარო სამართლის სფეროს.

საქვეყნო ცნობილი გეოგრაფიული სახელები: „კონიაკი“, „შამპანური“, „ბორდო“, „პილიზენი“, „პორტო“, „შავანა“, „შეფილდი“ და სხვ., ცალკეულ ქვეყნებში საერთო-ეროვნულ საკუთრებადაა მიჩნეული. ისინი ამ ქვეყნების კულტურის, ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანეს ელემენტებადაა აღიარებული და მათი გამოყენება სახელმწიფოებრივ რეგულირებას ექვემდებარება.

სწორედ ასეთებად უნდა იქცეს ჩვენში, კანონის შესაბამისად: „ხვანჭკარა“, „აგენური“, „წინანდალი“, „ალვანის ყველი“ და სხვა ცნობილი თუ დღეისათვის ნაკლებად ცნობილი გეოგრაფიული სახელები.

როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, გეოგრაფიული სახელების აღიარება ადგილწარმოშობის დასახელებად და გეოგრაფიულ აღნიშვნად რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი დაკავშირებულია პროლუქციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის სავარაუდო კავშირის მეცნიერულ დონეზე შესწავლასთან, გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების აქტიურ მონაწილეობასთან.

კანონის მიხედვით, ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის აღმნიშვნელი. გამონაკლის შემთხვევაში ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებულია მოცემულ გეოგრაფიულ ადგილზე წარმოქმნილი საქონლის მოსანიშნად, რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის უაქტორით. ამასთან, ამ პროლუქციის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

ადგილწარმოშობის დასახელებისაგან განსხვავებით, გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში პროლუქციის კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან შედარებით სუსტია. ამ დროს არ მოითხოვება, რომ ნედლეულის დამზადება, დამუშავება და წარმოება ხდებოდეს ერთსა და იმავე ადგილას, საკმარისია მხოლოდ ერთ-ერთი პირობის დაცვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი გადაწყვეტი უნდა იყოს საქონლის თვისებებისა და რეპუტაციის ფორმირებისას.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა საქართველოში ხდება „საქპატენტში“ მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის აღიარებისა და რეგისტრაციისათვის დაინგერესებულმა პირმა „საქპატენტში“ უნდა წარადგინოს სათანადო მასალები, რომლებშიც უნდა იყოს მონაცემები პროლუქციის განსაკუთრებული ხარისხისა და თვისებების შესახებ, ნიშან-თვისებების გეოგრაფიულ ადგილთან

ურთიერთკავშირის შესახებ, აგრეთვე წარმოების სპეციფიკური პირობებისა და ხერხების აღწერა (ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში). ამასთან, აღნიშნული მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ კვლევას და დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებების მქონე ორგანიზაციის მიერ.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საზოგადოებრივი აზრის გასათვალისწინებლად, წარმოდგენილი მასალები ქვეყნდება ინტელექტუალური საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ცენგრალურსა და ადგილობრივ პრესაში.

ადგილწარმოშობის დასახელებად და გეოგრაფიულ აღნიშვნად არ რეგისტრირდება ისეთი სახელი, რომელიც საქონლის გვარობით სახელად იქცა და, რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ, შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, გრადიციებსა და ზნეობრივ ნორმებს.

კანონის მიხედვით, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შემდეგ მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო მაკონგროლებელი ორგანოს მიერ რეესტრის მონაცემებთან წარმოების პირობებისა და წარმოებული პროდუქციის თვისებების შესაბამისობის დადგენილი წესითა და პერიოდულობით შემოწმების შემდეგ გაცემული ნებართვის საფუძველზე. შემოწმების წესი და პერიოდულობა განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით.

გარდა რეგისტრაციისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, მოხდება იმ ქვეყნების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, რომლებიც ურთიერთვალდებულების პრინციპის საფუძველზე, ანალოგიურ დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნებისათვის.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე, აკრძალულია: რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის

ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ისეთი საქონელთან ერთად, რომელზეც არ ვრცელდება რეგისტრაცია, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ისეთი გამოყენება, რაც სიგყვასიგყვით სწორად მიუთითებს საქონლის წარმოების, მისი ნედლეულის დამზადების ან დამუშავების ადგილზე, მაგრამ ქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის წარმოშობის შესახებ, ისეთი სახელის ან აღნიშვნის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის მიბაძვას, იმიტაციას თუნდაც თარგმანში, ან ისეთ სიგყვებთან ერთად, როგორცაა: „გიპის“, „სტილის“, „მსგავსი“, „ნაირი“ და „მეთოდით“ და ა.შ.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, როგორც ღვინისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნისათვის. იგი ქმნის სამართლებრივ ბაზას ჩვენს ქვეყანაში ელიტური, მაღალი ხარისხისა და ღირებულების პროდუქციის წარმოებისა და მისი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვისათვის.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს ეს კანონი უნდა გახდეს მძლავრი ბერკეტი ადგილზე საწარმოთა ფორმირებისა და განვითარებისათვის, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის.

კანონი ძალაშია 1999 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის გეოლოგიის შესახებ. ეს კანონი არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების სპეციფიკური ობიექტის – ინტეგრალური მიკროსქემის გეოლოგიის რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

ამ ობიექტის დაცვის აუცილებლობა წარმოიქმნა მიკრობომიანი მრავალელებიანი ნახევარგამგარული მოწყობილობების (ინტე-

გრაღური მიკროსქემების) გეჟნოლოგიების განვითარებასთან ერთად, როდესაც მიკროსქემების ელემენტთა განლაგება ხდება სივრცული სურათის – გოპოლოგიის საფუძველზე.

ინგეგრაღური მიკროსქემის გოპოლოგია საშუალებას იძლევა გავაუქოხრობოთ მიკროსქემის მახასიათებლები: გავზარდოთ სწრაფ-მოქმედება, შევამციროთ ზომები, მოხმარებული და გაბნეული ენერგია და სხვ. ინგეგრაღური მიკროსქემის გოპოლოგიის შექმნა დაკავშირებულია უზარმაზარ ინვესტიციებთან, მის შემუშავებაში შალაკვალიფიციურ სპეციალისტთა დიდი კოლექტივების მონაწილეობასთან.

კანონი ითვალისწინებს ინგეგრაღური მიკროსქემის გოპოლოგიის რეგისტრაციას და შესაბამისი მოწმობის გაცემას „საქპაგენგის“ მიერ, რითაც დასგურდება რეგისტრირებული გოპოლოგიის მულობრლის განსაკუთრებული უფლებები. განსაკუთრებული უფლებები ძალაშია 10 წლის განმავლობაში რეგისტრაციის თარიღიდან. გოპოლოგიის რეგისტრაციის უფლება ეძლევა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ორიგინალური გოპოლოგია, ე.ი. ისეთი, რომელიც შექმნილია შემოქმედებითი შრომის შედეგად და არ არის საყოველთაოდ ცნობილი განაცხადის შეგანის თარიღისათვის.

გოპოლოგიის ავგორად მიიხნევა ფიზიკური პირი, რომლის ინგელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გოპოლოგია.

მოწმობის მიღების უფლება აქვს ავგორს ან მის უფლებამონაცველს.

გოპოლოგიაზე, რომელიც შემუშავებულია სამსახურებრივი მიჯაღეობის შესრულებისას ან სპეციაღური დავაღების შედეგად, მოწმობის მიღებას უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ მათ შორის დაღებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მოითხოვოს დამატებითი ფარღი გასამრჯელო.

თუ გოპოლოგია შექმნილია სახელმწიფო დაკვეთით ან ორგანიმაციასა შორის დაღებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში, მოწმობის მიღების უფლება

განისაზღვრება დაკვეთის ან ხელშეკრულების პირობით.

მულობელის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება გოპოლოგიისა და მისი შემცველი მიკროსქემის ან მზა ნაკეთობის კომერციულ გამოყენებაზე, მათ შორის იმპორტზე.

გოპოლოგიის მულობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

– გოპოლოგიის ან მისი შემცველი ნაკეთობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის მოგების მიღების გარეშე, აგრეთვე ანალიზის, კვლევის ან სწავლების მიზნით;

– გოპოლოგიის მულობელის მიერ ან მისი თანხმობით გავრცელებული გოპოლოგიის მქონე ინტეგრალური მიკროსქემის ან მისი შემცველი ნაკეთობის შემდგომი გავრცელება;

– სხვა პირის მიერ რეგისტრირებული გოპოლოგიის გამოქვეყნებამდე დამოუკიდებლად შემუშავებული იდენტური ორიგინალური გოპოლოგიის გამოყენება;

– სხვა პირის მიერ გაუმჯობესებული გოპოლოგიის შექმნა ცნობილი გოპოლოგიის გამოკვლევის საფუძველზე, თუ ახლად შექმნილი გოპოლოგია აკმაყოფილებს ორიგინალობის მოთხოვნებს.

ისევე, როგორც პატენტების შემთხვევაში, დასაშვებია იძულებითი ლიცენზიის გაცემა გოპოლოგიაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია იგი ნაკარნახევი იყოს სახელმწიფო არაკომერციული ინტერესებით ან განპირობებული იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად მიმართული სასამართლოს ან ადმინისტრაციული აქტით.

განმცხადებელთან წარმოქმნილი დავების განსახილველად გათვალისწინებულია საპატენტო კანონის შესაბამისი ნორმების გამოყენება.

კანონი ინტეგრალური მიკროსქემის გოპოლოგიის შესახებ, ქმნის აუცილებელ სამართლებრივ პირობებს საქართველოში თანამედროვე ინტეგრალური მიკროსქემების ლეგალური იმპორტირებისა და მათი ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის.

კანონი ძალაშია 1999 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ. ეს კანონი აღგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშანი, ადვილწრმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა) უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ექსპორტთან ან იმპორტთან დაკავშირებულ სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებებს.

კანონი ითვალისწინებს სასამართლო განჩინების საუბეველზე სასწრაფო ზომების განსორციელებას ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების საეარაულო დარღვევით წარმოებული პროდუქციის საბაჟოზე შეჩერებისათვის. სასამართლოს მიერ უფლებების მულობელის სასარგებლოდ გამოგანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში საქონელი ექვემდებარება განადგურებას ან დადგენილი წესით განკარგვას.

კანონი ითვალისწინებს მოქსუსხის უფლებების დაცვას. სასამართლოს მიერ განჩინების გამოგანიდან 14 დღის ვადაში უფლების მულობელმა უნდა უზრუნველყოს სარჩელის შეგანა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი დაექვემდებარება გაშვებას. ამასთან ერთად სასამართლოს შეუძლია მოსარჩელეს დააკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც საქონლის შეჩერებით განიცადეს იმპორტიორმა, ექსპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან საქონლის მესაკუთრემ.

კანონით დადგენილი ნორმები პასუხობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ მოთხოვნებს.

კანონები, რომელთა შესახებ ზემოთ გექონდა საუბარი, ინტელექტუალური საკუთრების იმ სფეროს ეხებოდა, რომელსაც სამრეწველო საკუთრება წარმოადგენს. მეორე მნიშვნელოვანი სფერო არის საავტორო და მომიჯნავე უფლებები. ამ ნაწილის ფუნქციონირების საკითხი საავგნგოს „საპატენტთან“ მიერთების შესახებ, ამ დროისათვის უკვე გადაწყვეტილია.

1999 წელს საქართველოს პარლამენგმა მიიღო სპეციალური

კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. მისი მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები მეცნიერების, ლიგერაგურისა და ხელოვნების დარგში, აგრეთვე, ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული მსახიობ-შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებისაგან განსხვავებით, საავტორო უფლებები წარმოიქმნება ავტომატურად ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით. საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. თუშეა ზოგიერთი ობიექტისათვის დადგენილია სხვა ვადაც. რაც შეეხება მომიჯნავე უფლებებს, ისინი მოქმედებენ პირველი ჩაწერიდან, ვთერში პროგრამის პირველი გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები კი – მონაცემთა ბაზის დამზადებიდან 15 წლის განმავლობაში.

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლებაც. კანონი უზრუნველყოფს პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების დაცვას. კერძოდ, იგი აღგენს უფლებათა მფლობელის შესაძლებლობას მოითხოვოს დამრღვევისაგან: უფლების აღიარება, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა; ზარალის ანაზღაურება ან ზარალის ანაზღაურების ნაცვლად, იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევით.

სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ან ამოიღოს ყველა ის ეგზემპლარი, რომელთა მიმართაც არსებობს საუფლებლიანი ეჭვი, რომ ისინი კონგრათაქციული ეგზემპლარებია; აგრეთვე ასეთი ეგზემპლარების დასამზადებელი ყველა ის მასალა ან მოწყობილობა.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ ეყრდნობა

მსოფლიო საეაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ასპექტების შესახებ მოთხოვნებს სპეციალური სასამართლო ღონისძიებების თაობაზე.

კანონის მიხედვით, უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შეჩერება. 2001 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „სისხლის სამართლის კოდექსი“, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევისათვის.

აღსანიშნავია, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადგილწარმოშობის დასახელების, გეოგრაფიულ აღნიშვნისა და ინტელექტუალური მიკროსქემის გოპოლოგიაზე უფლებების დარღვევისათვის, რაც, ჩვენი აზრით, გამო-სწორებას მოითხოვს. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების მფლობელთა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის კიდეც ერთ საფუძველს ქმნის კანონი „კონკურენციისა და მონოპოლიური საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად“ ითვლება კონკურენციის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებური გამოყენება. კონკურენციის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება.

ამასთანავე კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს ანტიმონოპოლიურ სამსახურს აღმინისგრაციულად ჩაერთოს კონფლიქტის მოგვარებაში და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს აღმინისგრაციული ზომები ან მიმართოს სასამართლოს.

აქვე აღსანიშნავია, რომ „აღმინისგრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებულია ჯარიმა შრომის ანაზღაურების ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობაზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით, სხვისი სასაქონლო ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო

სახელწოდების ან საქონლის მარკირების უკანონო გამოყენებისათვის.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დარღვევის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქ. თბილისის პოლიციაში ინტელექტუალური საკუთრების სელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფილების შექმნაც. ბოლო წლების მუშაობის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევასთან ბრძოლის გარკვეული სამართლებრივი ბაზა და ინსტიტუციური სტრუქტურები. მაგრამ ჩვენში ამასთან დაკავშირებით არსებული ცოდნა და გამოცდილება სრულიად არასაკმარისია და ამ მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანობაც მცირეა.

ამ პრობლემის დაძლევისათვის საჭიროა ყველა დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციის, აგრეთვე, უფლებათა მფლობელების ძალისხმევის გაერსიანება და აქტიური მოქმედება.

მხოლოდ ერთიანი და კოორდინირებული საქმიანობით შეიძლება განხორციელდეს ამჟამად უკვე არსებული შესაძლებლობების სრული რეალიზება, მათი შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

VII თავი

ღანარში

§1. საქართველოს საპატენტო კანონი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს კანონი აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების – გამოგონებების, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშების შექმნასთან, მათს გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2

ამ კანონში გამოყენებულ გერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „საქპატენტი“ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი;

ბ) საერთაშორისო ბიურო – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო;

გ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

დ) საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება – 1970 წლის 19 ივნისს ხელმოწერილი, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება (შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს, ცვლილებები შეგანილია 1984 წლის 3 თებერვალს);

ე) სამრეწველო საკუთრების ობიექტი – გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში;

ვ) პატენტი – ამ კანონის შესაბამისად გაცემული დამცავი დოკუმენტი;

ბ) შემოგანილი პაგენტი – უცხოეთში დაპაგენტებულ გამოგონებაზე ამ კანონის შესაბამისად გაცემული პაგენტი;

თ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოიხსოვს პაგენტის მიღებას;

ი) განაცხადი – დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული, პაგენტის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა;

კ) საერთაშორისო განაცხადი – საპაგენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მოთხოვნით გაფორმებული და შეგანილი განაცხადი;

ლ) უორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა – საგანაცხადო მასალების სისრულის, გაფორმებისა და მათში აღწერილი ობიექტების ერთიანობის შემოწმება;

მ) პრიორიტეტი – უპირატესობა. რომლითაც სარგებლობს აღრე შეგანილი განაცხადი უფრო გვიან შეგანილის მიმართ;

ნ) საკონვენციო პრიორიტეტი – პრიორიტეტი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს განმცხადებელმა პარიზის კონვენციის სხვა მონაწილე ქვეყანაში პაგენტის, მიღების მიზნით განაცხადის მიწოდების შემთხვევაში და რომელიც ღვინდება პირველი განაცხადის შეგანის თარიღით, ამ კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად;

ო) საგამოფენო პრიორიტეტი – პრიორიტეტი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს განმცხადებელმა პარიზის კონვენციის სხვა მონაწილე ქვეყანაში პაგენტის მიღების მიზნით განაცხადის მიწოდების შემთხვევაში და, რომელიც ღვინდება ბემოაღნიშნული კონვენციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მინხეულ გამოფენაზე გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ექსპონირების თარიღით. ამ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად;

პ) პაგენტრწმუნებული – სამრეწველო საკუთრების სუეროში სხვისი სახელით მოქმედი „საქპაგენტში“ რეგისტრირებული პირი;

ჟ) დეპოზიტაროში – უფლებამოსილი ორგანიზაცია, სადაც ინახება ბიოლოგიური რეპროდუცირებადი მასალა.

მუხლი 3

გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე

გაიყემა პატენტი, რომელიც ადასტურებს ავტორობას და ანიჭებს პატენტის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე.

მუხლი 4

1. გამოგონების უცხოური პატენტის მფლობელის სახელზე შეიძლება გაიცეს შემოგანილი პატენტი.

2. შემოგანილი პატენტი გაიყემა უცხოეთში დაპატენტებულ იმ გამოგონებაზე, რომელზედაც ჩატარებულია ექსპერიმენტი პატენტუნარიანობის ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით.

3. შემოგანილი პატენტი პატენტმფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას გამოიყენოს, აწარმოოს, ან გაყიდოს პროდუქცია, მაგრამ არ აძლევს უფლებას აუკრძალოს მესამე პირს ასეთი პროდუქციის საზღვარგარეუიდან შემოგანა.

მუხლი 5

1. გამოგონების პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 20 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

2. შემოგანილი პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება უცხო ქვეყნის ძირითადი პატენტის მოქმედების ვალით, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

3. სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 8 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

4. სამრეწველო ნიმუშის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 15 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის დღიდან.

მუხლი 6

1. გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს გამოგონების ფორმულა.

2. სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს სასარგებლო მოდელის ფორმულა.

3. სამრეწველო ნიმუშის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს საკუთრივ ნიმუშის ან მის გამოსახულებაში წარმოდგენილი დამახასიათებელი არსებითი ნიშნების ერთობლიობა.

მუხლი 7

1. გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, რომლებიც შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაიდუმლოებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით, პატენტი გაიცემა მხოლოდ მათი გასაიდუმლოების შემდეგ, ამ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. განსაიდუმლოება დასაშვებია ორი წლის ვადით, რაც პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი ორი წლით.

3. საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი II

„საქპატენტი“

მუხლი 8

„საქპატენტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინგელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს.

მუხლი 9

„საქპატენტთან“ ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელიც განიხილავს ინგელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მოპოვების პროცედურასთან დაკავშირებულ დავას.

მუხლი 10

1. „საქპატენტის“ ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამგვიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. „საქპატენტს“ ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 11

1. „საქპაგენგის“ ფინანსური წყაროებია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადების ფორმალურ მოთხოვნებსა და არსობრივ ექსპერტიზასთან, ღამცავე ღოკუქმენგების გაცემასთან, რეგისტრაციასთან და ძალაში შენარჩუნებასთან, აქელაციასთან და ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დაღენილი წესით განსაზღვრული საუფსურები, ავრეთვე საინფორმაციო, საკონსულტაციო-კვლევითი და სხვა სახის მომსახურებით მიღებული შემოსავლები.

2. საუფსური და სხვა შემოსავალი ირიცება „საქპაგენგის“ ანგარიშზე, რომლებსაც განკარგავს მხოლოდ „საქპაგენგი“. „საქპაგენგის“ მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადაღის მომავალი წლის ანგარიშზე.

3. დასაშეებია „საქპაგენგისათვის“ სახსრების, მათ შორის, გრანტების დაღენილი წესით გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

4. „საქპაგენგი“ ყოველი წლის I დეკემბრისათვის აზზაღებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახული უნდა იყოს „საქპაგენგის“ ყველა ხარჯი და მისი დაფარვის წყარო.

5. „საქპაგენგის“ ბიუჯეტს ამტკიცებს „საქპაგენგის“ ცენერალური დირექტორი.

თავი III

პაგენგუნარიანობა

მუხლი 12

1. პაგენგით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პაგენგუნარიანია და აკმაყოფილებს სიასლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებალობის კრიტერიუმებს.

2. გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის გექნიკის არსებული დონით.

3. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ განაცხადის

შეგანის თარიღისათვის ან. თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი. ამ პრიორიტეტის თარიღისათვის, იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს გექნიკის არსებული ღონიდან.

4. გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

5. გექნიკის არსებულ ღონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა ვით განაცხადის შეგანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

6. გამოგონების სიახლის დადგენისას გექნიკის ღონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება „საქპატენტში“ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეგანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქეთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. სიახლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

7. საგამომგონებლო ღონის დადგენისას გექნიკის ღონეს არ მიეკუთვნება „საქპატენტში“ განსახილველად წარდგენილი განაცხადები გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე.

8. გექნიკის არსებული ღონით ცნობილი ნივთიერებები და ნარევეები შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად, თუ ისინი გამოიყენება აქამდე უცნობი დანიშნულებით.

მუხლი 13

1. პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. სასარგებლო მოდელი ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის გექნიკის არსებული ღონით.

3. სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს

მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

4. გექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ბეპირი აღწერით, ავრეთვე, საქართიველოში გამოყენებით და რომელიც შეეხება იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნიუთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეგანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

5. სასარგებლო მოდელის სიახლის დადგენისას, გექნიკის დონეს სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება „საქპატენტში“ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეგანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქეთ უფრო აღრინდელი პრიორიტეტი. სიახლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

მუხლი 14

1. პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სამრეწველო ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ კარგან სახეს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. სამრეწველო ნიმუში ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ნაკეთობის ესთეტიკურ თავისებურებებს, საყოველთაოდ არ არის ცნობილი წერილობით, ბეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა ვზით „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

3. სამრეწველო ნიმუშის სიახლის დადგენისას მხედველობაში მიიღება „საქპატენტში“ შეგანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქეთ უფრო აღრინდელი პრიორიტეტი.

4. სამრეწველო ნიმუში სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი მრავალჯერადი დამზადება.

მუხლი 15

ინფორმაციის გახსნა გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ავტორის მიერ (ან სხვა პირის მიერ, რომელსაც განაცხადის შეგანის თარიღისათვის პატენტის მიღების უფლება აქვს, ან მესამე პირის მიერ, რომლისთვისაც ეს ინფორმაცია ავტორისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ხელმისაწვდომი გახდა), რაც სხვა შემთხვევაში იმოქმედებდა განაცხადში წარმოდგენილი ობიექტის პატენტუნარიანობაზე, არ მოახდენს გავლენას:

ა) გამოგონების პატენტუნარიანობაზე, თუ ინფორმაცია გახსნილია 12 თვის განმავლობაში მასზე განაცხადის შეგანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე;

ბ) სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის პატენტუნარიანობაზე, თუ ინფორმაცია გახსნილია 6 თვის განმავლობაში მათზე განაცხადის შეგანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

მუხლი 16

გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა:

- ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
 - ბ) მსაგვრული კონსტრუირების შედეგი;
 - გ) ალგორითმები და პროგრამები გამომთვლელი მანქანებისათვის;
 - დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების წესები;
 - ე) მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;
 - ვ) ნაგებობათა, შენობათა, გერიგორიათა და გეგმარების პროექტი და სქემა;
 - ზ) ინფორმაციის წარდგენა,
- თუ განაცხადში წარმოდგენილია ამ მუხლის „ა-ზ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ობიექტები.

მუხლი 17

პატენტი არ გაიყვანება:

ა) გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც იწვევს არაპუბლიკურ, ამორალურ და/ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებას;

ბ) გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მეურნეობის ქირურგიულ, თერაპიულ და დიაგნოსტიკურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მოწყობილობებზე, ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ ხერხებში;

გ) გამოგონებაზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხებით მიღებულ პროდუქტებზე;

დ) სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს, მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს, ქიმიური ხერხით მიღებულ ნივთიერებებს;

ე) სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც ეხება:

ე-ა) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგან სახეს, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;

ე-ბ) ოსევალი, აირისებრი, ფხვიერი და სხვა არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებს;

ე-გ) ნაკეთობებს, რომელთა გარეგანი სახე განპირობებულია არსებითი ნიშნების მხოლოდ გეჟნიკური ან ფუნქციური დანიშნულებით;

ე-დ) უშუალოდ ნაბეჭდ პროდუქციას.

თავი IV

ავტორი და პატენტმფლობელი

მუხლი 18

1. გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში.

2. ავტორობა უვადოდ დაცული განუსხვისებელი უფლებაა.

3. თუ ავტორი მოითხოვს, „საქპატენტი“ ვალდებულია არ გამოაქვეყნოს მისი სახელი.

4. თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში შეიქმნა რამდენიმე პირის ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად, თითოეული მათგანი მიიჩნევა თანაავტორად.

5. ურთიერთობანი თანაავტორთა შორის განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 19

1. პატენტის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს.

2. რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა ავტორს ერთობლივად, ასევე ცალკეულ მათგანს სხვა დანარჩენი ავტორების მიერ პატენტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 20

1. მუშაკის მიერ შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან და რომელიც ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობას, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ პატენტი სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მაშინ მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე,

სამუშაოს მიმცემისაგან დამატებით მიიღოს გამოგონების გამოყენების უარდი გასამრჯელო.

2. თუ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შექმნა დაკავშირებული არ არის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის მუშაკს. ამ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემს განაცხადის შეგანის დღიდან ეკუთვნის ლიცენზიისა და პატენტის შესყიდვის უპირატესი უფლება.

3. თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში შექმნილია სახელმწიფო დაკვეთით ან ორგანიზაციითა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში, პატენტის მიღების უფლება განისაზღვრება დაკვეთის ან ხელშეკრულების პირობით.

მუხლი 21

1. მუშაკი ვალდებულია სამუშაოს მიმცემს დაუყოვნებლივ შეაგყოფინოს წერილობით მის მიერ შექმნილი გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ.

2. თუ სამუშაოს მიმცემი, რომელსაც მუშაკმა აცნობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან დავალებასთან დაკავშირებით შექმნილი გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ, შეგყოფინების მიღების დღიდან სამი თვის განმავლობაში „საქპატენტში“ არ წარადგენს განაცხადს, მაშინ მუშაკს უფლება აქვს თვითონ მიიღოს პატენტი.

მუხლი 22

1. თუ „საქპატენტში“ ერთსა და იმავე გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე სხვადასხვა დროს არის წარდგენილი ორი ან რამდენიმე განაცხადი, პატენტი გაიცემა პირველ განმცხადებელზე.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადები „საქპატენტში“ ერთსა და იმავე დღეს არის წარდგენილი, პატენტი გაიცემა განმცხადებელთა შეთანხმებაში მითითებულ პირზე

(პირებზე). თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, პაგენგის გაცემის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

თავი V განაცხადის წარდგენა

მუხლი 23

1. განაცხადს „საქპაგენგში“ წარადგენს ავგორი, სამუშაოს მიმცემი ან მათი უფლებამონაცვლე.

2. თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში ორი ან მეტი პირის ერთობლივი (თანაბიარი) შემოქმედებითი შრომის შედეგად არის შექმნილი, ისინი განაცხადს ერთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთობლივად წარადგენენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა თითოეული მათგანის შემოქმედებითი წილი გამოგონების შექმნაში განსხვავებულია.

3. თუ რომელიმე ავგორი უარს ამბობს განაცხადის შეგანაზე, განაცხადის წარდგენის უფლება ენიჭება დანარჩენ ავგორებს.

4. განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს პაგენგრწმუნებულის მეშვეობით.

5. განაცხადის წარდგენა ხდება „საქპაგენგში“ საგანაცხადო მასალების უშუალოდ შეგანით ან სხვა გზით.

მუხლი 24

1. განაცხადი გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პაგენგის მისაღებად უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადებას პაგენგის მიღების თაობაზე, რომელშიც მითითებულია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ავგორი და ის პირი, რომელიც მოითხოვს პაგენგის მიღებას;

ბ) გამოგონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობას;

გ) გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულას;

დ) ნახაზებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად;

ე) რეუერაგს, რომელიც არ გამოიყენება გექნიკის ღონის დასა-
დგენად და მას მხოლოდ საინჟინერინგო ხასიათი აქვს;

ვ) სხვა ლოკუმენტებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან
სასარგებლო მოდელის ასახსნელად.

2. განაცხადი სამრეწველო ნიმუშის პატენტის მისაღებად უნდა
შეიცავდეს:

ა) განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე, რომელშიც მითითე-
ბულია სამრეწველო ნიმუშის ავტორი და ის პირი, რომელიც მოითხოვს
პატენტის მიღებას;

ბ) სამრეწველო ნიმუშის გამოსახულებას ან თვით ნიმუშის
ნაკეთობას;

გ) აუცილებლობისას სამრეწველო ნიმუშის აღწერილობას,
ნახაზებს და სხვა მასალებს.

მუხლი 25

1. ყოველ განაცხადს „საქპატენტში“ წარდგენის დღიდან ერთი
თვის განმავლობაში უნდა დაერთოს ფორმალური მოთხოვნების
ექსპერტიზისათვის დადგენილი საუფასურის გადახდის დამადასტურებელი
საბუთი.

2. თუ განაცხადი წარდგენილია პატენტრწმუნებულის მეშვეობით,
საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეგანის დღიდან ერთი თვის
განმავლობაში უნდა დაერთოს განმცხადებლის მიერ გაცემული
მინდობილობა.

3. თუ განაცხადი წარდგენილია ავტორის უფლებამონაცვლის მიერ,
საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეგანის დღიდან ერთი თვის
განმავლობაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურ-
ებელი საბუთი.

მუხლი 26

1. განცხადება პატენტის მიღების თაობაზე წარდგენილი უნდა იყოს
სახელმწიფო ენაზე, სხვა საგანაცხადო მასალები – ნებისმიერ ენაზე.

2. „საქპატენტში“ საგანაცხადო მასალების სხვა ენაზე წარდგენის
შემთხვევაში განმცხადებელმა მიწოდების დღიდან ორი თვის განმავ-

ლობაში უნდა უზრუნველყოს ქართული თარგმანის წარდგენა.

3. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა წარდგენილი უნდა იქნეს დადგენილი წესით და ისეთი სისრულით, რომ შესაბამისი დარგის სპეციალისტისათვის შესაძლებელი იყოს მისი განსორციელება.

4. თუ განაცხადი ეხება ბიოლოგიურ რეპროდუცირებად მასალას, რომელიც შეუძლებელია აღიწეროს განაცხადში ისეთი სისრულით, რომ სპეციალისტისათვის ცხადი იყოს მისი განსორციელების შესაძლებლობა ან, თუ ეს ბიოლოგიური მასალა არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დეპონირების მიერ გაცემული ბიოლოგიური მასალის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის ფორმულა შედგენილი უნდა იყოს დადგენილი წესით, უნდა ასახავდეს მის არსს და ეფუძნებოდეს აღწერილობას. გამოგონების ფორმულა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე მუხლისაგან. სასარგებლო მოდელის ფორმულა უნდა შედგებოდეს ერთი მუხლისაგან.

6. სამრეწველო ნიმუშის გამოსახულება უნდა იძლეოდეს გარეგანი სახის სრულ და დეტალურ წარმოდგენას.

7. სამრეწველო ნიმუშის აღწერილობა უნდა შეიცავდეს მისთვის დამახასიათებელ არსებით ნიშნებს.

მუხლი 27

განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილი იქნება შემდეგი მასალები:

ა) გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე – განცხადება პატენტის მისაღებად, აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები, თუ ისინი აუცილებელია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად;

ბ) სამრეწველო ნიმუშზე – განცხადება პატენტის მისაღებად, სამრეწველო ნიმუშის გამოსახულება ან ნაკეთობა.

მუხლი 28

1. განაცხადი გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთი საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს.

2. განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ სამრეწველო ნიმუშს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ნაკეთობას (ვარიანტს), ნაკეთობათა ნაკრებს (კომპლექტს), თუ ისინი გაერთიანებულია ერთი მხაგვრულ-კონსტრუქციული იდეით.

მუხლი 29

1. განმცხადებელს უწევს აქვს:

ა) დაყოს წარდგენილი განაცხადი მასში შემავალ ნაწილებად და წარადგინოს გამოცალკევებული განაცხადი;

ბ) შეცვალოს წარდგენილი განაცხადის აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები;

გ) გარდაქმნას განაცხადი გამოგონებაზე განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა-ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამოცალკევებული განაცხადის საგანსა და ცვლილებებს უნდა შეიცავდეს აღრე წარდგენილი განაცხადი. ამ პირობით მას უნარჩუნდება აღრე შეგანილი განაცხადის შეგანის თარიღი.

3. გამოცალკევებული განაცხადის წარდგენა, ცვლილების შეგანა და განაცხადის გარდაქმნა დასაშვებია პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების გამოგანაძღე.

მუხლი 30

1. განმცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი გამოგონებასა ან სასარგებლო მოდელზე წარადგინოს „საქპატენტში“ პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში აღრე შეგანილი განაცხადის შეგანის თარიღიდან თორმეტი, ხოლო სამრეწველო ნიმუშზე – ექვსი თვის განმავლობაში.

2. განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოყენო

პრიორიტეტი, ვალდებულია განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე წარადგინოს „საქპატენტში“ პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ექსპონირების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. საგამოფენო და საკონვენციო პრიორიტეტი ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.

3. თუ განმცხადებელმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო აღნიშნულ ვალებში ვერ შეძლო განაცხადის შეგანა „საქპატენტში“ საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ორი თვით.

4. განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის უფლებით, ამის შესახებ უნდა მიუთითოს „საქპატენტში“ განაცხადის წარდგენისთანავე ან განაცხადის წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში და თან დაურთოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი, ან წარადგინოს იგი „საქპატენტში“ საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

5. პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს:

ა) დამატებითი მასალების წარდგენის თარიღით, თუ განმცხადებელმა ისინი გააფორმა დამოუკიდებელი განაცხადის სახით და წარადგინა „საქპატენტში“ სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მიიღო შეტყობინება, რომ დამატებითი მასალები არ მიიღება მხედველობაში, რადგან ისინი ცვლიან განცხადებული ობიექტის არსს;

ბ) „საქპატენტში“ იმავე განმცხადებლის უფრო ადრინდელი განაცხადის შეგანის თარიღით, რომელშიც გახსნილია ამ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის არსი, თუ განაცხადი, რომლითაც მოითხოვება ასეთი პრიორიტეტი, შეეცადა გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეგანის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ხოლო სამრეწველო ნიმუშზე

უფრო აღრინდელი განაცხადის შეგანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, უფრო აღრინდელი განაცხადი ვაგანსილად ითვლება;

გ) აღრე შეგანილი რამდენიმე განაცხადის საფუძველზე, ყოველი მათგანისათვის ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირობების დაკვიით.

6. პრიორიტეტი არ დადგინდება იმ განაცხადის შეგანის თარიღით, რომელზედაც უკვე მოთხოვნილია უფრო აღრინდელი პრიორიტეტი და რომელზედაც საქმის წარმოება შეწყდა.

მუხლი 31

1. საქართველოში შექმნილ გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე განაცხადის უცხო ქვეყნის საპატენტო უწყებაში წარდგენამდე, განმცხადებელი ვალდებულია შეიგანოს განაცხადი „საქპატენტში“ და სისოვოს მას უცხო ქვეყანაში დაპატენტების ნებართვა.

2. „საქპატენტი“ ვალდებულია ექვსი თვის განმავლობაში აცნობოს განმცხადებელს თავისი გადაწყვეტილება გამოგონების ან სასარგებლო მოდელის უცხო ქვეყანაში დაპატენტების თაობაზე. თუ ამ ვალაში განმცხადებელს გადაწყვეტილება არ ეცნობა, მას შეუძლია წარადგინოს განაცხადი უცხო ქვეყანაში დასაპატენტებლად.

თაი VI

საპატენტო ექსპერტიზა და პატენტის ვაცემა

მუხლი 32

1. „საქპატენტი“ აგარებს საპატენტო ექსპერტიზას, რის საფუძველზედაც გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის ვაცემის თაობაზე.

2. ექსპერტიზის მსვლელობისას „საქპატენტს“ შეუძლია მითისოვოს განმცხადებლისაგან დამატებითი მასალის წარდგენა ან განაცხადში ცვლილების შეგანა, რომელთა ვარეშე შეუძლებელია განაცხადის ვანსილვის ვავრძელება.

მუხლი 33

1. „საქპაგენტი“ წარდგენილი განაცხადის შეგანის თარიღს უორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საუფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემთხვევაში ადასტურებს ერთი თვის ვადაში.

2. თუ გამოვლინდა, რომ წარდგენილ განაცხადს აკლია ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საგანაცხადო მასალა, „საქპაგენტი“ განმცხადებელს სთხოვს აღნიშნული მასალების წარდგენას შეტყობინების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

3. თუ განმცხადებელი შეასრულებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, მაშინ განაცხადის შეგანის თარიღად ჩაითვლება აღნიშნული მოთხოვნის შესრულების თარიღი. თუ განმცხადებელი ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, განაცხადი შეგანილად არ ჩაითვლება.

4. თუ გამოვონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობაში მითითებულია ნახაზები, რომლებიც არ იყო წარდგენილი განაცხადში, „საქპაგენტი“ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მოითხოვს განმცხადებლისაგან მათს წარდგენას. თუ განმცხადებელი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეასრულებს ამ მოთხოვნას, მაშინ განაცხადის შეგანის თარიღად ჩაითვლება აღნიშნული ნახაზების მიღების დღე. თუ განმცხადებელი ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, განაცხადის შეგანის თარიღად ჩაითვლება განაცხადის მიღების თარიღი, ხოლო ნებისმიერი აღნიშვნა ნახაზებზე ამოღებულად ჩაითვლება.

მუხლი 34

1. უორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა გარდება განაცხადის შეგანის თარიღის დადასტურების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

2. განაცხადზე საქმის წარმოება წყდება, თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს უორმალური ექსპერტიზის მოთხოვნებს.

მუხლი 35

1. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი გამოვონებაზე აკმაყოფილებს უორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, „საქპაგენტი“ აწარმოებს კვლევას განაცხადში აღწერილი გამოვონების გექნიკის ღონის დასა-

დგენად, რის საფუძველზედაც აგარებს სიახლის ექსპერტიზას და აღგენს ლოკუმენტურ დასკვნას.

2. „საქპაგენტი“ დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდისას უზრუნველყოფს კელევის ჩაგარებას ექვსი თვის განმავლობაში.

3. განაცხადი გამოგონებაზე, რომელზედაც განმცხადებელმა არ გადაიხადა კელევისათვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური, განიხილება როგორც განაცხადი სასარგებლო მოდელზე.

მუსლი 36

1. „საქპაგენტი“ უგზავნის განმცხადებელს ლოკუმენტურ დასკვნას ტექნიკის ღონის შესახებ. განმცხადებელს შეუძლია დასკვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში წარადგინოს „საქპაგენტში“ გამოგონების უორმულის ახალი რედაქცია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გამოგონების აღწერილობის არსობრივ ფარგლებს. ან წარადგინოს წერილობითი პასუხი.

2. თუ ლოკუმენტური დასკვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში განმცხადებელმა არ წარადგინა შესწორება ან დასაბუთებული შეპასუხება და განაცხადი აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმის მოთხოვნებს, „საქპაგენტს“ გამოაქვს წინასწარი გადაწყვეტილება გამოგონების პატენტის გაცემის თაობაზე.

მუსლი 37

1. გამოგონების პატენტის გაცემის თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდისას „საქპაგენტი“ აქვეყნებს მონაცემებს საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში - ბიულეტენი) და გამოფენს საგანაცხადო მასალებს გასაცნობად.

2. ბიულეტენში მონაცემების გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში დაინტერესებულ პირს, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, შეუძლია „საქპაგენტში“ შეიგანოს პატენტუნარიანობის კრიტერიუმების უარყოფასთან დაკავშირებული დასაბუთებული შედეგება პატენტის გაცემის თაობაზე.

3. „საქპაგენტი“ მესამე პირის მიერ ამ ვადაში წარდგენილ შედეგების მასალებს უგზავნის განმცხადებელს, რომელსაც შეუძლია ორი თვის განმავლობაში წარუდგინოს „საქპაგენტს“ წერილობითი პასუხი ან შეცვალოს გამოგონების ფორმულა.

4. თუ განმცხადებელმა ამ ვადაში არ წარადგინა „საქპაგენტში“ დასაბუთებული შეპასუხება ან არ შეიტანა ცვლილება გამოგონების ფორმულაში, „საქპაგენტი“ ორი თვის ვადაში განიხილავს მესამე პირის შედეგებს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე.

მუხლი 38

1. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი სასარგებლო მოდელზე აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, „საქპაგენტი“ ერთი თვის განმავლობაში აგარებს ექსპერტიზას სიახლეზე მის მიერ რეგისტრირებული განაცხადებისა და გაცემული პატენტების გათვალისწინებით.

2. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი სასარგებლო მოდელზე აკმაყოფილებს სიახლის ექსპერტიზის მოთხოვნებს, „საქპაგენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემის თაობაზე.

მუხლი 39

თუ დადასტურდა, რომ განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, მაშინ „საქპაგენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.

მუხლი 40

„საქპაგენტი“ გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის პატენტის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში აქვეყნებს მონაცემებს ბიულეტენში. გარდა ამისა, „საქპაგენტი“ აქვეყნებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობას.

მუხლი 41

1. პატენტის გაცემის თაობაზე მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ,

დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, „საქპაგენტი“ ახორციელებს გამოვონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციას სამრეწველო საკუთრების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) და ვასცემს პაგენტს.

2. პაგენტის ფორმას და რეესტრში შესაგან მონაცემებს ადგენს „საქპაგენტი“.

3. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით გაეცნოს რეესტრს.

4. პაგენტის ძალაში შესანარჩუნებლად გადაიხლება დადგენილი წესით განსაზღვრული წლიური საფასური.

მუხლი 42

1. „საქპაგენტს“ გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება გამოვონებისა და სასარგებლო მოდელის პაგენტის ვაცემის თაობაზე ძილიანად ან მათ ნაწილზე, თუ განაცხადი:

ა) ეხება ისეთი ობიექტებს, რომლებიც ამ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად არ მიიჩნევა გამოვონებად და სასარგებლო მოდელად;

ბ) ეხება გამოვონებასა და სასარგებლო მოდელს, რომლებზედაც ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად პაგენტი არ ვაცივდა;

გ) არ აკმაყოფილებს სიახლეზე პაგენტუნარიანობის მითხოვნების კრიტერიუმს;

დ) არ აკმაყოფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მითხოვნებს;

ე) შეიცავს ფორმულას, რომელიც არ გამოძღინარეობს აღწერილობიდან;

ვ) თავისი აღწერილობითა და ფორმულით არ იძლევა ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული კვლევის ჩატარების შესაძლებლობას;

ზ) შეიცავს ერთი დამოუკიდებელი მუხლით წარმოდგენილი გეომეტრიკონების ფორმულას, რომელშიც აღწერილია ერთზე მეტი გეომეტრიკონი და რომელიც არ იქნა დაყოფილი „საქპაგენტის“ მითხოვნათ ან განმცხადებლის ინიციატივით;

თ) ეხება გამოვონების პირველადი აღწერილობიდან გეომეტრიკონ-

კევებულ განაცხადს, რომლის არსი არ არის მოცემული პირველადს აღწერილობაში.

2. თუ უარყოფითი გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ განაცხადის ნაწილს, მაშინ ფორმულის შესაბამისი მუხლები ამოიღება.

მუხლი 43

„საქპატენტის“ გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება სამრეწველო ნიმუშის პატენტის გაცემის თაობაზე, თუ განაცხადი ეხება ისეთ ნიმუშს, რომელზედაც ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად პატენტი არ გაიცემა.

მუხლი 44

განაცხადზე საქმის წარმოება წყდება დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურების გადაუსდებლობის შემთხვევაში.

მუხლი 45

განმცხადებელს უფლება აქვს გამოქვეყნებამდე გამოითხოვოს განაცხადი.

მუხლი 46

1. განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს პროცედურული ვადების გაგრძელება დადგენილი წესით.

2. განმცხადებელს, მის მიერ პროცედურული ვადების დარღვევის შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს „საქპატენტისაგან“ ამ ვადების აღდგენა დადგენილი წესით.

მუხლი 47

1. პატენტზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, საპატენტო ექსპერტიზის პროცედურული, პატენტის გაცემის, ძალაში შესანარჩუნებელი წლიური და სხვა იურიდიული მნიშვნელობის ქმედებებისათვის გადაიხდება საფასური. საფასურის ოდენობა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება დადგენილი წესით.

2. დასაშვებია საფასურების გადასინჯვა საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

საპატენტო უფლებებით სარგებლობის უარვალები

მუხლი 48

1. პატენტმფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, დაამზადოს პატენტით დაცული პროდუქტი, ჩართოს ობიექტი სამოქალაქო ბრუნვაში, მისი გამოყენებით მიიღოს შემოსავალი ან აკრძალოს აღნიშნული ქმედებები.

2. პატენტმფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს გამოგონებას, სასარგებლო მოდელს, სამრეწველო ნიმუშს. მას შეუძლია გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი, დადგენილი წესით გასცეს ლიცენზია.

მუხლი 49

თუ პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება პატენტზე, რომლის საგანია ახალი პროდუქტის მიღების ხერხი, მაშინ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე სხვა პირის მიერ დამზადებული ნებისმიერი მსგავსი პროდუქტი ითვლება ამ ხერხით მიღებულად.

მუხლი 50

თუ პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია, მაშინ:

ა) პატენტის გასხვისება ან ლიცენზიის გაცემა ნებადართულია მხოლოდ ყველა პატენტმფლობელის თანხმობით;

ბ) პატენტმფლობელს უფლება აქვს პატენტით დაცული ობიექტი გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში სხვა პატენტმფლობელთან თანხმობის გარეშე.

მუხლი 51

განაცხადის გამოქვეყნების დღიდან პატენტის გაცემამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რაც მას მინიჭებული ექნებოდა პატენტით. თუ პატენტი არ იქნა გაცემული, მაშინ აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მიაჩნევა.

მუხლი 52

პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიხსნევა:

ა) პატენტმფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;

ბ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის კერძო წესით გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს;

გ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება რომელიმე ქვეყნის საზღვაო სომალდზე, საფრენ ან სასმელეთო საგრანსპორტო საშუალებებზე, მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით ან დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ საგრანსპორტო საშუალებებზე და არა მეწარმეობისათვის;

დ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვა საგანგებო ვითარების დროს.

მუხლი 53

თუ რომელიმე პირი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე „საქპატენტი“ განაცხადის შეგანის თარიღამდე, ან იმ პირველი განაცხადის შეგანის თარიღამდე, რომელიც პარიზის კონვენციით დადგენილი პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველია, კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით, სასარგებლო მოდელით ან სამრეწველო ნიმუშით, ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი პატენტის მოქმედების მიუხედავად (წინათსარგებლობის უფლება).

მუხლი 54

1. პატენტმფლობელის მიერ წლიური საფასურის გადაუხდელობა

იწვევს პატენტის მოქმედების შეწყვეტას.

2. თუ პატენტგმულობელმა საპატენტო მიზეზით არ გადაიხადა წლიური საფასური, მას უფლება აქვს შეამდგომლობა ალდრას „საქპატენტის“ წინაშე პატენტის მოქმედების აღდგენის თაობაზე.

3. შეამდგომლობა აღიძვრება საში თვის განმავლობაში დადგენილი საშეღავათო ვადის გასვლის შემდეგაც და გადაწყვეტილება აღდგენის შესახებ შეიგანება რეესტრში.

4. პატენტის მოქმედების აღდგენის შესახებ დადებით გადაწყვეტილების გამოგანისას პატენტი აღდგენილად ჩაითვლება, თუ აღნიშნული გადაწყვეტილების გამოგანიდან საში თვის განმავლობაში გადახდილი იქნება წლიური საფასური.

მუხლი 55

ნებისმიერ პირს, რომელმაც საქართველოს გერიტორიაზე პატენტის ძალის დაკარგვის დღიდან მის აღდგენამდე კეთილსინდისიერად გამოიყენა ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები იმ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენებისათვის, რომელიც პატენტის საგანს შეადგენს, უფლება აქვს განაგრძოს მისი გამოყენება მეწარმეობისათვის. ამ უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ საწარმოსთან ერთად (შემდგომსარგებლობის უფლება).

მუხლი 56

პატენტი ძალას კარგავს „საქპატენტში“ პატენტგმულობელის მიერ საკუთარ პატენტზე წერილობითი უარის შეგანის შემთხვევაში.

მუხლი 57

1. პატენტი უქმდება, თუ დადგინდა, რომ:

ა) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;

ბ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;

გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზედაც, ამ კანონის თანახმად, პატენტი არ გაიყვება;

დ) პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითაც დადგინდა პრიორიტეტი, ან პატენტი გაცემულია გამოცალკევებული განაცხადის საუბუქველზე და მისი საგანი სცილდება პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;

ე) თუ პატენტმფლობელს არ ჰქონდა უფლება პატენტზე ამ კანონის მე-20 ან 21-ე მუხლების შესაბამისად.

2. პატენტმფლობელის მიერ შემოგანილი პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის ვაცემიდან სამი წლის განმავლობაში იწვევს შემოგანილი პატენტის გაუქმებას, ამასთან, გამოყენებად არ ჩაითვლება შემოგანილი პატენტით დაცული გამოგონების საუბუქველზე დამზადებული პროდუქციის იმპორტი საქართველოში.

მუხლი 58

პატენტის სრულ ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას უკუქცევითი ძალა აქვს პატენტზე განაცხადის შეგანის თარიღიდან.

თავი VIII

ლიცენზია გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის გამოყენებაზე

მუხლი 59

1. პატენტის მფლობელს ან მის უფლებამონაცვლეს (ლიცენზიარი) უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე (ლიცენზიატი) ლიცენზია.

2. ლიცენზია შეიძლება იყოს მარტივი ან განსაკუთრებული.

3. მარტივი ლიცენზია ლიცენზიარს უგოვებს პატენტიდან გამომდინარე ყველა უფლებას.

4. განსაკუთრებული ლიცენზია ლიცენზიარს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიების ვაცემის უფლებას.

მუხლი 60

1. პატენტმფლობელს ან მის უფლებამონაცვლეს შეუძლია გამოაცხადოს ღია ლიცენზირების რეჟიმი და თხოვნით მიმართოს

„საქპაგენგს“ რეესტრში შესაბამისი ჩაწერის შეგანის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ პაგენგზე, რომელზედაც ცხადდება ღია ლიცენზია, არ არის გაცემული განსაკუთრებული ლიცენზია.

2. ღია ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი.

3. ღია ლიცენზირების რეჟიმი უფლებას აძლევს ნებისმიერ პირს გამოიყენოს პაგენგი პაგენგმულობელთან შეთანხმებული პირობებით. თუ შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება, გამოყენების პირობებს ადგენს სასამართლო.

4. ღია ლიცენზირების რეჟიმის გამოცხადებისას საპროცედურო საუფასურის თანხა ორჯერ მცირდება.

5. პაგენგმულობელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს „საქ-პაგენგს“ ღია ლიცენზირების რეჟიმის გაუქმების თაობაზე. თუ სალიცენზიო ხელშეკრულება არ დადებულია ან აღარ მოქმედებს, ან ლიცენზიის ყველა მულობელი თანახმაა, მაშინ „საქპაგენგი“ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

მუხლი 61

1. გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეიძლება გაიცეს იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია. იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია გაიცემა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული იძულებითი ლიცენზიების კომისიის გადაწყვეტილებით.

2. იძულებითი ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი. იგი გაიცემა პაგენგის გაცემის თარიღიდან ოთხი წლის შემდეგ, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

3. იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნა, რაც აუცილებელია სამოგადობრივი საჭიროებისათვის, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გემოთ აღნიშნული ვადის განმავლობაში გამოგონება ან სასარგებლო მოდელი არ გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ან გამოიყენებოდა არასაკმარისად, აგრეთვე, თუ შეუძლებელია მათი გამოყენება სხვა, უფრო ადრინდელი პაგენგის დარღვევის გარეშე.

4. იძულებითი ლიცენზია შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე დაინტერესებული პირი ცდილობდა ნებარ-

თვის მიღებას პატენტმფლობელისაგან ან მისი უფლებამონაცვლისაგან გონივრული პირობებით და გონივრულ ვადაში, მაგრამ მისი მსდვლობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

5. ოფიციალური ლიცენზია, იძულებითი ლიცენზიის ნაირსახეობა და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით, თუ დასაბუთებულ იქნა ეროვნული თავდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებისათვის პატენტის გამოყენების აუცილებლობა. ოფიციალური ლიცენზია შეიძლება გაიცეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ოთხწლიანი ვადის გასვლაამდე.

6. ოფიციალური ლიცენზიის გაცემა პატენტმფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის თხოვნით შეიძლება გადაიდოს, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით, იმ პირობით, რომ პატენტმფლობელი იკისრებს საკუთარი წარმოებით დააკმაყოფილოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნილება.

7. პატენტის გამოყენება ოფიციალური ლიცენზიის საფუძველზე შეიძლება განახორციელოს როგორც სახელმწიფომ, ისე კერძო პირმა, რომელსაც დაასახელებს ლიცენზიის გაცემის მომთხოვნი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ან სასამართლო.

8. ოფიციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებით ღვინდება მისი გამოყენების სფერო, მოქმედების ვადა, ლიცენზიარისა და ლიცენზიაგის უფლება-მოვალეობანი და ანაზღაურების ოღენობა.

მუხლი 62

1. სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით. იგი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაგარდეს „საქპატენტში“ ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

2. ლიცენზიაში შეგანილი არსებითი ცვლილებები მხარეთა სურვილით შეიძლება დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაგარდეს „საქპატენტში“ ამ ცვლილებების შეგანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. მონაცემები გაცემული ლიცენზიისა და მათში ცვლილებების შეგანის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

თავი LX

გამომგონებელთა შეღავათები და პრივილეგიები

მუხლი 63

1. გამოგონების ავტორს განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს გამოგონებას მიაკუთვნოს თავისი სახელი ან სპეციალური დასახელება.

2. საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების შუამდგომლობის საფუძველზე განმცხადებელი შეიძლება ვათავისუფლდეს საფასურის გადახდისაგან, გარდა პატენტის ძალაში შესანარჩუნებელი წლიური საფასურისა.

მუხლი 64

გამომგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ავტორებისათვის სხვა შეღავათები და პრივილეგიები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი X

პატენტრწმუნებული

მუხლი 65

1. პირი, რომელსაც საქართველოს გერიტორიაზე არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირი, ან მისი წარმომადგენელი „საქპატენტთან“ ურთიერთობას წარმართავს რეგისტრირებული პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

2. პატენტრწმუნებულის უფლებამოსილება დასტურდება განმცხადებლის მიერ გაცემული მინდობილობით.

მუხლი 66

მოთხოვნებს პატენტრწმუნებულის მიმართ, ატესტაციისა და რეგისტრაციის პირობებს ადგენს ღებულება პატენტრწმუნებულთა შესახებ, რომელსაც ამკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 67

მონაცემები პატენტრწმუნებულის შესახებ „საქპატენტს“ შეაქვს რეესტროში. ნებისმიერ პირს უულება აქვს დადგენილი წესით გაეცნოს რეესტრს.

თავი XI

საპატენტო დავა და პასუხისმკებლობა

მუხლი 68

განმცხადებელს, დაინტერესებულ პირს „საქპატენტის“ მიერ გადაწყვეტილების გამოგანის დღიდან 3 თვის განმავლობაში უულება აქვს საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილება გაასაჩივროს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში.

მუხლი 69

1. პატენტმფლობელს უულება აქვს პატენტიდან გამომდინარე უულებების დარღვევის თაობაზე წარადგინოს სარჩელი.

2. განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს უულება აქვს პატენტიდან გამომდინარე უულებების დარღვევის თაობაზე აღძრას სარჩელი, თუ პატენტმფლობელი პატენტის დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან გონივრული ვადის განმავლობაში თვითონ არ წარადგენს სარჩელს სასამართლოში.

მუხლი 70

დაპატენტებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე ღამზალება, გამოყენება, ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობა, მათი არსის განზრახ გამჟღავნება (გარდა ავგორისა) „საქპატენტის“ მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, საილუმლო გამოგონების, სასარგებლო მოდელის გამჟღავნება, ავგორობის მითვისება იწვევს პასუხისმკებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 71

გასაიღუმლოებულ გამოგონებაზე საზღვარგარეთ დასაპატენტებლად განაცხადის წარდგენა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XII

საერთაშორისო განაცხადი

მუხლი 72

1. ამ თავის წესები გამოიყენება იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებიც „საქპატენტში“ წარდგენილია საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად.

2. საერთაშორისო განაცხადზე „საქპატენტი“ საქმეს აწარმოებს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების ამ კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 73

1. საერთაშორისო განაცხადი, რომელშიც გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდილზე ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო, გოლფასია „საქპატენტში“ შეგანილი განაცხადისა და საერთაშორისო განაცხადის შეგანის დღიდან განიხილება, როგორც ეროვნული განაცხადი.

2. საერთაშორისო განაცხადი, რომელშიც აღნიშნულია საქართველო და რომელიც გამოქვეყნებულია საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანახმად, იმავე უფლებების მქონეა, რასაც ითვალისწინებს ამ კანონის 51-ე მუხლი.

მუხლი 74

1. საქართველოს მოქალაქეებისათვის ან საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მქონე პირთათვის „საქპატენტი“ მოქმედებს, როგორც საერთაშორისო განაცხადების „მიმღები უწყება“.

2. „საქპატენტში“, როგორც „მიმღებ უწყებაში“, საერთაშორისო განაცხადის შეგანა ხდება ინგლისურ ან რუსულ ენაზე. ამასთან, უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციებში ან უწყებებში გადა-

გზავნის საუფასური გადახდილი უნდა იქნეს „საქპაგენგში“ საერთაშორისო განაცხადის შეგანიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 75

1. „საქპაგენგი“ მოქმედებს, როგორც „აღნიშნული უწყება“ იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო.

2. „საქპაგენგი“ მოქმედებს როგორც „არჩეული უწყება“ იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო, იმ შემთხვევაში, თუ გამომგონებელი საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მეორე თავის პირობების თანახმად, ირჩევს საქართველოს.

თავი XIII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 76

განაცხადებზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედების მომენტი-სათვის მიმდინარეობს საპატენტო ექსპერტიზა, საქმის წარმოება პატენტის გაცემის ჩათვლით გაგრძელდეს „გამოგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 და „სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ 1992 წლის 15 მარტის №303 დადგენილების მიხედვით.

თავი XIV

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 77

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 3 თვის გასელისთანავე.
2. ამ კანონის ამოქმედებასთან ერთად, გარდამავალი დებულებ-

ბების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს „გამოგონების შესახებ დებულებების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ და „სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის № 302 და 1992 წლის 15 მარტის № 303 დადგენილებები.

3. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნას იძულებითი ლიცენზიების კომისია.

4. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინსპექციასა და „საქპატენტს“ შეიმუშაონ ნორმატიული აქტი საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვისა და გამოყენების წესის შესახებ.

5. დაევალოს „საქპატენტს“:

ა) შეიმუშაოს და დადგენილი წესით დაამტკიცოს დებულება სააპელაციო პალატის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს დებულება პატენტრწმუნებულების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს.

მუხლი 78

ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პატენტები უთანაბრდება ამ კანონის ძიხედვით გაცემულ პატენტებს.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი.

1999 წლის 5 თებერვალი.

ეს კანონი ამოქმედდა 1999 წლის 25 მაისს.

§2. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „საქპატენტი“ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს;

ბ) პარიზის კონვენცია – 1983 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

გ) მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი – 1989 წლის 2 ივნისს ხელმოწერილი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი;

დ) საერთაშორისო კლასიფიკატორი – 1957 წლის 15 ივნისს ნიცის შეთანხმებით მიღებული და ხელმოწერილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორი (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, კენევაში 1977 წლის 13 მაისს);

ე) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;

ვ) განაცხადი – მოწმობის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მოწმობას;

თ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეგანილ განაცხადთან შედარებით;

ი) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

კ) საგაპოფენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

ლ) პატენტრწმუნებული – სამრეწველო საკუთრების სფეროში სხვისი სახელით მოქმედი „საქპატენტში“ რეგისტრირებული პირი;

მ) სააპელაციო პალატა – „საქპატენტთან“ არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებისათვის წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო;

ნ) გაერთიანება – მეწარმეთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს ან მისი წარმოშობის ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. სასაქონლო ნიშანი

1. სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შეღვომში – საქონელი).

2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიგეყა ან სიგეყები, აგრეთვე ადამიანის სახელი, ასოები, ციურები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება უერის ან უერთა კომბინაციის გამოყენებით.

3. სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

ა) არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) არაგანმასხვებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ;

ბ.ა) შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების. გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის. დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მინეულია ასეთად;

ბ.ბ) საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება;

ბ.გ) წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია;

გ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და გრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;

დ) შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ;

ე) მილიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონგროლო, საგარანგიო, სასინჯ ღამლას ნიშანს, მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს, ბეჭედს, ორდენსა და მედალს; საქართველოს ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს ან წარმოდგენს მათ იმიტაციას. ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს

კულტურის სამინისტროს ან მულობელის ნებართვა.

2. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება ისეთი მოცულობითი ნიშანი, რომლის ფორმაც:

- ა) განპირობებულია მხოლოდ საქონლის თვისებებით;
- ბ) აუცილებელია გექნიკური შედეგის მისაღწევად.

3. ა მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოგანამდე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენების შედეგად, ეს ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ.

მუხლი 5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი:

ა) იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია;

ბ) შესაძებ პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) შესაძებ პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

ე) საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესა-

ძლებლობა;

ვ) საქართველოში დაცული სამრეწველო ნიმუშის იდენტიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

ზ) მესამე პირის მიერ რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაცია ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუშვასურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

თ) შეიცავს საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს – ამ პიროვნების ან მისი შემკვიდრების თანხმობის გარეშე, ხოლო, თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას წარმოადგენენ – საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

ი) შეიცავს საქართველოს ისტორიული ძეგლების დასახელებას ან გამოსახულებას – საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

კ) შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელიც იწვევს აღრევას.

მუხლი ნ. განსაკუთრებული უფლება

1. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის:

ა) იდენტიფიკაცია და საქონელიც იდენტიფიკაცია;

ბ) იდენტიფიკაცია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

ვ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტიური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

ღ) იდენტიური ან მსგავსია და ღაცული სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება შესაძლებელია პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება:

ა) სასაქონლო ნიშნის დაგანა საქონელზე ან მის შეუუთვამზე;

ბ) ისეთი საქონლის შეთავაზება, სადაპრო ბრუნვაში შეგანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით. გარდა იმ შემთხვევისა. როდესაც ეს ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებელი საქონლით;

გ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან გაწევა;

დ) სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქლებზე.

4. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე შესაძლებელია პირს ეკრძალება:

ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტიური ან მსგავსი ნიშნის დაგანა შესაფუთ საშუალებაზე, ეტიკეტზე და ა.შ;

ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტიური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის ან შეუუთვის შეთავაზება, მიმოქცევაში შეგანა, ვასალება ან ვასალებისათვის მომზადება, მათი იმპორტი ან ექსპორტი.

მუხლი 7. განსაკუთრებული უფლების ფარგლები

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს შესაძლებელია პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს:

ა) საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს;

ბ) სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, ღრვის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს;

გ) დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი. ამ შემთხვევაში დაცული სასაქონლო ნიშანი მესამე პირმა უნდა გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეგანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

მუხლი 8. სასაქონლო ნიშნის გამოქვეყნება საცნობარო ლიგერაგურაში

თუ სასაქონლო ნიშნის რეპროდუქცია ლექსიკონში, ენციკლოპედიაში ან სხვა საცნობარო ლიგერაგურაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გვარეობით ცნებას იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც იგი რეგისტრირებულია ან მოითხოვება მისი რეგისტრაცია, გამომცემელი, აღნიშნული ნიშნის მფლობელის მითხოვნით, ვალდებულია ამ საცნობარო ლიგერაგურის მომდევნო გამოცემებში აღნიშნოს, რომ გამოქვეყნებული სიმბოლო რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების
მოპოვება და შენარჩუნება

მუხლი 9. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე წარედგინება „საქპატენტს“ განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

2. განაცხადი ივსება დადგენილი წესით, ქართულ ენაზე.

3. უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე, „საქპატენტიან“ ურთიერთობას წარმართავს მხოლოდ „საქპატენტში“ რეგისტრირებული წარმომადგენლის – პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

4. განაცხადი ეხება მხოლოდ ერთ სასაქონლო ნიშანს.

5. განაცხადი შეიცავს:

ა) თხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) განმცხადებლის სრულ სახელს (სახელწოდებას) და იურიდიულ მისამართს;

გ) სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას;

დ) იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. დასაშვებია საქონლის ჩამონათვალის უცხო ენაზე წარდგენა დანართის სახით, რომლის ქართულ ენაზე თარგმანიც „საქპატენტს“ წარედგინება განაცხადის შეგანის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ე) წარმომადგენლის ვინაობას და მისამართს, თუ განაცხადი შეგანილია წარმომადგენლის მიერ;

ვ) განმცხადებლის ან წარმომადგენლის ხელმოწერას განაცხადზე.

6. განაცხადის ექსპერტიზისათვის აუცილებელი სხვა მონაცემებისა და საბუთების ნუსხა, მისი წარდგენის ვადები და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. განაცხადის „საქპატენტში“ შეგანის თარიღი

განაცხადის „საქპატენტში“ შეგანის თარიღად ითვლება „საქპა-

გენგში“ მისი ჩაბარების დღე, თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 11. პრიორიტეტი

1. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე ღვინდება განაცხადის შეგანის თარიღით, თუ განაცხადზე უორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საუასური ვადაიხდება განაცხადის შეგანიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. თუ რამდენიმე იღენტურ სასაქონლო ნიშანზე განაცხადი ერთი თარიღითაა შეგანილი, პრიორიტეტი ღვინდება სასაქონლო ნიშნის უაქტობრივი გამოყენების დაწყების თარიღით.

2. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე შეიძლება დადგინდეს პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში პირველი განაცხადის შეგანის თარიღით (საკონვენციო პრიორიტეტი), თუ ამ თარიღიდან განაცხადის „საქპაგენგში“ შეგანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა.

3. პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილ ექსპონატზე გამოყენებული სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი ღვინდება ექსპონატის გამოფენის პირველი დღით (საგამოფენო პრიორიტეტი), თუ გამოფენაზე მისი ჩვენების დღიდან შესაბამისი განაცხადის „საქპაგენგში“ შეგანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა. საგამოფენო და საკონვენციო პრიორიტეტები ერთმანეთის ვადას არ ავრძელებს.

4. განმცხადებელი, რომელსაც სურს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობა, ვალდებულია „საქპაგენგში“ განაცხადის შეგანის თარიღიდან ერთი თვის ვადაში აცნობოს ამის შესახებ „საქპაგენგს“ და განაცხადის შეგანიდან 3 თვის ვადაში წარადგინოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადაგურებელი საბუთები.

5. საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის დაგენილი წესით განსაზღვრული საუასური ვადაიხდება განაცხადის „საქპაგენგში“ შეგანიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 12. სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ექსპერტიზა

1. სასაქონლო ნიშნის განაცხადზე „საქპაგენგი“ აგარებს უორმა-

ლური მოთხოვნების ექსპერტიზას და არსობრივ ექსპერტიზას.

2. „საქპაგენგს“ შეუძლია გამცხადებელს მოსთხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო დამაგებითი მასალა. დამაგებითი მასალა „საქპაგენგს“ წარედგინება განმცხადებლისათვის შესაბამისი შეკვობინების ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევისას „საქპაგენგს“ გამოიგანს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

3. განაცხადი, რომელიც საქონლის ორ ან მეტ დასახელებას შეიცავს, განმცხადებელის მოთხოვნით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე შეიძლება გაიყოს ორ ან მეტ განაცხადად პირველ განაცხადში არსებული საქონლის გადანაწილებით თითოეულ განაცხადზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურია გადახდის შემდეგ, გამოყოფილ განაცხადებს უნარჩუნდებათ პირველი განაცხადის შეგანის თარიღი.

4. „საქპაგენგს“ სასაქონლო ნიშნის განაცხადებზე ინფორმაციას გასცემს მხოლოდ პრიორიტეტის დადგენის შემდეგ.

5. განმცხადებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 თვით;

ბ) გაეცნოს ექსპერტიზის დროს გამოყენებულ მასალას და მოითხოვოს მისი ასლი;

გ) განაცხადზე პრიორიტეტის დადგენამდე შეაყოს, შეცვალოს, შეასწოროს ან დააბუსგოს განაცხადის მასალა. პრიორიტეტის დადგენის შემდეგ აღნიშნული ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ, მაგრამ არა უკვიანეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა. თუ აღნიშნული ცვლილებები აუართოებს საქონლის ჩამონათვალს ან არსებითად ცვლის სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს, ასეთი მასალა მხედველობაში არ მიიღება;

დ) გამოითხოვოს განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე.

ნ. განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის, ექსპერტიზის, ექსპერ-

გიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, პროცედურული ვადების შეჩერების, გავრძელებისა და აღდგენის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რევისგრაფიასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული ინსტრუქციით „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რევისგრაფიასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“.

მუხლი 13. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა გარდება განაცხადის შეგანიდან 2 თვის ვადაში. ხოლო თუ განმცხადებელი ითხოვს საკონვენციო ან სავაჭრო პრიორიტეტს – ამ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში. თუ განმცხადებელს გაეგზავნა შეტყობინება დამატებითი მასალის მოთხოვნით, ექსპერტიზა ჩერდება შეტყობინებაზე პასუხის მიღებამდე, მაგრამ არა უმეტეს ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადისა.

2. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა აღდგენს არის თუ არა განაცხადი გაფორმებული ამ კანონის შესაბამისად.

3. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, განმცხადებლის სახელზე გაიცემა ცნობა განაცხადის შეგანის თარიღის დადგენის შესახებ საკანცელარიო ნომრისა და შეგანილი საბუთების ჩამონათვალის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებელს ეცნობება განაცხადის მასალის მიღებამდე დასაბუთებული უარი.

4. თუ განაცხადის შეგანიდან ერთი თვის ვადაში ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დადგენილი წესით განსაზღვრული საუბარო არ გადაიხდება ან გადახდილი თანხა საქონლის ერთი კლასის წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლებია, „საქპატენტი“ მიიღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში გადაიხდება განაცხადით გათვალისწინებული კლასების წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ ერთი კლასის წარდგენისათვის საკმარისი თანხა, ექსპერტიზა გარდება განმცხადებლის მიერ შერჩეულ კლასებზე, ხოლო ასეთი

შერჩევის არარსებობის შემთხვევაში, პირველ იმდენ კლასზე, რამდენი-სათვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

5. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე „საქპაგენტი“ გამოიგანს გადაწყვეტილებას განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის ან განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და აცნობებს განმცხადებელს.

მუხლი 14. არსობრივი ექსპერტიზა

1. არსობრივი ექსპერტიზა ტარდება განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრებიდან 6 თვის ვადაში.

2. არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ რევისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები.

3. არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე განმცხადებელს ეგზავნება გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რევისტრაციის ან რევისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ.

მუხლი 15. გამოქვეყნება

1. „საქპაგენტი“ სასაქონლო ნიშნის რევისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში – ბიულეტენი).

2. თუ განმცხადებელი სარგებლობს ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით, „საქპაგენტი“ განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში სააპელაციო პალატის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოგანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბიულეტენში ქვეყნდება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები მფლობელის შესახებ და მისამართი, საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რევისტრაცია. სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი.

მუხლი 16. ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში

1. განმცხადებელს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

2. განმცხადებელს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

3. არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ შეიძლება გადაისინჯოს სააპელაციო პალატის მიერ ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, „საქპატენტში“ უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადის შეგანასთან დაკავშირებით.

4. განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო პალატა საჩივარს იხილავს მისი შეგანის დღიდან 2 თვის ვადაში.

6. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 17. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

1. თუ განაცხადის მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში შეგანილი საჩივრის საფუძველზე სააპელაციო პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ან ამ ვადაში არ იქნება შეგანილი საჩივარი სააპელაციო პალატაში, „საქპატენტი“ აწარმოებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი).

2. რეესტრში შეგანილი იქნება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება,

ცნობები მისი მულობელის შესახებ, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი, საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

3. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს „საქპატენტში“ სათანადო განცხადების წარდგენის შემდეგ გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერი.

მუხლი 18. მოწმობა სასაქონლო ნიშანზე

1. სასაქონლო ნიშნის რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ „საქპატენტი“ გასცემს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე.

2. მოწმობით დასტურდება სიმბოლოს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, მულობელის განსაკუთრებული უფლება აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა.

მუხლი 19. რეესტრში ცვლილებების შეგანა

1. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის საეაღდებულო მონაცემების თითოეული ცვლილება შეგანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის მულობელის ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ამასთან, საქონლის ჩამონათვალის ცვლილებისას აკრძალულია მისი გაფართოება. ცვლილება ძალაშია მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეესტრში შეგანილი ცვლილებები ქვეყნდება მომდევნო ბიულეტენში.

3. ცვლილებები შეგანილი იქნება მოწმობაშიც.

მუხლი 20. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით და აითვლება „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით გაგრძელების ჯერადობის

შეუმლუდავად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელი „საქპაგენგში“ წარდგენილი განცხადების საფუძველზე დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების წარდგენა „საქპაგენგში“ და შესაბამისი საფასურის გადახდა წარმოებს მოწმობის მოქმედების მეათე წლის ბოლო 6 თვის ვადაში.

3. ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შეგანილი იქნება რეესტრსა და მოწმობაში და ქვეყნდება ბიულეტენში.

მუხლი 21. სასაქონლო ნიშნის ხელახალი რეგისტრაცია

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში აკრძალულია ამ ნიშნის ხელახალი რეგისტრაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეგისტრაციას ითხოვს ამ სასაქონლო ნიშნის ბოლო მფლობელი. ეს წესი ვრცელდება მაშინაც, როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელი უარს აცხადებს ამ ნიშანზე რეგისტრაციის ვადის გასვლამდე.

ამ შემთხვევაში ერთწლიანი ვადა აითვლება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების დღიდან.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ერთსა და იმავე დღეს ერთ სასაქონლო ნიშანზე „საქპაგენგში“ განაცხადს შეიტანს რამდენიმე პირი, რომელთაგან ერთ-ერთი ამ ნიშნის ბოლო მფლობელია, უპირატესობა აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ენიჭება მის ბოლო მფლობელს.

მუხლი 22. საფასური

სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, არსობრივი ექსპერტიზის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, ცვლილებების რეგისტრაციის, გამოქვეყნების, მოწმობის გაცემის, რეესტრიდან ამონაწერის გაცემის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურული ვადების შეჩერების, აღდგენისა და გაგრძელების, აგრეთვე სასაქონ-

ლო ნიშნის ხასიათობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებებისათვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური. საფასურის ოდენობა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასაშვებია საფასურების ოდენობის გადახსნა შესაბამისი საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კერძო ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

მუხლი 23. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში

საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარადგინოს სასაქონლო ნიშნის ხარვეზგრაფიკულ უცხო ქვეყანაში ან მთავისთვის მისი საერთაშორისო რეგისტრაცია.

თავი III

სასაქონლო ნიშნის გამოყენება და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

მუხლი 24. სასაქონლო ნიშნის გამოყენება

სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება მისი აღბეჭდვა იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, ასევე იმ საქონლის შეფუთვაზე, გამოფენასა და ბაზრობაზე წარმოდგენილ ექსპონატებზე, აბრავზე, ოფიციალურ ბლანკზე, ეტიკეტზე, რეკლამაში, ბეჭდვით გამოცემაში, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სხვაგვარი გამოყენება, მფლობელის, ლიცენზიის ან მესამე პირის მიერ მფლობელისაგან მინიჭებული უფლების საფუძველზე. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ნაეკლად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ნიშნის გამოყენებაც.

მუხლი 25. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები გადაეცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასაქონლო ნიშანი გადაეცემა სხვა პირს საწარმოსთან ერთად ან მის ვარემუ.

3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ითვალისწინებს საქონლის მთლიან ჩამონათვალს ან მის ნაწილს.

4. საწარმოს გადაცემა გულისხმობს სასაქონლო ნიშნის გადაცემა-საც, თუ გადაცემის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ ფორმდება წერილობით. წერილობითი ფორმის დაუკველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

6. თუ „საქპაგენტი“ სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, „საქპაგენტი“ რეესტრში არ შეიგანს ცნობას გადაცემის შესახებ, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვალიდან შეცდომაში შეყვანი საქონლის ამოღების თაობაზე.

7. სასაქონლო ნიშნის გადაცემისას სათანადო ცვლილებები შეიგანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშნის ახალ მფლობელს არ შეუძლია გამოიყენოს რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ, ვიდრე რეესტრში არ შეიგანება სათანადო ცვლილებები სასაქონლო ნიშნის გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 26. სალიცენზიო ხელშეკრულება

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა (ლიცენზიარმა) შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს (ლიცენზიატს) სალიცენზიო ხელშეკრულებით. სალიცენზიო ხელშეკრულება იდება როგორც

საქონლის მთლიანი ჩამონათვალის, ისე მისი ნაწილის მიმართ.

2. ლიცენზია არის განსაკუთრებული ან მარგინი.

3. თუ ხელშეკრულებიდან არ ჩანს ლიცენზიის ხასიათი, იგულისხმება მარგინი ლიცენზია. ამ შემთხვევაში ლიცენზიარის უფლებაა თვითონაც გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი და დალოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება.

4. განსაკუთრებული ლიცენზია არ აძლევს ლიცენზიარს უფლებას დალოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება და გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განსაკუთრებული ლიცენზიიდან გამომდინარე უფლებები ძალაშია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ლიცენზიაგს ეკრძალება სალიცენზიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ან ქველიცენზიის გაყემა იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პირდაპირ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან.

6. სალიცენზიო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული თავისი განსაკუთრებული უფლებები ლიცენზიაგის მიმართ, თუ დარღვევა ეხება ხელშეკრულების ვადას, სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფორმას, იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც გაიყა ლიცენზია, გერიგორიას, სადაც სასაქონლო ნიშანი შეიძლება იქნეს გამოყენებული, დამზადებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ხარისხს.

7. სასაქონლო ნიშანზე სალიცენზიო ხელშეკრულების დადების ფაქტის რეგისტრაცია ხდება „საქპატენტში“ და შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიაგი აღძრავს სარჩელს მხოლოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით.

9. ლიცენზიაგს უფლება აქვს მისთვის მიყენებული ზარალის

ანაზღაურების მიზნით ჩაერთოს სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შესახებ გამართულ სასამართლო პროცესში.

10. სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა ან ლიცენზია არ ვრცელდება მესამე პირის სახელზე აღრე გაცემულ ლიცენზიაზე.

თავი IV

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაკარგვა

მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს „საქპატენტი“.

ა) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ ვადა არ გაგრძელდება;

გ) სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ ღარჩა მემკვიდრე, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე;

დ) თუ არსებობს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფრო აღრიხდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყევგად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ეს ნიშანი რეგისტრირებულია საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება;

ბ) სასაქონლო ნიშანი გახდა გვარეობითი ცნება იმ საქონლისათვის, რომლის მიმართაც ეს რეგისტრირებულია;

გ) არსებობს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული

საუუძელები გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოგანის დროს;

დ) სასაქონლო ნიშნის მულობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, ხარისხის, თვისების, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ.

3. თუ სასაქონლო ნიშნის გაუქმების საუუძელები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საუუძელები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილზე, რაც შეიგანება რეესგრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შედეგები

1. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმდა ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებებიც შეწყვეტილად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოგანის დღიდან.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებებიც შეწყვეტილად ითვლება სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან.

3. გარალის ანამლაურების საკითხები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

თავი V
კოლექტიური ნიშანი

მუხლი 30. უფლებები კოლექტიურ ნიშანზე

1. კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომლითაც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

2. კოლექტიური ნიშნის განმცხადებელი და მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. აკრძალულია კოლექტიური ნიშნის გადაცემა ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემა იმ პირზე, რომელიც არ არის კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრი.

4. კოლექტიურ ნიშანზე მთლიანად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 31. გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის გამოყენება კოლექტიურ ნიშნად

1. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვებიდან, გამონაკლისის სახით, კოლექტიურ ნიშნად დასაშვებია ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (ადგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე).

2. გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა არ გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმ საქონლისათვის, რომელიც არ წარმოიშვა შესაბამის გეოგრაფიულ ადგილზე, რაიონში რეგიონში, ქვეყანაში, თუ ასეთი აღნიშვნა მცდარ წარმოდგენას ქმნის საქონლის წარმოშობის შესახებ.

3. თუ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა მიუთითებს საქონლის

განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, ასეთი აღნიშვნა გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმავე წარმოშობის მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომელსაც აქვს შესაბამისი თვისებები და ხარისხი.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აგრეთვე ვრცელდება იმ სახელზე, აღნიშვნასა და ნიშანზე, რომლებიც გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის მსგავსია.

მუხლი 32. კოლექტიური ნიშნის დებულება

1. განაცხადი კოლექტიურ ნიშანზე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს. განაცხადს თან უნდა დაერთოს კოლექტიური ნიშნის დებულება.

2. კოლექტიური ნიშნის დებულება უნდა შეიცავდეს:

ა) გაერთიანების სახელწოდებას;

ბ) გაერთიანების წევრთა სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;

გ) გაერთიანების მიზანს;

დ) კოლექტიური ნიშნით სარგებლობისა და მისი გამოყენების კონკრეტული პირობებს;

ე) გაერთიანების წევრთა უფლება-მოვალეობებს კოლექტიურ ნიშანზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;

ვ) იმ საქონლის ჩამონათვალსა და ერთიან მასასიათებლებს ან საერთო მანიქენებლებს, რომლებსთვისაც განკუთვნილია კოლექტიური ნიშანი.

3. თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, დებულება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ პირს, რომლის საქონელი წარმოიშეა აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს დებულებით განსაზღვრულ კოლექტიური ნიშნის გამოყენების პირობებს, უფლება აქვს გასდეს გაერთიანების წევრი და პქონდეს ამ ნიშნით სარგებლობის უფლება.

4. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს კოლექტიური ნიშნის დებულებას.

მუხლი 33. კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის ექსპერტიზა

ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული საფუ-

ძელების გარდა, კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციისთვის წარდგენილი განაცხადი არ რეგისტრირდება, თუ ის არ აკმაყოფილებს ამ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით, აგრეთვე 32-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი შეასწორებს კოლექტიური ნიშნის დებულებას ისე, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი აღარ იარსებებს.

მუხლი 34. კოლექტიური ნიშნის დაცვის შემლუღვა

გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი.

მუხლი 35. გასაჩივრება

პირს, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს კოლექტიური ნიშნით, შეუძლია ამ უფლების დარღვევის თაობაზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში მხოლოდ კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების ნებართვით, თუ კოლექტიური ნიშნის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 36. კოლექტიური ნიშნის დებულებაში ცვლილებების შეტანა

1. კოლექტიური ნიშნის მფლობელი ვალდებულია შეაგყობინოს „საქპატენტს“ კოლექტიური ნიშნის დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. კოლექტიური ნიშნის დებულების ცვლილებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კანონის 31-ე და 32-ე მუხლების მოთხოვნები.

მუხლი 37. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია უქმდება:

- ა) ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად;
- ბ) თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი ამ ნიშანს იყენებს კოლექტიური ნიშნის დებულების დარღვევით.

მუხლი 38. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების გამო
ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი, თუ ის რეგისტრირებული იყო ამ კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. თუ ბათილად ცნობის საფუძველია კოლექტიური ნიშნის დებულება, ის ბათილად აღარ იქნება ცნობილი, თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი 2 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გასდა ამ ცვლილების შეგანის აუცილებლობის შესახებ, შეასწორებს დებულებას ისე, რომ ბათილად ცნობის საფუძველი აღარ იარსებებს.

თავი VI

სასაქონლო ნიშნების დაცვა ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მიხედვით

მუხლი 39. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ სასაქონლო ნიშნებზე, რომელთა დაცვა მოითხოვება მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მიხედვით. თუ ამ პროტოკოლით ან კანონის ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-3 მუხლის თანახმად, შეგანილი უნდა იქნეს „საქპატენტში“.

3. განაცხადს უნდა დაერთოს საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული ჩამონათვალის თარგმანი ინგლისურ ენაზე.

მუხლი 40. ჩანაწერი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ

1. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეგანილი იქნება

განაცხადის მონაცემებში.

2. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეგანილი იქნება რეესტრში.

3. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეგანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 41. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადის ექსპერტიზა

1. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ განაცხადზე გარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა ამ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-14, 27-ე, 28-ე, 37-ე და 38-ე მუხლებში გამოყენებული ტერმინები „რეგისტრაციაზე უარი“, „რეგისტრაციის გაუქმება“ და „რეგისტრაციის ბათილად ცნობა“ სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადისათვის შესაბამისად იცვლება ტერმინებით „დაცვაზე უარი“ და „დაცვის გაუქმება“.

მუხლი 42. გამოქვეყნება და გასაჩივრება

1. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემები ქვეყნდება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროს ეურნალში.

2. არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე ვადაწყვეტილების გამოგანის შემთხვევაში საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი დამატებით ქვეყნდება ბიულეტენში ვადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

3. ამ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადა ჩაითვლება სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 43. სასაქონლო ნიშნების გამოუყენებლობის გამო
დაცვის გაუქმება

თუ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობის გამო არსებობს ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაცვის გაუქმების საფუძველი, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი შეიცვლება თარიღით, როდესაც ამოიწურება მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

მუხლი 44. ეროვნული განაცხადის წარდგენა გაუქმებული
საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე

1. მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-9 მუხლის შესაბამისად გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე ეროვნული განაცხადის შეგანისას, განაცხადთან ერთად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ინგლექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებადღე ვრცელდებოდა საქართველოზე.

2. თუ განაცხადის „საქმადგენში“ შეგანის დღისათვის ამოწურულია მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადები და მიღებული არ არის გადაწყვეტილება დაცვაზე უარის თქმის შესახებ, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება ამ კანონის შესაბამისად, ექსპერტიზისა და გამოქვეყნების გარეშე.

თავი VII

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების
დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 45. პასუხისმგებლობა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგე-

ნილი წესით.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

ა) თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა;

ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გ) ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეუთუვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას:

დ) სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მაგრიცების, ხოლო, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

თავი VIII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 46. ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეგანილი განაცხადი და გაცემული მოწმობა

1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც შეგანილი იქნა ამ კანონის ამოქმედებამდე, განიხილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის № 304 დადგენილების მიხედვით.

2. ამ კანონის ძალაში შესვლამდე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე გაცემული მოწმობა ძალაშია ამ კანონის ამოქმედების შემდეგაც.

თავი IX
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 47. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილება.

ბ) „საქართველოს რესპუბლიკაში სასაქონლო ნიშნის (ნიშანდების) გამოყენების მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 25 ივნისის №483 დადგენილება.

მუხლი 48. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ელუარდ შევარდნაძე
თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი.
ეს კანონი ამოქმედდა 1999 წლის 25 მაისს.

§3. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი აწესრიგებს საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „საქპატენტი“ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს;

ბ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრი – მონაცემთა ერთობლიობა ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის, აგრეთვე, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე პირთა შესახებ;

გ) განაცხადი – ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სარეგისტრაციოდ ან რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებაზე უფლების მოსაპოვებლად საჭირო საბუთების ერთობლიობა;

დ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან მეწარმეთა ნებისმიერი გაერთიანება, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, რომელიც ითხოვს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციას ან რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლებას;

ე) ორგანოლექტიკური მახასიათებლები – საქონლის მახასიათებლები, რომელთა შეფასება ხდება ადამიანის გრძნობათა ორგანოებით.

მუხლი 3. ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა

1. ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის (მექლგომში – გეოგრაფიული ადგილი) თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;

ბ) რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მიუიანხად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის უაქტორით;

გ) რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

2. გეოგრაფიული აღნიშვნა არის სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;

ბ) რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან;

გ) რომლის წარმოება ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

3. თუ გრადიციული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული დასახელება მომსპარებელს უქმნის წარმოდგენას მოცემული გეოგრაფიული ადგილიდან საქონლის წარმოშობაზე და სრულდება ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, აღნიშნული დასახელება შეიძლება მიიწველ იქნეს საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებად.

4. ამ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, ადგილწარმოშობის დასახელებად შეიძლება მიიწველ იქნეს იმ გეოგრაფიული ადგილის სახელი, სადაც საქონლის საწარმოებლად გამოიყენება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებს გარედან მიღებული ნედლეული, თუ დადგენილია ნედლეულის დამზადების გეოგრაფიული ადგილის განსხვავებული საზღვრები, მისი დამზადების პირობები და არსებობს ამ პირობების შემოწმების შესაძლებლობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ ნედლეულად მიიწვევა

მხოლოდ ცოცხალი ცხოველები, რძე და ხორცი.

მუხლი 4. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის დაცვა

1. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის დაცვა ხდება „საქპაგენგში“ მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

2. სხვა ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის დაცვა ხდება სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე.

3. სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის რეგისტრაცია ხდება „საქპაგენგში“.

მუხლი 5. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები

ადგილწარმოშობის დასახელებად ან გეოგრაფიულ ალნიშვნად არ რეგისტრირდება სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც:

- ა) არ შეესაბამება ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნებს;
- ბ) იქცა საქონლის გვარობით სახელად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი სწორად მიუთითებს იმ გეოგრაფიულ ადგილზე, სადაც მოხდა საქონლის წარმოება ან მისი ნელაქულის დამზადება ან დამუშავება;

გ) შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ;

დ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, გრადიციას, მწიგნობრივ ნორმებს;

ე) ემთხვევა მცენარეთა ან ცხოველთა ჯიშის სახელს, რამაც შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ.

მუხლი 6. თმონიმური ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის დაცვა

თუ საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასა-

ხელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა ან საქართველოს რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელი სხვა ქვეყანაში დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ომონიმია, საქართველოში ასეთი დასახელების ან აღნიშვნის დაცვის წესი და გამოყენების პირობები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფოთა-შორისი ხელშეკრულებით.

მუხლი 7. განაცხადი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე

1. განაცხადი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე „საქპატენტში“ შეაქვს განმცხადებელს.

2. განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ ადგილწარმოშობის დასახელებას ან ერთ გეოგრაფიულ აღნიშვნას.

3. განაცხადი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

4. განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) თხოვნას ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) განმცხადებლის სრულ სახელსა (სახელწოდებას) და მისამართს;

გ) ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას;

დ) იმ საქონლის დასახელებას, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;

ე) საქონლისა და მისი ნელლეულის აღწერას ქიმიური, ფიზიკური, მაკრობიოლოგიური ან/და ორგანოლექტიკური და სხვა მასასიათებლების ჩვენებით;

ვ) საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული ადგილის მდებარეობის აღწერას მისი ზუსტი საზღვრების მითითებით;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გაცემულ საბუთს, რომელიც ადასტურებს ამ საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობას;

თ) საქონლის წარმოების ტექნოლოგიისა და შესაბამისი გეოგრაფიული ადგილისათვის დამახასიათებელი წარმოების სპეციფიკური

პირობებისა და ხერხების აღწერას ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში;

ი) იმის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომ საქონლის განსაკუთრებული ხარისხი ან თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის უაქტორობით, ან საქონლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან;

კ) განაცხადზე ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

ლ) განმცხადებლის მიერ წარმომადგენლის სახელზე გაცემულ მინდობილობას, თუ განაცხადი შეაქვს წარმომადგენელს;

მ) განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე“, „ვ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები ან მონაცემები მომზადებული და დადასტურებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ექსპერტიზა, გამოქვეყნება, რეგისტრაცია

1. „საქპატენტი“ ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-5 მუხლის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები და ატარებს მოძიებას სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის მონაცემთა ბაზებში.

2. თუ არსებობს ამ კანონის მე-5 მუხლის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები, „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება განაცხადის შემდგომ განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

3. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“, „ვ“, „მ“, „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, განაცხადის მასალების დამატებითი შესწავლის მიზნით, განაცხადი ეგზავნება შესაბამის დარგობრივ სამინისტროს.

4. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს და არ არსებობს მე-5 მუხლის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვა-

ლისწინებული საფუძვლები, „საქპაგენტი“ განაცხადის მასალებს აქვეყნებს საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში – ბიულეტენი), ერთ ცენტრალურ და ერთ ადგილობრივ გაზეთში.

5. თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით „საქპაგენტში“ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ეს ინფორმაცია შესასწავლად ეგზავნება შესაბამის დარგობრივ სამინისტროს.

6. თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით არ შემოვა არანაირი ინფორმაცია, „საქპაგენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, შეაქვს ცნობები ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) და მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში.

7. ბიულეტენში ქვეყნდება შემდეგი მონაცემები:

ა) ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;
ბ) საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია და მისი განსაკუთრებული თვისებების აღწერა;

გ) გეოგრაფიული ადგილის მდებარეობის აღწერა, მისი ზუსტი საზღვრების მითითებით;

დ) განმცხადებლის სრული სახელი (სახელწოდება) და მისამართი.

8. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია უვადოა.

მუხლი 9. საფასური

ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის განაცხადზე ექსპერტიზის, რეესტრში ცვლილებების შეგანის, გამოქვეყნების, რეესტრიდან ამონაწერის გაცემის, აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებისათვის ვადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური.

მუხლი 10. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის საზღვარგარეთ რეგისტრაცია

საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული ალნიშვნა რეგისტრაციაზე წარადგინონ სხვა სახელმწიფოში მხოლოდ მათი საქართველოში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 11. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის დაცვის ფარგლები

1. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული ალნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე, აკრძალულია:

ა) რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული ალნიშვნის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ისეთ საქონელთან კავშირში, რომელზედაც არ ვრცელდება რეგისტრაცია, იმდენად, რამდენადაც ალნიშნული საქონელი რეგისტრირებული საქონლის მსგავსია; ან ამ რეგისტრირებული სახელით ნებისმიერი ისეთი სარგებლობა, რომელიც იყენებს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული ალნიშვნის რეპუტაციას;

ბ) რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული ალნიშვნის ისეთი გამოყენება, რომელიც სიგყვასიგყვით ბუსგად მიუთითებს საქონლის წარმოების, მისი ნედლეულის დამზადების ან დამუშავების ადგილზე, მაგრამ ქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის წარმოშობის შესახებ;

გ) ისეთი სახელის ან სიმბოლოს გამოყენება, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული ალნიშვნის მიბაძვას, თუნდაც თარგმანში, ან ისეთი სიგყვებთან ერთად, როგორცაა „გიპის“, „სტილის“, „მსგავსი“, „ნაირი“, „მეთოდით“ და ა.შ.;

დ) საქონლის შეფუთვაზე, საქონელთან დაკავშირებულ დოკუმენტებში ან რეკლამაში ისეთი სიმბოლოს გამოყენება, რომელსაც შეელომაში შეჰყავს მომხმარებელი საქონლის წარმოშობის ადგილის,

განსაკუთრებული ხარისხის ან თვისებების შესახებ;

ე) საქონლის იმგვარად შეუეთვა ან წარმოღვანა, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი მისი წარმოშობის შესახებ.

2. თუ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა შეიცავს საქონლის გვარეობით სახელს, გვარეობითი სახელის გამოყენებაზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-11 მუხლის აკრძალვები.

3. დაკული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა არ შეიძლება გადაიქცეს გვარეობით სახელად.

მუხლი 12. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება

1. ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მოიპოვებს ან გადაამუშავებს ნელლეულს, ან აქვს მოქმედი საწარმო რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შესაბამის გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში და წარმოებული საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, თვისებები და რეპუტაცია მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია ამ გეოგრაფიულ ადგილზე ან დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან, შეუძლია „საქპატენტ-გში“ წარადგინოს განაცხადი რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებაზე უფლების მოსაპოვებლად.

2. მონაცემები რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე პირის შესახებ „საქპატენტს“ შეაქვს რეესტრში.

3. გამოყენების უფლება შეიძლება გადაისინჯოს შემოწმების საფუძველზე. შემოწმების წესი და პერიოდულობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. აკრძალულია რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის რეგისტრირებული აღნიშნული სახელის გამოყე-

ნების უფლების მქონე პირად.

მუხლი 13. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმება

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს, თუ:

ა) რეგისტრაცია მოხდა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) მოცემული გეოგრაფიული ადგილისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობების ან აღამიანის ფაქტორის შეცვლის ან გაქრობის გამო შეუძლებელია ისეთი საქონლის წარმოება, რომელსაც ექნება რეგისტრში აღნიშნული განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები.

2. სხვა ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა შეწყდება შესაბამისი სახელმწიფოთაშორისი მეთანხმებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 14. ურთიერთობა ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნასა და სასაქონლო ნიშანს შორის

1. თუ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე „საქპატენტში“ განაცხადის შეგანის შემდეგ „საქპატენტში“ შევა განაცხადი სასაქონლო ნიშანზე, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტურია ან მსგავსია და ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შედეგად იარსებებს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა, სასაქონლო ნიშნის განაცხადზე საქმის წარმოება შეჩერდება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების გამოგანამდე.

2. თუ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე „საქპატენტში“ განაცხადის შეგანისას „საქპატენტში“ უკვე შესულია განაცხადი სასაქონლო ნიშანზე, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტურია ან მსგავსია, მაგრამ არ არის გამოგანილი გადაწყვეტილება ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ და ადგილწარმოშობის

დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შედეგად იარსებებს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა, სასაქონლო ნიშნის განაცხადზე საქმის წარმოება შეჩერდება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების გამოგანამდე.

3. თუ „საქპატენტი“ გამოიგანს გადაწყვეტილებას ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით შეჩერებულ სასაქონლო ნიშნის განაცხადზე საქმის წარმოება გავრძელდება, განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ განაცხადის შეტანის თარიღის შენარჩუნებით.

4. თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენებით ან მისი რეგისტრაციით დაირღვა ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა, სასამართლოში სარჩელის შეტანა დასაშვებია ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევის ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დღიდან 5 წლის ვადაში, თუ ამ დღისათვის სასაქონლო ნიშანი უკვე გამოქვეყნებული იყო და ეს თარიღი უფლებების დარღვევის აღიარებულად ცნობაზე აღრინდელია.

5. თუ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა ირღვევა ისეთი სასაქონლო ნიშნის გამოყენებით, რომელიც რეგისტრირებულია ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაში, დაინტერესებულ პირს ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევის აღიარების დღიდან 5 წლის ვადაში შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ასეთი სასაქონლო ნიშნის გამოყენების შეწყვეტის თაობაზე. მხარეებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება შეიძლება გავრძელდეს ღროებით, მაგრამ არა უმეტეს რეგისტრაციის მოქმედების ვადისა.

6. თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულ იქნა ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით, ასეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

7. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მისი კეთილსინდისიერი გამოყენება არ წყდება, თუ რეგისტრაცია მოხდა ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის წარმოშობის ქვეყანაში დაცვამდე ან ამ კანონის ამოქმედებამდე. ამასთან, სასაქონლო ნიშნისა და ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის თანაარსებობამ არ უნდა შეუქმნას მცდარი წარმოდგენა მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ.

8. ამ კანონის მე-11 მუხლი არ გამოიყენება ისეთი სასაქონლო ნიშნის მიმართ, რომელიც სულ მცირე 10 წლის განმავლობაში უწყვეტად გამოიყენებოდა 1994 წლის 15 აპრილამდე (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებაზე ხელმოწერის დღემდე).

9. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის კარგი რეპუტაციის, მისი ცნობილობისა და გამოყენების ხანგრძლივობის გათვალისწინებით დასაშვებია არ მოხდეს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია, თუ ასეთი რეგისტრაცია მომხმარებელს შეცდომაში შეიყვანს საქონლის ჭეშმარიტი წარმომავლობის შესახებ.

მუხლი 15. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლების დარღვევაზე პასუხისმგებლობა

ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლების დარღვევა იწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სარჩელით წაყენებული მოთხოვნები

ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების მქონე პირს შეუძლია სასამართლოში შეიგანოს სარჩელი უფლებების დამრღვევის წინააღმდეგ და მოითხოვოს:

ა) უფლებების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა;

ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გ) უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლისა და უშუალოდ ამ საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მოწყობილობის

ჩამორთმევა და განადგურება;

დ) რეგისტრირებული სახელის შემცველი ყველა ეგიკეტის, ნახატის, ანაბეჭდის, შეუუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება.

მუხლი 17. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში „საქპაგენგის“ მიერ შემუშავდეს და დადგენილი წესით დამტკიცდეს ინსტრუქცია „აღვილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე „საქპაგენგში“ განაცხადის წარდგენასთან, განხილვასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“.

2. „საქპაგენგმა“ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1999 წლის 1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს დებულება საქონლის აღვილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის საზღვრების დადგენის, საქონლის მახასიათებლების გეოგრაფიულ ადგილიდან კავშირის შესწავლის, დადგენისა და კონგროლის შესახებ.

3. „საქპაგენგმა“ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1999 წლის 1 ოქტომბრამდე მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ქვეყანაში წარმოებული საქონლის აღვილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ჩამონათვალი მათი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებში გათვალისწინების მიზნით.

მუხლი 18. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ელვარდ შევარდნაძე
თბილისი,
1999 წლის 22 ივნისი

§4. საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის გოპოლოგიის შესახებ

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – ინტეგრალური მიკროსქემის გოპოლოგიის რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტეგრალური მიკროსქემა (შემდგომში – იმს) – ელექტრონული ფუნქციის შემსრულებელი ნაკეთობა დასრულებული ან შუალედური ფორმით, რომლის ელემენტები, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთება განუყოფლადაა ფორმირებული ნაკეთობის მასალის მოცულობაში ან/და ზედაპირზე;

ბ) ინტეგრალური მიკროსქემის გოპოლოგია (შემდგომში – გოპოლოგია) – იმს-ის ელემენტთა, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთების რაიმე სახით გამოსახული სამგანზომილებიანი განლაგება, ან იმს-ის წარმოებისათვის მომზადებული სამგანზომილებიანი განლაგება;

გ) მოწმობა გოპოლოგიაზე (შემდგომში – მოწმობა) – ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული, გოპოლოგიის მულობელის სახელზე გაცემული და მისი განსაკუთრებული უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) განაცხადი – გოპოლოგიის რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) „საქპატენტი“ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად

უმრუნველყოფს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებს;

ვ) სააპელაციო პალატა – „საქპატენტთან“ არსებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო.

მუხლი 3. განსაკუთრებული უფლების წარმოქმნა

1. გოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციით.

2. რეგისტრირებული გოპოლოგიის მულობელის სახელზე გაცივება მოწმობა.

მუხლი 4. განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა

გოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს „საქპატენტში“ გოპოლოგიის რეგისტრაციის თარიღიდან.

მუხლი 5. გოპოლოგიის ორიგინალობა

1. ამ კანონის თანახმად რეგისტრირდება ორიგინალური გოპოლოგია.

2. გოპოლოგია ორიგინალურია, თუ ის შეიქმნა ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად და არ იყო საყოველთაოდ ცნობილი შექმნის თარიღისათვის.

3. გოპოლოგია, რომელიც შედგება მისი შექმნის თარიღისათვის ცნობილი ელემენტებისაგან, ითვლება ორიგინალურად, თუ წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგს და მთლიანობაში არ არის ცნობილი.

4. გოპოლოგია ორიგინალურად ითვლება საპირისპიროს დამკვიცებაზე.

5. გოპოლოგიის გამოყენება გოპოლოგიის ავტორის მიერ (ან სხვა პირის მიერ, რომელსაც განაცხადის შეგანის თარიღისათვის მოწმობის მიღების უფლება აქვს), ან მესამე პირის მიერ, რომლისთვისაც აღნიშნული გოპოლოგია ავტორისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ვახდა ხელმისაწვდომი, განაცხადის მიწოდების თარიღამდე 2 წლის განმავლობაში არ მოქმედებს გოპოლოგიის

ორიგინალობაზე. სხვა შემთხვევაში გოპოლოგია არ მიიჩნევა ორიგინალურად.

მუხლი 6. გოპოლოგიის ავტორი (თანაავტორი)

1. გოპოლოგიის ავტორად (შემდგომში – ავტორი) მიიჩნევა უიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გოპოლოგია.

2. თუ გოპოლოგია შექმნილია რამდენიმე უიზიკური პირის ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად, თითოეული მათგანი მიიჩნევა თანაავტორად.

3. ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოწმობაში მისი სახელის მითითება.

მუხლი 7. მოწმობის მიღების უფლება

1. მოწმობის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს.

2. რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ გოპოლოგიაზე მოწმობის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა ავტორს ერთობლივად, ისე ითითოეულ მათგანს დანარჩენი ავტორების მიერ მოწმობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან სპეციალური დავალებით შემუშავებულ გოპოლოგიაზე მოწმობის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ მას და მუშაკს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. თუ მოწმობის მიღების უფლება სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მოითხოვოს დამატებითი ფარდი გასამრჯელო.

5. თუ გოპოლოგია შექმნილია სახელმწიფო დაკვეთით ან ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას, მოწმობის მიღების უფლება განისაზღვრება შესაბამისად დაკვეთის და ხელშეკრულების პირობით.

მუხლი 8. განსაკუთრებული უფლების ფარგლები და დარღვევა

1. გოპოლოგიის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება

თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს გოპოლოგია ან აკრძალოს მისი გამოყენება. ამასთან, განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება გოპოლოგიის ან მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის განხორციელების იდეაზე, ხერხზე, სისტემაზე, ტექნოლოგიაზე ან კოდირებულ ინფორმაციაზე.

2. გოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად მიიჩნევა შემდეგ ქმედებათა უნებართვო განხორციელება:

ა) მთლიანად გოპოლოგიის ან მისი ნაწილის (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც არ არის ორიგინალური) ასლის გადაღება მის საფუძველზე იმს-ის შექმნის ან სხვა მიზნით;

ბ) გოპოლოგიის ან მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის გამოყენება, იმპორტირება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა ან სამეურნეო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა.

მუხლი 9. გამაფრთხილებელი აღნიშვნა

გოპოლოგიის მფლობელს შეუძლია იმს-ზე ან მის შემცველ ნაკეთობაზე გამოსახოს სპეციალური გამაფრთხილებელი აღნიშვნა, რომელიც მოიცავს:

- ა) წრეში ჩასმულ ასო „თ“-ს;
- ბ) გოპოლოგიის რეგისტრაციის თარიღს;
- გ) გოპოლოგიის მფლობელის დასახელებას.

მუხლი 10. გამოყენება, რომელიც განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა

1. გოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) გოპოლოგიის, მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ან ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის მოგების მიღების ვარუშე, აგრეთვე ანალიზის, კვლევის ან სწავლების მიზნით;

ბ) გოპოლოგიის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით გავრცელებული გოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ან ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის შემდგომი გავრცელება;

გ) ნებისმიერი ქმედება უნებართვოდ გამეორებული გოპოლოგიის

საუბედროებზე შექმნილი იმს-ის მიმართ, აგრეთვე ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის მიმართ, იმ შემთხვევებში, როდესაც პირმა ასეთ ქმედებითა განხორცილებისას არ იყო და იმს-ის ან ნაკეთობის შექმნისას არც შეიძლებოდა გარემოებათა გამო სცოდნოდა უნებართვოდ გამოკრებილი გოპოლოგიის შესახებ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პირი მიიღებს დასაბუთებულ შეკვებინებას გოპოლოგიის უნებართვოდ გამოკრების შესახებ, მას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება არსებული მარაგის ან შეკვეთილი პროდუქციის მიმართ. ამასთან, იგი ვალდებულია გასამრჯელო, რომელიც გადახდილი იქნებოდა ასეთი გოპოლოგიის გამოკრებაზე ლიცენზიის ნებაყოფლობით შექმნის შემთხვევაში.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ქმედებათა განხორციელება არ მიიჩნევა გოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად შემდეგ შემთხვევებში:

ა) სხვა პირის მიერ ოფიციალურ ბიულეტენში რეგისტრირებული გოპოლოგიის გამოქვეყნებამდე დამოუკიდებლად შემუშავებული ილენგური ორიგინალური გოპოლოგიის გამოკრება;

ბ) სხვა პირის მიერ გაუმჯობესებული გოპოლოგიის შექმნა ცნობილი გოპოლოგიის გამოკვლევის საუბედროებზე, თუ ახლად შექმნილი გოპოლოგია აკმაყოფილებს ორიგინალობის მოთხოვნებს.

მუხლი II. განაცხადი და მისი განსახილველად წარდგენა

1. განაცხადის „საქაგენტი“ შეგანა ხდება უშუალოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის (შემდგომში – განმცხადებლის) ან მათი წარმომადგენლის მიერ.

2. უცხო ქვეყნის პირები ან მათი წარმომადგენლები „საქაგენტთან“ ურთიერთობას წარმართავენ „საქართველოს საპატენტო კანონის“ 65-ე მუხლის შესაბამისად.

3. განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ გოპოლოგიას.

4. განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) დადგენილი წესით შედგენილ განაცხადებს გოპოლოგიის რეგისტრაციის თაობაზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: განმცხადებლის

სრული სახელი (სახელწოდება), მისამართი და მიმოწერის მისამართი ან წარმომადგენლის სრული სახელი და მისამართი, თუ განაცხადის შეგანა ხდება წარმომადგენლის მიერ;

ბ) გოპოლოგიის სრულად ამსახველ მასალებს, რეფერატის ჩათვლით;

გ) განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

დ) განმცხადებლის მიერ წარმომადგენლის სახელზე გაცემულ მინდობილობას, თუ განაცხადის შეგანა ხდება წარმომადგენლის მიერ.

5. განაცხადი „საქპატენტში“ შეგანილად ითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია განცხადება გოპოლოგიის რეგისტრაციის თაობაზე და გოპოლოგიის სრულად ამსახველი მასალები, რეფერატის ჩათვლით.

მუხლი 12. განაცხადის განხილვა, გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა

1. „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რის შედეგადაც გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება მოწმობის გაცემის თაობაზე.

2. „საქპატენტი“ განაცხადის შეგანის თარიღს ადასტურებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

3. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას გოპოლოგიის რეგისტრაციის შესახებ.

4. გოპოლოგიის რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, „საქპატენტი“ აწარმოებს გოპოლოგიის რეგისტრაციას „ინტეგრალური მიკროსქემების გოპოლოგიების რეესტრში“, ვასცემს მოწმობას და აქვეყნებს მონაცემებს „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

5. მონაცემების გამოქვეყნებამდე განმცხადებელს უფლება აქვს „საქპატენტის“ მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შეაუხოს. დაამუხტოს და შეასწოროს განაცხადის მასალები.

6. განაცხადის განხილვისას „საქპაგენგს“ შეუძლია განმცხადებლისაგან მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა და განაცხადში ცვლილებების შეგანა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მისი განხილვა.

7. განაცხადის ექსპერტიზასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. საფასური.

1. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, გოპოლოგიის რეგისტრაციის, მოწმობის გაცემის, მონაცემების გამოქვეყნების, ძალაში შესანარჩუნებელი წლიური და სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებებისათვის გადაისდება საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დასაშვებია საფასურის გადასინჯვა საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

მუხლი 14. უფლებათა გადაცემა

1. გოპოლოგიის მფლობელს შეუძლია გოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემა.

2. გოპოლოგიის მფლობელს უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე ლიცენზია გოპოლოგიის გამოყენებაზე. ლიცენზიის გაცემა და რეგისტრაცია ხორციელდება „საქართველოს საპატენტო კანონის“ 59-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად.

3. დასაშვებია იძულებითი ლიცენზიის გაცემა გოპოლოგიის გამოყენებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება ნაკარნახევია სახელმწიფო არაკომერციული ინტერესებით ან განპირობებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად მიმართული სასამართლო ან ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 15. დაფა

1. გოპოლოგიის მფლობელს ან დაინტერესებულ პირს უფლება აქვს „საქპაგენგის“ ან სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება

გაასაჩივროს „საქართველოს საპატენტო კანონის“ 68–69-ე მუხლების შესაბამისად.

2. გოპოლოგიის მფლობელს განსაკუთრებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული ღირს შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) იმ ქმედებათა შეწყვეტა, რომლებიც არღვევენ უფლებებს ან ქმნიან მათი დარღვევის საფრთხეს;

ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

გ) კომერციული მიზნით გამოყენებული გოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ჩაშორთმევა ან განადგურება.

მუხლი 16. კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა

უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები სარგებლობენ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად ან ნაცვალების პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 17. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ელუარდ შევარდნაძე
თბილისი,
1999 წლის 22 ივნისი.

§5. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ლონისძიებათა შესახებ

თავი I მოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

ეს კანონი ადგენს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტირებისას) ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეუუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ ხელშეკრულების დებულებებს სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა თაობაზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უფლების მფლობელი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს საავტორო უფლება, განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე ანდა რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება;

ბ) საავტორო უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, რომელიც წარმოადგენს უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში მისი რწმუნებულის ნებართვის გარეშე წარმოებული საქონლის ასლს და რომელიც საქართველოში წარმოშობის შემთხვევაში წარმოებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

გ) საქონლის ადვილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, რომელზედაც უკანონოდ არის გამოყენებული ადვილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

დ) კონგრაფიკული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, შათი შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან და. აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს;

ე) „დე-მინიმის“ იმპორტი – არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონელი, რომელიც მოთავსებულია მეგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი II

საქონლის შექერება

მუხლი 3. საქონლის შექერება საბაჟო ორგანოების მიერ

უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადვილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონგრაფიკული პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შექერება.

მუხლი 4. განცხადება

1. უფლების მფლობელი, რომელიც მოითხოვს საქონლის შექერებას ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წერილობით წარუდგენს:

ა) იმის სათანადო დასაბუთებას, რომ ირღვევა საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი უფლების მულობელის უფლებები;

ბ) საქონლის დეკლარაციის აღწერას – საბაჟო ორგანოების მიერ მისი ამოცნობის გაადვილების მიზნით;

გ) სასამართლოს მოთხოვნით, უზრუნველყოფის გარანტიას. ასეთი უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ფულადი თანხის ან უასიანი ქაღალდების წარმოდგენით, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

2. მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები და ეცნობებათ საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ შესაბამის ღონისძიებათა ჩატარებისათვის დადგენილი ვადების შესახებ.

მუხლი 5. საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა

თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს მიერ განჩინების გამოგანიდან 14 დღის განმავლობაში უფლების მულობელი ვერ უზრუნველყოფს სასამართლოში სარჩელის შეტანას, შეჩერებული საქონელი ექვემდებარება გაშვებას.

მუხლი 6. ზარალის ანაზღაურება

სასამართლოს შეუძლია მოსარჩელეს დააკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც საქონლის შეჩერებით განიცადა იმპორტიორმა, ექსპორტიორმა, გვირთის მიმღებმა ან საქონლის მესაკუთრემ.

მუხლი 7. შემოწმების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების უფლება

სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი კონფიდენციალური ინფორმაციისათვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე უზრუნველყოფს უფლების მულობელის მიერ შეჩერებული საქონლის შემოწმების ჩატარებას. სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი იმპორტიორს ან ექსპორტიორს აგყობინებს ამგვარი შემოწმების ჩატარების შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფს მის დასწრებას შემოწმებაზე და საქონლის შემოწმების თანაბარ შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ უფლების

მულობელის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი უფლების მფლობელს აცნობებს გვირთის გამგზავნის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და გვირთის მიმღების ვინაობას და მისამართს, აგრეთვე მოცემული საქონლის რაოდენობას.

მუხლი 8. ღონისძიებები

1. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოგანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოაქვს გადაწყვეტილება მოცემული საქონლის განადგურების ან განკარგვის შესახებ.

2. სააგეორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონგრაუაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

3. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოგანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი არ დაუშვებს კონგრაუაქციული პროდუქციის ექსპორტს ან რეექსპორტს.

მუხლი 9. „დე-მინიმის“ იმპორტი

ეს კანონი არ გამოიყენება არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი III

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 10. გარდამავალი დებულება

დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის განმავლობაში გამოსცეს სააგეორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარ-

მოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონგრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ელეარდ შევარდნაძე
თბილისი,
1999 წლის 23 ივნისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. გაბუნია ინგელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონების მოკლე დახასიათება. კრებულში „საკანონმდებლო აქტები“, თბ., „საქპაგენტი“, 1999.
2. დ. გაბუნია „საქპაგენტი“ ინგელექტუალურ საკუთრებას იცავს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წლის 8 დეკემბერი.
3. ო. კეკელაშვილი, ზ. კუპრავა, გ. გობეჯიშვილი. ეკონომიკური აღორძინების გარანტი. ყ. „ეკონომისტი“, 2000, №3-4.
4. ო. კეკელაშვილი, ზ. კუპრავა. საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ყ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 2000, №5-6.
5. ო. კეკელაშვილი. რატომ არის საპატენტო საქმიანობა ჩამკუდარი. გაზ. „ახალი თაობა“, 1999 წლის 28 აგვისტო.
6. ო. კეკელაშვილი. სახვალოდ ნუ გადავდებთ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 17 მაისი.
7. ო. კეკელაშვილი. დაპატენტება გამოგონებას იცავს. გაზ. „ახალი თაობა“, 1999 წლის 29 აპრილი.
8. ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი. პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით). თბ., „ახალგაზრდა იურისგთა ასოციაცია“, 2000, გვ. 454.
9. ო. კეკელაშვილი, რ. გორჯილაძე. საპატენტო ლოკუტენტაცია. ყ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1973, №4.
10. ო. კეკელაშვილი, ი. ებანოძე. ლოკუმენტური ინფორმაცია და საგამომგონებლო საქმის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში. თბ., 1974, გვ. 67.
11. ო. კეკელაშვილი, ი. ებანოძე. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და გამოგონებლობა სოფლის მეურნეობაში. ყ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1973, №11.
12. ო. კეკელაშვილი, თ. ქვლივიძე. გამოგონებათა

დაპატენტების საფუძელები. თბ., 1996, გვ. 392.

13. **ო. კეკელაშვილი, შ. ფუთურიძე.** გამომგონებლისა და რაციონალიზატორის ცნობარი (კითხვებსა და პასუხებში). თბ., „მეცნიერება“, 1982, გვ. 447.

14. **ო. კეკელაშვილი, შ. ფუთურიძე.** გამომგონებლობა და რაციონალიზაცია. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 305.

15. **ო. კეკელაშვილი, გ. შიშინაშვილი.** საგამომგონებლო და საპატენტო-საინფორმაციო მუშაობა წარმოებაში. თბილისი, „განათლება“, 1985, გვ. 303.

16. **ო. კეკელაშვილი.** ავტორობა და თანაავტორობა. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1984, № 8.

17. **ო. კეკელაშვილი.** აღმოჩენა და გამოგონება. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, № 6.

18. **ო. კეკელაშვილი.** აშშ-ის, გერმანიის, იაპონიისა და საფრანგეთის საპატენტო დოკუმენტაცია. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1978, № 7.

19. **ო. კეკელაშვილი.** გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებების დაცვა. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1982, № 12.

20. **ო. კეკელაშვილი.** გამომგონებლობის ორგანიზაცია სსრ კავშირში. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1981, № 6.

21. **ო. კეკელაშვილი.** დოკუმენტური ინფორმაციის ასახვა საცნობარო აპარატში. თბ., „ინფორმაციის რესპუბლიკური ინსტიტუტი“, 1974.

22. **ო. კეკელაშვილი.** რაციონალიზატორული წინადადება. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, № 11.

23. **ო. კეკელაშვილი.** სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და საინფორმაციო სამსახური. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1971, № 11.

24. **ო. კეკელაშვილი.** საბჭოთა გამომგონებლების უფლებები. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1982, № 7.

25. **ო. კეკელაშვილი.** საპატენტო ინფორმაციის ორგანიზაცია. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1978, № 6.

26. **ო. კეკელაშვილი.** საპატენტო-ტექნიკური ინფორმაცია და ტექნიკური პროგრესი. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, № 4.

27. **ო. კეკელაშვილი.** გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შაგერიალური წახალისება. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, № 11.
28. **ო. კეკელაშვილი.** ჯეროვანი ყურადღება საპატენტო ტექნიკურ ინფორმაციას. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, № 11.
29. **ო. კეკელაშვილი.** ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1980, № 10.
30. **ო. კეკელაშვილი, ო. ჭვათაძე.** საპატენტო სისტემის ისტორიიდან. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, № 3.
31. **ო. კეკელაშვილი, გ. ხუციშვილი.** საბჭოთა გამომგონებლის უუღლებები. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1973, № 11.
32. **ო. კეკელაშვილი.** პასუხი შეკითხვებზე. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1982, № 2.
33. **ო. კეკელაშვილი.** გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1979, № 11.
34. **ო. კეკელაშვილი.** გამოგონებათა ექსპერტიზა. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1986, № 11.
35. **ო. კეკელაშვილი.** გამოკვლევათა და დამუშავებათა ეფექტიანობისათვის. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1985, № 9.
36. **ო. კეკელაშვილი.** ვანაცხადი გამოგონებაზე. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1986, № 1.
37. **ო. კეკელაშვილი.** ვანაცხადი გამოგონებაზე. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, № 2.
38. **ო. კეკელაშვილი.** ეროვნული ინტერესების სამსახურში. ქ. „ეკონომიკა“, 1991, № 6.
39. **ო. კეკელაშვილი.** ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ახალ პირობებში. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1991, № 6.
40. **ო. კეკელაშვილი.** საექსპორტო ოპერაციების წარმატების საწინდარი. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1972, № 8.
41. **ო. კეკელაშვილი.** სამეცნიერო-ტექნიკური ლოკუმენტაციის კლასიფიკაცია. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, № 4.
42. **ო. კეკელაშვილი.** სამრეწველო ნიმუში. ქ. „მეცნიერება და

ტექნიკა“, 1980, № 1.

43. **ო. კეკელაშვილი.** საპატენტო გამოკვლევა გამოგონებაზე. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, № 5.

44. **ო. კეკელაშვილი.** საპატენტო ლოკუმენტაცია. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1978, № 9.

45. **ო. კეკელაშვილი.** საპატენტო საქმის ორგანიზაცია აშშ-ში. ქ. „ეკონომიკა“, 1992, № 7.

46. **ო. კეკელაშვილი.** საპატენტო ძიების ჩატარება. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1982, № 4.

47. **ო. კეკელაშვილი.** სასაქონლო ნიშანი. ქ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1980, № 3.

48. **ო. კეკელაშვილი.** ტექნიკური შემოქმედებისა და საპატენტო საქმის განვითარებისათვის. ქ. „ეკონომისტი“, 1989, № 7.

49. **О. В. Кекелашвили.** Организация патентной информации в грузнииэгс. в кн. НТИ в строительстве, Вып. 2, М., 1977, с. 36-37.

50. **О. В. Кекелашвили.** Отчет Советской делегаций о поездке за границе по линии двухстороннего научно-технического сотрудничества стран членов СЭВ. М., “Информэнерго” 1977, с. 37.

51. **О. В. Кекелашвили.** Справочно-информационное обслуживание в грузнииэгс. в кн. НТИ в строительстве, Вып. 6, М., 1974, с. 54-57.

52. Большая Советская Энциклопедия. М., 1970, т. 10.

53. **Е. А. Богатых, В. И. Левченко.** Патентное право капиталистических и развивающихся государств. М., “Юридическая литература”, 1978, с. 200.

54. **Б. Г. Прахов.** Изобретательское и патентное право. Словарь справочник. Киев, “Высшая школа”, 1987, с. 181.

55. **Питер Розенберг.** Основы патентного право США. М., Прогресс, 1979, с. 541.

56. Международная охрана промышленной собственности (парижская конвенция). М., ВНИИПИ, 1967.

57. Патентный закон Бельгии. М., ВНИИПИ, 1987.

58. Патентный закон Великобритании. М., ВНИИПИ, 1983.
59. Патентный закон Италии. М., ВНИИПИ, 1982.
60. Патентный закон Скандинавских стран. М., ВНИИПИ, 1987.
61. Патентный закон Карибского бассейна. М., ВНИИПИ, 1989.
62. Патентный закон США. М., ВНИИПИ, 1986.
63. Патентный закон Франции. М., ВНИИПИ, 1983.
64. Патентный закон ФРГ. М., ВНИИПИ, 1984.
65. Патентный закон Японии. М., ВНИИПИ, 1975.
66. Патентное законодательство старн мира в 2-х томах М., Мысль, 1983.